

ავტორისაგან

ინსტიტუტში მუშაობისას ვწერდი დისერტაციას, ვიყავი ათეისტი, თავგამოდებული უღმერთო, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა აზრები: “რისთვის ცხოვრობ, ვაკეთებ რაღაცას, თუ მაინც უნდა მოვკვდე?” და ვერავისთან და ვერსად ვერ ვპოულობდი პასუხს ამ მტანჯველ შეკითხვაზე. თავში მოდიოდა ყველანაირი გამართლება: “იცხოვრე, როგორც ყველა ცხოვრობს, იცხოვრე შვილებისთვის, იცხოვრე ხალხისთვის, და ა.შ.” ამ ყველა აზრის საპასუხოდ მოდიოდა კითხვა: “მაგრამ შენც, ბავშვებიც და ადამიანებიც ყველანი ხომ მოკვდებიან, მაშ რაღა საჭიროა სიცოცხლე?” ჩემი სიცოცხლე ჰგავს შენობას რომელსაც აშენებენ, ყოველმხრივ აღამაზებენ, ხოლო ბოლო წუთს იგი ინგრევა და მისგან არაფერი რჩება, და კვლავ ისმის იგივე კითხვა: “მაშინ რა აზრი აქვს სიცოცხლეს?” ჩემთან საუბარი ღმერთზე, ეკლესიაზე, ან რწმენაზე უსარგებლო იყო. ამგვარ სიტყვებს მე მტრულად ვხვდებოდი, ისინი ჩემში ბადებდნენ მხოლოდ გაღიზიანებასა და რისხვას. ასე იყო მანამდე, სანამ ერთმა მოსაუბრემ არ დამცა მე ბეჭებზე თავისი არგუმენტით: მან მითხრა, რომ სახარება არის ზოგად-საკაცობრიო წიგნი და ვისაც ის არ წაუკითხავს, არ შეუძლია ჩათვალოს თავისი თავი კულტურულად აღამიანად, ხოლო მე, როგორც მეცნიერმუშაკი, ჩემს თავს ასეთად ვთვლიდი. და მეც სურვილის გარეშე, კრიტიკით, დავიწყე სახარების კითხვა. თავიდან კრიტიკით, შემდეგ ცნობისმოყვარეობით, ბოლოს ინტერესით და ჩემთვის გაიხსნა ახალი, უსაზღვრო სამყარო. ჩემს ცხოვრებაში ყველა მოვლენა თანმიმდევრულ, ურთიერთდაკავშირებულ ჯაჭვად ჩამწკრივდა. მივხვდი რომ ღმერთი მიხმობდა თავისკენ აზრებით სიკვდილზე. ახლა კი თვითონ ვხედავ ჩემს თავს, რომ მართლა უკულტურო ვარ, ხოლო სახარება კი მუდმივად წარმოაჩენს ჩემს უვიცლობას. ჩემთვის გასაგები გახდა იოანე ოქროპირის ფრაზა: “ზედაპირული ფილოსოფია, ფილოსოფია ყოველდღიური ყოფითი ცხოვრებისა, გვაშორებს ქრისტესაგან, ხოლო ღრმა, საფუძვლიანი ფილოსოფია კვლავ გვაბრუნებს მასთან.” გასაგები გახდა, რომ მოაზროვნე ადამიანის ცხოვრება ეს არის მუდმივი სრულყოფა. თავიდან უბრალო ადამიანი, შემდეგ წერა-კითხვის მცოდნე, შემდეგ განათლებული, შემდეგ უმაღლესი განათლების მქონე, შემდეგ ფილოსოფოსი, ხოლო ფილოსოფოსის შემდეგ, თუკი ადამიანი თავის თავს მიანდობს ღვთის ნებას, მაშინ ღმერთი გახდის მას წმინდანად მარადიული ცხოვრებისათვის ცათა სასუფეველში. მე მოვედი ამ გზასთან და მსურს, რომ ყველამ იაროს მარადიული სიცოცხლის გზით, ცათა

სასუფეველისაკენ. თუ როგორ უნდა ვიაროთ ამ გზით, გვასწავლის იესო ქრისტეს სახარება: “მე ვარ გზა ჭეშმარიტება და სიცოცხლე.” (იოან.14,6). ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე ასწავლიდა მოციქულებს (და მათ შორის ჩვენც) ყველაფრის დაცვას, რაც კი მან გვამცნო. ხოლო რაც მან გვამცნო – გადმოცემულია სახარებაში. (მთ.28, 19-20). იკითხე სახარება და პასუხი აგე ღვთის წინაშე: ასრულებ ღვთის ნებას თუ არა. (2კორ.13,5).

მე წავაწყდი პარადოქსს: როდესაც ადამიანს წინ დაუდებენ ერთ მილიარდს და ერთ კაპიკს და დააყენებენ არჩევანის წინაშე, რომ ამოირჩიოს ამ ორიდან ერთ-ერთი, ამოირჩიოს მხოლოდ ერთი, არჩევანი ეჭვს არ იწვევს: რაღა თქმა უნდა ადამიანი ირჩევს მილიარდს, მაგრამ როდესაც ადამიანს სთავაზობენ დროებით ცხოვრებას დედამიწაზე, ან მარადიულს ზეცაში, საკითხი ზუსტად ისევე დგას: მან უნდა ამოირჩიოს ამ ორი ცხოვრებიდან მხოლოდ ერთი. მაგრამ სამწუხაროდ ადამიანები დროებით ცხოვრებას ირჩევენ და არად აგდებენ მარადისობას. მაშინ როდესაც მათემატიკა ამტკიცებს: ნებისმიერი რიცხვი, რაოდენ დიდი არ უნდა იყოს იგი – არის ნული უსასრულობასთან შედარებით. ე.ი. მილიარდი წელი სიცოცხლე და მილიარდჯერ მილიარდიც, და რამდენიც გინდა უფრო დიდი ციფრიც რომ დაასახელო, ყველაფერი არის ნული უსასრულობის წინაშე. მე ავირჩიე უსასრულობა, არად ვაგდებ მიწიერი ცხოვრების კაპიკს. მე ჩემი არჩევანი გავაკეთე და ვწერ ამის შესახებ ამ ფურცლებზე. შენ კი, მკითხველო, თვითონ გააკეთე შენი არჩევანი. შენს წინაშე არის სამოთხე და ჯოჯოხეთი, რომელიც გინდა ამ ორიდან აირჩიე მხოლოდ ერთი.

ბორის ივანოვი

წინასიტყვაობა

მკითხველისათვის შემოთავაზებული ლექციები არ არის ადამიანური გონების ნაყოფი, არამედ ისინი შთაგონებულია სულიწმინდით. ამიტომაც მათი გაგება ადამიანური გონებით შეუძლებელია. (2პეტრ.1,20-21). ეს ლექციები განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც მიაღწიეს წარმატებას საკუთარი ნების უარყოფაში. (მთ.16, 24-25; 1კორ.2, 1-14).

“ესავდე უფალს მთელი გულით და ნუ დაენდობი საკუთარ ჭკუას.” (იგავ.3,5). როდესაც ადამიანი არ ფიქრობს, იგი ღვთის წინაშე მართალია, ხოლო როცა ადამიანი ფიქრობს, აზროვნებს, მაშინ იგი არ არის მართალი ღვთის წინაშე. (ეკლ.7,29).

ყოველივე ჩამოთვლილის საფუძველზე, თუ მკითხველი ამ ლექციებს წაკითხავს გონებით, გრძნობებითა და საკუთარი “მე“-ს ემოციებით, მაშინ მათში მხოლოდ უგუნურებას იპოვის. (1კორ. 2, 14). ხოლო თუ იგი მათ წაიკითხავს გონების უარყოფითა და ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მიმართ ღოცვით გამოითხოვს გულისხმისყოფის სულს, მაშინ ამ სიტყვებში იპოვის ხეცაში მიმავალ გზას. შეეწიოს უფალი ამ წიგნის ყველა მკითხველს.

ისევე როგორც მოცემული წინასიტყვაობა, ასევე წიგნის მთელი შინაარსიც, სახარებიდან მითითებულ ადგილებზეა დამყარებული. ამიტომაც აუცილებელია ამ ყველა ადგილის წაკითხვა სახარებიდან. ასეთი მიდგომის გარეშე წიგნის გაგება შეუძლებელია. ამიტომ კითხვის დაწყებამდე აუცილებელია ავიღოთ სახარება. თუკი ადამიანი წაიკითხავს სახარების გარეშე, მაშინ მას თავის ცნობიერებაში დიალოგი ექნება ავტორთან, ისეთივე ცოდვილ ადამიანთან, როგორც თავად მკითხველია. ხოლო თუ მკითხველი მიმართავს სახარებას, მაშინ მას ექნება ურთიერთობა ღმერთთან, დაემორჩილება მის მცნებებს, როგორც ამას თავად ღმერთი იესო ქრისტე მოითხოვს: “ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ.” (მთ.28, 20). “თუ ვინე მოისმენს ჩემს სიტყვებს და არ დაიცავს, მე არ განვსჯი მას... სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, (ანუ სახარება), განსჯის მას უკანასკნელ დღეს.” (იოან.12, 47-48). ავტორის როლი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მკითხველს ღმერთთან ურთიერთობისაკენ უბიძგებს. სახარების წაკითხვა კიდევ იმიტომაც აუცილებელი, რომ ავტორს სახარებისეული აზრიდან ამოღებული აქვს მხოლოდ მოკლე არსი, განმარტებითი კონტექსტის გარეშე, იმისათვის, რომ სიტყვების სიმრავლით არ გადატვირთოს მკითხველი და აიძულოს იგი მიმართოს თავად ღმერთს, ანუ სახარებას. ეს ნაშრომი არ წარმოადგენს გასართობ ან დასვენების დროს საკითხავ წიგნს, არამედ მასში დაწერილი ყველაფერი მოითხოვს საკუთარ “მე“-ზე, აზრებსა და გრძნობებზე უარის თქმას. ამას მოითხოვს თავად ღმერთი იესო ქრისტე: “ვისაც უნდა რომ გამოძევეს, უარყოს თავისი თავი.” (მთ.16, 24). “რადგან მადლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღვთის გულისათვის იტანს გასაჭირს.” (1პეტრ.2, 19-23). დაწერილის

წაკითხვა ადამიანური გონებით კიდევ იმ მიზეზის გამო არ შეიძლება, რომ თავად იესო ქრისტემ თქვა: “სიტყვები, რომლებიც გითხარით სულია და სიცოცხლე.” (იოან.6,63). ამიტომ კითხვის დროს აუცილებელია მუდმივი შინაგანი მიმართვა ღვთისადმი თხოვნით: “შემეწიე, მასწავლე, მომმადლე შენი სახარების გულისხმისყოფა.” სახარება ეს არის ღმერთის ანდერძი ჩვენთვის, ამიტომაც ჰქვია მას ახალი აღთქმა. თუკი უბრალო ადამიანის ანდერძი უპირობოდ უნდა იქნას შესრულებული, ამიტომ მით უმეტეს აუცილებელია ღმერთის ანდერძის შესრულება. ჯილდო ამისთვის არის მარადიული ცხოვრება სამოთხის სიტკბოში. მაგრამ ამისათვის აუცილებელია ყველა საკუთარ მიწიერ სურვილზე უარის თქმა, როგორც ეს გააკეთა უფალმა იესო ქრისტემ და თქვა: “ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა.” (იოან.18, 36). ასევე იქცეოდნენ პირველი სამასი წლის განმავლობაში ქრისტეს მოწამეები, როგორებიც იყვნენ წმინდა გიორგი, ბარბარე, ეკატერინე და სხვები. მათ სთავაზობდნენ წუთისოფლის სამეფოებს, ისინი კი ირჩევდნენ სიკვდილს, ღმერთთან მარადიული ცხოვრებისათვის, რადგანაც ყველაფერი მიწიერი წარმავალია. ზუსტად ასევე იქცეოდნენ განდევნილები, ტანჯავდნენ თავიანთ თავს შრომით, მღვიძარებით და სხვა სახის თავშეკავებით, რითაც გამოხატავდნენ ღვთის წინაშე მიწიერი ცხოვრებაზე უარის თქმასა და გამოთქვამდნენ სამოთხეში მარადიული სიცოცხლის სურვილს. სწორედ ამ მიზნისკენაა მიმართული მთელი ეს ნაშრომი. ვისაც არ უნდა საკუთარ თავზე შრომა და მიჯაჭვულია მიწიერი ცხოვრების სიკეთეებზე, იგი აქ დაინახავს მხოლოდ აბსურდს. ხოლო ვინც ეძიებს ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს, იგი იპოვის აქ თავლსა და სულისათვის სიტკბოს ღვთისაგან.

ჩვენ ადამში ჩამოვვარდით ზეციდან დედამიწაზე და შევეყონდით მასზე და თითოეულს ადამიანს აქვს არჩევანი: ან გააგრძელოს თავისი დროებითი ცხოვრება და წავიდეს ჯოჯოხეთში, სადაც მარადიული მწუხარება და სინდისის ქენჯნაა, ან ითხოვოს ღვთისაგან ცოდვების მიტევება და სამოთხეში დაბრუნება. აი, ამ ბოლო მიზნისაკენ უბიძგებს ავტორი მკითხველს. ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. ზევით ასვლა ყოველთვის ძალიან ძნელია, მაგრამ ეს შრომა “ღირს სასიამოვნოდ”.

(). სანთელი კი არის ღოცვა ღვთისადმი, რათა მოგვიტევოს ცოდვები და შეგვაძლებინოს, რომ მივბაძოთ მის ცხოვრებას. მან, (იესო ქრისტემ), უდანაშაულობის აბსოლუტმა, ნებაყოფლობით დაუქვემდებარა თავისი თავი აბსოლუტურ უსამართლობასა და მსჯავრს. თავს არ იცავდა, არ იმართლებდა, არ ცდილობდა რაიმეს ახსნას, არამედ უყვარდა ყველა, თავისი მტანჯველებიც კი, და ღოცულობდა მათთვის: “მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან რას აკეთებენ.” (ლუკ.23, 34). ამ სიტყვებშია ქრისტიანობის მთელი არსი, განსაკუთრებით კი მართლმადიდებლობისა.

რა არის ადამიანის ცხოვრება

ბიბლია ამბობს: “დღენი წელიწადთა ჩვენთანი სამეოცდაათ წელ, ხოლო უკუეთუ ძლიერებასა შინა ოთხმეოც წელ და უმრავლესი მათი შრომა და საღმობაი, რამეთუ მოვიდა ჩვენ ზედა სიმწვიდე და ჩვენ განვისწავლენით.” (ფს.89, 10). “და როგორც ადამიანებს ერთხელ უწერიათ სიკვდილი და მერმე განკითხვა.” (ებრ.9, 27). მაგრამ რა არის ეს ჩვენი 70 წელი. ადამიანი როგორც კი იბადება, მაშინვე ტირის. ჩვენ გვიხარია ბავშვის ხმა, მაგრამ ვერ ვაცნობიერებთ იმას, თუ რატომ ტირის ბავშვი. ეს კი ტირის სული, ეს არის სამოთხიდან გამოგდებული ადამისა და ევას ტირილი. დედის მუცელში ბავშვი ცხოვრობდა როგორც სამოთხეში: არაფერი არ იცოდა, არც შრომობდა, მაგრამ ჰქონდა ყველაფერი, რაც სიცოცხლისათვის იყო საჭირო. მედიცინაშიც კი ბავშვის დაბადებას, მშობიარობას, ნაყოფის გამოდევნა ეწოდება. ქალი ინსტიქტურად გამოდევნის ნაყოფს თავისი მუცლიდან, ასევე იყვნენ გამოდევნილნი სამოთხიდან ადამი და ევა, და ისევე ტიროდნენ, როგორც ტირის ახალშობილი ბავშვის სული. ადამი და ევა ისეთივე უმწეოები იყვნენ, როგორი უმწეოცაა ახლად დაბადებული ბავშვი. ასე იწყება ადამიანის მიწიერი ცხოვრება. პირველი 7 წელი გაუაზრებელი ბავშვობა, შემდეგ სკოლის 10 წელი, ასევე გაუაზრებლად: გაკვეთილები, საშინაო დავალებები. ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის გააზრებული, ადამიანს მხოლოდ კითხვები სტანჯავს: რა? როგორ? რისთვის? შემდეგ უმაღლესი განათლების 5 წელი, მჩქეფარე ახალგაზრდობა, ოცნებებთან შეხლა-შემოხლა და მათი კრახი, სიყვარული და იმედგაცრუება და საბოლოო ჯამში ადამიანი ჯერ ვერ ღებულობს ვერაფერს, რასაც შეიძლება ვუწოდოთ დამოუკიდებელი ცხოვრება. ჯერ ხდება მხოლოდ გაცნობა იმასთან, რასაც ცხოვრება ჰქვია. ასეა ყველა ადამიანთან პირველი 25 წლის განმავლობაში. შემდეგ 25 დან 35 წლამდე ყალიბდება ცხოვრება: განისაზღვრება სამუშაო ადგილი, საცხოვრებელი, ოჯახური პრობლემები და მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ იწყება ცხოვრება. (საუკეთესო შემთხვევაში.) როდესაც ადამიანი რაღაცას წყვეტს, რაღაცას აღწევს, ანუ რასაც ჩვენ მოწიფულობის ასაკს ვუწოდებთ. მაგრამ ჩვენ აქ ჯერ არ გვიხსენებია, თუ რამდენი დაავადების გადატანა უწევს ადამიანს ამ ხნის განმავლობაში. და საერთოდ რამდენნაირი დაავადება არ ემართება ყველა ადამიანს: გაციებები, გრიპები, დაუეჟილობები, მოტეხილობები, ჭრილობები და ა.შ. ამის შესახებ ყველამ იცის საკუთარი თავიდან და გარშემო მყოფი ადამიანებიდან გამომდინარე. ასე რომ ბევრი მოწიფულობის ასაკს უკვე დაინვალიდებული აღწევს, მაგრამ ჩვენ ამას ცხოვრებას ვუწოდებთ. მაგრამ როგორია ეს ცხოვრება, თუ მას სერიოზულად შევხედავთ გვერდიდან? აღმაფრენები და დაცემები, ფანტაზიები, სიხარულის მომენტები და მათი მსხვერვა, განა ეს ცხოვრებაა? მაგრამ აი ადამიანმა მიადწია სიმწიფის ასაკს, ეს არის 35

დან 55 წლამდე, ე. ი. 20 წელი, ხოლო ამ 20 წლიდან ყოველდღე 8 საათი განკუთვნილია ძილისათვის, 8 საათი შრომისათვის და მხოლოდ 8 საათი რჩება პირადი ცხოვრებისათვის. ე.ი. 20 წლიდან სადღაც 1/3 - 6-7 წელია მოცემული პირადი ცხოვრებისათვის. ისიც რითია ამ დროს ადამიანი დაკავებული? ისევ მუშაობა სახლში, ზრუნვა ოჯახზე, მხოლოდ წუთებიდა, ან რამოდენიმე საათი რჩება დასვენებისათვის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ცხოვრება. მაგრამ ეს წლებიც სავსეა ნერვიულობითა და განცდებით - საკუთარი მომავლის, შვილების მომავლის, საკუთარი ავადმყოფობების, ცოლის, შვილების, მშობლების ავადმყოფობების გამო, განა ეს ცხოვრებაა? ჩვენი ცხოვრება გადის სამკუთხედზე: ვშრომობთ იმისათვის, რომ ვიშოვოთ ფული, ამ ფულით ვყიდულობთ საჭმელ პროდუქტებს, ვჭამთ იმისათვის, რომ შემდეგ ყველაფერი მივიტანოთ ტუალეტში და არანაირი გამონათება - “ბერმუდის სამკუთხედი”: სამუშაო, სამზარეულო, ტუალეტი. ამასთან მიაქციე ყურადღება: როგორ პროდუქტებს ჭამ შენ, ადამიანო, როგორ არის ისინი მოწყობილი, როგორი აქვთ ფორმა, ფერი, გემო, სუნი, არომატი. როგორაა მოწყობილი კიტრი, პომიდორი, ყურძენი, კაკალი, ხორბლის მარცვალი და ა.შ. უსასრულო მრავალფეროვნება. და ყველა ეს მრავალფეროვნება იქმნება ერთი და იმავე მასალისაგან - მიწისაგან, რომელსაც ადამიანი ტალახს უწოდებს, მაშინ როცა იგი გამომზრდელი დედაა. ადამიანებს ჰგონიათ რომ ეს ყველაფერი თავისთავად იზრდება დედამიწაზე და არ უფიქრდებიან იმას თუ ვინ და რა და როგორ განაპირობებს მათ ზრდას. ადამიანი მხოლოდ მზამზარეულს იმკის, მაგრამ ამყად აცხადებს: “მე მოვიყვანე მოსავალი.” მაგრამ აი ადამიანი იღებს მოსავალს, რომელიც მას დედამიწამ მისცა, ალაგებს თავის სუფრაზე და იწყებს ადამიანი მუშაობას: კბილებითა და ყბებით, შემდეგ კუჭნაწლავით და ბოლოს მთელი თავისი პროდუქცია მიაქვს ტუალეტში. აი ასეთია შენი წარმოება, ადამიანო, ასეთია შენი საქმიანობის ნამდვილი ნაყოფი. ეხლა კი შეადარე: რას აკეთებს ღმერთი შენი დედამიწიდან და რას აკეთებ შენ - სამარცხვინოა და საშინელია შეხედვაც კი, რას წარმოადგენს ადამიანი. ამასთან ცხოველების ნაკელს ადამიანი იყენებს მოსავლისათვის სასარგებლოდ, ხოლო ადამიანის ნაკელი არაფრად არ ვარგა, იგი წვავს მიწას და მისგან აღარაფერი მოდის. ჩვენ კი, ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვამაყობთ ჩვენი ცხოვრებით. მაგრამ თუ შევხედავთ ფხიზლად და რეალურად, როგორც ჩვენ აღვწერთ, მაშინ მთელი ჩვენი ცხოვრება წარმოგვიდგება როგორც მუდმივი სიგიჟე. ადამიანს არ შეუძლია სხვანაირად ცხოვრება, არ შეუძლია რომ არ ჭამოს და შემდეგ ტუალეტში რომ არ წავიდეს. ასე გადის სიმწიფის ასაკი 35 დან 55 წლამდე და ამის შემდეგ იწყება სიბერე თავისი ავადმყოფობებით, უძლურებებით, ჩივილებით და ასე სამარემდე, როგორც ამბობს სახარება: “და როგორც ადამიანებს ერთხელ უწერიათ სიკვდილი და მერმე განკითხვა.” (ებრ.9, 27). მივაქციოთ ყურადღება თუ როგორ მიდის ჩვენი ცხოვრება ჩვენს შიგნით: ყველას ჩვენ ამ ცხოვრებაში გვამოძრავებს ერთი პრინციპი: მე მინდა, მინდა,

მინდა და ასე დაუსრულებლად მინდა. და ყველა ეს ჩვენი მინდა აღძრავს ადამიანის ყველა მოქმედებას. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ არა ადამიანის გონება მართავს მის კუჭს, არამედ ჩვენი კუჭი მართავს ჩვენს გონებას. ადამიანის გონება არის მხოლოდ მსახური კუჭისა და სხვა ვნებებისა, როგორც სახარება ამბობს: “ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი ხორცის საწინააღმდეგო, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ.” (გალატ.5, 17). ეს რომ ნამდვილად ასეა, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს მწვეველებში, ნარკომანებში, ლოთებში და ა.შ. როდესაც ადამიანი თავის თავში აცნობიერებს, რომ ყველა ეს ვნება მავნეა მისთვის, ისინი კლავენ მას, მაგრამ ადამიანს არა აქვს წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ჩვენი შინაგანი “მე” და “მინდა” გვიბიძგებენ ჩვენ რომ ვიმოქმედოთ ჩვენივე თავის საწინააღმდეგოდ და ჩვენ იძულებულნი ვართ ვებრძოლოთ ჩვენ საკუთარ “მეს”. ამ ბრძოლაშია ადამიანის ცხოვრების მთელი არსი.

ან შენი “მე” მოგკლავს შენ, ან შენ უნდა მოაკვდინო იგი. ცხოვრება ეს არის ბრძოლა, გამოვლინება იმისა, რაც ასახულია ფილისოფიაში ორ ურთიერთდაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის კანონში. ამის შესახებ ამბობს დოსტოვესკი: “ემმაკი ებრძვის ღმერთს, ხოლო ბრძოლის ველი – ადამიანის გულია.”

“არ სცე თაყვანი მათ, არ ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, რომელი მამათა ცოდვებს შვილებს მოვკითხავ.” (გამოს.20, 5). ანუ ღმერთი გვაფრთხილებს, რომ თუ ჩვენ მის გარდა რაიმე სხვას მივანიჭებთ უპირატესობას, იგი იეჭვიანებს ამის გამო და პასუხს მოგვთხოვს ჩვენი ყოველი სურვილით გატაცებაზე. რამდენიც არ უნდა გამოვიკვლიოთ ჩვენი ცხოვრებისეული სიტუაციები, ან სიტუაციები ჩვენი ახლობლებისა და ნაცნობებისა, დასკვნა ყოველთვის იქნება ერთი: ან ადამიანის “მინდა” ჭამს მას თვითონ, ან თავად ადამიანი თელავს თავის “მინდას”. ამ ცხოვრების არსის შესახებ კიდევ ასე შეიძლება ითქვას: ქრისტიანობა არ არის თეორია და არც შესასწავლი მეცნიერება. ქრისტიანობა ეს არის გზა. ცოტაა იცოდე სწორი გზა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მისი გაგება, ანუ პრაქტიკული მოკვდინება თითოეული საკუთარი “მინდასი”. ცხოვრების არსი გამოხატულია იაკობ მოციქულის ეპისტოლეში. (იაკ.4, 1-10). იქ ნათქვამია, რომ ადამიანების ყველა პრობლემა მათი სურვილებიდან მომდინარეობს; დაამარცხე სურვილი და აღარ გექნება პრობლემები. რწმენა და ტვინი – ორი შეურიგებელი მტერია ჩვენში. მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რომელს მივანიჭებთ გამარჯვებას, ხოლო ამ გამარჯვებაზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი ცხოვრება, ოღონდ ორი ვარიანტიდან მხოლოდ ერთი:

1. რწმენა და სიმშვიდე.
2. გონება და მუდმივი შფოთი და პრობლემები.

თუ ვიცხოვრებთ ამ ცხოვრებაში, ბუნებრივია მოგკვდებით, ხოლო თუ მოგკვდებით ყოველი ჩვენი სურვილისათვის, ოღონდ ქრისტესთან

ერთად, მისი შემყურენი ჯვარზე, მაშინ მუდმივად გავცოცხლდებით ჩვენს სულში. იმ მორწმუნეებს, რომლებსაც ეს პრაქტიკულად გაუკეთებიათ, სინამდვილეში შეუძლიათ ამის დადასტურება. მოკლედ რომ ვთქვათ, ცხოვრება – ეს არის სიკვდილი, ხოლო სიკვდილი ქრისტესთან ერთად – არის ცხოვრება.

ნაწყვეტები წმიდა მოწამე სებასტიანეს ცხოვრებიდან.
(წმიდა მღვდელმთავრის დიმიტრი როსტოველის წიგნიდან:
“წმიდათა ცხოვრება”, დეკემბრის თვე, ძველი სტილით 18 რიცხვი).

წმიდა სებასტიანე დაიბადა ქალაქ ნარბონში, ხოლო აღიზარდა და მეცნიერებები შეისწავლა მედიოლანში. უწმინდურმა მეფეებმა დიოკლიტიანემ და მაქსიმიანემ ისე შეიყვარეს იგი, რომ ჩააბარეს მას სასახლის დაცვის უფროსობა და დაავალეს მას, რომ მუდმივად მდგარიყო მათ წინაშე, რადგან იყო იგი კაცი მამაცი და ჭკვიანი, აღვსილი სიბრძნით, მართალი სიტყვაში, სამართლიანი მსჯავრში, წინდახედული რჩევაში, მსახურებაში და მასზე დაკისრებულ ყველა საქმეში, ერთგული და მამაცი და ყველასგან გამოირჩეოდა თავისი სათნოებითა და პატიოსნებით...

იმ დროს ორი მართალი და კეთილშობილი კაცი, მარკელინე და მარკოზი, ღვიძლი ძმები, დაპატიმრებულ იქნენ ქრისტეს სახელის აღმსარებლობისათვის და დიდხანს ისხდნენ საპყრობილეში; მათთან ხშირად მიდიოდა ნეტარი სებასტიანე და ანუგეშებდა მათ, ესაუბრებოდა წმიდა რწმენის შესახებ, არწმუნებდა რომ უარი ეთქვათ მსწრაფლწარმავალ მიწიერ სიკეთეებზე და არ შეშინებოდით წამებისა. მათ დაუჯერეს მის კეთილ რჩევას და მამაცურად გადაიტანეს მტანჯველთა მიერ მათთვის მიყენებული ჭრილობები და რწმენაში ურყევი დგომის გამო მიესაჯათ მახვილით თავის მოკვეთა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი მზად იყვნენ სიკვდილისათვის და დახარეს თავები მახვილის ქვეშ, გამოვიდა ბრძანება მათი სახლში – მშობლებთან და ცოლ-შვილთან გაშვებისა. ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ მათი მოხუცებული მშობლები ტრანკვილინე და მარკია. მშობლები და მთელი სახლეული თხოვდნენ რომის მმართველს აგრესტოს ხრომატიოსს მარკელინესა და მარკოზისათვის 30 დღით სიცოცხლის გახანგრძლივებას, რათა ამ დროის განმავლობაში მათ შეძლებოდათ ძმების დარწმუნება და დაყოლიება რათა მათ თავყვანი ეცათ წარმართული ღმერთებისათვის, რადგანაც მათი მშობლები, ცოლები და ყველა მათი ნათესავები წარმართები იყვნენ... ვერცერთმა სატანჯველმა ვერ შეძლო მათი შერყევა ისე, როგორც ამ განსაცდელებმა; მათ სძლევდა ბუნებრივი სიყვარული მოხუცებული მშობლების, ცოლების, შვილებისა და ნათესავების მიმართ, იმუსრებოდნენ სიბრალულით; და მათ დაეწყოთ ეჭვები და მერყეობა,

– როგორც ლერწამი ირყევა ქარისაგან, დადნა მათი გულები, –
“ვითარცა ცვილი რა დასდნის წინაშე ცეცხლსა.” ისინი თვითონაც
ტიროდნენ თავიანთ ნათესავეებთან ერთად და უკვე თითქმის მზად იყვნენ
დაეთმოთ მათი ვედრებისათვის და უარი ეთქვათ წმიდა სარწმუნოებაზე.

მაშინ წმიდა სებასტიანეს, რომელიც ამ დროს იქ იმყოფებოდა,
ხედავდა რა რომ ისინი მზად იყვნენ რწმენაზე უარის სათქმელად და
თავიანთი სულების დასადუბად, შეებრაღა ისინი და თანაც აცნობიერებდა,
რომ დადგა მისი აღმსარებლობის დროც, რათა სხვებსაც დახმარებოდა
და თავადაც წასულიყო ტანჯვის დვაწლზე, დადგა იქ მყოფთა შორის,
უბრძანა ყველას რომ გაჩუმებულიყვნენ და დაიწყო ლაპარაკი.

–“ჰოი ქრისტეს მამაცო მეომრებო!... ეს ცხოვრება მსწრაფლ-
წარმავალია და იმდენად არამყარი და მოღალატე, რომ თვით მასზე
მიჯაჭვული ადამიანებიც კი კარგავენ მისდამი რწმენას. სამყაროს
დასაბამიდან წუთისოფელი ღუპავდა ყველას, ვინც მასზე იყო მიხდობილი,
ყველა მისი მსურველი მოატყუა, ყველას ვინც მისით ამაყობდა დასცინა,
ყველას ეცრუა, არავინ დატოვა იმედში მყარი და სასოებაში
შეურცხვენელი და აღმოჩნდა ფრიად ცრუ. ო, ნეტავ ეს სიცრუე მხოლოდ
ოცნებაში იყოს და სინამდვილეში არ შეჰყავდეს ადამიანები მწარე
ცდომილებებში! მაგრამ კიდევ უფრო უარესი ის არის, რომ ამ დროებით
ცხოვრებას მიჰყავს თავისი მიმდევრები ყოველგვარი ურჯულოებისაკენ:
ნაყროვანებს ატკობს ღორმუცელობით და ლოთობით, აგხორცებს
ითრევეს მრუშობაში და ყოველგვარ უწმინდურობაში, ქურდს ასწავლის
მოპარვას, გულფიცხს გაბრაზებას, მატყუარას მოტყუებას; იგი განაშორებს
ქმარს ცოლისაგან, თესავს მტრობას მეგობრებს შორის, შფოთს მშვიდთა
შორის, უსამართლობას სამართლიანთა შორის, საცდურს ბერ-მონაზონთა
შორის; იგი ართმევს მოსამართლეებს სამართალს, ქალწულებს
უმწიკვლოებას, მხატვრებს ხელოვნებას და ყველას ართმევს კეთილ
ზნე-ჩვეულებებს. ეხლა გავისხენოთ ის ყველაზე საშინელი საქმეებიც
რომლებშიც შეჰყავს ამ ცხოვრებას თავისი მიმდევრები: როცა ძმა
კლავს ძმას, ან ძე მამას, ან მეგობარი აკვდინებს მეგობარს – ვინ
ასწავლის ამას? რისი იმედი აქვთ მათ, როცა ასეთ ურჯულოებებს
სჩადიან? განა ამ, დიდად საყვარელი ცხოვრების გამო არ სძულთ
ადამიანებს ერთმანეთი, ცდილობს რა თითოეული რომ თავისთვის
უკეთესი არსებობა მოიწყოს? რისთვის კლავს ავაზაკი მგზავრს, მდიდარი
ავიწროვებს ღარიბს, ამაყი ჩაგრავს თავმდაბალს და დამნაშავე დევნის
უდანაშაულოს? ჭეშმარიტად მთელ ამ ბოროტებას სჩადიან ისინი,
რომლებიც ემსახურებიან ამ ცხოვრებას და სურთ რომ ხანგრძლივად
დარჩნენ მისდამი სიყვარულში და დატკბნენ მისით. ხოლო თავად ის
კი, ასწავლის რა ბოროტებას თავის მიმდევრებსა და მსახურებს, გადასცემს
მათ თავის ქალიშვილს – მარადიულ სიკვდილს, რომელშიც ჩაგდებულ
იყვნენ პირველი ადამიანები, რადგან მართალია მარადიული ცხოვრების
მისაღებად იყვნენ შექმნილნი, მაგრამ დროებითი ცხოვრებით ცდუნებულნი
ემსახურებოდნენ ნაყროვანებას, გემთმოყვარეობას და თვალთა

გულისთქმას, აქედან კი ისინი ჯოჯოხეთში ჩაცვივდნენ და მიწიერ სიკეთეთაგან თან ვერაფერი წაიღეს. და ნუთუ ეს მიწიერი ცხოვრება ასე გაცდუნებთ თქვენ, საყვარელო მეგობრებო, რომ თქვენ თქვენი მცდარი რჩევებით გინდათ დააბრუნოთ მასთან თქვენი მეგობრები, რომლებიც მარადიული ცხოვრებისაკენ მიემართებიან! იგი გასწავლით თქვენ, პატივცემულო მშობლებო, რომ თქვენ თქვენი უგუნური ქვითინით მოაცდინოთ თქვენი შვილები რომლებიც მიემართებიან მარადიული მეფის ზეციური მხედრობის, უხრწელი დიდებისა და წყალობისაკენ. იგი გარწმუნებთ თქვენ, წმიდათა უმწიკვლო ცოლებო, რომ თქვენ თქვენი ალერსით გარყვნათ მოწამეთა გონებანი, ჩამოაშოროთ ისინი მათ კეთილ განზრახვას და დაარწმუნოთ ისინი, რომ მათ მიიღონ მარადიული სიკვდილი ნაცვლად სიცოცხლისა, მონობა ნაცვლად თავისუფლებისა. თუ ისინი დაუჯერებენ თქვენს რჩევებს, ცოტა ხანს კიდევ იცხოვრებენ თქვენთან ერთად, ხოლო შემდეგ ისინი მაინც უნდა დაგშორდნენ თქვენ და დაგშორდნენ ისე, რომ ვეღარ იხილათ ერთმანეთს სხვაგვარად, თუ არა მარადიული ტანჯვის ადგილას, სადაც ალი წვავს ურწმუნოთა სულებს, სადაც ჯოჯოხეთის გველები ჭამენ ღვთისმგმობთა ბაგეებს, სადაც ასპიტები ჯიჯგნიან კერპთაყვანისმცემელთა გულმკერდს, სადაც ისმის მწარე ტირილი, მძიმე სულთქმა და განუწყვეტელი ქვითინი ტანჯვებში. მაშ მიეცით მათ საშუალება რომ გადაურჩნენ ამ ტანჯვას და შეეცადეთ თქვენც თავი დაადწიოთ მათ, ნუ აბრკოლებთ მათ, რომ წავიდნენ მათთვის გამზადებული ზეციური გვირგვინისაკენ. ნუ გეშინიათ: ისინი არ დაგშორდებიან თქვენ, პირიქით ისინი მოგიმზადებენ ზეცაში ნათელ სავანეებს, სადაც თქვენ მათთან და თქვენ შვილებთან ერთად დატკბებით მარადიული სიკეთეებით. თუკი თქვენ აქაც ტკბებით ლამაზი შენობებით, მით უფრო მეტად არ დატკბებით იმ ზეციური სავანეების სილამაზით, რომლებშიც ტრაპეზები ბრწყინავენ წმინდა ოქროთი, სადაც სასახლეები აშენებულია ძვირფასი ქვებით, შემკობილია მარგალიტებით და ბრწყინავენ დიდებით, სადაც ბაღები ყვავიან უჭკნობი ყვავილებით, სადაც ნაყოფიერი მინდვრები ირწყვება ტკბილი ნაკადულებით, სადაც ჰაერი ყოველთვის კეთილშეზავებულია, ცოცხალ სიოს გრძნობებთან მოაქვს აუწერელი კეთილსურნელება, სადაც არის დაუღამებელი დღე, დაუვალი ნათელი და წარუვალი სიხარული; და არ არის იქ არც სულთქმა, არც ტირილი, არც მწუხარება და არც რომელიმე არასრულყოფილება, არ იხილვება არაფერი ცოდვიანი, არ შეიგრძნობა არანაირი სიმყრალე, არ ისმის არანაირი სევდიანი, მტირალი და საშინელი ხმა. არამედ ჩანს მხოლოდ მშვენიერი, შეიგრძნობა მხოლოდ არომატული და ისმის მხოლოდ სასიხარულო. იქ შეუჩერებლად გალობენ ანგელოზთა და მთავარანგელოზთა დასნი, რომლებიც ხმაშეწყობილად ადიდებენ უკვდავ მეუფეს. და როგორ შეიძლება ასეთი ცხოვრება შეიზიზღო და დროებითს კი მიეკრა? ნუთუ სიმდიდრისათვის? - მაგრამ იგი მაღე ქრება, ხოლო ვისაც უნდა რომ მარადიულად თან ჰქონდეს სიმდიდრე, დაე მოუსმინოს რას ეუბნება მათ მათი სიმდიდრე: “თქვენ ისე გიყვარვართ,

– ამბობს იგი, თითქოს არასოდეს დამშორდებით. როცა მოკვდებით მე ვერ შევძლებ თქვენთან ერთად წამოსვლას, ხოლო სანამ ცოცხლები ხართ, მე შემიძლია გამოგყვეთ, თუ თქვენ მიბრძანებთ მე, ან გამიშვებთ თქვენზე წინ. დაე იყოს თქვენთვის სამაგალითო მასესხებელი მევახშე და შრომისმოყვარე მიწათმოქმედი: პირველი ასესხებს ადამიანს ოქროს, რომ მიიღოს მისგან ორჯერ მეტი, მეორე კი თესავს მიწაში სხვადასხვა თესლს, რათა მოიძკას ისინი ასმაგად; მევალე აძლევს თავის მასესხებელს ოქროს ორმაგად, ხოლო მიწა უბრუნებს მთესველს მარცვლეულს ასმაგად. განა მრავალგზის არ გააორმაგებს ღმერთი თქვენს სიმდიდრეს, თუ თქვენ უფალს ჩააბარებთ მას? იქ გააგზავნეთ თქვენი განძი და ეცადეთ თავადაც იქ მიხვიდეთ. რა სარგებელია ამ დროებითი ცხოვრებისაგან? ვინმემ რომ იცხოვროს თუნდაც 100 წელი, როცა დადგება ბოლო დღე, განა არ მოეჩვენება მას, რომ ყველა განვლილი წელი და ყველა ცხოვრებისეული სიამე თითქოს არც ყოფილა? განა არ დარჩება ამ ყველაფრისაგან მხოლოდ გარკვეული მოგონება, თითქოსდა მწირის ნაკვალევი, რომელმაც ჩვენთან მხოლოდ ერთი დღე დაჰყო? ო, ჭეშმარიტად მხოლოდ შეშლილ ადამიანს, რომელსაც არ შეუცვნია ჭეშმარიტი სიკეთენი, შეუძლია არ შეიყვაროს მარადიული, უმშვენიერესი ცხოვრება! ჭეშმარიტად მხოლოდ უგუნურს შეიძლება ეშინოდეს ამ მსწრაფლ-წარმავალი ცხოვრების დაკარგვისა, რათა ნაცვლად მიიღოს მარადიული, რომელშიც სიამოვნებანი, სიმდიდრე და სიხარული დაიწყება იმისათვის, რომ არ დასრულდეს, არამედ რათა იყოს მარად. ვისაც არ უნდა რომ იყოს მარადიული ცხოვრების მსახური, იგი ამ დროებით ცხოვრებასაც ამაოდ ღუპავს, მიიღებს მარადიულ სიკვდილს და დარჩება შეკრული ჯოჯოხეთში, სადაც არის ჩაუქრობელი ცეცხლი, მუდმივი ჭირი, მარადიული სატანჯველნი, სადაც ცხოვრობენ ბოროტი სულები, რომელთა კუნთები გველების თავებია, თვალები ისვრიან ცეცხლოვან ისრებს, აქვთ დიდი კბილები როგორც სპილოებს, კბენენ ისინი როგორც მორიელის ნესტარი, მათი ხმა ჰგავს ლომთა ღრიალს, მათი გარეგნობა ჰგვრის უდიდეს შიშს, იწვევს საშინელ ავადმყოფობას და უმწარეს სიკვდილს. განა შემზარავი არ არის სიკვდილი ასეთ საშინელებებში და ტანჯვაში? მაგრამ უფრო შემზარავია ის, რომ იმისათვის ცხოვრობენ რომ მუდმივად მოკვდნენ, იმიტომ არ იხრწნებიან რომ იტანჯნონ უსასრულოდ, იმიტომ არიან მთელნი, რომ მარადიულად შეჭმულნი იყვნენ გველების მიერ და შეჭმული ასოები კვლავ განახლდებიან, რათა შეჭმულ იქნენ შხამიანი გველებისა და დაუძინებელი მატლების მიერ. ჰოი, მეგობრებო, ჰოი, მშობლებო, ჰოი, წმიდათა სახელოვანო ცოლებო! ნუ მოინდომებთ რომ ეს ორეული მარადიული ცხოვრებიდან ჩამოიყვანოთ ამ საშინელ მარადიულ სიკვდილში; ნუ გადაიყვანთ მათ სიხარულიდან ტირილში, ნუ ურჩევთ მათ, რომ წავიდნენ ნათლიდან წყვდიადში, ნუ მოუწოდებთ მათ ტკბილი განსვენებიდან მწარე ტანჯვისაკენ; ჰოი, წმიდაო ორეულო, მარკელინე და მარკოზ! ნუ აცდუნებიან თავს ცბიერ მტერს, რომელმაც ასეთ განსაცდელში ჩაგაგდოთ თქვენი ოჯახის წევრების საშუალებით,

ნუ ჩაიგდებთ თავს უსასრულო ტანჯვაში, ნუ მისცემთ თავს ხელში ეშმაკებს, ნუ ცდუნდებით დროებითი ცხოვრების სიყვარულით, ხილული სამყაროს სილამაზითა და ამოცანებით ცხოვრებისეული სიამოვნებებით, ნუ დაგამარცხებთ მშობლების ვედრება, ცოლების ქვითინი, ბავშვების ცრემლები, ნათესავთა და მეგობართა ალერსი. გაიხსენეთ უფლის სიტყვები: “კაცის მტრები მისი შინაურები იქნებიან.” (მთ.10, 36). ისინი, რომლებიც გვაშორებენ ჩვენ ღვთისაგან, არ არიან ჩვენი მეგობრები, არამედ მტრები და სიყვარული მათი ჩვენს მიმართ არ არის ჭეშმარიტი, არამედ ცრუ, რადგან ისინი გვართმევენ ჩვენ ასეთ დიდ სიკეთეს, გვართმევენ ღვთის სიყვარულს და ცათა სასუფეველს, რომელიც გამზადებულია ღვთის მოყვარულთათვის. ნუ დაუშვებთ, რომ ხელიდან გამოგეცალოთ ის ჯილდო, რომლისთვისაც ამდენი იშრომეთ; რამეთუ თქვენ ჭეშმარიტად თითქოს უკვე ხელში გიჭირავთ თქვენთვის მომზადებული სიკეთე, თქვენ უკვე დგახართ ზეციური სასახლის კარებთან. აწ უკვე დაწნულია თქვენთვის გვირგვინები და ღვაწლთა მთავარი და მსაჯული ქრისტე გელოდებათ, რათა გვირგვინოსანგყოთ თქვენ და განგადიდოთ წმიდა ანგელოზების წინაშე. აი უკვე დადგა თქვენი გზის დასასრული: ნუ შებრუნდებით უკან, როგორც ლოტის ცოლი, რათა არ იქცეთ უსულო სვეტად, რადგან მით დაიღუპავთ თქვენ სულებს, ნუ ცდუნდებით ზომიერ მეტი სიყვარულით თქვენი მშობლების, ცოლების და შვილების მიმართ, რათა არ გახდეთ ქრისტეს უღირსნი, რომელმაც თქვა: “ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი.” (მთ.10, 37). ნუ იქნებით ისეთი უგუნურნი, რომ სულით დაწყებული ხორციით დაამთავროთ. (გაღ.3,3). ო, დაე მომანიჭოს მე ქრისტემ, ჩემმა ღმერთმა, რათა დავღვარო ჩემი სისხლი მისთვის თქვენს წინაშე, რომ თქვენ იხილოთ ჩემი ტანჯვა, რათა ჩემი სიკვდილი იყოს სამაგალითო თქვენთვის, თუ როგორ უნდა დავლოთ სულები ჩემი და თქვენი ღვთისათვის.”

როდესაც წმიდა სებასტიანე ასეთი და მრავალი სხვა დარიგებებით ასწავლიდა, უეცრად იგი ღვთიურმა ნათელმა მოიცვა და მისი სახე გაბრწყინდა, როგორც სახე ანგელოზისა და ურწმუნოები შეშინდნენ მისი სახის დიდებისაგან. ზოგიერთები კი ხედავდნენ შვიდ ანგელოზს, რომლებიც მოსავდნენ ნეტარ სებასტიანეს ნათელი სამოსლით და ბრწყინვალე ყმაწვილს, რომელიც აკურთხევდა მას სიტყვებით: –“შენ მარადის ჩემთან იქნები.” ყველაფერი ეს ხდებოდა პროტოსკინარიოსის –სამეფო კარის მთავარი ხაზინადარის ნიკოსტრატეს სახლში, სადაც მარკელინე და მარკოზი იმყოფებოდნენ დაცვის ქვეშ. ნიკოსტრატეს ცოლმა სახელად ზოიამ, რომელიც უკვე ექვსი წელი დამუნჯებული იყო მძიმე ავადმყოფობის გამო, მაგრამ გონება და სმენა შენარჩუნებული ჰქონდა, მოისმინა და გაიგო ყველაფერი თქმული სებასტიანეს მიერ და იხილა რა ნათელი მისი სახის გარშემო, ჩაუვარდა მას ფეხებში და ევედრებოდა ნიშნებით, რომ გაეხსნა მისთვის ენა. ნეტარმა სებასტიანემ თქვა:

–“თუ მე ნამდვილად ქრისტეს ჭეშმარიტი მონა ვარ და თუ ჭეშმარიტია ყოველივე ის, რაც ჩემგან მოისმინა და ირწმუნა ამ ქალმა, დაე ბრძანოს ჩემმა უფალმა, რათა გაიღოს მისი ბაგეები და გაეხსნას ენა როგორც ოდესღაც წინასწარმეტყველ ზაქარიას, იოანე ნათლისმცემელის მამას.” (ლუკ.1, 64).

ეს რომ წარმოთქვა, მან ჯვარი გადასახა იმ ქალის ბაგეებს, მან კი მაშინვე ხმამაღლა თქვა: “ნეტარ ხარ შენ და კურთხეულია სიტყვა შენ მიერ თქმული და ნეტარ არიან, ვინც შენს მიერ ირწმუნა ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, რამეთუ მე ვიხილე ანგელოზი ზეციდან შენთან ჩამოსული, რომელსაც შენს წინ ეჭირა გადაშლილი წიგნი, რომელშიც შენ კითხულობდი ყველაფერს, რასაც წარმოთქვამდი. კურთხეულია ყველა ვინც ირწმუნა ყველაფერი, შენ მიერ თქმული, და დაე დაწყევლილი იყოს ყველა, ვინც დაეჭვდება შენგან მოსმენილ თუნდაც ერთ სიტყვაში. როგორც ამომავალი ცისკარი განდევნის წყვილადს და თვალებს მოჰფენს სინათლეს, ასევე შენი სიტყვების ნათელმა განდევნა ჩემი უმეცრებისა და სიბრმავის წყვილადი, განმანათლა მე ჭეშმარიტი რწმენის ნათელი დღით და ღვთის სადიდებლად ადამო ჩემი ბაგეები ექვსწლიანი სიმუნჯის შემდეგ.”

ასეთი სასწაული რომ იხილეს, ყველა იქ მყოფმა ირწმუნა ქრისტე...

გადაწყვეტილების მიღება – გზის დასაწყისია

თავისი საქმიანობის ყველა საკითხში ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას. მათ შორის ყველაზე მთავარს წარმოადგენს სიცოცხლის საკითხი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ექსტრემალურ სიტუაციებში – ომების, მიწისძვრებისა და სხვა უბედურებების დროს, როცა ადამიანი ტოვებს ყველაფერს – ნათესავებს, შინაურებს, თვით ბავშვებსაც კი, (რომ აღარაფერი ვთქვათ სახლ-კარზე), ოღონდ კი სიცოცხლე შეინარჩუნოს. მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით იმ ცხოვრებას, რომლითაც ვცხოვრობთ ამ სოფელში, მაშინ დავინახავთ, რომ ვცხოვრობთ არა სიცოცხლის, არამედ სიკვდილის სამეფოში. იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა დედამიწაზე, მას – სიკვდილს ეკუთვნის. ხეებზე მწვანე ფოთლები ცოცხლობენ რამდენიმე თვეს და კვდებიან. მწერები მცირე სეზონის განმავლობაში დაფრინავენ და კვდებიან, ირეცხება და იშლება ქვები და მთები. წარმოიქმნება და ქრება პლანეტები, ვარსკვლავები და გალაქტიკები და არაფერია ადამიანის გარშემო მუდმივი. ასე, რომ ჩვენი ცხოვრება, ცხოვრება კი არ არის, არამედ არსებობაა – “ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა... ნახავენ რასმე და იტყვიან: აჰა ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში.” (ეკლ.1, 1-18). მრავალთ სურთ იცოცხლონ 100 წელი, მაგრამ ეს ცოტაა მათთვის ვინც უკვე მიაღწია ამ ასაკს და მაინც სურთ უფრო მეტი. თუნდაც 1000 წელიც რომ მისცე, ან 1000000, ან 1000000000 და რამდენიც გინდა ამაზე უფრო მეტი, სულ ერთია, როდესაც ადამიანი მიაღწევს ამ ზღვარს, მას მაინც მოუნდება სიცოცხლე უფრო მეტი და უფრო დიდხანს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რამდენ ხანს ისურვებდა სიცოცხლეს ადამიანი? ზემოთქმულიდან თავისთავად გამომდინარეობს პასუხი – მარადიულად! ამ მარადისობის წყურვილი ჩადებულია ადამიანში. ჩვენში ყველაფერი ამაზე მეტყველებს. იგი გამჭდარია ჩვენში, როგორც ჩვენგან გაუცნობიერებელი ინსტინქტი. არ ვიცით რატომ, მაგრამ გვინდა ცხოვრება. ასეთია ჩვენი ბუნება. გვინდა და მორჩა. ხოლო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს გარემომცველ ნივთიერ სამყაროში არაფერია მარადიული, მაგრამ მარადისობისადმი ჩვენს წყურვილში, მის მიმართ ჩვენს სწრაფვაში, ჩვენ ვპოულობთ მას (მარადისობას) – ე.ი. ის არსებობს. რადგან შეუძლებელია არარსებულისაკენ სწრაფვა. და ეს სწრაფვა ჩადებულია ჩვენში ცნობიერების გაჩენამდე, რომელიც საიდანაც და ვიდანაც ჩაგვიდო. აშკარად იმან, ვინც საერთოდ შეგვქმნა დედის მუცელში. მაგრამ ვინ შეგვქმნა? ვის უნდა ვუმაღლოდეთ სიცოცხლეს? დედას? არა, რადგან მან ისიც კი არ იცის, ვის შობს: ქალს თუ ვაჟს. უფრო მეტიც, იგი ამის შესახებ თვითონაც მოგვიანებით, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, გებულობს როდესაც უწყდება დედათა წესი, და ისიც საეჭვოდ, შეიძლება ამის სხვა მიზეზიც იყოს. (გაციება ან სხვა). მიდის გინეკოლოგთან

შეკითხვით: “გამომიკვლიეთ ფეხმძიმედ ხომ არ ვარ?” და მხოლოდ მაშინ რწმუნდება: “ღიას, თქვენი ბავშვი უკვე 4 კვირისაა.” ასე რომ, დედის მუცელში იძერწება ბავშვის ხელები, ფეხები და სხვა ურთულესი ორგანოები და დედამ არც კი იცის ამის შესახებ. და თუ ამის შესახებ არ იცის დედამ, მამა როგორღა გაიგებს – თუ დედა არ ეტყვის მას? და როგორ და რამდენიც არ უნდა ვეძებოთ ჩვენი შექმნის მიზეზი და ცხოვრების მომცემელი, პასუხი მხოლოდ ერთია: სიცოცხლე მოგვცა ღმერთმა. სწორედ მან ჩადო ჩვენში მარადიული ცხოვრებისაკენ სწრაფვა, რადგან თვითონაა მარადიული და უსასრულო, თვითონაა ცხოვრების წყარო, რომელიც ეუბნება მოსეს: “მე ვარ, რომელიც ვარ,” (გამოს. 3, 14), ანუ მე ვარ ჭეშმარიტად არსებული. “უფალი ჭეშმარიტი ღმერთია, ის არის ცოცხალი ღმერთი და მარადიული მეუფე.” (იერ. 10, 10). და როგორც უკვე განვიხილეთ, ნივთიერ, ჩვენთვის ხილულ სამყაროში არაფერია მარადიული: ყველაფერი დროებითია, ყველაფერი ინგრევა და კვდება, ყველაფერი იცვლება. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი საგანია უცვლელი. ამ საგანს წარმოადგენს ბიბლია. ბიბლია – ეს არის ღვთის სიტყვა, რომელიც აღბეჭდილია ჩვენთვის წერილობითი სახით. ეს წიგნი მოგვითხრობს ღვთისა და მისი მარადიული ზეციური სამეფოს შესახებ, იმაზე, რომ ოდესღაც ჩვენ იქ ვიყავით და ჩვენი წინაპრის – ადამის ცოდვის გამო გამოვვარდით იქიდან. ამ წიგნის სამართლიანობაზე და ღვთისა და მისი პიროვნების არსებობაზე მიუთითებს ის აშკარად მატერიალისტური ფაქტი, რომ ჩვენ ყველანი, თვით ათეისტებიც კი, ვესწრაფვით ამ მარადისობას და თუ ის არ არის ჩვენს გარემომცველ მატერიალურ სამყაროში, აუცილებლად არის მის მიღმა. რადგან რომ არ ყოფილიყო მარადიულობა, არ იქნებოდა ჩვენი სწრაფვა მის მიმართ. იმიტომ, რომ არ შეიძლება ესწრაფოდე იმას, რაც არ არსებობს. ეს სწრაფვა ასახულია ჩვენს ცნობიერებაში, ხოლო ცნობიერება კი არის გარემომცველი სინამდვილის ასახვა ჩვენს აზრებში. აქედან გამომდინარე, თუ არის აზრი, მაშინ არის მისი შესაბამისი საგანიც, რომლის შესახებაც არის ეს აზრი. ამიტომაც თუკი არსებობს აზრი მარადისობის შესახებ, ე.ი. არსებობს თავად ისიც. მარადისობა კი არის თავად ღმერთი.

ამასვე ადასტურებს თანამედროვე ფიზიკის ფუძემდებლის ა. აინშტაინის მატერიალისტური მსჯელობა სიცოცხლის შესახებ. სიცოცხლე, მატერიალიზმის თანახმად, მარად მოძრავი მატერიაა. მოძრაობა მრავალგვარია და მისი უმარტივესი ფორმაა – მექანიკური. მექანიკური მოძრაობა არის ერთი საგნის გადაადგილება მეორის მიმართ, რომელიც, პირობითად, უძრავადაა მიჩნეული, ხოლო პირობითად იმიტომ, რომ იგი თავად მოძრაობს პირველის მიმართ. ისე რომ აბსოლუტურად უძრავი საგანი არ არსებობს. ყველაფერი მთელ სამყაროში მოძრაობს ერთმანეთის მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მატერიალური სამყაროს თითოეული საგანი შეიძლება აღებულ იქნას ათვლის წერტილად, ოღონდ ყველა ეს ათვლის წერტილი ფარდობითია. ამ აზრით ისინი თანასწორნი

არიან. და აი, აინშტაინმა გააკეთა დასკვნა: “უნდა იყოს ათვლის წერტილი სამყაროს გარეთ, მის მიღმა და თუ ცნებაში “მთელი მატერია”, ჩვენ ნამდვილად სრულად მოვიცავთ მას, მაშინ ათვლის წერტილი უნდა იყოს მის გარეთ და უნდა იყოს არამატერიალური.” ამიტომაც მან თქვა, რომ ეს წერტილი არის ღმერთი და იგი რომც არ არსებულყო, საჭირო იქნებოდა მისი გამოგონება, იმიტომ, რომ ასეთი ათვლის წერტილის გარეშე შეუძლებელია მოძრაობა. მაგრამ თუ გამოვიგონებთ მას, მაშინ გამოგონილი იქნება სამყაროს მოძრაობაც, მაშინ როცა ჩვენ ვაკვირდებით მას ფიზიკურად. ამიტომაც აინშტაინმა მოიხადა ქუდი და თქვა: “დიდება შენდა, ღმერთო, რომ არსებობო.” საყურადღებოა მასთან დაკავშირებული კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც მას მიანიჭეს ნობელის პრემია ფარდობითობის თეორიის აღმოჩენის გამო, მის საპატივცემულოდ გამართულ ბანკეტზე, იგი არ პასუხობდა მილოცვებზე. როდესაც ჰკითხეს ღუმილის მიზეზი, უპასუხა, რომ ეს მილოცვები მას არ ეხებოდა. შემდგომ კითხვაზე: “როგორ, განა თქვენ არ აღმოაჩინეთ ფარდობითობის თეორია?” მიუგო: “ღიას, მე აღმოვაჩინე” და დაუმატა – “მაგრამ მე არ შემიქმნია. დამეთანხმებით, რომ ამ თეორიის კანონები დედამიწაზე ჩემამდეც არსებობდნენ. მე მხოლოდ შევეჩხე მათ, ავიღე და ვაჩვენე ადამიანებს. აი, ვინ შექმნა ეს თეორია”, – ამ სიტყვებით მან აღაპყრო ხელები მაღლა ზეცისაკენ – “თქვენი მილოცვებიც მას ეკუთვნის.”

აინშტაინის გარდა, ღვთისა და მარადიული ცხოვრების შესახებ ლაპარაკობს ყველა ნამდვილი მეცნიერი: ლომონოსოვი, პასკალი, მენდელეევი, პავლოვი, ნილს ბორი და მრავალი სხვა, ხოლო კლასიკური მექანიკის ფუძემდებელი – ნიუტონი, ცხოვრების ბოლო 15 წელი მხოლოდ ღვთისმეტყველებით იყო დაკავებული. საყურადღებოა ერთი ფაქტი მისი ურთიერთობიდან თავის ურწმუნო თანაშემწესთან, როცა ნიუტონმა მისგან ფარულად ააგო მზის სისტემის მექანიკური მოდელი, რომელიც იმ დროისათვის სრულყოფილი იყო. მან მოიყვანა მოძრაობაში იგი და ვითომ სხვათაშორის შეიყვანა თანაშემწე იმ ოთახში. მან კი, მოდელის სრულყოფილებით გაოგნებულმა ჰკითხა: “ვინ შექმნა ეს მოდელიო?”, რაზეც ნიუტონმა მიუგო: “დიდი ხანია აქ არ შემოვსულვარ, დღეს შემოვიხედე და ვნახე, თვითონ გაჩენილაო.” რაზეც თანაშემწემ თქვა, რომ ასეთი რამ შეუძლებელი და აბსურდი იყო: “მზის სისტემის მოდელი არ შეიძლებოდა თვითონ შექმნილიყო. ის აუცილებლად ვიდაცას უნდა შეექმნა.” მაშინ ნიუტონმა თავის მხრივ ჰკითხა: “თუ თქვენ აბსურდად თვლით მზის სისტემის მოდელის თავისთავად გაჩენას, მაშინ როგორდა შეიძლება გწამდეთ უფრო დიდი აბსურდისა, რომ თავისთავად გაჩნდა ამ მოდელის ორიგინალი – თავად მზის სისტემა?” მეცნიერების ისტორიაში ურიცხვი მსგავსი მაგალითი არსებობს, იმიტომ, რომ ღვთის მიერ შექმნილი სამყარო თვითონ ლაპარაკობს თავის შემოქმედზე, მის სიდიადეზე, ძლევამოსილებაზე, მიუწვდომლობაზე, უსასრულობაზე და მარადიულობაზე. აი, სწორედ ამ მარადისობის შესახებ და იმაზე, თუ როგორ მივაღწიოთ მას, ლაპარაკობს ღვთის სიტყვა – ბიბლია.

ბიბლია არის გზა მარადისობიდან მარადისობაში. მარადისობიდან ადამით და მარადისობაში ქრისტეთი. ადამიც და ქრისტეც იღებდნენ გადაწყვეტილებებს თავიანთ მოქმედებაში. ადამმა გადაწყვიტა გამხდარიყო ღმერთი და დაკარგა ის, რაც გააჩნდა. ხოლო ღმერთმა ქრისტეს სახით გადაწყვიტა გამხდარიყო ადამიანი და მოგვიპოვა ის, რაც დაკარგა ადამმა. განსხვავება ამ გადაწყვეტილებებს შორის ის არის, რომ ადამი წყვეტდა ღვთის გარეშე, მთლიანად ეშმაკს მინდობილი, ხოლო იესო ქრისტე, ღმერთი ადამიანად მოვლინებული, ყველა თავის გადაწყვეტილებას ანდობდა მამა ღმერთის ნებას. ადამს უნდოდა ამაღლებულიყო ღმერთამდე და – დამდაბლდა დაცემულ ადამიანამდე, ხოლო ღმერთი, ქრისტეს სახით, დამდაბლდა ფურთხებამდე, შოლტით ცემაძდე, ლანძღვა-გინებამდე, როგორც უკანასკნელი ადამიანებს შორის, ითმენდა ყოველივე ამას უდანაშაულო, რისთვისაც აღდგა მკვდრეთით მამის ძალით და ამაღლდა იქ, სადაც იყო ადამი – ცათა სასუფეველში და გვთავაზობს ჩვენ, ვისაც მართლა გვსურს მარადიული ცხოვრება, გავიაროთ იგივე გზა, რაც ქრისტემ, სახელდობრ კი, ვემსახურეთ ადამიანებს, დავმდაბლდეთ მონურ მდგომარეობამდე, ვიყოთ შეურაცხყოფილი, დამცირებული, სიკვდილამდე ნაცემი, მაგრამ ვაკეთოთ ყოველივე ეს მხოლოდ ქრისტეს გამო, არასდროს, არც ერთი წუთით, არც ერთი წამით არ დავკარგოთ თვალთახედვიდან მისი ჯვარი, როგორც მისკენ მომწოდებელი მაგალითი, იმიტომ, რომ ჯვრის გარეშე ამ გზის გავლა შეუძლებელია (მთ.20, 25-28). “ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს.” (მთ.16, 24). რადგან “მე ვარ კარი ცხვართა...” (იოან.10,7-10) და არ არის არავითარი სხვა კარი სასუფეველში შემყვანებელი, ამიტომაც ყველა წინასწარმეტყველი, თვით ყველაზე დიდებიც კი, ისეთები, როგორებიც იყვნენ მოსე, ნოე, აბრაამი და იოანე ნათლისმცემელიც კი, ჩადიოდნენ ჯოჯოხეთში. ეს იმიტომ, რომ არ იყო კარი. კარი ჯოჯოხეთიდან გაამტვრია იესო ქრისტეს ჯვარმა, ამიტომ ჯვრის გარეშე ჯოჯოხეთისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია, თუმცა დღეს მრავალი მორწმუნე, და თითქმის ყველა, ცდილობს ამას საკუთარი ძალებით, თავის გადარჩენის მოშურნეობით. ეს რომ მართლა ყოფილიყო შესაძლებელი, მაშინ რაღა საჭირო იყო ქრისტეს მოსვლა, იგი გამოგვიგზავნიდა ჩვენ სახარებას, ისე როგორც გამოაგზავნა ძველი აღთქმის წიგნები თავისი წინასწარმეტყველების საშუალებით, ხოლო ჩვენ თვითონ გავერკვეოდით მასში და მისი დახმარებით გადავრჩებოდით. სწორედ ასე იქცევიან თანამედროვე მოშურნე მორწმუნეები, ისინი საკუთარი თვითნებური და დამოუკიდებელი მოღვაწეობით უარყოფენ ქრისტეს მესიანურ დეაწლს, მთელ მის ძალას და ამიტომაც რჩებიან უძლურნი. “ვინაიდან ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ გულმოდგინება ღვთისადმი, ოღონდ არა შეგნებულად. რადგან ღვთის სიმატლვე ვერ შეიცნეს და ცდილობდნენ საკუთარი სიმატლვის დადგენას და ღვთის სიმატლვეს არ დაემორჩილნენ.” (რომ.10,2-3).

იესო ქრისტე გვთავაზობს, უარყოთ საკუთარი თავი სიკვდილამდე,

როგორც თვითონ დაემორჩილა მამას. “რაკი ბავშვები (ე.ი. ჩვენ) სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, თავადაც (ქრისტე) ეზიარა მათ, რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი, და გაათავისუფლოს ისინი, ვინც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლე (ეშმაკის) მონობაში იყო.” (ებრ.2,14-15). აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ როდესაც ჩვენ ვცოცხლობთ – ეშმაკის მონები ვართ, ხოლო როგორც კი ვკვდებით – ქრისტეს მონები, ოღონდ მკვდრები არა ფიზიკურად, არამედ მკვდრები საკუთარი ნებისათვის, მისი უარყოფით სულის დაკარგვამდე კი. “ვინაიდან ვისაც სურს თავის სულს გაუფრთხილდეს, ის დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაკარგავს სულს, ის მოიპოვებს მას” (მთ.16,25). “...ვისაც თავისი სული უყვარს, კარგავს მას. ხოლო ვისაც თავისი სული სძულს ამ წუთისოფელში, საუკუნო სიცოცხლისათვის შეინახავს მას.” (იოან. 12,24-26). ქრისტეს ეს სიტყვები შეიცავს განაჩენს თვითნებური გადარჩენის მოშურნეობისათვის, – ისინი წარწყმდებიან საკუთარი მოშურნეობისაგან. მოშურნეობა საჭიროა მხოლოდ ერთ რამეში: რომ უარყოფით საკუთარი თავი და უარყოფით იგი სიკვდილამდე: “არ ვიცი, უფალო, როგორ ვიხსნა თავი, დაე იყოს ისე, როგორც შენ გნებავს.” ასე უნდა მოვიქცეთ ყოველი დიდი თუ მცირე გადაწყვეტილების მიღების დროს მთელი ცხოვრების მანძილზე, სიკვდილამდე. რატომ სიკვდილამდე? იმიტომ, რომ ასეთი მაგალითი საკუთარი ნების უარყოფისა გვიჩვენა თვით იესო ქრისტემ: “ამბობდა: “მამაო! თუ გსურს ამაცდინე ეს სასმისი, მაგრამ ჩემი ნება კი არა, შენი იყოს.”... ამ ტანჯვაში მყოფი უფრო გულმოდგინედ ღოცულობდა. მისი ოფლი სისხლის წვეთებით გახდა და ეპკურებოდა მიწას.” (ლუკ.22, 42-44). აი, როგორ მაგალითს გვაძლევს ქრისტე: “არა ისე, როგორც მე მინდა, არამედ იყოს ისე, როგორც შენ გინდა, უფალო“, ანუ მაგალითი მუდმივი თავის უარყოფისა და უარყოფისა სიკვდილამდე, თავის გაწირვამდე, გადაჭრით თანხმობა ამაზე.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა აუცილებელია სიკვდილი, თუ ღმერთი ყოვლისშემძლეა, განა არ შეეძლო მოეფიქრებინა გადარჩენის სხვა გზა სიკვდილის გარეშე? და აი, როგორია პასუხი: ღმერთს კი ნამდვილად ყველაფერი შეუძლია, მაგრამ ისაა ღმერთი სამართლიანი და ამიტომ, რითაც შესცოდა ადამმა, იმითვე უნდა გამოასწოროს, რა ნაბიჯიც გადადგა, იგივე ნაბიჯი უნდა გადმოდგას უკან. ის, ადამი – ჩვენ ვართ, ყველა მისი შთამომავალი. მან კი გადადგა ნაბიჯი სიკვდილისაკენ, იმიტომ, რომ ღმერთმა გააფრთხილა იგი: “კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები.” (დაბ.2, 17). განვიხილოთ ადამის მდგომარეობა: ის ცხოვრობს მარადიულად და უზრუნველად. მის მამას, ყოვლისშემძლე ღმერთს, უყვარს იგი სამოთხისა და მთელი სამყაროს ყველა მკვიდრზე მეტად, და რას სთავაზობს მას ეშმაკი? “..როგორც კი შეჭამო (იმ ნაყოფს), თვალი აგეხილება და შეიქნებით ღმერთივით.” (დაბ.3,5). ეშმაკი სთავაზობს ადამიანს გახდეს ღმერთი, ანუ ღმერთად ღმერთის გარეშე, ქმნილებად შემოქმედის გარეშე,

ანუ როგორც ქოთანი მექოთნის გარეშე, ან ვინმეს რომ მოენდომებინა შობილიყო მამისა და დედის გარეშე, ანუ ეშმაკი სთავაზობს სრულ უაზრობას. ადამს, რომელიც თვითონ წარმოადგენდა ქმნილებას, არ ჰქონდა არანაირი ცოდნა, იმიტომ, რომ მთელი ცოდნა იღო კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფში. და სწორედ ეს აცთუნებს ევას: "...დაინახა დედაკაცმა, რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო, იმიტომ, რომ იძლევა ცოდნას." (იხ. რუს და ძვ. ქართული თარგმანი, დაბ. 3, 6). იძლევა ცოდნას მაშინ, როცა შეჭამ ნაყოფს, მაგრამ, სანამ ადამი ნაყოფს შეჭამდა, მას არ ჰქონდა არავითარი ცოდნა და ჩვენი, მიწიერი ენით რომ ვთქვათ, უბრალოდ უგუნური იყო, სრული სუფელი. ის უბრალოდ ენდო ეშმაკს, ერწმუნა იმაში, რისი ცოდნაც არ ჰქონდა. ის იღვა არჩევანის წინაშე: 1) ესმინა ღვთისა, არ შეეჭამა ნაყოფი და მარადის ყოფილიყო სამოთხეში, ან 2) შეეჭამა და სიკვდილით მომკვდარიყო, როგორც გააფრთხილა ღმერთმა, ანუ ადამი იღვა სიკვდილ-სიცოცხლის არჩევანის წინაშე. აი, ამ არჩევანში ადამი განუდგა ცხოვრებას, გადააბიჯა ღვთის აკრძალვას და თავისუფალი ნებით, თვითონ აირჩია სიკვდილი, რისთვისაც განდევნილ იქნა სამოთხიდან და ჩვენთვის, ადამის შთამომავლობისათვის, არ არის სასუფევლისაკენ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დავბრუნდეთ იმავე სიკვდილის კარით, რომლითაც გამოვიდა იქედან ადამი. ამიტომ როგორც თავისუფალი ნებით აირჩია სიკვდილი ადამმა, ასევე თავისუფალი ნებით იღებს თავის თავზე სიკვდილს იესო ქრისტე ჩვენთვის და გთავაზობს: "ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი." (მთ.16,24). ხოლო იმაში, უნდა თუ არ უნდა, ადამიანი თავისუფალია.

განვიხილოთ ქრისტეს წინადადება მეორე მხრიდან. ამრიგად, ვისაც უნდა გაჰყვეს ქრისტეს, უარყოს საკუთარი თავი. აქედან დასკვნა: ვინც არ უარყოფს თავს, მას არ სურს გაჰყვეს ქრისტეს. ესაა ყველა ის მორწმუნე, რომელიც ცდილობს თავი გადაირჩინოს სახარების მიხედვით, ოღონდ საკუთარი გონებით, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არა საკუთარი გონებით, არამედ ეშმაკეულით, იმიტომ, რომ ადამს საკუთარი გონება, ანუ ცოდნა არ გააჩნდა. მთელი მისი ცოდნა მდგომარეობდა ეშმაკის მიმართ რწმენაში: გამხდარიყო ღმერთი, ღვთის თვისებების ცოდნის გარეშე. ადამი არ ფიქრობდა იმაზე, რომ ეშმაკის ამ სიტყვების დაჯერებით ის ხდებოდა მისი მონურად მორჩილი იარაღი. ამ მორჩილების ნაყოფს ჩვენ ვიმკით დღეს - ეს არის დედამიწის თერმობირთვული და ეკოლოგიური კატასტროფა. ისინი შექმნილია ზოგადსაკაცობრიო გონებით და მეცნიერთა გონებით პირველ რიგში. ადამიანთა საზოგადოდ და კერძოდ კი ყოველი ადამიანის გონება წარმოადგენს მკვლელს, იმიტომ, რომ სწორედ გონებით და მისი მოღვაწეობით ადამიანები წამლავენ და ანადგურებენ ჰაერს, წყალსა და მიწას, იმ საფუძვლებს, რომლითაც თვითონ ცხოვრობენ. ამავე გონებით გაჰყვირიან მთელ მსოფლიოში: "გაუფრთხილდით მშვიდობას და უსაფრთხოებას, გაუფრთხილდით ბუნებას." გაჰყვირიან და თან ანადგურებენ ყველაფერს, საკუთარ თავს

და ყველაფერს ცოცხალს. და თუ ადამიანი აკეთებს იმას, რაც არ უნდა, რაზედაც გაჰყვირის მთელ მსოფლიოში, ნუთუ აქედან არა ჩანს, რომ ადამიანთა გონება მკვლელია?! ის მხოლოდ ვითომ ეკუთვნის ადამიანს, ემსახურება კი ეშმაკს. სწორედ ამ გონებისაგან განდგომაა საჭირო პირველ რიგში: ამ დასკვნამდე მივიდა სოკრატე: “მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი,” – ამასთან დაუმატა – “სხვებმა კი არც ეს იციან.” ამის შესახებ ამბობს მეფე სოლომონიც ეკლესიასტეში: “აჰა, ეს ვპოვე მხოლოდ: ღმერთმა წრფელი შექმნა კაცი, ისინი კი ზედმეტ თავსატეხს მრავლად იჩენენ.” (ეკლ.7, 29). ამისკენვე მოგვიწოდებს სახარებაც: “თუ ვინმეს თავისი თავი ამ წუთისოფელში ბრძენად წარმოუდგენია, გაუგნურდეს, რათა ბრძენი გახდეს. ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე...” (1კორ.3,18-19). სიბრძნე ამ წუთისოფლისა (მისი შედეგები თერმობირთვული, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა) – ზოგადკაცობრიული გონების ნაყოფია. მთელი კაცობრიობის სიკვდილი იმდენად აშკარა გახდა დღეს, რომ ურწმუნო ადამიანიც კი უნდა ჩაფიქრდეს ცხოვრების აზრის შესახებ. ხოლო ყველაფერი, ჩვენს მიერ ზემოთ ნათქვამი, გვთავაზობს ამ სასიკვდილო სიტუაციიდან გამოსვლის ყველაზე მარტივ ხერხს – ვერწმუნოთ ღმერთს, იესო ქრისტეს, რომ იგი სწორედ ისაა, რომელმაც შეგვქმნა დედის მუცელში. მანვე გამოგვზარდა მისი მკერდით და შემდეგ გვასაზრდოებდა მიწიდან მოცემული ღოვლათით და მასვე მივყავართ დღევანდელ ცხოვრებაში. იგი ეცვა ჯვარს 2000 წლის წინ ჩვენთვის, მოკვდა და აღსდგა და ამაღლდა ზეცად და გვეპატიუება ჩვენც: “ვისაც გსურს რომ გამოიმყვე ზეცაში, უარყავი თავი, მომენდე მე, რომ შეგქმენი დედის მუცელში და არასდროს არ გტოვებ შენ. (ეს.49,15-17). მაგრამ მომენდე თავგანწირვამდე, სიკვდილამდე, “ნუ გეშინია ნურაფრისა, რისი გადატანაც მოგიწევს. სიკვდილამდე ერთგული იყავ და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს.” (გამოცხ.2,10). საჭიროა დავთანხმდეთ სწორედ სიკვდილზე, იმიტომ, რომ სწორედ სიკვდილი აირჩია თავის დროზე ადამმა და სხვა გზა სასუფეველისაკენ უბრალოდ არ არსებობს. მაგრამ თუ ადამმა დაიჯერა ის, რაც არ იცოდა და მიენდო იმას, ვინც სთავაზობდა სიკვდილს, ჩვენ კი უნდა მივინდოთ ღმერთს, ჩვენს შემოქმედს, რამეთუ ჩვენს წინაშეა ცოცხალი მაგალითი იესო ქრისტეს და ათასობით წმინდანის სახით.

ყოველ ჩვენგანს შეუძლია ადვილად და უბრალოდ დარწმუნდეს იმაში, რომ ქრისტეს მიერ თავის უარყოფაზე ჩვენი მოწოდება სინამდვილეა. აიღეთ ნებისმიერი ჯვარი, თუნდაც ყველაზე პატარა, მაგალითად ის, რომელსაც ატარებ გულზე, დაიდე იგი შენს წინ ისე, რომ თავად იყო სახით აღმოსავლეთისაკენ და დაელაპარაკე მას, შენთვის ჯვარცმულ უფალს, იესო ქრისტეს ყველა შენი პრობლემის შესახებ, როგორც არ უნდა იყოს ისინი, თუნდაც ყველაზე არაჩვეულებრივნი, მაგრამ დაელაპარაკე მას, თუნდაც 1%-იანი რწმენით. მაგრამ თუნდაც ურწმუნოდ, ამ 1%-ის გარეშეც რომ დაელაპარაკო მას, მაშინ ის თავისი ენით გამოუთქმელი მოწყალების გამო, შენი უმეცრებით გამოწვეული

უძღურების შემწყნარებელი, არაფრით არ დაგტოვებს პასუხის გარეშე. იმიტომ, რომ ის არის ღმერთი მოყვარული, რომელმაც გაწირა თავი შენთვის და ახლა იგივეს ელოდება შენგან, რომ შენ გადასცე მას შენი ცხოვრება, ისევე შენი თავისთვის, შენივე მარადიული ცხოვრებისათვის: “ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.” (იოან.3,16). ღმერთმა შეგვიყვარა ჩვენ. სიყვარული ეს არის უდიდესი ბედნიერება ადამიანის მიწიერ ცხოვრებაში, მაგრამ ეს ბედნიერება შესაძლებელია მხოლოდ ორი გულის დაკავშირების შემთხვევაში. ღმერთმა მოგვცა თავისი გული ჯვარზე და გვეპატიუება ჩვენც იქ თანაზიარი სიყვარულისათვის და მასთან ერთად მარადიული ბედნიერებისათვის. როგორც ადამი თავის დროზე იდგა არჩევანის წინაშე: ეცხოვრა ღმერთთან სასუფეველში, ან აერჩია ეშმაკი და მომკვდარიყო დედამიწაზე. სწორედ ამ იგივე არჩევანის წინაშე ვდგავართ ჩვენც. თითოეულ ჩვენგანს, ადრე თუ გვიან, ასე თუ ისე, მაინც ელოდება სიკვდილი. ყველა ჩვენგანმა ეს იცის. გველოდება სიკვდილი ეშმაკთან ერთად, რომლის მახეშიც გაბმულია კაცობრიობის უდიდესი ნაწილი საკუთარი ნებით: “რათა გათავისუფლდნენ ეშმაკის მახისაგან, რომელმაც თავის ნებაზე დაატყვევა ისინი.” (2ტიმ.2,26). იმ თავისი ნებისაგან, რომლითაც კაცობრიობა კლავს ყოველივე ცოცხალს თავის გარშემო, თავისი არსებობის ყველა საფუძველს. ჩვენ უძღურნი ვართ, კატასტროფა გარდაუვალია: ან გადამეტდასახლებულობისაგან, ან შიდსისაგან, ან წყლის, ჰაერისა და მიწის მოწამვლისაგან, ან ყოველივე ცოცხალის განადგურებისაგან ან ამ ყველაფერი ერთად აღებულისაგან. კატასტროფა, როგორც იტყვიან, თითოეულ ადამიანის ცხვირწინ დგას. და აი, იესო ქრისტე გვთავაზობს თითოეულს: “ვინდა წამოსვლა ჩემთან სასუფეველში და მარადიული ცხოვრება? – განუდექი შენს თავს, შენს ნებას, ნუ დაუჯერებ შენს მკვლელს – საკუთარ გონებას, საკუთარ გრძნობებს და საერთოდ საკუთარ თავს. მომენდე მე, შენს ღმერთს, დედის მუცელში შენს შემქმნელს, ირწმუნე, რომ შენი ბედი ღვთისგანაა.” (იგავ. 29, 26). მაგრამ შენ, ადამიანო, თავისუფალი ხარ არჩევანში, ისევე როგორც თავისუფალი იყო შენი წინაპარი ადამი. მან აირჩია სიკვდილი ეშმაკთან და ყველანი მასში ვიმყოფებით, სიკვდილი გველოდება თითოეულს. და აი, ქრისტე, ჯვარზე გაკრული, მოუწოდებს ყველას: “მოკვდი, გირჩვენია, ჩემთან ერთად და აღდგები და ამაღლდები, როგორც მე.” (რომ.6, 3-10; 1კორ.5, 4-7). ეს ნაჩვენებია მის მაგალითზე და დადასტურებულია ათასობით წმინდანის მიერ. სიკვდილი, რომლისკენაც ქრისტე მოგვიწოდებს, არ არის ფიზიკური სიკვდილი, როგორც იყო მის შემთხვევაში. არა, არა და არა! არა ისე, როგორც ეს მრავალს ესმის და ეშინია ეშმაკისაგან შთაგონებულს. არა, ჩვენ არ გვჭირდება ფიზიკური ტანჯვა, როგორც მას. ის უკვე ევნო ჩვენთვის, უკვე გადაიხადა ჩვენს მაგივრად, თავისი ტკივილით და სისხლით, სწორედ ამისათვის მოვიდა იგი დედამიწაზე, რათა აღესრულებინა ეშმაკის მახეთაგან ჩვენი გამოსხნის

საქმე (2ტიმ2,26; ებრ.2,14-15). ჩვენთვის შემოთავაზებულია სულიერი ვნებების ჯვარი, საკუთარი სურვილების უარყოფის სახით, ქრისტეს ჯვრის მეშვეობით: “არა როგორც მე მსურს, არამედ იყოს შენი წმინდა ნება, ღმერთო,” და ასე ყველაფერში, მთელი ცხოვრების მანძილზე ქრისტესთან, მისი ნებით ჩვენში.

სხვანაირად, რომ ვთქვათ, ჩვენი ცხოვრება არის ექსკურსია ჩვენგან დამოუკიდებელი მარშრუტით – ბედით. მაგრამ ადამიანი თავისუფალია ამ ექსკურსიასთან დამოკიდებულებაში: ან აღშფოთდეს, შეეცადოს შეცვალოს იგი თავის ნებაზე, რაც უსარგებლო საქმიანობაა, რადგანაც ბედი განსაზღვრულია ღვთისაგან, ისევე როგორც მთელი დედამიწის ბედი, (მისი დასასრული ცეცხლია), ან სიმდაბლით მიიღოს ღვთის ნება. არჩევანი თითოეული ადამიანის ხელთაა. ყველა თვითონ წყვეტს თავის ბედს. ეს გადაწყვეტილება ძალიან ჰგავს ბავშვების გადაწყვეტილებას, როცა ისინი მიდიან ქუჩაში სასეირნოდ: ჰკითხონ თუ არა მშობლებს ნებართვა. ჰკითხონ და ისეირნონ დამშვიდებულებმა, არ ჰკითხონ და გაილახონ თავნებობისათვის, თუმცა სეირნობენ პირველ და მეორე შემთხვევაშიც. ჩვენ ყველანი ღვთის შვილები ვართ ჩვენი წარმოშობით, ხოლო მორჩილებით კი – სხვადასხვა: ვინ უსმენს და ემორჩილება ეშმაკს და საკუთარ ნებას, და ვინ კიდევ ღმერთს საკუთარი ნების მოკვდინებით ქრისტეს ჯვარზე. და აი, საკუთარი თავისთვის ყველა ამ უარის მოთმენა წარმოადგენს სწორედ ჩვენს ჯვარცმას, ჩვენს ჯვარს მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში. ჯილდო ამისათვის – მარადიული ცხოვრებაა. ამრიგად, ექსკურსია გარდაუვალია. მოითმინე იგი და მიიღე მოთმინებისათვის სასუფეველი, ხოლო თუ არ მოითმენ, აღშფოთდი და მიიღებ ჯოჯოხეთს. მაგრამ არჩევანში: მოითმინოს თუ არა – ადამიანი თავისუფალია. არჩევანის ამ თავისუფლებაში სრულდება ძველი ფილოსოფოსის ტერტულიანეს სიტყვები: “გზა ქვემოთ და გზა ზემოთ ერთი და იგივეა – ბრძოლაა. მიდიხარ ქვემოთ, ჯოჯოხეთში – ებრძვი სინდისს, მიდიხარ ზემოთ, სასუფეველში – ებრძვი სურვილებს.” თუკი ბრძოლაა ორივე შემთხვევაში, ხოლო შედეგები ასე განსხვავებულია, მაშინ ჯანსაღი გონების ადამიანისათვის არჩევანიც გადაწყვეტილია, იმიტომ, რომ სასუფეველი შეუდარებლად კარგია. ჩვენ კი, თანამედროვე ადამიანებს, სამწუხაროდ, ჯანსაღი გონება არა გვაქვს. ახლა ადამიანები ცხოვრობენ ვნებების, სურვილების გონებით, ბუნების გაუკუღმართებამდე მისულნი, რომლის ქვემოთ ვერ დაემყვებიან პირუტყვებიც კი. თანამედროვე ადამიანების სატანიზმი გამოსჭვივის ტელევიზორების ეკრანებიდან და შემდეგში უარესი იქნება. მაგრამ ყოველი ადამიანი თავისუფალია, ირჩევს, რაც მას სურს. ამ არჩევანში, ამ გადაწყვეტაში, თუ როგორ ვიცხოვროთ, იწყება გზა ჯოჯოხეთისაკენ ან სამოთხისაკენ.

თუ მოვიხედავთ უკან, გავისხენებთ ჩვენს დაბადებას და ყურადღებით შევხედავთ მას, მაშინ მივხვდებით, რომ ჩვენი მოსალოდნელი სიკვდილიც არის რაღაც მსგავსი ახალ ცხოვრებაში დაბადებისა, მის ახალ ფორმაში, ამჯერად მარადიულში. თავის ამსოფლად დაბადებას ხომ არავინ არ

მიიჩნევს სიკვდილად, პირიქით, ყველა სიხარულით აღნიშნავს თავის დაბადების დღეს. მაგრამ ჩვენი დაბადება ხომ სიკვდილია?! სიკვდილი იმ ცხოვრებისა, რომლითაც ვცხოვრობდით დედის მუცელში, სიკვდილი სიცოცხლის იმ ფორმისა და არა პირადად ჩვენი. ჩვენ უბრალოდ გველის იმის გამეორება, რაც ცნობილია ყოველი ჩვენგანისათვის და რაც მოხდა ჩვენი დაბადების დროს, რისი სქემაც შემდეგია: ცხოვრება დედის მუცელში – სანაყოფე გარსში – ამ გარსის სიკვდილი ჭიპლარის მოჭრით – ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრება დედის გარეთ, როგორც სიკვდილისაგან აღდგომა. ეს სქემა ყველასათვის ცნობილია, ახალი არაფერია. სიკვდილის წინაშე შიში მომდინარეობს ჩვენი სულიერი და ხორციელი ბუნების შეუცნობლობიდან. დედის მუცელში ხომ ყველა განასხვავებს ერთი მხრივ ნაყოფს, მეორე მხრივ – პლაცენტას და ნაყოფის გარემომცველ გარსს, ხოლო ახალ ცხოვრებაში კი ვხედავთ მხოლოდ ერთს – საკუთარ სხეულს. სხეული კი არის მხოლოდ ახალი ფორმა ჩვენი ცხოვრების შინაარსისა, ახალი პლაცენტა, ახალი გარსი. ჩვენ კი, ჩვენი “მე”, ჩვენი პიროვნება, არის არა სხეული, არამედ სული, რომელიც სხეულშია, როგორც ბავშვის ნაყოფი – სანაყოფე გარსში, დედის მუცელში ყოფნისას. ყოველი ადამიანისათვის ცნობილია განსხვავება სხეულსა და სულს შორის, როცა სულს სურს ერთი და ხორცს მეორე: “ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ.” (გალ.5,17). “ვინაიდან რას ვაკეთებ არ ვიცი: იმიტომ, რომ იმას არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ, რაც მძულს, იმას ვაკეთებ.” (რომ.7,14-25). თითოეულმა თამბაქოს მწვეველმა, ლოთმა, ნარკომანმა და ნებისმიერ ვნებას დამორჩილებულმა ადამიანმა იცის თავისი ვნების, ამ ცუდი მიდრეკილების მავნებლობა და მთელი სულით ეწინააღმდეგება მას. სწორედ ამ სულისათვისაა მთელი ჩვენი ზრუნვა და ღვთისაღმადმობელი ბიბლიაში.

ყოველი ადამიანი თავისუფალია არჩევანში და თავის ბედს წყვეტს თვითონ და როგორც უკვე აღვნიშნეთ, არავითარი სიკვდილი არ არსებობს, არის მხოლოდ მტკივნეული გადასვლა სიცოცხლის ერთი ფორმიდან მეორეში, ხოლო ჩვენ იგივე ვართ. ვინც იყო მუცელში, ის ხომ იგივე პიროვნებაა მის გარეთაც და იგივე რჩება სხეულის სიკვდილის შემდეგაც, რადგან ადამიანის პიროვნება არის მისი სული და როცა ადამიანის სხეულს მოჰკვეთენ მის ასოებს მაგ: ხელებს, ფეხებს და ა.შ. (ხომ არიან ასეთებიც), ადამიანი მაინც იმავე ადამიანად რჩება. სხეული არის მხოლოდ ადამიანის ფუტკლიარი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიწას აბარებენ, ისევე, როგორც თავის დროზე ახალშობილის პლაცენტასა და გარსს, ოღონდ მიცვალებულის გვამს აცილებენ ყვავილებით, ძვირფასი ტანსაცმლით, ცრემლებით, საერთოდ დიდი პატივით, მაშინ როცა ახალშობილის გარსს და პლაცენტას აგდებენ, სადაც მოუხდებათ. მაგრამ შედეგები ხომ ერთნაირია: პირველიც და მეორეც იქცევა მიწად და ეს ყოველმა ჩვენგანმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში შესანიშნავად იცის.

ამრიგად, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ყოველი ადამიანი

ღვთის მიერ თავისუფალია, სასუფეველსა და ჯოჯოხეთს შორის არჩევანის გაკეთებაში. ამ საკითხში, ანუ არჩევანში მერყეობა და ეჭვი უკვე ჯოჯოხეთია: “ნურც ჰგონია ასეთ კაცს, (ეჭვიანს), რომ ღვთისაგან მიიღებს რამეს.” (იაკ.1, 5-7), ხოლო მეორე ალტერნატივაა: “სიკვდილამდე ერთგული იყავი და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს.” (მთ.10,22; გამოც.2,10).

საუბარი რწმენაში დამწყებთათვის

საუბარი იწყება საკითხის გარკვევით, თუ ადამიანის უამრავი სურვილიდან რომელია უმთავრესი. ესაა სიცოცხლის სურვილი. ყველაფერი სწორედ ჩვენი სურვილის გარკვევით იწყება. სწორედ ამას ეკითხება უფალი თავის მოწაფეებს: “მეორე დღეს კვლავ იდგა იოანე და ორი მისი მოწაფეთაგანი. დაინახა მომავალი იესო და თქვა: “აჰა, კრავი ღვთისა.” ორმა მოწაფემ გაიგონა მისი სიტყვა და გაჰყვა იესოს. იესო მობრუნდა, დაინახა რომ მიჰყვებიან და უთხრა მათ: “რას ეძებთ?” ხოლო მათ უთხრეს: “რაბი, (რაც თარგმანით ნიშნავს მოძღვარს), სად ცხოვრობ?” უთხრა მათ: “წამოდით და იხილეთ.”” (იოან.1, 35-39). მოწაფეები ქრისტეს ეკითხებიან: “სად ცხოვრობ?” რითაც პასუხობენ მისსავე შეკითხვაზე: “რას ეძებთ?” და წყვეტენ რა თავისი ცხოვრების საკითხს ესმით: “წამოდით და ნახავთ,” ე.ი. საჭიროა სვლა. დაისმის კიდევ ერთი კითხვა: სად და როგორ უნდა წავიდეთ? ამ კითხვას პასუხობს მათეს სახარება: “მაშინ თავის მოწაფეებს უთხრა იესომ: ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს. ვინაიდან, ვისაც სურს თავის სულს გაუფრთხილდეს, ის დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისათვის დაკარგავს სულს, ის მოიპოვებს მას. რა სარგებელი აქვს ადამიანს, თუნდაც მთელი ქვეყანა შეიძინოს, თავისი სული კი დაკარგოს? ან რას გაიღებს ადამიანი თავისი სულის სანაცვლოდ?” (მთ.16,24-26) “უარყავი თავი” – ვაკეთებთ ამას? არა, ყველაფერს საწინააღმდეგოდ ვაკეთებთ: ვამკვიდრებთ საკუთარ თავს, რადგან ვიმყოფებით ადამის ბუნებაში, რომელიც დამონებულია ეშმაკს, ამიტომ ჩვენც ეშმაკს ვამკვიდრებთ. მაშ, რომელ გზაზეა აქ ლაპარაკი? ესაა ქრისტეს გზა, რომელიც მან გაიარა: “უთხრა იესომ: “მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება. მამასთან ვერავინ მივა თუ არა ჩემით.” (იოან.14, 6). ხოლო რომელი გზა გაიარა ქრისტემ? – “იესომ კი მოიხმო ისინი და უთხრა: თქვენ იცით, რომ წარმართთა მთავარნი ბატონობენ

მათზე და დიდებულნი ხელმწიფებას იყენებენ მათზე. მაგრამ თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ, ვისაც თქვენს შორის სურს დიდი იყოს, ის თქვენი მსახური იყოს. ვისაც თქვენს შორის სურს პირველი იყოს, ის თქვენი მონა იყოს. ისევე, როგორც კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ ემსახუროს, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდლად.” (მთ.20,25-28). ანუ ესაა გზა გამუდმებული უსამართლო დამცირებისა, რომლითაც დადიოდნენ წმ. მამები. ისინი ეძებდნენ დამდაბლებას და სიხარულით ხვდებოდნენ ჭირსა და მწუხარებებს. “რადგან მადლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღვთის გულისათვის იტანს გასაჭირს. რადგან თუ დანაშაულისათვის გცემენ და ითმენთ, რა საქებარია? ხოლო თუ კეთილის მოქმედნი იტანჯებით და ითმენთ, ეს მადლია ღვთის წინაშე. ამისათვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ; რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა გაჰკარებია მის ბაგეს, რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმათლით განმკითხველს.” (1პეტ.2,19-23). ასევე წერია: “თავმდაბალი ძმა იქოს თავისი სიმაღლით.” (იაკ.1,9); “რადგან ზეციდან ჩემი ნების აღსასრულებლად კი არ ჩამოვედი, არამედ მისი (მამის) ნებისა, ვინც მე მომავლინა.” (იოან.6,38). ქრისტე არ მოსულა თავისი ნების აღსასრულებლად, არამედ პირველმა გვიჩვენა საკუთარი ნების უარყოფის მაგალითი. ქრისტიანობაში მთავარი მორჩილებაა, რაც არის კიდევ საკუთარი ნების უარყოფა. ადამიანები კი მხოლოდ საკუთარი ნებით მოქმედებენ.

იესო ქრისტემ სახარებაში მოგვცა თავისი სწავლება. მაგრამ სახარება არაა ის ასოები, რომლებსაც ჩვენ მასში ვკითხულობთ, არამედ სული, რომელიც აღბეჭდილია ამ ასოებში: “სული ცხოველსმყოფელია, ხოლო ხორცი უსარგებლო. სიტყვები, რომლებიც მე გითხარით, სულია და სიცოცხლე.” (იოან.6, 63). მაშ, თუკი სახარება სულია, ადამიანს მასში გონებით არაფერი აქვს საკეთებელი: “ჩვენ კი გაგვიმხილა ღმერთმა თავისი სულით. ვინაიდან სული ჭერეტს ყოველივეს, ღვთის სიღრმეებსაც. ვინაიდან, რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისა არავინ არაფერი იცის, გარდა ღვთის სულისა. ხოლო ჩვენ მივიღეთ არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისაგან, რათა ვიცოდეთ ღვთისაგან ჩვენთვის მონიჭებული. და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით, სულიერს სულიერით განვმარტავთ. აი, მშვენიერი ადამიანი არ დებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი.” (1კორ.2,10-14). როგორც პავლე მოციქულის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან ვხედავთ, არსებობს შემეცნების ორი მეთოდი: I – ასოებით (სიტყვებით) ე.ი. გონებით და II – სულით, მაგრამ სული ადამიანის გონებისათვის მიუღწეველია და

შეუცნობელი: “ეს იცოდეთ უპირველესად, რომ წერილის არავითარი წინასწარმეტყველება თავისით არ განიმარტება. ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისაგან წარმოთქვამდნენ მას.” (1პეტრ.1, 20-21). უპირველესად, უნდა ვიცოდეთ, რომ აქ არაფერია გონებით საკეთებელი. დიახ, სახარება უნდა ვიკითხოთ და ბევრიც უნდა ვიკითხოთ, მაგრამ არ უნდა ვეცადოთ ჩვენისთა ვიფიქროთ და გავერკვეთ მასში. როცა ფიქრობ, მაშინ ეშმაკი გეხმარება, ე.ი. ფიქრით შენ მოუხმობ მას: “მოდით და ამისხენი, როგორ გავიგო ესო.” და მოდის კიდევაც და გიხსნის რა და როგორ უნდა გაიგო ოღონდ ადამიანურად, მიწიერად, მაგრამ არა ზეციურად და არა სულიერად. ამის მაგივრად უნდა მივენდოთ ღმერთს და რასაც ის გაგვიხსნის, გაგვიხსნის, ფიქრი კი არ შეიძლება. ამრიგად, ქრისტიანობა არის არა გონებისათვის, არამედ რწმენისათვის. რწმენა კი არის გონების სიკვდილი: “ნურავინ აცდუნებთ თავს. თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს. ვინაიდან, ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც წერია: “მათ ცბიერებაში შეიპყრობს ბრძენებს” და კიდევ: “იცის უფალმა ბრძენთა ზრახვანი რომ ამაოა ისინი.”” (1კორ.3,18-20). “ჩვენ უგუნურები ვართ ქრისტეს გულისათვის, თქვენ კი ბრძენები ხართ ქრისტეში.” (იქვე 4,10); “რწმენა კი არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ვესაუთ, (ვიმედოვნებთ), დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.” (ებრ.11,1). “ვინაიდან სასოებით ვიქენით დახსნილნი, ხოლო ხილული სასოება არ არის სასოება, ვინაიდან თუკი ხედავს კაცი, რაღას ესაავს?” (რომ.8, 24) სასოება, ანუ იმედი, როცა რაიმეს ვხედავთ გონებით, ე.ი. ვიცით, არ არის სასოება, არამედ ცოდნა – ამპარტავნება და სიამაყე: “ვინც ფიქრობს რომ რაიმე იცის, მან ჯერაც არაფერი იცის ისე, როგორც უნდა იცოდეს მაგრამ ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან.” (1კორ.8, 2-3). ხსნა მხოლოდ ერთშია: “არ ვიცი, როგორც მითხრეს, ისე გავაკეთებ,” – მორჩილება – “იყოს ისე, როგორც შენ გინდა, ღმერთო.” ყველა ჩვენთაგანს ესმის სხვისი ნათქვამი, მაგრამ არავის ვემორჩილებით, ამ დროს საჭიროა, რომ ყველას სახით დავემორჩილოთ ღმერთს.

რით იწყება პრაქტიკული ქრისტიანობა? იგი იწყება ნათლობით. რა არის ნათლობა? ამაზე მოციქული გვახსობს: “ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიართოთ სიცოცხლის განახლებით. ვინაიდან, თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას.” (რომ.6, 3-5). ამრიგად, ნათლობა არის სიკვდილი; ნათლობა არის საკუთარი “მე”-ს დამარხვა, ხოლო მკვდარს განა შეუძლია ფიქრი, რაიმეს შეგრძნება ან მოქმედება? რა თქმა უნდა არა, მაგრამ თუ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, ვგრძნობთ ან ვმოქმედებთ, ჯერ მონათლულნიც კი არ ვართ. როდესაც წმ. მამები

თავისით ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ, ამის გამო ტიროდნენ და სინანულით ლოცულობდნენ, ისევე როგორც მოციქული პავლე: “რადგან ვიცით, რომ რჯული სულიერია, მე კი – ხორციელი, ცოდვისადმი მიყიდული. ვინაიდან რას ვაკეთებ, არ ვიცი: იმიტომ, რომ იმას არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ, რაც მძულს იმას ვაკეთებ. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, ვეთანხმები რჯულს, რომ ის კეთილია. მაშასადამე, მე კი არ ვაკეთებ იმას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემში იმყოფება. უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?” (რომ.7,14-25). პავლე მოციქული ყოველდღე კვდებოდა: “ვფიცავ... რომ ყოველდღე ვკვდები.” (1კორ.15,31); “...შენს გამო გვხოცავენ ყოველდღე, დასაკლავ ცხვრებად ვართ შერაცხილნი.” (რომ. 8, 36); “ხოლო ჩვენ თვითონ გექონდა სასიკვდილო მსჯავრი, რათა ჩვენი თავის იმედი კი არ გექონოდა, არამედ ღვთისა, რომელიც აღადგენს მკვდრებს.” (2კორ.1,9), “და მუდამ სხეულში ვატარებთ უფალ იესოს სიკვდილს, რათა იესოს სიცოცხლეს ჩვენს სხეულში გამოჩნდეს. ვინაიდან ჩვენ ცოცხლები, მუდამ ვეძლევიტ სიკვდილს იესოსათვის, რათა იესოს სიცოცხლეს ჩვენს მოკვდავ ხორცში გამოჩნდეს. ამიტომ ჩვენში სიკვდილი მოქმედებს, ხოლო თქვენში – სიცოცხლე.” (2კორ. 4, 10-12). “რაკი ბავშვები სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, თავადაც ეზიარა მათ, რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი, და გაათავისუფლოს ისინი, ვინც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლე მონობაში იყო.” (ებრ.2, 14-15). უკანასკნელიდან ჩანს, რომ როცა ჩვენ ცოცხლები ვართ, ე.ი. როცა ვფიქრობთ, ვგრძნობთ, ან ვმოქმედებთ ჩვენი ნებით, ვიმყოფებით ეშმაკის მონობაში.

დასკვნა: ვისაც სურს მარადიული ცხოვრება, მან უნდა მოაკვინოს თავისი “მე.” და ასე, მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა აკვინოს საკუთარი “მე”, თუ არა და შენი “მე” მოგკლავს შენ და ჩაგაგდებს ჯოჯოხეთში, იმიტომ, რომ ის (ე.ი. შენი “მე”) ეშმაკისგანაა.

განკითხვანი (ბედნი) ღმრთისანი

“ბატონის შეწყალებას მრავალნი ეძებენ, მაგრამ კაცის განკითხვა უფლისაგან არის.” (იგაგ.29,26). “სამართალი შენი ღრმაა უფსკრულივით.” (ფს.35,7). “ესეც (ყველაფერი) საბაოთ უფლისაგან მოდის; საკვირველია მისი რჩევა და სიბრძნე მისი - დიდებული.” (ესაია. 28-29).

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვმა ადამიანის ბედს მთელი წიგნი მიუძღვნა, რომელიც ასევეა დასათაურებული – “ბედნი ღმრთისანი.” იგი ამ ბროშურაში პირდაპირ ამბობს: “არ არსებობს ბრმა შემთხვევა, ღმერთი მართავს სამყაროს და ყოველივე, რაც ხდება ზეცაში და ცისქვეშეთში, მისი ბრძნული და ყოვლისშემძლე მსჯავრით ხდება. ღმერთი მართავს სამყაროს; და მისი გონიერი ქმნილებები, დაე, მორჩილებდნენ მას.

ღმერთი მართავს სამყაროს; მხოლოდ დაბრმავებული ცოდვილნი ვერ ხედავენ ამას. მათ მოიგონეს გონიერებისათვის უცხო შემთხვევა.”

ჩვენს გარემომცველ სამყაროს “შემთხვევა” რომ მართავდეს, მაშინ როგორ იარსებებდა გარემომცველი ბუნების უმაღლესი ჰარმონიულობა და მიზანდასახულობა?! ყველაფერი რომ შემთხვევითი იყოს, მაშინ უნდა მეფობდეს ქაოსი. ამიტომაც ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და სხვა კანონზომიერებათა არსებობა მთლიანად აბათილებს ყოველგვარ აზრს “შემთხვევითობის” შესახებ, მარტო ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი. თუკი არსებობს კანონები, როგორ შეიძლება არ არსებობდეს კანონმდებელი? განვიხილოთ ელემენტარული მაგალითი: თუ ჩვენ შევეკითხებით ათეისტს, არსებობს თუ არა ღმერთი, მივიღებთ უარყოფით პასუხს. მაშინ ვკითხოთ მას, საიდან ჩნდება ადამიანთა ლექსიკონში ახალი სიტყვები. ამაზე ფილოლოგებს შეუძლიათ დაბეჯითებით მოგვიგონ: ჩვენ გარემომცველი სამყაროდან და ცხოვრებიდან ახალ საგანთა შემეცნებით, ხოლო ფილოსოფოსები უფრო კვალიფიციურად იტყვიან: ადამიანის ლექსიკონი განისაზღვრება მისი ცნობიერებით, ცნობიერება კი არის გარემომცველი სინამდვილის ასახვა ადამიანის აზრებში, რომლის კრიტერიუმსაც წარმოადგენს პრაქტიკა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ჯერ უნდა არსებობდეს თვით საგანი ან მოვლენა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ადამიანი შეხვდეს მას, შეიგრძნოს იგი რომელიმე გრძნობის ორგანოთი: მხედველობით, (გარეგნობით, ფერით, მოქმედებით), გემოვნებით, ყნოსვით, სმენით ან შეხებით. გაიაზროს ეს შეგრძნებები თავისი ტვინით და დაარქვას მათ სახელი, ანუ სიტყვა. ასე ჩნდება ახალი სიტყვები ადამიანთა ლექსიკონში. ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს ათეისტს. ვაჩვენოთ მას გარემომცველი საგნები. ბუნებრივია, ის უწოდებს მათ თავიანთ სახელებს (მაგიდა, სკამი და ა.შ.). ამის შემდეგ ვთხოვოთ მას უწოდოს სახელი იმას, რაც არ არსებობს. და თქვენ ფიქრობთ, ის შეძლებს თქვას ასეთი სახელი?! ბუნებრივია, ვერა. რადგანაც ის, რაც არ არსებობს, ჩვენ არ შეგვიძლია შევიგრძნოთ, რადგან იგი არ მოქმედებს ჩვენს გრძნობათა

ორგანოებზე. ის, რაც არ არის, უბრალოდ, არ არსებობს და არ არის, და არა აქვს მას რაიმე სიტყვა. მაგრამ როგორც კი ჩნდება სიტყვა, აუცილებლად მის უკან არის მისი შინაარსი. ამრიგად, თუ არის სიტყვა ღმერთი, მაშინ არის თავად ისიც, ხოლო თუ არის ღმერთი, მაშინ ის არის კანონმდებელი, რომელიც გონიერად მართავს ჩვენს გარემომცველ სამყაროს და მათ შორიც ჩვენც. ხოლო რადგანაც არის მართვა, მაშინ არის წინასწარგანსაზღვრულობაც – ბედიც. ამაში ჩვენც ვრწმუნდებით ყველასათვის ცნობილ მაგალითზე: ადამიანის განვითარება დედის მუცელში. მარტო ისეთი მეცნიერების არსებობა, როგორცაა გენეტიკა, უკვე უარყოფს ყოველგვარ აზრს შემთხვევითობის შესახებ. უფრო ზუსტი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა მეცნიერება ბედის შესახებ, რადგანაც დედის მუცელში გვივითარდება ფეხები, ხელები, თვალები, ფილტვები და ა.შ. მაგრამ სად ვივლით ჩვენ იქ, რას ავიღებთ ჩვენი ხელებით, ან როგორ ვისუნთქებთ, ან რას დავინახავთ; განა ყველა ამ ორგანოს თვით არსებობაც კი წინასწარ არ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი დაგვჭირდება შემდეგში, დედის მუცლის გარეთ?! სხვანაირად რომ ვთქვათ, განწირულნი ვართ სასიარულოდ, ჰაერის სასუნთქად, სათვალეიერებლად, ასეთია ჩვენი მომავალი ბედი ანუ წინასწარგანსაზღვრულობა.

ღმერთის და მის მიერ ბედთა განსაზღვრის შესახებ, საკითხი წყდება არა იმის დამტკიცებით, არსებობს თუ არა ღმერთი, არამედ იმით, სურს ადამიანს ანგარიში გაუწიოს მას (ღმერთს) თუ არა. და აი, რომ არ სცნონ იგი, ადამიანები იგონებენ ყველანაირ შემთხვევას, ხოლო ყველაზე მზაკვარნი ამბობენ, რომ სიტყვა “ღმერთი” ადამიანებმა უბრალოდ მოიგონეს. სიტყვების მოგონების შესახებ ამ აზრში დევს ფილოსოფიური შეცდომა, რომლის დანახვაც უცებ ყველას არ შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ადამიანის ცნობიერების შესახებ, ადამიანი არაფერს იგონებს, იმიტომ, რომ ცნობიერება არის მხოლოდ გარემომცველი სამყაროს ასახვა აზრებში, და რაც არ არის, მისი ასახვა არ შეიძლება. თუმცა, მზაკვარნი, უფრო შორს მიდიან და ამბობენ, რომ: “ხომ ქმნის ადამიანი, იგონებს ახალ მანქანებსა და მექანიზმებს?” მაგრამ აქაც იფარება შეცდომა. ადამიანი არაფერს იგონებს, არამედ მხოლოდ მოდელირებას ახდენს, ასახავს იმას, რაც არსებობს მის გარემომცველ სამყაროში. ხომ გამოიგონა ადამიანმა თვითმფრინავი, სინამდვილეში კი მთლიანად გადაიღო ფრინველისაგან. ხომ შექმნა წყალქვეშა ნავი, სინამდვილეში კი ყველაფერი აიღო თევზისაგან და ასე ყველაფერში. საბოლოოდ იმდენი რამ “გამოიგონეს” ადამიანებმა, რომ ახლა მთელი მსოფლიო გაჰყვირის: “დაიცავით ჩვენგან გარემომცველი სამყარო, ბუნების სამყარო.” აი, ამ ფაქტის უარყოფა კი ათეისტებს არაფრით არ შეუძლიათ. თუკი მთელი კაცობრიობა მხოლოდ ანადგურებს ესოდენ ჰარმონიულ სამყაროს, მაშ, ხომ უნდა დაისვას შეკითხვა: ვიღამ შექმნა იგი?!

ამრიგად, ნორმალური ადამიანებისათვის მარტოდენ ეს მსჯელობაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დარწმუნდნენ ღმერთის არსებობაში,

ხოლო ვინც თანახმა არ არის, მას არ ვარწმუნებთ და დაე, ნუ დაგვეთანხმება თავისდა საუბედუროდ. აი, რას ეუბნება ადამიანებს ღმერთი თავის წერილში, რომელსაც ბიბლია ჰქვია. (თვით ეს წერილი არის წინასწარმეტყველებათა კრებული, როგორც მათ ეწოდება კიდევ, წინასწარმეტყველ ესაიასი, წინასწარმეტყველ იერემიასი, და ა.შ. ბიბლია – ესაა კაცობრიობის ბედის წიგნი და ცალ-ცალკე მისი თითოეული წევრისაც). მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი. ღმერთმა განუსაზღვრა აბრაამს მისი ჩამომავლობის მონობა 400 წლის მანძილზე. (დაბ. 15, 13). ხოლო სახარებაში უფალი ამბობს: “ასევე მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს; იცოდეთ, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ყოველივე ეს უნდა მოხდეს...” (მთ. 24,6). წინასწარმეტყველი ესაია ისე აღწერს ქრისტეს ჯვარცმას, თითქოს საკუთარი თვალთ ხედავდა მას: “საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული... ჩვენ კი გვეგონა ღვთისაგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული.” (ეს.53,3-4). ესაიამ ეს დაწერა ჯვარცმამდე 700 წლით ადრე. იოანეს გამოცხადებაში განსაზღვრულია მთელი დედამიწის ბედი, ქრისტეს ამადლებიდან მეორედ მოსვლამდე: “გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა, რათა ეჩვენებინა თავისი მონებისათვის, რაც უნდა მოხდეს მალე.” (გამოცხ.1, 1). ესაა მთელი კაცობრიობის ბედი და თითოეული ადამიანისა, და ვინც ამბობს, რომ არა სწამს ბედის არსებობა, იგი ცრუობს, უფრო სწორად, თავს იტყუებს. ყველამ იცის, რომ დედამიწა უნდა დაიწვას. ესაა ბედი, როგორც ამის შესახებ წერს პეტრე მოციქული თავის მეორე ეპისტოლეში: “მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, გავარვარებული კავშირები დაიშლებიან, მიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, გადაიბუგება... ხოლო ჩვენ მისი აღთქმისაებრ, მოველით ახალ ცასა და ახალ მიწას, სადაც დამკვიდრებულია სიმართლე.” (2პეტ.3,9-16). ამრიგად, თუ ასეთია ბედი მთელი დედამიწისა, მაშინ ასეთივეა ბედი მისი თითოეული ნაწილისაც, ყოველი ადამიანისა, ე.ი. ჩვენიც თქვენთან ერთად. ადამიანთა ბედის საკითხის გაუგებრობა მომდინარეობს იქიდან, რომ არასწორად გვესმის თვით ადამიანის არსიც. ადამიანი კი არ არის ერთი მთლიანი, როგორც ამის შესახებ ბევრი ფიქრობს, არამედ ის შედგება სამი ნაწილისაგან, როგორც შექმნა ღმერთმა: სხეულის, სამშვინველის და სულისაგან: “გამოსახა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტერისაგან (სხეული) და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა (სული) და იქცა ადამი ცოცხალ არსებად (სამშვინველი).” (დაბ.2,7). ასე, რომ ადამიანის ამ სამნაწილეში ის, რაც ეკუთვნის მიწას, განსაზღვრულია მიწის ბედით. ეს ეხება ჩვენს სხეულს, რამდენ ხანს იცოცხლებს მიწაზე, სად, როგორ, ვისთან იცხოვროს, რით დაავადდეს, რამდენი შვილი შვას, სად და როგორ მოკედეს – სწორედ ეს არის ბედი და იგი განსაზღვრულია, მაგრამ ადამიანი არაა მხოლოდ სხეული. სხეული არის მხოლოდ ადამიანის ფუტკლიარი, შეფუთვა და არა მისი შიგთავსი. ხოლო ადამიანის შიგთავსი? მისი შინაარსი არის სული და არა სხეული და სამშვინველი. სამშვინველი არსებობას იწყებს მხოლოდ სულის სხეულთან შეერთებით და არსებობს სულისა და

სხეულის გაყრამდე. ასე, რომ ადამიანს წარმოადგენს მისი სული და ის თავისუფალია, მისი ბედი არ არის განსაზღვრული ღვთის მიერ. თავისი სულის ბედს ყოველი ადამიანი თვითონ განსაზღვრავს, ოღონდ ეს განსაზღვრა შეზღუდულია ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შორის არჩევანით. საერთო ჯამში თითოეული ადამიანის ბედი შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: ის გავს ექსკურსიას, რომლის დროსაც ყველა მგზავრობს ერთი ავტობუსით, ერთი მარშრუტით და აი, მარშრუტისაგან თავისუფალნი ჩვენ არა ვართ – ესაა ბედი, იგი ღვთის (ჩვენი მძღოლის) ხელთაა. ექსკურსიასთან დამოკიდებულება კი – გვიხაროდეს თუ არ გვიხაროდეს – ჩვენი ნებაა. აი, იმათ, ვისაც უხაროდათ, “მძღოლი” - ღმერთი სასუფეველში მიიყვანს, ვისაც არ უხაროდათ – ჯოჯოხეთში წაგვლენ. ვინც სიმდაბლით და მორჩილებით იღებს ბედს – სასუფეველში, ვინც არა – ჯოჯოხეთში. (1კორ.15,37-47).

და აი, ჩვენი სხეულის ბედი ცნობილია დემონებისათვის, ხოლო მათ მიერ, მარჩიელთათვისაც (მკითხავი), რომელნიც დემონთა მსახურნი არიან. ამიტომაც კვალიფიციური მკითხავეები მრავალს ამოიცნობენ ჩვენი ცხოვრების იმ წარსულიდან და მომავლიდან, რომელიც ეხება ჩვენს სხეულს. და ის ადამიანები, რომელთაც აქვთ ასეთი გამოცდილება, საკუთარი ან სხვისაგან გაგონილი, ამბობენ: რანაირადაა სამართლიანი ღმერთი და რაღა თავისუფლება მოგვცა, თუკი არანაირი თავისუფლება არა გვაქვს? დიახ, რაც შეეხება სხეულს, ეს ასეა. ყველაფერი ბედისაგან განსაზღვრულია და არავითარი თავისუფლება არ არის. მაგრამ როცა ბიბლია ლაპარაკობს ღვთისმიერ თავისუფლებაზე, იგი ლაპარაკობს არა სხეულზე, რომელიც დროებითია და მოკვდავი, არამედ უკვდავი და მარადიული სულის თავისუფლებაზე. და აი, ამ მარადისობის ამორჩევაში ადამიანი თავისუფალია. მხოლოდ დამდაბლდი და შენ გადარჩენილი ხარ. (2ტიმ.2,26).

სიცოცხლის ორი პრინციპი

სიცოცხლის ეს ორი პრინციპი მხოლოდ ადამიანისათვის არსებობს, რადგანაც მთელი სამყარო მხოლოდ ღმრთის ნებით იმართება და სატანაც კი ღმერთს ემორჩილება, როგორც ამას ბიბლიაში ვხედავთ: (იობ.1,10-12; 2,4-7): რომ სატანას, ღვთის ნების გარეშე, არ შეუძლია იობთან შეხებაც კი. ორი ნება ვრცელდება მხოლოდ ადამიანზე და ეს მდგომარეობა მან თვითონ აირჩია. როცა ადამი სამოთხეში ცხოვრობდა, ის იცნობდა მხოლოდ ღვთის ნებას. მეორე ნებაც არსებობდა სატანის სახით, მაგრამ ის მხოლოდ თანაარსებობდა და არ მოქმედებდა, რადგან ადამი ღვთის ნების მორჩილი იყო. ცოდვით დაცემის შემდეგ, როცა ადამი დაემორჩილა მეორე ნებას, ამ ორივე ნებამ მასში მუდმივად დაიწყო მოქმედება. ეს ორი ნება ჩვენში გამოხატულია სიცოცხლის ორ პრინციპში:

1) ვიცხოვრო ისე, როგორც “მე” მინდა; (ესაა ზოგადსაკაცობრიო პრინციპი, რომლის უკანაც დგას ეშმაკი);

2) ვიცხოვრო ისე, როგორც ნებავს ღმერთს.

ეს ორი პრინციპი ჩვენშია. ისინი არ არსებობენ სამყაროში, მაგრამ მათ შორის მიმდინარეობს შეურიგებელი ბრძოლა ჩვენს დასაუფლებლად და ეს ორი ნება ერთმანეთს კი არ ებრძვის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეშმაკი დამორჩილებულია ღმერთს. ეს ორი ნება გვებრძვის ჩვენ და თითოეული მათგანი თავისკენ გვექაჩება. თუ დავემორჩილებით ხან ერთს, ხან მეორეს მაშინ ისინი დაიწყებენ ჩვენს გაგლეჯას და გაგწამდებით, რაც ხდება კიდევ ჩვენსა და მთელი კაცობრიობის თავზე. აქედან ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ მშვიდი ცხოვრებისათვის უნდა მივინდოთ ამ ორი ძალიდან ერთ-ერთს. ამას გვასწავლის იესო ქრისტეც: “არავის ძალუძს ორთა უფალთა მონებად.” (მთ.6,24). ე.ი. უნდა ავირჩიოთ ერთ-ერთი. მაგრამ ასეთი არჩევანის შემდეგაც მეორე არ დაგვტოვებს და არ დამშვიდდება, არამედ გააგრძელებს ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ. ამისათვის წინასწარ მზად უნდა ვიყოთ. ამ ორ უფალს აქვს ორი სამეფო: ერთს – ცათა სასუფეველი, ხოლო მეორეს – ჯოჯოხეთის სამეფო, ერთს მაღლა ზეცაში, მეორეს კი ქვემოთ – მიწის შუაგულში. ადამი თავისუფალი იყო, როდესაც ღმერთმა მას აუკრძალა, ხოლო სატანამ კი შესთავაზა ცნობადის ხის ნაყოფის ჭამა. არჩევანი ადამმა თვითონ გააკეთა. იგივე არჩევანის წინაშე ვდგავართ ჩვენც ყოველთვის და ვერავინ, ვერასოდეს და ვერანაირი ძალა ვერ შეძლებს, რომ ჩვენ წავგვართვას ეს არჩევანი. ყოველი ადამიანი თვითონ წყვეტს თავის მარადიულ ხედვას. ამ დასკვნამდე ჯერ კიდევ ძველი ბრძენები მივიდნენ და ყველაზე უკეთ ეს გამოთქვა ტერტულიანემ: “გზა ქვემოთ და გზა ზემოთ – ერთი და იგივეა. როცა ქვემოთ მივდივართ, არ გვიშვებს ღმერთი, ხოლო როცა ზემოთ მივდივართ – არ გვიშვებს ეშმაკი.” ამაში გვარწმუნებს პრაქტიკა. როდესაც ადამიანი აპირებს ცოდვის ჩადენას,

მას სინდისი ამხილებს და აკაგებს. მაგრამ ჩვენ ვუხშობთ მას პირს და არ ვაძლევთ ლაპარაკის საშუალებას. ასევე, როცა კეთილ საქმეზე მივდივართ, მაშინ არ გვიშვებენ ეშმაკი, რადგან ყოველი კეთილი საქმის გაკეთება დაკავშირებულია მსხვერპლის გაღებასთან და ამიტომაც ეშმაკი გვეუბნება: “რად გინდა ეს, იცხოვრე ისე, როგორც ყველა ცხოვრობს.” ამრიგად, ვრწმუნდებით, რომ ნამდვილად ბრძოლაა, წადი თუ გინდა ერთ და თუ გინდა მეორე მხარეს. მაგრამ როგორი განსხვავებული შედეგებია? ჯოჯოხეთი და სამოთხე. როგორც ვხედავთ, ეს იმდენად აშკარაა, რომ სწორ რწმენაში ადგილი არ რჩება ფანატიზმისათვის. აქ მკაფიოდ და ნათლადაა ყველაფერი განსაზღვრული. სხვა საქმეა, რომ ეს ბრძოლა დაშორებულია ჩვენგან დროში და ჯერჯერობით უხილავია, თუმცა შეიძლება ხილულიც იყოს, მაგრამ არა ხორციელი თვალთ, არამედ სულიერით. და აი, ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა ისარგებლოს თავისუფლებით, რომელიც მას გააჩნია ღვთისაგან, მიიღოს გადაწყვეტილება და წავიდეს იქით, საითაც მას სურს. ამის შესახებ ეკითხება იესო ქრისტე თითოეულ ჩვენგანს: “რას ეძებთ?” (იოან.1,38). ხოლო მათ, რომლებმაც გადაწყვიტეს რომ გაჰყვნენ ქრისტეს, ეუბნება: “უარყავ თავი შენი!” (მთ.16,24). ამასვე სთავაზობდა თავის დროზე ადამს ეშმაკი, ღმერთის აკრძალვის ნაცვლად, როცა უთხრა: “უარყავ, რაც ღმერთმა გითხრა და შეჭამე.” და ადამმა უარყო ღმერთი, დაუჯერა ეშმაკს და აღმოჩნდა განდევნილი დედამიწაზე. ახლა იესო ქრისტე გვთავაზობს პირუკუ ნაბიჯის გადადგმას – განვუდგეთ ეშმაკს ჩვენში, კვლავ დავემორჩილოთ ღმერთს და დავბრუნდეთ სასუფეველში. აი ორი ნება, ცხოვრების ორი პრინციპი. ბუნების მიხედვით ადამის მემკვიდრეობა, – ჩვენ ყველანი, ვცხოვრობთ პრინციპით – “როგორც მე მინდა“. ეს არ არის ჩვენი პრინციპი. მას შთაგვაგონებს ეშმაკი, თვითონ კი იმალება ჩვენი “მე“-ს უკან და იმდენად მივეჩვიეთ და ვუჯერებთ მას, რომ მთელ დანაშაულს ვიდებთ საკუთარ თავზე და ჩვენთვის დღეს ბუნებრივად იქცა ასეთი სიტყვები: “მე მინდა, მე ვფიქრობ, მე მიმაჩნია, მე მჭირდება და ა.შ.” თუმცა ჩვენი ეს ყველა “მინდა” განქარდება სიკვდილით, რომელიც ყველას მოგველის. ყველა ამ “მინდას” შორის ყველაზე უმთავრესს წარმოადგენს: “მე მინდა სიცოცხლე”, მაგრამ ამ პრინციპს არასოდეს ვაყენებთ პირველ ადგილზე. რადგან, თუ ჩვენ ამას გავაკეთებდით, მაშინ უარს ვიტყოდით მიწიერ ცხოვრებაზე, იმიტომ, რომ იგი წარმავალია. მაგრამ ადამიანები ასე სიბრიყვემდე განუსჯელნი ვართ. შევხედოთ თამბაქოს მწვეველებს, ალკოჰოლიკებს, ნარკომანებს, ვთქვათ – ექიმებს შორის. ვინ-ვინ და ექიმებმა ხომ შესანიშნავად იციან, რამდენად მავნეა ყოველივე ეს ჯანმრთელობისათვის, მაგრამ ისინი სხვებს ასწავლიან, რომ მოწვევას თავი დანებონ, თვითონ კი ორთქმავლებივით ეწევიან! ამათ მსგავსად ჩვენ ყველანი, ადამიანები, ნელ-ნელა ვიკლავთ თავს, მაგრამ რამდენადაც ამ თვითმკვლელებს ძალიან გვინდა ცხოვრება, ირკვევა, რომ თვითმკვლელები ვართ არა თავად – ადამიანები, არამედ სხვა ნება, რომელიც შთაგვაგონებს ამ აზრს. მაგრამ

ჩვენ დამნაშავენი ვართ იმაში, რომ ვუსმენთ და ვემორჩილებით მას და ეს მორჩილება ადამიდან მოდის. ჩვენ ვართ ამ ნების მონები, რაც ჩანს ექიმების მაგალითზე, მაგრამ ახლა შეიძლება ითქვას, რომ – ყოფილი მონები. რადგან იესო ქრისტეს ჯვარცმით ჩვენ გამოსყიდულნი ვართ. ცოდვაც, ეშმაკიც და ყოველი მისი გამოვლინება დამარცხებულია ჯვრით. ჯვარი იქცა ბოროტი ნებისაგან ჩვენი გათავისუფლების იარაღად და ჩვენ მოგვეთხოვება რომ გამოვიყენოთ იგი. ჯვრის უბრალოდ გულზე ტარება არაა საკმარისი, ისევე როგორც შეიარაღებულ კაცს ვერ უშველის რევოლვერი, თუ ის არ გამოიყენებს მას თავდამსხმელთან ბრძოლაში. ამიტომაცაა, რომ მრავალი მორწმუნე ატარებს ჯვარს, მაგრამ ვერ ღებულობენ მისგან შეწვენას, რადგან დახმარება მოდის რწმენის საშუალებით. თუ ყურადღებით გადავხედავთ ქრისტეს მსახურებას, ჩვენ ამას ყველა მის მოქმედებაში შევნიშნავთ. ის ყოველთვის ეკითხებოდა: “გწამს, რომ შემიძლია შეველა?” ამის შემდეგ კი ამბობდა: “გეყავნ შენ სარწმუნოებისაებრ შენისა,” ხოლო როცა ხდებოდა განკურნება, ასწავლიდა: “წარვედ, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.” (მთ. 9,22;ლუკ.7,50;ლუკ.8,48 და ა.შ.). აი, სწორედ ამ რწმენით შეიძლება ვცხოვრდეთ ჩვენც. საკმარისია, გვახსოვდეს და გვწამდეს, რომ ქრისტეს ჯვარცმით ჩვენც ჯვარს ვეცვით და მისი მკვდრეთით აღდგომით, აღვდგებით. ჯვარცმა და მკვდრეთით აღდგომა ერთდროულად ხდება ჩვენში. მაგალითად, თუ გძლევენ მოძალებული აზრები, ხოლო თქვენ მტკიცე რწმენით იტყვით გულში: “მე ქრისტესი ვარ და ჯვარცმული ვარ მასთან ერთად მისივე ჯვარცმით,” (გალ.5,24), მაშინვე იგრძნობთ თავისუფლებას ამ აზრებისაგან. სწორედ ეს გახლავთ პირველი აღდგომა. (გამოცხ.20, 5).

აზრების წინააღმდეგ ბრძოლის ამგვარი პრაქტიკით ჩვენ შევძლებთ ცათა სასუფეველის მოპოვებას. მაგრამ ეს ბრძოლა იმდენად განუწყვეტელი და მომქანცველია, რომ ჩვენ ვერ ვუძლებთ მას, ეს კი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ არც ისე ძალიან მივისწრაფვით ცათა სასუფეველისაკენ. ჩვენ უბრალოდ ვივიწყებთ ამ მიზანს. ეშმაკთან ამ ბრძოლაში, მას უფრო დიდი სურვილი აქვს ჩვენი დაღუპვისა, ვიდრე ჩვენ – სულის ხსნისა. ჩვენ მით უფრო საცოდავნი ვართ მას შემდეგ, რაც შევიტყვეთ იობის წიგნიდან, (თავი1, 2), რომ ეშმაკს ჩვენთან შეხების უფლებაც კი არა აქვს. რადგან ისე ვუყვარვართ ჩვენს უფალს იესო ქრისტეს, რომ არ მისცა მას ეს ძალაუფლება, არამედ თავად მეუფებს ჩვენზე. ეს მეუფება იმდენად აშკარაა, რომ არ შეიძლება არ გაგვაკვიროს ჩვენმა ადამიანურმა უგუნურებამ. მთელი გარემომცველი სამყარო ხომ მამა ღმერთის მიერაა შექმნილი თავისი სიტყვის საშუალებით, ხოლო ეს სიტყვა არის – იესო ქრისტე. (იოან. 1, 1-2). ამავე სიტყვით ვართ შექმნილი ჩვენც დედის მუცელში და ეს სიტყვა, შეგვქმნა რა ჩვენ, ჯვარს ეცვა ჩვენთვის იესო ქრისტეს სახით. აი, ამ ჩვენთვის ცხადი მოვლენის რწმენაა საჭირო ჩვენივე მარადიული ცხოვრებისათვის. დავფიქრდეთ ყველანი, რამდენად დიდია ჩვენი უგუნურება?! ჩვენ არ მოგვეთხოვება რომ ჯვარს

ვეცვათ ფიზიკურად, ვევნოთ ან ვიტანჯოთ. ეს ყოველივე დიდი ხანია ღმერთკაცმა გააკეთა. ჩვენ მოგვეთხოვება მხოლოდ თანაჯვარცმა მასთან რწმენით და არა ფიზიკურად. და აი, ამ გზაზე უმთავრეს მტრად გვევლინება ჩვენი საკუთარი “მე.” ამაზე დიდი მტერი არავის კაცთაგან არ ჰყავს და არც შეიძლება ჰყავდეს. პირველქმნილ ადამს “მე” არ ჰქონდა. იგი გაჩნდა მხოლოდ ცოდვით დაცემის შემდეგ. ჩვენი “მე” წარმოადგენს იმ ფარს, რომლის უკანაც იმალება ეშმაკი, მაგრამ ეს ფარი ჩვენ თვითონ გვიჭირავს, ოღონდ მისი შთაგონებით. ანუ ჩვენ თვითონ შეგნებულად ვმაღავთ ეშმაკს, საკუთარ თავს კი ვადანაშაულებთ, როცა ვამბობთ “მე მინდა, მე ვფიქრობ, მე ვთვლი” და ა.შ. ყოველი “მე.” ეს ჩვენი “მე” იმდენად სხვადასხვანაირია და მრავალსახოვანი, რამდენადაც ცბიერია ეშმაკი. დასაწყისში ის უბიძგებს ადამიანს აშკარა ცოდვებისაკენ, ხოლო როდესაც ადამიანი ებრძვის და დაამარცხებს ცოდვებს, მაშინ ეშმაკი ადამიანს “მე”-ს საშუალებით შთაგონებს სიკეთის კეთებას, მაგრამ ისე, რომ ადამიანმა მიიწეროს ეს სიკეთე და იამაყოს მისით. თუ ისე ხდება, რომ ადამიანი ამაშიც გამოაშკარავებს და ამხილებს ეშმაკს, მაშინ იგი იღებს ჩვენი “მე”-ს სხვა ფორმას: ის იწყებს აზრებისა და მოქმედებების შთაგონებას “სულის ხსნისათვის,” იქამდეც კი, თუ როგორ ვემსახუროთ და სათნოვეყოთ ღმერთს, როგორ ვიქადაგოთ ღვთის სიტყვა, და თანაც მოშურნეობით. (რომ.16,2-3). ხოლო ზოგჯერ ისეთ მოშურნეობამდეც კი მიჰყავს ადამიანი, როგორც იოან.16,1-3-შია ნათქვამი, სწორედ იმ მოშურნეობამდე, რომლითაც ებრაელებმა მოკლეს თავად ქრისტე ღმერთი, თუმცა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქრისტე მოკლეს არა ებრაელებმა, არამედ მათმა “მე”-მ, რომლის უკანაც, რაღა თქმა უნდა, იდგა სატანა. აი, აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: თუ რაოდენ საშიშია რწმენის საკითხებში ჩვენი “მე.” იგი მუდამ იმყოფება თითოეულ ჩვენთაგანში, თუ ჩვენ არ ვადგებით ქრისტეს გზას. “...თქვენ იცით, რომ წარმართთა მთავარნი ბატონობენ მათზე და დიდებულნი ხელმწიფებას იყენებენ მათზე, მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ ვისაც სურს პირველი იყოს, ის თქვენი მონა იყოს.” (მთ.20,25-27). აი, ეს გახლავთ ერთადერთი მსხნელი წამალი ჩვენი ყოველადამღუპველი “მე”-საგან. თუ ჩვენ განვიხილავთ ნებისმიერ ოჯახურ უთანხმოებებს, პირად ტრაგედიებს, ადამიანთა პრობლემებს, კაცობრიობის ომებს, ყველგან და ყველაფერში დავინახავთ ერთსა და იმავე ადამიანური “მე”-ს ბუნებას. სწორედ ამიტომ მთელი ჩვენი ხსნის გზა მხოლოდ ერთადერთ მიზნამდე დაიყვანება – გავაუქმოთ ჩვენი “მე” და შევცვალოთ იგი ღვთაებრივი პრინციპით: “როგორც შენ გნებავს, უფალო!” იმიტომ, რომ ჩვენი “მე,” როგორც არ უნდა იყოს იგი, თვით “ღვთისსათნომყოფელიც” კი, ის მაინც მიუღებელია ღვთისათვის, რადგანაც თავად ჩვენი “მე”-ს ბუნება ეშმაკეულია. ხოლო პირველ ადამს არ გააჩნდა იგი. ჩვენი “მე” გაჩნდა ცოდვით დაცემის შემდეგ. ეს თვისება და პრინციპი არის მიწიერი, ადამიანური, რომელსაც ღვთისაგან სასიკვდილო მსჯავრი აქვს გამოტანილი: “ამოდ მსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღვრებასა

კაცთასა.” (მთ.15,9). იგივეს ეუბნება ქრისტე მოყვარულ პეტრესაც: “მომცილდი სატანავ!... ვინაიდან ფიქრობ არა იმაზე, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია.” (მთ.16,23). ამრიგად კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ არაფერი ადამიანური, თვით უმაღლესი სიყვარულიც კი, არ არის სათნო ღვთისათვის. “მე” არის ღვთის თვისება, იმიტომ, რომ თავად იგია “მე” ყველაფერში, როგორც მიმართავს ებრაელებს: “მე ვარ ღმერთი, მყოფი რომელი ვარ.” (გამოს.3,14). ადამიანმა კი, ეშმაკის შთაგონებით, – “შეიქმნებით ღმერთივით”-ო... (დაბ.3, 3-5), მიითვისა იგი. ამრიგად, ამ ორი ასოს, “მე”-ს, უკან იგულისხმება ცხოვრების ორი პრინციპი, ორი ნება: ან “მე” ღვთისა, ან ჩვენი “მე”, რომლის უკანაც იმალება ეშმაკი. საკმარისია განვუდგეთ ჩვენს “მე”-ს, მოვიშოროთ ეს ფარი და ეშმაკი მაშინვე მხილებული იქნება.

ყველაზე საშიში ჩვენი “მე” ხდება რწმენის საკითხებში მაშინ, როდესაც მისით, ანუ საკუთარი “მე”-თი მოქმედებენ და მსახურობენ ღვთისმსახურები, რადგან ისინი, ისევე როგორც ყველა სხვა ადამიანი, უნდა უარჰყოფდნენ საკუთარ “მე”-ს, რათა უფალმა იმოქმედოს მათგან. ამის გარეშე კი ისინი აუქმებენ ღვთის მოქმედებას და მიდიან ღვთის ჯვარცმამდეც კი, ისე, რომ ამას ვერც კი ხვდებიან, რადგან ღმერთი თავისუფლებას არ ართმევს არც ერთ ადამიანს. ასე რომ “მე”-ს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თავისი ჭეშმარიტი გაგებით იგი ეკუთვნის მხოლოდ ღმერთს. უფრო მეტიც, “მე” არის ღმერთის თვისება და აი, ეს ღვთაებრივი თვისება ადამმა მოიპარა და მიითვისა. ამიტომ ვმოქმედებთ რა ჩვენში, საკუთარი “მე”-ს სხვადასხვა ფორმებით, გამუდმებით ვუსვამთ ხაზს, რომ ეს ღვთაებრივი “მე” ეკუთვნის ადამიანს და არა ღმერთს. ყოველი ჩვენი განცხადება: – “მე მინდა”, “მე ვფიქრობ”, “მე ვისურვებ” და ა.შ.. ღვთის თვალში ისმის, როგორც მუდმივი, განუწყვეტელი ძახილი: “მე ვარ ღმერთი!” რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ ჩვენ და რითაც არ უნდა ვიყოთ დაკავებული, ყველაფერში და ყოველთვის ჩვენი “მე” გაჰყვირის მხოლოდ ერთსა და იმავეს: “მე ვარ ღმერთი!” მაშინაც კი, როცა ჩვენი “მე” ცდილობს რომ ემსახუროს ღმერთს, ის აქაც გაჰყვირის: “მე ვარ ღმერთი, მე თვითონ დავბრუნდები ჩემს ადგილას!” ანუ ჩვენი “მე”-ს ასეთი რელიგიური მოშურნეობა გამოიყურება სხვად არაფრად, თუ არა ახალი ბაბილონის გოდოლის მშენებლობად. მაშინ, როცა ადამის ბუნებრივი თვისებაა, იყოს ღვთის ქმნილება, ღვთის მონა, დამორჩილებული და დაქვემდებარებული ყველაფერში, თვით სიკვდილამდე, რაც შეგვახსენა იესო ქრისტემ თავისი ცხოვრებით: “ვინ არის ჩემი მორჩილივით ბრმა და ყრუ...” (ეს.42,18-21). მორჩილებისა და მონობის ეს მაგალითი გვიჩვენებს იესო ქრისტემ, მისმა მოწაფეებმა და წმიდა ადამიანებმა. იგივე მოგვეთხოვება ჩვენც: ვიყოთ ღვთის მონები, უკვე ჯვარცმულები ქრისტეში. და როგორც ადამმა უარყო ზეციური ცხოვრება ეშმაკის წინადადებით, ასევე ჩვენც უნდა გადავდგათ საპირისპირო ნაბიჯი: უარყოთ მიწიერი ცხოვრება ქრისტეს წინადადების გამო: “ვისაც უნდა, რომ მომყვას, უარყოს თავისი თავი...” (მთ.16, 24-25).

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ, რახან ადამმა შესცოდა ღვთის წინაშე, ჩვენც, როგორც ადამის შვილები, ასევე დამნაშავეები ვართ. ამიტომ ბუნებრივია, უნდა გამოვსწორდეთ ღვთის წინაშე და უნდა ვერწმუნოთ მხოლოდ ღმერთს. გვწამდეს, რომ მან შეგვქმნა ჩვენ დედის მუცელში, გაგვზარდა, გვიხსნა და თავად გვწინამძღოლობს ჩვენ სასუფეველისაკენ. მიწიდან სასუფეველამდე ამ გზის გავლაში ვერ დაგვეხმარება ვერანაირი აზრი, ვერანაირი წიგნი და ვერც ვერაფერი, რაც არ უნდა იყოს ის, არაფერს არ შეუძლია დახმარება, ერთის გარდა: “როგორც შენ გნებავს, უფალო!” აი, ეს ოთხი სიტყვა არის ყველაზე ქმედითი და სხვა არაფრის დამატება არ არის საჭირო, თუ ისინი რწმენითაა ნათქვამი. ეს სიტყვები წარმოადგენს ძრავას ამ გზაზე სასიარულოდ. ხოლო ყველაფერი დანარჩენი: წიგნები, რჩევები, აზრები შეიძლება იყოს მხოლოდ მანქანებელი, მარეგულირებელი ამ გზაზე, მაგრამ არა მამოძრავებელი. (ეკლ.7,29; 12,12; მთ.7,21). აი, რატომაა, რომ მრავალი ადამიანი, რომელიც რელიგიური ლიტერატურის კითხვისა და რელიგიური ცხოვრებისკენაა მიდრეკილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი დროის განმავლობაში ღმერთითაა დაკავებული, ვერაფრით ვერ უახლოვდება ღმერთს და იღუპება. იმიტომ, რომ ღმერთს გვაახლოებს მხოლოდ თავად ღმერთი, ოღონდ მაშინ, როცა სიმდაბლითა და რწმენით ბავშვებივით მივანდობთ საკუთარ თავებს და ვეტყვით: “როგორც შენ გნებავს, უფალო! მწამს, რომ ყოველთვის და ყველგან, ნებისმიერ სიტუაციაში, ცუდსა და კარგში შენ ჩვენთან ხარ.” როგორც ამბობს უფალი ესაიას პირით: “განა დაივიწყებს ქალი თავის ჩვილს?.. მაგრამ რომც დაივიწყოს, მე არ დაგვივიწყებ შენ.” (ეს.49, 15-16). ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენ, ადამიანებს, არაფერი მოგვეთხოვება ისევე, როგორც არცერთი დედა და არცერთი მამა არაფერს მოითხოვს თავისი ბავშვისაგან, გარდა ერთისა – რომ იყოს მათი მოყვარული შვილი. სწორედ მხოლოდ ამ ერთს მოითხოვს ჩვენგან ღმერთი: “იტვირთეთ ჩემი უღელი... და კბოვებთ სულის სიმშვიდეს.” (მთ.11, 29). ღვთისაგან ჩვენზე ასეთი ზრუნვის დროს და ჯვარზე მის მიერ აღსრულებული ჩვენი გამოსხნის შემდეგ, მხოლოდ ერთი რამ მოგვეთხოვება – გვწამდეს ყოველივე ამის და სხვა არაფრის და თანაც გვწამდეს სიკვდილამდე, ე.ი. ამ რწმენისათვის შეგვეძლოს წავიდეთ თვით სიკვდილზეც კი. სახარებაში მოცემულია ასეთი რწმენის მაგალითი: ესაა კეთილგონიერი ავაზაკი. ყოველივე ამ ლექციაში თქმული კი არის მისი მდგომარეობის ზოგადი ახსნა. მან უბრალოდ ირწმუნა მისი, ვინც შექმნა იგი და იხსნა, იმიტომ, რომ სწორედ იგი (მხსნელი) თავად ეკიდა მის წინ ჯვარზე. მის წინაშე ჯვარზე ეკიდა ის, ვის მიერაც მამა ღმერთმა შექმნა მთელი სამყარო. მხოლოდ წარმოვიდგინოთ მისი დამდაბლების ხარისხი და ამ საზომის წინაშე დავაყენოთ ჩვენი თავი, როდესაც ჩვენ არ გვსურს დამდაბლება, მაშინ, როცა ყველაფერში დამნაშავენი ვართ. ასე რომ, არაფერია დედამიწაზე იმაზე ადვილი, ვიდრე ადამიანის ხსნა, რომელიც დიდი ხანია აღსრულდა. ჩვენ მოგვეთხოვება მხოლოდ ვირწმუნოთ ეს და მოვისურვოთ, მეტი არაფერი. მაგრამ აქ

დგება ჩვენი სურვილის ხარისხის საკითხი, რა ზომამდე გვსურს, რომ გადავრჩეთ?! ქრისტემ გვიჩვენა მხოლოდ ერთი ხარისხი: გვინდოდეს ხსნა და სასუფეველი მიწიერი ცხოვრების მოკვდინებამდე, იმიტომ, რომ მსგავსივე სურვილით, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით, შესცოდა ადამმა. მას ისე მოუნდა თვითონ ყოფილიყო ღმერთი დედამიწაზე, რომ უარი თქვა თავად ღმერთზე და სასუფეველზე და ამჯობინა სიკვდილი, რომლის შესახებაც გაფრთხილებული იყო ღვთისაგან. ესლა კი ჩვენ მოგვეთხოვება მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ გადავდგათ ნაბიჯი უკუმიმართულებით და მეტი არაფერი. და თუ ჩვენ მართლა, მთელი გულით, მოვინდომებდით რომ გადაგვედგა ეს ნაბიჯი, ჯვარცმული ავაზაკის მსგავსად, მაშინ იმავე ავაზაკივით, იმავე დღეს ვიქნებოდით ღმერთთან ცათა სასუფეველში. (ამის მაგალითი გახლავთ სიდონია, ელიოზ მცხეთელის და). და თუკი ეს არ ხდება სინამდვილეში, თვით წმიდანებთანაც კი, ეს იმიტომაა, რომ სინამდვილეში არ გვინდა სიკვდილი. ვამბობთ რომ გვწამს ღვთისა, თვითონ კი ვებღაუჭებით მიწიერ ფასეულობებს, ხოლო ეშმაკი დადარაჯებულია და რას არ გვთავაზობს, მთელ თავის არსენალს: “...უჩვენა წუთისოფლის ყველა სამეფო და მათი დიდება. უთხრა მას: “ყოველივე ამას შენ მოგცემ, თუ დამხობილი თაყვანს მცემ.” (მთ.4,8-9). რასაც ჩვენ ვაკეთებთ კიდევაც - თაყვანს ვცემთ ეშმაკს ყველა ჩვენი “მე მინდა“-თი. რის გამოც ღმერთი იძულებულია გაახანგრძლივოს მიწაზე ჩვენი ყოფნა და მოთმინებით გვასწავლის ჩვენივე გამოცდილებით, რომ ჩვენ არ გვჭირდება ყველა ეს მიწიერი სიკეთე. ხოლო ამ გამოცდილების შეძენა ხდება შეურაცხყოფების, დამცირებების, სხვადასხვა ავადმყოფობისა და უბედურების გადატანით. ზოგადად, თანამედროვე მორწმუნეების ცხოვრება გავს შემდეგ მაგალითს: ერთი ასეთი მორწმუნე მოწყდა გზიდან და უფსკრულში ვარდნისას გამოედო პატარა ტოტს, ოღონდ ისე, რომ მაღლა ამოსვლის შესაძლებლობა არა აქვს, ხოლო ტოტის გაშვება კი დალეწვას ნიშნავს, რადგან უფსკრულს ძირი არ უჩანს. და აი ის, როგორც მორწმუნე, იწყებს ძახილს: “ღმერთო, მიშველე!”, ეცხადება მას უფალი და ეკითხება: “რა გინდა?” “მიხსენი მე” – ვეუბრება მორწმუნე. ქრისტე აზუსტებს: “გწამს, ჩემი?” მორწმუნე უდასტურებს: “მწამს, უფალო.” და აი, ქრისტე მისგან მოითხოვს რწმენის დადასტურებას საქმით: “თუ გწამს, გაუშვი ტოტს ხელი”, ანუ მზად იყავი სასიკვდილოდ, დასაღეწად, რადგან, მართლაც რომ დაიმტვრე, ღმერთი ხომ მკვდართა აღმადგინებელი და ცხოველსმყოფელია!? ანუ მასთან თვით ფიზიკური სიკვდილიც კი არაა საშიში. ეს აშკარაა რაციონალური გონებისთვისაც კი. და აი, ყოველივე ამის მიუხედავად, არც ის მორწმუნე და არც ჩვენ, არ ვუშვებთ ხელს ამ ტოტს. ეს ტოტი კი არის ჩვენი მიწიერი ცხოვრება, ხოლო თვით მიწიერი ცხოვრება კი არის – სიკვდილი, რომლის შესახებაც გაფრთხილებული იყო ადამი და ვიცით რომ იგი ჩვენც მოგველის. და, ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც ვებღაუჭებით მას: (მიწიერ ცხოვრებას): “უბადრუკი ადამიანი ვარ. ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?” და თავად მოციქული

პავლე პასუხობს: “ვმადლობ ღმერთს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ...” (რომ.7, 14-25) ამრიგად, მხოლოდ ღმერთს, იესო ქრისტეს, შეუძლია ჩვენი ხსნა და უკვე გვიხსნა კიდევ ჯვარზე საკუთარი სიკვდილით, ჩვენგან კი საჭიროა მხოლოდ რწმენა. მაგრამ რწმენა არა ჩვენი რელიგიური მოქმედებებისა, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ყველა ჩვენთაგანის უკან დგას მხოლოდ ჩვენი ადამიანური “მე”, არამედ საჭიროა რწმენა ღვთისაგან მოქმედებისა, მხოლოდ ოთხი სიტყვა: “როგორც შენ გნებავს, უფალო”, რაც ამის შესახებვე თქვა პავლე მოციქულმა: “...რათა ქრისტე შევიძინო და აღმოვჩნდე მასში არა ჩემი სიმართლით, ...არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენის მიერ ღვთისმიერი სიმართლე, რწმენის მიხედვით, ...რათა... მის (ე.ი. ქრისტეს) სიკვდილს ვემსგავსო.” (ფილიპ.3,8-13).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ყველგან და ყველაფერში რწმენის მთავარ საზომს წარმოადგენს სიკვდილი, იმიტომ, რომ ეს ერთადერთი საზომი გვიჩვენა იესო ქრისტემ თავისი მაგალითით. ის, უდანაშაულო, მოკვდა ჩვენ დამნაშავეთათვის, ხოლო ჩვენ უნდა მოვკვდეთ საკუთარი თავისათვის და ისიც არა ფიზიკურად, არამედ უნდა მოვაკვდინოთ ჩვენში ჩვენი “მე.”

ხსნის ძირითადი ეტაპები – გეგმა

ღვთისმცემი ხსნის მთელი გეგმა შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან:

1. ძველი (უკვე ჩადენილი) და ახლანდელი ცოდვებისაგან გათავისუფლება.

2. ცოდვის ადამიანური ბუნებისაგან, ანუ ჩვენი ხორცის ბატონობისაგან გათავისუფლება.

3. ცოდვის ზეადამიანური ბუნებისაგან, ანუ სატანის სულისაგან გათავისუფლება, რომელიც ალაგზნებს ჩვენს ხორცს.

ქრისტიანთა მრავალი შეცდომისა და დაცემის მიზეზი მდგომარეობს სწორედ ამ სამი საფეხურის არცოდნაში და ჩვეულებრივ, საქმე მთავრდება ხოლმე პირველი საფეხურის მიღწევით, როცა ადამიანი თავს აღწევს ცუდ საქციელებს და მას უყალიბდება კარგი რელიგიური “მე.” ბევრს უნდა და ცდილობს სული გადაირჩინოს ეკლესიაში სიარულით და იქ დადგენილი წესების შესრულებით. ამ დროს მათში იწყებს მოქმედებას უმაღლესი დონის თვითანალიზი. ისინი ხდებიან მღვდლის ნების მორჩილნი, და ამით კმაყოფილდებიან. ხსნის საკითხის ასე დაყენების შემთხვევაში, მათ აზრადაც კი არ მოსდით ღვთის ნების ძიება, მაშინ როცა სახარებაში თავად უფალი ამბობს: “არა ყოველი, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათასა.” (მთ.7, 21; 1კორ.13, 1-5). და ვერც ლოცვები, ვერც სასწაულები, ვერც წინასწარმეტყველებანი და ა.შ. ვერ შეცვლიან ღვთის ნებას, რადგანაც ღმერთს არ სჭირდება ჩვენი სასწაულები. და რამდენადაც ადამის ცოდვით დაცემა მდგომარეობდა ღვთის ნებისაგან განდგომაში, შესაბამისად ხსნაც ღვთის ნების შესრულებაში უნდა იყოს. მაგრამ რადგანაც ჩვენთვის უცნობია ღვთის ნება, (რამეთუ ღმერთი არ არის ჩვენს წინაშე ანგარიშვალდებული), ამიტომ უნდა გვწამდეს, რომ ის ზრუნავს ჩვენზე, შეგვქმნა რა დედის მუცელში, გაგვზარდა სრულ ასაკამდე და ახლაც მიყვარათ ცათა სასუფეველში, რადგან ჩვენი ხსნა უკვე აღსრულებულია ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ მისი უკანასკნელი სიტყვით ჯვარზე: “აღსრულდა!” (იოან.19,30). აი, მხოლოდ ეს მოგვეთხოვება ვიცოდეთ, გვახსოვდეს და გვწამდეს, რომ ჩვენ არასოდეს ვართ მიტოვებულნი, მაშინაც კი, როცა ჩავდივართ უმძიმეს ცოდვას, და ჩვენი განთავისუფლება ხილული ცოდვებისაგან ჩვენი დამსახურება და ღირსება კი არ არის, არამედ მისი მოწოდებაა.

პირველი საფეხურის გავლის შემდეგ იწყება წინააღმდეგობა ხსნის გზაზე ჩვენი კარგი რელიგიური “მე”-საგან, რომლის უკანაც დგას მესამე საფეხური, – ეშმაკის ზებუნებრივი ბოროტება. მეორე და მესამე საფეხურები შეიძლება გადალახულ იქნას მხოლოდ ჯვრით. არა ჯვრის ტარებით მკერდზე ან ხელში, არამედ ჩვენი შინაგანი კარგი “მე”-სა და

სატანური აზრების მუდმივი ჯვარცმით და იმის ხსოვნით, რომ ჩვენი “მე” ჯერ კიდევ ადამში დაიმონა ეშმაკმა და საჭიროა მისი უარყოფა, როგორც მოგვიწოდა ქრისტემ. (მთ.14,24). ამიტომაც, ყოველ აზრსა და გრძნობას უნდა ვპასუხობდეთ “მახვილით”: – “არ ვიცი, მე მყავს უფალი, რომელმაც ყოველივე შექმნა და ადასრულა და მე მწამს მისი.” და აი, ამ რწმენის ხაზგასასმელად აუცილებელია მორჩილება, მაგრამ მორჩილება არა მამისა, არა მღვდლისა ან სხვა ვინმეს მიმართ, არამედ მორჩილება თვით პირადი ღმერთის მიმართ, იმიტომ, რომ სწორედ ამას მოითხოვს ღმერთი თავის პირველ მცნებაში: “შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა, ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა” და ხაზგასმითაც კი აღნიშნავს, რომ ვისაც უყვარს მეტად მამა, დედა, ცოლი, შვილები - იგი არ არის მისი ღირსი. (რადღა ადგილი რჩება მღვდლისათვის?). მთელი საქმეც ის არის, რომ ჩვენ უნდა დავმორჩილდეთ ყოველ ადამიანს, პირველ რიგში მშობლებს, სამღვდელოებსა და ა.შ. ოღონდ არა პირადად მათ, არამედ, მთელი ჩვენი მორჩილება უნდა მიუძღვნათ ღმერთს. აი, სწორედ ეს მომენტი – ჩვენი მორჩილების შეგნებულად უფლისათვის მიძღვნა – დღეისათვის დაკარგულია, მორჩილება მღვდლებისადმი არის, მაგრამ სულიერი ნაყოფი კი – არა. ეს ხდება იმიტომ, რომ არ არის მსხვერპლშეწირვა ღვთისადმი, არ არის ჯვარი, არ არის საკუთარი “მე”-ს ჯვარცმა. როცა ჩვენ ვემორჩილებით მღვდლის ნებას და აღვასრულებთ იმას, რასაც არ ვეთანხმებით, ამ დროს ჩვენ სულიერ ნაყოფს არ ვიმკით. ეს იმიტომ, რომ არ არის მორჩილება უფლის მიმართ. ხოლო თავად იესო ქრისტემ თქვა: “არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოდ ღმერთი.” – და ეს უთხრა ჭაბუკს, რომელმაც თვით ღმერთს მიმართა და უწოდა: “მოძღვარო, სახიერო” (მთ.19, 16-17) და არა, “ღმერთო”. ე.ი. იმის გამო, რომ იესო ქრისტეში ვერ იცნო ღმერთი, არც იმის უფლება ჰქონდა სახიერი ეწოდებინა. ამას უკვე არავითარი ფასი არ ჰქონდა. პირიქით, თავისი მხრიდან, ცოდვაც ჩაიდინა, რადგან ადამიანს უწოდა სახიერი. ასევე ჩვენც, როცა ვემორჩილებით ადამიანს და არა ღმერთს, აქედან არანაირი სარგებელი არა გვაქვს. ეს არის მხოლოდ დისციპლინა, ხოლო დისციპლინა იწყება იქ, სადაც მთავრდება სიყვარული. სიყვარული კი ღმერთმა მოგვცა როგორც კანონი. (იოან.15,17). ამიტომაც, უნდა ვუჯერებდეთ და ვემორჩილებოდეთ განურჩევლად ყველა ადამიანს ღვთის სიყვარულის გამო და არა ადამიანების მიმართ ჩვენი სიყვარულის გამო. ადამიანთა მორჩილება ღვთის გარეშე – კაცთმოთნეობაა, სატანიზმია, რადგან ადამიანს თავისით არ შეუძლია უყვარდეს. (იაკ. 1,16-17). ამრიგად, ყველაფერს უნდა ვაკეთებდეთ ღვთის გულისათვის და გვახსოვდეს, რომ ამაში მდგომარეობს მისი ნება.

ყოველი, რომელიც დაადგება აქ აღწერილ გზას, წააწყდება იმას, რომ საკუთარი ხორცი ყველანაირად წინააღმდეგობის გაწევას დაუწყებს - საკუთარი გონებისა და გრძნობების სახით და გამარჯვების მისაღწევად, ადრე თუ გვიან, საჭირო გახდება ყველაფერზე უარის თქმა, როგორც

უფალი ამბობს: “გაყიდე ყველაფერი და იყიდე მახვილი.” (ლუკ. 22, 36). მახვილი არა ფიზიკური, ნივთიერი, არამედ სულიერი, მახვილი “არცოდნისა.” და ამ მახვილით უნდა განგემიროთ ყოველი ჩვენი მტერი: “მინდა”, “მსურს”, “ვოცნებობ”, “ვფიქრობ”, “მიმაჩნია”, “დარწმუნებული ვარ” და ა.შ. ანუ განგახორციელოთ პრაქტიკული თვითმკვლელობა, ოღონდ არა საკუთარი თავისა, არამედ საკუთარი ნებისა, იმ საკუთარი ნებისა, რომელიც გამოავლინა ადამმა და რომელიც ბუნებრივად ვლინდება ჩვენში. ჩვენი ადამიანური ბუნება ცოდვილია და ქრისტეს ჯვრით ჩვენ ის უნდა ჯვარს ვაცვათ, მოვაკვდინოთ “მახვილის” საშუალებით, იმისათვის, რათა აღვსდგეთ ქრისტესთან ერთად მის ნებაში, (გალატ. 2, 19 და 6, 14). ამრიგად:

1. “არ ვიცი” – მახვილი;
2. “როგორც შენ გნებავს, უფალო, იყოს შენი წმინდა ნება” – აღდგომა და აღორძინება ქრისტესთან ერთად.

ძველი და ახალი დრო ერთი და იგივეა, სარწმუნოება კი – სხვადასხვა

როგორც ადრე, I საუკუნეში, ქრისტე დადიოდა დედამიწაზე ხორციელად, ასევე ახლა დადის სულიერად: “ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის.” (მთ.18,20; ებრ.13,8), ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ეს მაშინ იყო და ახლა სხვა დროა, აბსოლუტურად უსაფუძვლოა. დმერთს ყოველთვის ერთი და იგივე დრო აქვს – მარადიულობა. სხვა საქმეა, თუ ეს მარადიულობა არ უნდათ ადამიანებს: “...მაგრამ ძე კაცისა, როდესაც მოვა, კპოვებს კი რწმენას ამქვეყნად?” (ლუკ.18,8). ზოგიერთები ამის საპასუხოდ იტყვიან, რომ მათ სწამთ ეს ყოველივე, მაგრამ აქ ხდება რწმენის ნატიფი ჩანაცვლება ინფორმაციით - ცოდნით, იმ ცოდნით, რომელიც აქვთ ბოროტ სულებს. მათ ადამიანებზე მეტი იციან ღვთის შესახებ, მაგრამ შინაგანად დმერთს არ ემორჩილებიან. (იაკ.2, 19-22). სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ უარყოფენ საკუთარ ნებას. “მე თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე.” (მთ.28,20), - თქვა იესო ქრისტემ და ნამდვილად იმყოფება ჩვენთან თავისი სულიწმიდით, მაგრამ ვის სწამს ეს და ვის არა!

განსხვავება რწმენასა და ცოდნას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ცოდნის შემთხვევაში ადამიანი ლაპარაკობს თავისით და თავისას:

“ვინც ფიქრობს, რომ რაიმე იცის, მან ჯერაც არაფერი იცის ისე, როგორც უნდა იცოდეს.” (1კორ.8,2). რწმენის თვისება მდგომარეობს საკუთარი “მე“-საგან განდგომაში, საკუთარი თავის ღვთის ნებისადმი წარდგენაში, თუმცა ჩვენი თავი შეიძლება წარვუდგინოთ სხვა ნებასაც - არა ღვთისას, როგორც მაგალითად იოგაში, კარატეში და ა.შ. და როცა ადამიანი მინდობილია ღმერთს, მაშინ თავად ღმერთი მოქმედებს ამ ადამიანის რწმენის მიხედვით: “ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან.” (1კორ.8,8). აი, კიდევ ცოდნისა და რწმენის სხვა თვისებები: “ვინაიდან ასო კლავს, სული კი აცოცხლებს.” (2კორ.3,6). ამის შესახებაა - 1კორ.3,12-13: “ხოლო ჩვენ მივიღეთ არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისაგან, რათა ვიცოდეთ ღვთისაგან ჩვენთვის მონიჭებული. და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით, სულიერს სულიერით განგმარტავთ.” ამრიგად, მთელ სახარებაში ჩვენ ვხედავთ შემდეგი სიტყვების სამართლიანობას: “ცოდნა აამპარტავენებს, სიყვარული კი აშენებს.” (1კორ.8,1). კიდევ შეიძლება ითქვას, თუ რა განსხვავებაა რწმენასა და ცოდნას შორის: ცოდნაში არ არის სიყვარული, თუმცა თან ახლავს თვალთმაქცობა, პირფერობა, სიყვარულის თამაში, ფერება და ა.შ. ცოდნაში მრავალმხრივად და სხვადასხვანაირად ხდება საკუთარი “მე“-ს დემონსტრირება, რწმენაში კი, არამცთუ ამპარტავენი, არამედ ყოველნაირი “მე” გათელილია, და არის ღმრთის ნებისადმი სრული მინდობა, ისე, როგორც ჭურჭელი, ჭიქა, რომელიც წყლის ონკანის ქვეშაა დადგმული. საკუთარი თავის შეფასების კრიტერიუმი, რწმენაში ხარ თუ ცოდნაში, ელემენტარულად მარტივია: დააკვირდი თუ როგორ იტან შეურაცხყოფას, დამდაბლებას, შენიშვნას, სხვის შემოთავაზებულ აზრს და შენ თვითონ დაინახავ ყველაფერს. და აი როგორია ნამდვილი რწმენის თვისება - როცა სიხარულით იღებ შეურაცხყოფას და არა თვალთმაქცურად: “აი, მე მოვითმენ, დავიმდაბლებ თავს, აი მე როგორი კარგი ვარ, მე მოვითმენ.” ეს არა თუ სიხარული არ არის, არამედ ეს არის სიამაყის სიღრმე, ეს არის ცბიერება. ხოლო, როდესაც გიხარია ისეთი სიხარულით, რომ არ იცი მართლა ასეა თუ არა, (ანუ შენ თვითონაც ასეთად ხედავ შენ თავს) და რადგან სხვა ადამიანიც გარედან იგივეს გეუბნება, მაშინ შენ გიხარია და იღებ ამ ადამიანს როგორც კეთილისმყოფელს, რადგან ქრისტიანისათვის მხილება ზეთია, როგორც ნათქვამია 140-ე ფსალმუნში. და თუ ვინმე ეწევა ამის პრაქტიკას: რომ მუდმივად იყოს უკანასკნელი, მუდმივად დაიმდაბლოს თავი, თუ როგორი მადლიანია სულიერი პოზიციიდან ასეთი პრაქტიკა, ეს გაცნობიერებულია მათეს სახარებაში: “იესომ კი მოიხმო ისინი და უთხრა: “თქვენ იცით, რომ წარმართთა მთავრები ბატონობენ მათზე და დიდებულნი ხელმწიფებას იყენებენ მათზე, მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ, ვისაც თქვენ შორის სურს დიდი იყოს, ის თქვენი მსახური იყოს. ვისაც თქვენს შორის სურს პირველი იყოს, ის თქვენი მონა იყოს.”” (მთ.20, 25-27).

ხსნის გასაღები

გასაღები ბუნებრივია ბოქლომისათვის და რომელი გასაღებითაც იგი იკეტება, მხოლოდ იმით იღება. ადამის ცოდვით დაცემით ჩვენ დაგვეკეტა ცათა სასუფეველი, მაგრამ რომელი გასაღებით? მივმართოთ ადამის ისტორიას და გავინხილოთ იგი. როდესაც ღმერთმა შექმნა ადამიანი, აუკრძალა მას ბოროტისა და კეთილის ცნობის ხის ნაყოფის ჭამა. (დაბ.2,7). სანამ ადამი ემორჩილებოდა ამ აკრძალვას და აღასრულებდა ღვთის ნებას, სამოთხეში იყო. ადამმა მაშინ იცოდა მხოლოდ ერთი ნება – ღვთის ნება. ესაა სასუფეველში ყოფნის პირობა, რომელიც ჩვენც გვეხება. ხოლო როდესაც ღვთის ნების გარდა დაიწყო მოქმედება ეშმაკის ნებამ: “უთხრა გველმა დედაკაცს: არ მოკვდებით... და შეიქნებით ღმერთივით,” (დაბ.3,4-5), მაშინ ადამისათვის გაცხადდა ეს მეორე ნება, მაგრამ თავისთავად, ის ჯერ კიდევ არაფერს არ ცვლიდა. მაგრამ, მის უკან ჩნდება მესამე ნება – ადამიანის ნება - ნება არჩევანისა პირველ და მეორე ნებას შორის: ღმერთსა და ეშმაკს შორის, არჩევანი ერთისა ამ ორიდან, მესამე არ არსებობს. რამდენადაც ადამს არ გააჩნდა არანაირი ცოდნა, მან არ იცოდა რას ნიშნავდა ღმერთივით ყოფნა, მისთვის ღმერთი იყო ყოველის შემქმნელობის განსახიერება. და ადამმა დაუჯერა, ერწმუნა ეშმაკს, ე.ი. შესცოდა რწმენით. რწმენით დაგკარგეთ სასუფეველი და რწმენითვე შეიძლება მისი დაბრუნება. სწორედ ამიტომაც ნათქვამი: “რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისათვის მოსაწონად ყოფნა.” (ებრ.11, 1-7).

ამრიგად, რომელია ის გასაღები, რომლითაც დაგუხშეთ ჩვენ თავს სასუფეველი? ესაა ეშმაკისა და ჩვენი ადამიანური ნების გამოვლენა. და თუ ჩვენ მათ მოვიშორებთ, დარჩება მხოლოდ ერთი – ღვთის ნება, რომელიც ამყოფებდა ადამს ზეცაში და ჩვენც დაგვაბრუნებს იქ - ამისკენ მოგვიწოდებს ჩვენ იესო ქრისტე: “ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი.” (მთ.16,24-25). სწორედ ამ უარყოფის გასაღებით უარყო ადამმა ღმერთი და სასუფეველი. იმიტომ, რომ როდესაც მას ეშმაკმა შესთავაზა, ადამი დადგა არჩევანის წინაშე: დამორჩილებოდა ღმერთს, ან უარი ეთქვა ღმერთზე და დამორჩილებოდა ეშმაკს და თვითონ ყოფილიყო “ღმერთი” დედამიწაზე - თავისუფალი და დამოუკიდებელი, რაც ადამმა გააკეთა კიდევ: ნებაყოფილობით უარი ეთქვა სასუფეველზე და ამჯობინა მიწა. ახლა კი ქრისტე გვთავაზობს, რომ უარვყოთ ჩვენი თავი, მიწიერი ცხოვრება და დაგვბრუნდეთ სასუფეველში. რა გასაღებითაც ჩაგვეკეტო, მხოლოდ იმ გასაღებით შეგვიძლია გავალთ. სწორედ ამას პირდება ყოველი ქრისტიანი ღმერთს ნათლობის დროს, როდესაც დასავლეთისაკენ შებრუნებული სამგზის უარყოფს ეშმაკს და ამბობს: “განვაგდებ სატანას”, შემდეგ კი სამგზის ამოწმებს ამას სიტყვებით: “ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, განვეშორები ეშმაკისაგან...” და აღმოსავლეთისაკენ მიბრუნებული სამგზის ამოწმებს: “შეგუდგები ქრისტესა, მრწამს იგი ვითარცა მეუფე და ღმერთი” და თავყვანს სცემს ყოვლადწმიდა სამებას: მამას, ძეს და სულიწმიდას.

პრაქტიკული ხსნის გზა

ადამი მანამ იყო სასუფეველში, სანამ არაფერი იცოდა. ხოლო ჩვენ დედამიწაზე უბედურები ვართ იმიტომ, რომ ბევრი ვიცით. და რაც უფრო მეტი ვიცით, მით უფრო უბედურნი ვართ.

დასკვნა: მაშ, გამოდის, რომ სულელებისათვის ცხოვრება ადვილია, ოღონდ იმ სულელებისათვის, რომლებიც ეყრდნობიან ღმერთს და ამბობენ: “მე არ ვიცი, დაე იყოს ისე, როგორც შენ გნებავს, უფალო.” ამასთან საჭიროა შინაგანად და გარეგანადაც მოვეშვათ, განვთავისუფლდეთ და ჩვენი თავი მთლიანად წარვუდგინოთ, მივანდოთ ღმერთს, მის ნებას, – ესაა გასაღები ხსნისა, შინაგანი სიმშვიდისა და ბედნიერებისა ყოველი ადამიანისათვის. ვინც პრაქტიკულად შეეცდება ამის შესრულებას, ის დარწმუნდება საქმით. ეს სიმშვიდე იოლად მიიღწევა დასაწყისში, იმიტომ რომ ღმერთი მაშინვე ხელში იყვანს ყველა ახალდამწყებს, ხოლო შემდგომში ის ხელს უშვებს ადამიანს, და მოელის მისგან მის საკუთარ ძალისხმევას სულიერი მშვიდობისათვის ბრძოლაში. იმის მსგავსად, როგორც დედა ასწავლის ბავშვს სიარულს: თავიდან უკავია ხელით, ხოლო შემდეგ უშვებს ხელს და ეუბნება: “ახლა შენ თვითონ იარე.” ბუნებრივია შეკითხვა: “კი მაგრამ ვის უნდა ვებრძოლოთ?” – ჩვენს ცოდნას და მის იარაღს – გონებას, რომელიც ჯერ კიდევ ადამის დროიდან იქცა ეშმაკის ინსტრუმენტად, რომელზედაც ის უკრავს, გვიგზავნის რა ამა თუ იმ აზრს, როგორც თქვა ეკლესიასტემ: “აჰა, ესე ვპოვე მხოლოდ: ღმერთმა წრფელი შექმნა კაცი, ისინი კი ზედმეტად თავსატეხს მრავლად იჩენენ.” (ეკლ.7,29). და როდესაც ჩვენს ფიქრებს ვპასუხობთ: “არ ვიცი,” ამით გონებას ვათავისუფლებთ ეშმაკის მონობისაგან, ხოლო სიტყვებით: “იყოს ისე, როგორც შენ გნებავს, უფალო,” – ამ ინსტრუმენტს (გონებას) ვუთმობთ ღმერთს. ეშმაკი კი ამ ინსტრუმენტის დასაპყრობად ბრძოლაში ძალიან თავხედიან და არაფრით არ სურს ჩვენი გონებიდან (დაკავებული ბინიდან) გამოსვლა. ყოველ ადამიანს ეს შეუძლია დაინახოს საკუთარი გამოცდილებით. თვითონ ადამიანს არ შეუძლია საკუთარ აზრებზე გამარჯვება, იმიტომ რომ ეშმაკი დაამარცხა მხოლოდ ერთმა ადამიანმა – იესო ქრისტემ საკუთარი ვნებით ჯვარზე, და მხოლოდ მას ერთადერთს შეუძლია ჩვენი დახმარება. აი, რატომ ატარებენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ჯვარს. მაგრამ მათი უბედურება ისაა, რომ ისინი მას არ მიმართავენ, ისევე როგორც პოლიციელმა რომ არ გამოიყენოს თავისი იარაღი საშიშ მდგომარეობაში, რის გამოც ის გახდება უიარაღო ბანდიტების მსხვერპლი. სწორედ ასე კლავს ეშმაკი მართლმადიდებელ ქრისტიანებს მათი საკუთარი აზრებით, იქამდე, რომ ზოგჯერ თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს. მაგრამ საკმარისია ადამიანმა მიმართოს ჯვარზე იესო ქრისტეს ისე, როგორც უახლოეს მეგობარს და გაანდოს მას ყველა თავისი პრობლემა, აზრი: ჭკვიანური თუ სულელური, ინტიმური თუ არაინტიმური, ის მაშინვე იგრძნობს

შემსუბუქებას და შველას (შეწვენას), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჯვარი გვექნება ხელში და უშუალოდ მივმართავთ მას. პრაქტიკულად ამაში შეუძლია დარწმუნდეს ყველა, თუკი მოსინჯავს. ამასვე ითხოვს წმიდა წერილი. (ებრ.10, 10-16). აქ საჭიროა გაფრთხილება: როგორც კი დავიწყებთ ეშმაკის ცემას ჯვრით, ისიც მაშინვე გაააქტიურებს თავის წინააღმდეგობას ჩვენს აზრებში. მაგრამ აზრები თავისთავად უძღურნი არიან, ისინი მხოლოდ მომბეზრებელია ავი ძაღლის ყეფასავით და საკმარისია არ მივაქციოთ ყურადღება, არ მოვუსმინოთ მათ, და ეშმაკი ვერაფერს დაგვაკლებს. იმიტომ რომ, ღმერთმა არ მისცა მას უფლება ჩვენთან შეხებისაც კი. ეშმაკეული აზრები კიდევ ჰგავს ქარს, რომელიც ჩვენ სახეში გვიბერავს, და რომლის შეჩერებაც ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ ვაღდეგულნი ვართ თავს ძალა დავატანოთ და განვაგრძოთ გზა მის საწინააღმდეგოდ. აი ასე, მთელ ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში საჭიროა ვიაროთ ჩვენი აზრების წინააღმდეგ. აქ საჭიროა გაფრთხილება, რადგანაც ეს არ ნიშნავს წავიდეთ ჯიბრით რომელიმე აზრის წინააღმდეგ, რადგან ეს ეშმაკის ანკესია, იმიტომ რომ ეს საწინააღმდეგო აზრიც ეშმაკისაგანაა. ჩვენი ერთადერთი იმედი ღმერთია, რომელიც გვწამს, რომ არასოდეს გვტოვებს, როგორც თვითონ თქვა ბიბლიაში: “განა დაივიწყებს ქალი თავის შვილს? არ შეიბრალებს თავის ნაშიერს? მათ რომც დაივიწყონ, მე არ დაგივიწყებ შენ.” (ესაია.42, 15-17). და აი მას – ღმერთს, რომელმაც გამოგვიქერწა დედის მუცელში, გამოგვზარდა მისი მკერდით, ახლა მივყავართ თავისთან, ცათა სასუფეველში. ჩვენ მოგვეთხოვება მხოლოდ ვირწმუნოთ ეს და დავემორჩილოთ მას. მაგრამ ვეწინააღმდეგებით მას იმიტომ, რომ მივისწრაფით მიწიერი ცხოვრებისაკენ, და ამ სწრაფვას გვიგზავნის ეშმაკი. სწორედ მას ენდობა ყველა ადამიანი.

და ის ადამიანი, რომელიც დაიწყებს საკუთარი “მე“-ს მოკვდინებას, მოკვდება ქრისტესთან ერთად ჯვარზე, იგი გამოცდის ქრისტესთან ერთად აღდგომასაც საკუთარ გულში. იმიტომ, რომ ადამიანის ბედნიერება შეიძლება იყოს მხოლოდ გულში. ხოლო თუ ჩვენ გარეგნულად გვაქვს ყველაფერი, გულში კი არაფერი – ვის რად უნდა ასეთი “ბედნიერება?!” მაგრამ როდესაც ბედნიერება გულშია, მაშინ სამოთხეა ქოხში ცხოვრებაც. ხოლო სამოთხე, როგორც ცნობილია, შეიძლება მოგვცეს მხოლოდ ღმერთმა. სამოთხეში ცხოვრების მსურველებს იესო ქრისტე იქ ეპატიჟება ჯვრის საშუალებით: “ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აილოს თავისი ჯვარი და გამომყვეს. ვინაიდან ვისაც სურს თავის სულს გაუფრთხილდეს, ის დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაკარგავს სულს, ის მოიპოვებს მას.” (მთ.16, 24-25). “მარადის იხარეთ უფალში, და კიდევ ვიტყვი: იხარეთ... ახლოს არის უფალი. არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს, და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში.” (ფილიპ.4, 4-7). ცხოვრება სიამოვნება არაა, როგორც დღეს მიღებულია გავიგოთ. ცხოვრება ბრძოლაა, როგორც ეს ესმოდათ ყოველთვის.

მორწმუნის ორი მდგომარეობა – მშვინვიერი და სულიერი

ყოველი ადამიანი დედის მუცელში ჩასახვიდან ცხოვრობს და ვითარდება იქ 9 თვის მანძილზე, რის შემდეგაც ხდება მისი შობა, ანუ გამოსვლა დამოუკიდებელ მიწიერ ცხოვრებაში. მაგრამ მუცელში და მის გარეთაც ერთი და იგივე ადამიანია, უფრო ზუსტად, ერთი ადამიანის ორი სხვადასხვა მდგომარეობა. ამის მსგავსადვე არსებობს მორწმუნის ორი მდგომარეობა: მშვინვიერი – დედის წიაღში ყოფნის მდგომარეობა და სულიერი – თავისუფალი, დედისაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა.

ამ ორ მდგომარეობას შორის მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ თუ ნაყოფი, რომელიც ვითარდება დედის წიაღში, არ გამოვა მის გარეთ, ანუ არ დაიბადება, მაშინ არა აქვს აზრი არც მის ჩასახვას და არც განვითარებას. ის დაიღუპება დედის მუცელში ისე, რომ ვერ იხილავს ნათელს. ასევე მორწმუნე ადამიანი, თუ დარჩება მხოლოდ მშვინვიერ მორწმუნედ, დაიღუპება და ვერ მიაღწევს (და ვერ იხილავს) ცათა სასუფევლის ნათელს. სწორედ ამიტომ იესო ქრისტე ლაპარაკობს სულიერი შობის (დაბადების) აუცილებლობაზე: “ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ, ვინც ხელახლა არ იშობა, ის ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს.” (იოან.3, 3). დაბადება კი, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი, თავისთავად წარმოადგენს ერთი ცხოვრების სიკვდილს, რათა მისგან გამოვლინდეს მეორე. დედის მუცელში ნაყოფი ვითარდება გარსში, რომელსაც პლაცენტას უწოდებენ და რომელშიც თავმოყრილია ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ნაყოფის განვითარებას. თვით პლაცენტა მთავრდება ჭიპლარით. და აი, ადამიანის შობისას ხდება ამ ჭიპლარის გადაჭრა, რითაც წყდება, კვდება ცხოვრება დედის წიაღში. ამ სიკვდილის გარეშე ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრება ახალ გარემოში შეუძლებელია. მსგავსადვე, მშვინვიერი მდგომარეობიდან სულიერში გადასვლა შეუძლებელია მშვინვიერი მდგომარეობის სიკვდილის გარეშე.

“მაგრამ პირველად სულიერი კი არ არის, არამედ მშვინვიერი და შემდეგ სულიერი. პირველი კაცი (ადამი) მიწისგანაა, მიწიერი, ხოლო მეორე კაცი (ქრისტე) – ცისაგან.” (1კორ.15,46-47). და როგორც არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე ურთიერთგაგება მუცელში მცხოვრებ ნაყოფსა და მუცლიდან გამოსულ, დაბადებულ ადამიანს, ასევე შეუძლებელია ურთიერთგაგება მშვინვიერსა და სულიერ მორწმუნეს შორის: “მშვინვიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევენ და არ ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი. ხოლო სულიერი განსჯის ყოველივეს, თავად კი არავისგან არ განისჯება.” (1კორ.2,14-15).

მშვინვიერი მდგომარეობა არის რწმუნის მდგომარეობა საკუთარი ემოციების დონეზე, რომლის დროსაც მორწმუნეს შეუძლია წავიდეს

თავის შეწირვაზეც კი, როგორც პეტრე: “ყველანი რომ ცდუნდნენ შენს გამო, (უფალო) მე არასდროს არ ვცდუნდები... მოვკვდები შენთან ერთად და არ უარგყოფ.” (მთ.26, 33-35). მაგრამ წინასწარ ღვთის ნებასთან შეუთანხმებლად, ასეთი რწმენა და თავგანწირვა უსარგებლოა: “მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვაად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ.” (1კორ.13, 3). იმიტომ, რომ როგორც დედის მუცელში მყოფს არ შეუძლია იქიდან გამოსვლა, ძალიანაც რომ მოინდომოს, ასევე დედასაც არ ძალუძს მისი შობა მანამ, სანამ ღვთისაგან არ მიეცემათ მათ: დედას – მშობიარობა, ნაყოფს კი – შობა. ზუსტად იგივე ხდება მშვინვიერი რწმენიდან სულიერში გადასვლის დროსაც. საჭიროა ღვთის ნებისადმი ისეთივე მინდობა, როგორიც აქვს მეფსალმუნე დავითს 50-ე ფსალმუნში: “უფალო ბაგენი ჩემნი ადახვენ და პირი ჩემი იტყოდეს ქებულებასა შენსა.” (ფს.50,17). ამრიგად, სულიერი შობაც მთლიანად ღვთის ხელშია, მაგრამ მისი დასაწყისი ეკუთვნის თვითონ ადამიანს. დასაწყისი კი არის ადამიანის თანხმობა ამსოფლიური ცხოვრებისათვის სიკვდილზე, წუთისოფელზე უარის თქმა: “ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი.” (მთ.16,24). სად მიდიოდა ქრისტე და სად უნდა გვინდოდეს წასვლა ჩვენ? ბუნებრივია – ჯვარზე. ჯვარი კი არის სიკვდილი. და აი, ეს თანხმობა ადამიანისა – გაჰყვეს ქრისტეს, ფორმდება სიკვდილზე შეთანხმებით, რომელსაც ეუწოდებთ ნათლობას: “ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით.” (რომ.6, 3-4). და აი, როდესაც ადამიანი აცნობიერებს ყოველივე ზემოთქმულს და თანახმაა გაჰყვეს ქრისტეს, ინათლება და ღმერთი ხედავს მასში ამ გზაზე წასვლის ნამდვილ გადაწყვეტილებას, მაშინ ხდება ადამიანის “ხელახალი” შობა ზემოდან, სულიერი შობა ნათლისღებისთანავე.

“სული ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი.” (იოან.3, 8). ასე იყო ადრე, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში და ეს შესაძლებელია დღესაც, ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაცვისას, რომლებიც დღეს არამცთუ არ სრულდება, მათ შესახებ არ იცის თვით სამღვდელოებამაც კი. პირიქით, დღეს ნათლისღება გაგებულება, როგორც ეროვნული კულტურული ტრადიციის წეს-ჩვეულება, უკეთეს შემთხვევაში კი ცხოვრებისეული უსიამოვნებებისაგან თავდაცვის საშუალება და ა.შ., რაც გინდა ყველაფერი, ოღონდ არავითარ შემთხვევაში სიკვდილი. ხოლო თუ ავუხსნიდით მშობლებს, რომ მათი შვილის ნათლობა არის სიკვდილში ნათლობა, საეჭვოა ვინმე დათანხმებულყო ამაზე. მღვდლები ამის შესახებ არაფერს ამბობენ, რათა კლიენტები არ დაკარგონ, ხშირად კი იმიტომ, რომ არ იციან ნათლობის არსი. მიუხედავად ყოველივე ამისა, ნათლობის საიდუმლო მაინც აღესრულება, ანუ სრულდება ორმხრივი აღთქმა, შეთანხმება ღმერთსა და ადამიანს შორის, რომელშიც ადამიანი

პირობას დებს, რომ მოკვდება ქრისტე ღმერთისათვის, ხოლო ღმერთი, იესო ქრისტეს სახით, პირდება ადამიანს, რომ მიიყვანს მას ცათა სასუფეველში. მაგრამ, რადგანაც ადამიანი არ ასრულებს თავის პირობას: უარყოს თავი და მიწიერი ცხოვრება სიკვდილამდე, ანუ რჩება მუცელშიდა ცხოვრების მდგომარეობაში, ამიტომ, ღმერთსაც აღარ შეუძლია აღასრულოს თავისი დანაპირები: მისცეს მას თავისუფლება, ნათელი და მარადიული ცხოვრება. ნათლობის ამგვარი ზოგადადიარებული (მცდარი) გაგების მიუხედავად, ნათლისღების საიდუმლო აღესრულება, ნიჭი სულიწმიდისა მონათლულზე გადმოდის, მაგრამ თვით ადამიანს არ ესმის მისი, იმიტომ, რომ სულიწმიდის ხმა ისმოება მიწიერი სურვილებითა და აზრებით. ხდება ისეთი რამ, რაც შეიძლება შევადაროთ რადიომიმდებს. როდესაც რადიოსადგური მუშაობს, მაგრამ ჩვენთვის სასურველი რადიოსადგურის ხმას ახშობს სხვა ჩამხშობი რადიოსადგურის ხმა. ან უფრო თვალსაჩინო მაგალითი: როდესაც ყრუ მიემართება საშიში ადგილის მიმართულებით, რამდენიც არ უნდა ეძახოდ და როგორც არ უნდა აფრთხილო, ვერაფერს გახდები მისი სიყრუის გამო. აი, როგორ იღუპება დღეს ყველა მონათლული, რადგან არ არის მომზადებული საკუთარი თავისა და მიწიერი ცხოვრების უარსაყოფად სიკვდილამდე.

მაინც რატომაა ასე აუცილებელი სიკვდილი სასუფეველის მისაღწევად? იმიტომ, რომ ჩვენი დიდი ბაბუა ადამი თვითონ დათანხმდა მასზე, მიუხედავად ღმერთის გაფრთხილებისა: “როგორც კი (იმ ნაყოფს) შეჭამ, მოკვდები”-ო (დაბ.2,17). ჩვენ, იქ დაბრუნების მსურველთ, სადაც იყო ჩვენი ბაბუა ადამი, სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა გადავდგათ ნაბიჯი უკან, მაგრამ იმავე სიკვდილის კარით და ისევე თავისუფალი ნებით, როგორც მან, და კვლავ ღმერთი, ქრისტეს სახით, გვთავაზობს სიკვდილს. (მთ.16,24). თვითონ გვიჩვენებს სიკვდილის მაგალითს და მკვდრეთით აღდგომილი და ზეცად ამადლებული გვეპატიუება, რომ ჩვენც გავიაროთ იგივე გზა. ამის გარეშე რამდენიც არ უნდა ვიაროთ ღვთის ტაძარში, ვილოცოთ, რამდენიც არ უნდა ვანთოთ სანთლები და რაც არ უნდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ვაკეთოთ, ცათა სასუფეველში ვერ მოვხვდებით. “ვინც მეუბნება “უფალო, უფალო!” ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც შეასრულებს ჩემი ზეციური მამის ნება-სურვილს. ბევრი მეტყვის იმ დღეს: “უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ გწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდითო მრავალ სასწაულს?” მაშინ მე განვუცხადებ მათ: “მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა.” (მთ.7, 20-23). ასე რომ, ეშმაკსაც შეუძლია თქვას: “უფალო, უფალო”, განდევნოს ეშმაკნი, მოახდინოს მრავალი სასწაული, ილაპარაკოს ანგელოზთა და ადამიანთა ენებით, გადააადგილოს მთები. (1კორ.13, 1-3). და ყველა ადამიანი, რომელსაც აქვს მოშურნეობა არა ღვთის ნების შესრულების, არამედ სასწაულების მიმართ, ადვილად ებმება ეშმაკის მახეში. “ვინაიდან, ვუმოწმებ მათ, რომ

აქვთ გულმოდგინება ღვთისადმი, ოღონდ არა შეგნებულად. რადგან ღვთის სიმაღლეს ვერ შეიცნეს და ცდილობდნენ საკუთარი სიმაღლის დადგენას და ღვთის სიმაღლეს არ დაემორჩილნენ.” (რომ.10, 2-3). ეს გულმოდგინება ჰგავს პეტრეს გულმოდგინებას, როცა ის ხელდას ღმერთს, თაყვანს სცემს მას და ამავე დროს აგდება ნავიდან: “გამშორდი, უფალო, რადგან ცოდვილი კაცი ვარ.” (ლუკ.5, 8). სახარების მრავალი სხვა ადგილიდან ჩვენ ვიცით, თუ როგორ ეურჩება პეტრე ღმერთს, არ ემორჩილება მას, კარნახობს თავის ნებას და ეს ყველაფერი ხდება ღვთისადმი გულმოდგინების გამო: აგდება ნავიდან, არ აძლევს ფეხების დაბანის საშუალებას, (შემდეგ კი იქვე სთავაზობს ხელებისა და თავის დაბანასაც), თაბორის მთაზე ფერისცვალების დროს სთავაზობს სამი კარვის დადგმას, არ უშვებს ქრისტეს იერუსალიმში სიკვდილზე, ჰპირდება არ უარყოს და სამჯერ უარყოფს მას. თუ ასეთია უფლის მოციქულებს შორის ყველაზე მხურვალე მოციქულის მშენიერი რწმენის თვისებები, მაშინ რაღა გვეთქმის ჩვენი საკუთარი რწმენის შესახებ? დაფიქრდი, მკითხველო, და მხოლოდ წარმოიდგინე, რომ მოციქულები, რომლებიც უფალთან იყვნენ სამწელიწადნახევარის განმავლობაში და ყოველდღე მასთან ერთად ჭამდნენ და სვამდნენ, მაგრამ მათაც არ ჰქონდათ რწმენა, რომ ბოლომდე გაჰყოლოდნენ ქრისტეს: “ახლა გწამთ? აჰა მოდის უამი, და მოვიდა კიდევ, როცა ყველა სათითაოდ გაიფანტებით და მე დამტოვებთ.” (იოან.16, 30-32). ყოველივე ზემოთქმულიდან ვხედავთ, რომ მშენიერი რწმენას არ შეუძლია გადაარჩინოს კაცი, თუნდაც ის იყოს მოციქული. მაშ რაღა გვეთქმის ჩვენ? სწორედ ამის შესახებ ამბობს ქრისტე: “კაცთაგან ეს (ხსნა) შეუძლებელია, ხოლო ღვთისაგან ყოველივე შესაძლებელია.” (მთ.19, 25-26). რწმენის არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ კი არ უნდა გადავირჩინოთ თავი, არამედ საჭიროა მხოლოდ ვირწმუნოთ, რომ ჩვენი ხსნა უკვე აღსრულებულია, როგორც ეს ირწმუნა კეთილგონიერმა ავაზაკმა. დავიჯეროთ ის, რაც აშკარაა, რომ ვინც შეგვექმნა დედის მუცელში, გამოგვზარდა მისი მკერდით, ის, ვისი სახელიცაა ღმერთი, ახლაც მიგვიძღვის ცათა სასუფეველში. ჩვენ კი მოგვეთხოვება მხოლოდ ერთი რამ, რომ ამ ყველაფრისათვის ისე შევიყვაროთ იგი, როგორც მან შეგვიყვარა ჩვენ – თავის გაწირვამდე: “ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე.” (იოან.3,16). ხოლო მისცა სასიკვდილოდ და თანაც ჯვარზე. ჩვენ კი მხოლოდ ის მოგვეთხოვება, რომ გავიზიაროთ მისი გრძნობა, თანაც საკუთარი ინტერესებისათვის, საკუთარი სულის მარადიული ცხოვრებისათვის. ხოლო ამისთვის მხოლოდ ისაა საჭირო, რომ მოვაკვდინოთ ჩვენი “მე”-ს ყოველი მშენიერი გამოვლინება, თვით რწმენის საკითხებშიც კი, როგორც ამის შესახებ წერს მოციქული პავლე: “მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, ის წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის. ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გულისთვის, რისთვისაც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნეე, რათა ქრისტე შევიძინო

და აღმოჩნდეს მასში არა ჩემი სიმართლით, რომელიც რწმუნებდა, არამედ იმით, რომელიც არის ქრისტეს რწმენის მიერ ღვთისმცემი სიმართლე, რწმენის მიხედვით, რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა, და მის ტანჯვებში მოზიარეობა და, რომ მის სიკვდილს ვემსგავსო.” (ფილიპ.3, 7-10). აქ მოციქული პავლე უარს ამბობს თავისი მშვიდმთავარი რწმენის ყველა თვისებაზე სიკვდილამდე, მაგრამ არა ფიზიკურ, არამედ ყოველნაირი საკუთარი “მე“-ს სიკვდილამდე, თვით რწმენის საკითხებშიც კი, იმისათვის, რათა მოიპოვოს რწმენა ღვთისაგან, რათა იშვას სულიერად ზეგარდმო. მართლაც, როგორ შეიძლება შევიდეთ ცათა სასუფეველში, სულთა სულიერ სამეფოში, თუკი ვიქნებით მიწიერი, მშვიდმთავარი? ჩვენ იქ ვერასოდეს გავშინაურდებით და ყოველთვის ვიქნებით უცხოელები, ხოლო უცხოელებს იქ არ იფარებენ, იქ ამერიკა არ არის.

საბოლოოდ, ცათა სასუფეველში შესვლის ყოველი ჭეშმარიტი მსურველისათვის, არ არსებობს სხვა კარი, გარდა თავისუფალი ნებით სიკვდილისა, რომელიც მიიღო თავის თავზე და გვიჩვენა იესო ქრისტემ. და მთელი ქრისტიანობა – ნათლობიდან დაწყებული არის საკუთარი თავის მუდმივი მოკვდინება: “მე ყოველდღე ვკვდები.” (1კორ.15, 31); “შენთვის გვხორცავენ ყოველდღე.” (რომ.8, 36); “...ჩვენ, მოციქულებს, ღმერთმა უკანასკნელი ადგილი მოგვიჩინა, როგორც სიკვდილმისჯილებს.” (1კორ.4, 9); “ვინაიდან, ჩვენ, ცოცხლები, მუდამ ვეძლევი სიკვდილს იესოსათვის... ამიტომ ჩვენში სიკვდილი მოქმედებს.” (2კორ.4, 10-12). “რადგან უფალ იესოს წყლულებს ვატარებ ჩემი სხეულით.” (გალ.6, 17); “ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვენ თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად.” (გალ.5, 24); “მოკვდი რწმუნისათვის, რათა ღვთისათვის ვიცოცხლო. მე ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული.” (გალ.2, 19-20); “ვინაიდან ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი, როცა ასე ვმსჯელობთ: თუ ერთი მოკვდა ყველასთვის, ყველანი დაიხოცნენ.” (2კორ.5,14); ასე რომ, ქრისტიანობა – ეს არის ნამდვილად მკვდარ მდგომარეობაში ყოფნა ცხოვრების ყველა გრძნობისმიერი, მიწიერი გამოვლინების მიმართ, და თანაც იმ ზომამდე, რომ რწმენის მშვიდმთავარი ატრიბუტები უსარგებლო ხდება ზეგარდმო სულით შობილი ადამიანისთვის, რომელიც იმართება ქრისტეს მიერ და არა საკუთარი თავით: “თუ ქრისტესთან მოკვდით წუთისოფლის ნივთათვის, წუთისოფელში მცხოვრებთა მსგავსად, რაღად ემორჩილები წესებს: ნუ მიეკარები, ნუ იგემებ, ნუ შეეხები... ყოველივე ამას სიბრძნისა მხოლოდ გარეგანი სახე აქვს.” (კოლ.2,16-23). მაგრამ სულიერი ადამიანის თავისუფლების თვისებები გაუგებარია მშვიდმთავრისათვის და არც შეიძლება გასაგები იყოს, (1კორ.2, 14), იმიტომ, რომ მშვიდმთავარი არის დედის წიაღში მყოფი ადამიანი, ხოლო სულიერი კი – მის გარეთ მყოფი, თავისუფალი ადამიანი, და რა შეიძლება იყოს საერთო ამ ორ მდგომარეობას შორის? არაფერი, იმიტომ, რომ მათ ჰყოფთ სიკვდილი: პლაცენტის სიკვდილი – ფიზიკური შობისას, და საკუთარი ნების სიკვდილი – სულიერი შობის დროს.

რისკენ მოვუწოდებთ ჩვენ? – “ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე. ვინაიდან თქვენ დაიხოცეთ და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში.” (კოლ.3, 2-3). წუხილის მეტი არაფერი დაგვრჩენია იმათ გამო, რომლებიც მორწმუნეებად იწოდებიან და იმედი აქვთ ტაძარში სისტემატური სიარულით, მუდმივი კეთილი საქმეებითა და ლოცვებით შევიდნენ ცათა სასუფეველში. ასეთ მორწმუნეებზე წუხს წმ. სერაფიმე საროველი მოტივილოვთან საუბარში “ქრისტიანული ცხოვრების მიზნის შესახებ”, ამასვე წუხს წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი) როცა ამბობს: “მწარე ქეთინის ღირსია სანახაობა: ქრისტიანები, რომელთაც არ იციან, რაში მდგომარეობს ქრისტიანობა! ხოლო ამ სანახაობას თითქმის განუწყვეტლივ ხვდება დღეს თვალი.” (ბროშურიდან “მართლმადიდებლობის შესახებ”). ესაა წმიდა ადამიანების წუხილი ქრისტიანების გამო 1830-60 წლებში. რას იტყოდნენ ისინი ჩვენი დროის ქრისტიანებზე, მათგან 150 წლისა და 75-წლიანი საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ? მაგრამ ღმერთს ყველაფერი შეუძლია, მხოლოდ აუცილებელია გვწამდეს მისი და არა ჩვენი თავისა. რწმენის საკუთარი, მშვინვიერი თვისებები საჭიროა, აუცილებელია, მათი გვერდის ავლა შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია დაბადება, ფეხმძიმობის პერიოდის გავლის გარეშე, მაგრამ არ უნდა დავრჩეთ მარად ამ მდგომარეობაში, არამედ უნდა ვიშვათ ზეგარდმო (ზემოდან), გავიგონოთ ხმა სულიწმიდისა, რომელზედაც ამბობს ქრისტე: “სული ქრის, სადაც მოისურვებს; მისი ხმა გესმის... ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი.” (იოან.3,8). სწორედ ამ სულის მოპოვებაზე ამბობს სერაფიმე საროველი მოტივილოვთან საუბარის დროს. ამ სულის მოპოვება აუცილებელია, იმიტომ, რომ: “...ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.” (რომ. 8, 9).

სულიწმიდის მოქმედება მშვინვიერი კაცისათვის უცნობია, საიდუმლოებითაა მოცული, რის შესახებაც წერს მოციქული პავლე: “ოდონდ სიბრძნეს ვლაპარაკობთ სულიერად მოწიფულთა შორის, არა წუთისოფლის სიბრძნეს, არც წუთისოფლის მთავართა, რომელნიც წარმავალნი არიან, არამედ ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს საიდუმლოებაში, დაფარულს, რომელიც წინასწარ განსაზღვრა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისათვის.” (1კორ.2, 6-7). აქედან ნათლად ჩანს რწმენის ორი მდგომარეობა, ცოდნის ორი ფორმა, რომლებზეც ეუბნებოდა ქრისტე თავის მოწაფეებს, როცა ეკითხებოდნენ: “რატომ ვლაპარაკები მათ იგავებით?” მან პასუხად უთხრა მათ: “იმიტომ, რომ თქვენ მოცემული გაქვთ, იცოდეთ ცათა სასუფეველის საიდუმლოებანი, მათ კი არა აქვთ ეს მოცემული. ვინაიდან, ვისაც აქვს, მას მიეცემა და ექნება უხვად, და ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც აქვს. იგავებით იმიტომ ვვლაპარაკები მათ, რომ ისინი უყურებენ და ვერ ხედავენ, უსმენენ და არ ესმით და ვერ ხვდებიან. სრულდება მათზე ესაიას წინასწარმეტყველება, რომელიც ამბობს: “სმენით მოისმენთ, მაგრამ ვერ გაიგებთ, ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ მიხვდებით. ვინაიდან გაუქვავდა ამ ხალხს

გული, ყურით მძიმედ ესმით და დახუჭეს თვალები, რომ თვალით არ დაინახონ და ყურით არ მოისმინონ, გულით არ გაიგონ და არ მოიქცნენ, რათა განგუგონო ისინი.” (მთ.13,10-15). იესო ქრისტეს ამ განმარტებების უკან დგას ადამიანთა დაყოფა – სულიერებად და მშვინვიერებად, სხვანაირად რომ ვთქვათ, ზეციერებად და მიწიერებად, თუმცა ერთნიცა და მეორენიც მორწმუნეები არიან, მაგრამ მშვინვიერი რწმენა ადამიანური “მე”-საგანაა, ამაყია, ხოლო სულიერი - ღვთის სიყვარულისაგან – მშვიდი და ტკბილი, მდაბალი. და ეს სულიერი რწმენა საიდუმლო და გაუგებარია მიწიერი ადამიანისათვის, ის შეიძლება გაიხსნას მხოლოდ სულიწმიდით, რაზეც მოციქული პავლე ამბობს კიდევ: “ხოლო ჩვენ მივიღეთ... სული ღვთისაგან... და ამას ვლავარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით. სულიერს სულიერით განვმარტავთ.” (1კორ.2, 12-13). ამ უკანასკნელ სიტყვებში ვხედავთ ცოდნის მკვეთრ გაყოფას ორ სახედ: ადამიანურ-მშვინვიერ და ზეციურ-სულიერ ცოდნად. თუ ადამიანი არ მიიღებს სულიერ ცოდნას, იგი ვერასდროს ვერ შეიძლება ზეცაში ასვლას. ამის შესახებ ეუბნება ქრისტე ნიკოდიმოსს: “ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ; ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს.” (იოან.3, 3). ხოლო შობა, ანუ დაბადება, როგორც უკვე გავარკვიეთ, არის სიკვდილი: “ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება. და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოისხამს. ვისაც თავისი სული უყვარს, კარგავს მას. ხოლო ვისაც თავისი სული სძულს ამ წუთისოფელში, საუკუნო სიცოცხლისათვის შეინახავს მას. ვინც მე მემსახურება, მე მომყვებს და სადაც მე ვარ, ჩემი მსახურიც იქ იქნება. ვინც მე მემსახურება, მას პატივს სცემს მამა.” (იოან.12, 24-26). უფლის მიყოლა არის გზა სიკვდილისაკენ, რომელიც იწყება ჩვენი გარშემომყოფი ადამიანების მსახურებით და პირველ რიგში კი შინაურებისა. “იესომ კი მოიხმო ისინი და უთხრა: “თქვენ იცით, რომ წარმართთა მთავარნი ბატონობენ მათზე და დიდებულნი ხელმწიფებას იყენებენ მათზე. მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ, ვისაც თქვენს შორის სურს დიდი იყოს, ის თქვენი მსახური იყოს. ვისაც თქვენს შორის სურს პირველი იყოს, ის თქვენი მონა იყოს. ისევე, როგორც კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რათა მას ემსახუროს, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად.” (მთ.20, 25-28).

ადამმა გაიარა გზა ზეციდან მიწამდე, ოღონდ სიკვდილის გავლით (დაბ.2, 17). ქრისტემ გაიარა იგივე გზა – დედამიწიდან ზეცამდე, მაგრამ იმავე სიკვდილის გზით. ყოველი ქრისტიანი, თუკი ის მართლა ქრისტიანია, უნდა აკეთებდეს იმავეს და თანაც სიკვდილამდე ჯვარზე. მაგრამ ქრისტიანი უკვე საკუთარ ჯვარზე უნდა გაეკრას, ოღონდ არა ფიზიკურად, არამედ რწმენით. რადგან, როგორც ადამში ჩვენ შევცოდეთ ისე, რომ ფიზიკურად არ ვიყავით შობილნი, ასევე გადარჩენილები ვართ ქრისტეში ფიზიკური ჯვარცმის გარეშე, არამედ მასთან თანაჯვარცმით სულიერად,

რწმენით. ამაში მგომარეობს ჩვენი საკუთარი ჯვრის არსი. ქრისტეს ჯვრით ჩვენ ვსარგებლობთ, როგორც იარაღით, რომელზეც დამარცხებულია ყველა ცოდვა სიკვდილამდე: “ჩვენი იესო ქრისტეს ჯვრით, რომლითაც წუთისოფელი ჯვარცმულია ჩემთვის და მე წუთისოფლისათვის.” (გალ.6, 14). აი, ამ იარაღით უნდა მოვაკვდინოთ ჩვენი მიწიერი ასოები. (კოლ.3, 5). და სწორედ ქრისტეს ჯვრის მეშვეობით მიწიერ სურვილებზე უარის თქმის მოთმენა წარმოადგენს ჩვენი ჯვრის სიკვდილამდე ტარების არსს. მიწიერი, მშენიერი სურვილების ამგვარი მოკვდინებით ჩვენ შევძლებთ რომ ვიშვათ სულიერად და მშენიერი, მიწიერი (ცხოვრების) წიაღიდან – გადავიდეთ ზეციური სასუფეველის სულიერ თავისუფლებაში. თუ მარცვალი არ მოკვდა – ნაყოფს ვერ გამოიღებს. (იოან.12, 24-26). “მაგრამ იტყვის ვინე: როგორ აღდგებიან მკვდრები და რომელ სხეულში მოვლენო? უგუნურნო! რასაც დათესავ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა...” (1კორ.15, 35-40). “ვინაიდან, თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას.” (რომ.6, 3-14).

ორი მოქმედი ძალა: ღმერთი და ეშმაკი

ყოველი ადამიანი, თითოეული ჩვენგანი, იარაღია. საქმენი, თავის მხრივ, არიან კეთილნი და ბოროტნი. სიკეთეა ყოველივე – რაც ღმერთის ნებითაა, ყველა დანარჩენი კი – ბოროტი საქმეებია ეშმაკის ნებით. მათ შორის ბრძოლაა. ბრძოლის ველი კი – ჩვენი გულია. ჩვენ დაცემულნი ვართ და დაპყრობილნი ბოროტი ძალის მიერ, რომელიც მეფობს ჩვენს გულებში. უფალი დგას გულის კარებთან, გვიხმობს და გვთხოვს გავეულოთ კარი და შემოვუშვათ იგი, იმისათვის, რათა შეგვინარჩუნოს ჩვენ, (უფრო სწორად, თვითონ დარჩეს ჩვენში), სატანა სხვადასხვა ხრიკებზე მიდის და გვაბითურებს. გარკვეულ ეტაპზე იგი იწყებს ქრისტიანის როლის თამაშს ჩვენში: დადის ეკლესიაში, გვეხმარება ლოცვაში, შთაგვაგონებს “კეთილ აზრებს” და იღებს რა ჩვენს თანხმობას, ჰყოფს “კეთილ” საქმეებს. იგი იმაზეც თანახმაა, რომ ითამაშოს თავის უარყოფელის – მკვდრის როლიც კი, ე.ი. განასახიეროს “ქრისტიანული” თავის უარყოფა. ხოლო რაც ყველაზე მთავარია – მუდმივად და ოსტატურად შთაგვაგონებს, რომ ყველაფერ ამას ჩვენ თვითონ ვიქმთ, (ვლოცულობთ, თავს უარყოფთ და ა.შ.), რომ ყველაფერი რიგზეა, რომ უფალი ალბათ ძალიან კმაყოფილია ჩვენით და რომ გადარჩენის გზაზე ვართ. იგი კმაყოფილია თავისი თავით, თავისი თამაშით ჩვენში. იგი თავისი თავით კმაყოფილი მასხარაა ჩვენში და არის ამავე დროს უდიდესი რაციონალისტიც, რომელმაც ყველაფერი იცის, ყველაფერს აძლევს შეფასებას, ყველა მოვლენას ჩვენს ირგვლივ. ანგარიშს აბარებს თავის თავს და ჩვენც ყველა თავის საქმეში, იმართლებს თავს, ამართლებს ყველა თავის მოქმედებას: “აი ეს უფალს მოეწონება,” “ეს კი ამ მიზნისათვისაა გასაკეთებელი,” “ამის შემდეგ კი გავაკეთებ იმას,” “აი ამას სწორედ ვაკეთებ,” “აი ის, მე მგონი უნდა შევასწორო, ეს არასწორია,” და ა. შ. ხანდახან კი გაორდება და გასამდება ხოლმე და ჩვენს გონებაში და წარმოდგენაში მართავს პატარა თეატრალურ დადგმებს იმის შესახებ, მაგალითად, თუ როგორ ვებრძვით ეშმაკს და ვამარცხებთ მას. ხოლო ყველა როლს თამაშობს თვითონ, ჩვენსასაც და მოწინააღმდეგისასაც და ამარცხებს მას (ისევე თავის თავს), ჩვენ კი შთაგვაგონებს, რომ ეს გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ, და არა თეატრში, არამედ რეალურ მტერთან ბრძოლაში. ხშირად ეშმაკი ჩვენით უქადაგებს ხოლმე სხვა ადამიანებს და ამის გამო აღტაცებულია საკუთარი თავით, ასწავლის ჩვენს მშობლებს ზემოდან და ეკამათება მათ. ხანდახან კი სარგებლობს თავისი ძალაუფლებით ჩვენზე და იქმს ჩვენში აშკარად ცოდვილ საქმეებსაც: ყვირის, იგინება, მეძავობს, განიკითხავს, დასცინის და ისევე შთაგვაგონებს, რომ ეს ყველაფერი ჩვენ ჩავიდინეთ. ამის შემდეგ კი თამაშობს დაღონებას: “ეს რა ჩავიდინეთ?” “ეს რა დამემართა?” და ა.შ. უფალი კი აკაკუნებს და აკაკუნებს, და გველოდება ჩვენ. სატანა ზეიმობს თავის გამარჯვებებს და თავისივე ბოროტი ქმედებანი შეაქვს ჩვენს პირად საქმეში, ავსებს ტომს-ტომზე

და ამხადებს მათ სამსჯავროსათვის. ჩვენ დაღუპულნი ვართ და ვართ მონობაში და ბოროტი ძალის სამსახურში. უფლისათვის და მისი საქმეებისათვის მკვდარნი ვართ. სატანა ჩვენში და ჩვენით აკეთებს თითქმის ყველაფერს, რაც მოესურვება, ჩვენივე თანხმობით, რა თქმა უნდა. მაგრამ ჩვენ, გვჭირდება ვემსახუროთ ქრისტეს და გადავრჩეთ. მაშ რა შეგვიძლია გავაკეთოთ? რა არის ჩვენზე დამოკიდებული? ჩვენ უნდა გავხდეთ ის, რაც ვართ, იარაღები. მხოლოდ არაფრის მცოდნე იარაღები. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ არ ვიქმთ საქმეებს, რომ იარაღი თავისთავად მკვდარია და მოკლებულია რაიმეს ქმნის უნარს. მკვდარს არ შეუძლია იფიქროს, იცოდეს რაიმე, ილაპარაკოს, იგრძნოს, უნდოდეს რაიმე, საერთოდ ჰქონდეს სურვილები. მაგრამ ჩვენ, ამავე დროს არაჩვეულებრივი იარაღი ვართ, რამეთუ გვაქვს თავისუფლება ავირჩიოთ ჩვენს მფლობელებს შორის ერთ-ერთი, და ჩვეულებრივი იარაღისაგან (მაგ. ჩაქუჩისაგან განსხვავებით), რომელსაც არ შეუძლია ჰქონდეს რაიმე სურვილი-ნდომა, რამეთუ უსულოა, ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს სურვილი, ვიყოთ შემოქმედის ან ეშმაკის იარაღი. მაგრამ ისინი მოქმედებენ განსხვავებულად: ჩვენთვის უფრო ნაცნობია, მტრის მოქმედების სახე ჩვენში, ჩვენი მისადმი მონური დამოკიდებულების გამო. იგი არაპატიოსნად გვექცევა. ერთი მხრივ, გვიყენებს როგორც იარაღს, თავისი საქმეებისათვის, მეორე მხრივ გვიმაღავს ამას და შთაგვაგონებს რომ იარაღები კი არა ვართ, არამედ ჩვენ თვითონ ვმოქმედებთ დამოუკიდებლად და ვიქმთ ამა თუ იმ საქმეს. ოსტატი არ აბარებს ჩაქუჩს ანგარიშს, თუ რისთვის იღებს მას, არამედ იღებს და მაგალითად, აჭედებს მისით ლურსმანს. მეორე, ცრუ ოსტატი – სატანა კი ეუბნება (ანგარიშს აბარებს) ჩაქუჩს, ე.ი. ჩვენ: “მე მინდა ჩავაჭედო ლურსმანი.” – შთაგვაგონებს, რომ ეს ჩვენ, ჩაქუჩს, გვინდა. ჩვენ ვღებულობთ ამას როგორც საკუთარ სურვილს. ამის შემდეგ ცრუ ოსტატს ეძლევა უფლება, გამოიყენოს ჩაქუჩი. იგი იღებს მას, აჭედებს მისით ლურსმანს, ხოლო ჩაქუჩს შთაგონებს, რომ მან თვითონ, დამოუკიდებლად აღასრულა საქმე, რომ ის იარაღი კი არაა, არამედ ოსტატი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ გაბრიყვებული ჩაქუჩის როლში, რომელმაც დაიჯერა, რომ თვითონ დააჭედა ლურსმანი (მართლაც, ჩაქუჩისაგან განსხვავებით, გვაქვს უნარი ვხედავდეთ, გვესმოდეს და ვჭვრეტდეთ იმ მოქმედებებს, რომლებსაც აღასრულებენ ჩვენი საშუალებით). ასევე უფალი, ნამდვილი ოსტატის მსგავსად, იყენებს რა თავის მონებს, როგორც იარაღებს თავისი საქმეებისათვის, თავისი ნების აღსასრულებლად, არ აბარებს მათ ანგარიშს არაფერში და არ მიმართავს მათ ასე: “მონაო ჩემო! მინდა შენით გავაკეთო ეს ან ის, ამა თუ იმ მიზნით,” არამედ მოქმედებს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. ხოლო სატანა გეთავაზობს ყველაფერს წინდაწინ. აქედან დასკვნა: ყოველი წინადადება და შეთავაზება ეშმაკისაგანაა. ასე, რომ უარი უნდა ვთქვათ ყოველ წინადადებაზე და ვუპასუხოთ მათ არცოდნით და გულგრილობით. ნუ დავივიწყებთ, რომ იარაღები ვართ და რომ ყოველი წინადადება ეშმაკისაგანაა, ამიტომ უნდა მივუგოთ მას: “მე

მხოლოდ იარაღი ვარ, ამიტომ დაველოდე ჩემს უფალს და ბატონს, რომელმაც შემქმნა და რომლისაც მჯერა, რომელსაც აქვს ძალაუფლება ჩემზე წინადადებისა და გაფრთხილების გარეშე ქმნას ჩემით, რაც მას მოესურვება. შენ კი ცრუ ოსტატი ხარ – გინდა მომიპარო მე, შენი ბოროტი საქმეებისათვის და ჩემზე იძენ ძალაუფლებას მხოლოდ მას შემდეგ, როცა მივიღებ და დავეთანხმები შენს წინადადებას. მე არაფერი არ ვიცი, დაე აღსრულდეს შენი ნება, უფალო, არა ის, რაც ცრუ ოსტატს უნდა, არამედ ის, რაც შენ გნებავს, უფალო!” აი, მაშინ ჩვენი გულის კარები იღება, ხოლო დანარჩენი ჩვენზე აღარაა დამოკიდებული, არამედ ღმერთზე. ამიტომ, როცა ის მოისურვებს და ჩათვლის საჭიროდ, შემოვა, გააგდებს მტერს და გააკეთებს ჩვენით, რაც მას უნდა, და როცა მას მოესურვება და არ ჩაგვაბარებს არანაირ ანგარიშს არც ერთ თავის ქმედებაში (მოგვექცევა ისე, როგორც ჩაქუნს). ყოველივე რაც რწმენით არაა – ცოდვაა. როგორი (მისი აზრით) “კეთილი” საქმეებიც არ უნდა აკეთოს ჩვენში ეშმაკმა, ეს ცოდვაა ღმერთის წინაშე, ხოლო ზეციური მამის ნებას, ჭკუშარიტად კეთილ საქმეებს, მხოლოდ იგი იქმს და ყოველთვის, ყველა დროში და ყოველ კეთილ საქმეს, თავისი მონების მიერ აღასრულებდა და აღასრულებს მხოლოდ უფალი თავისი კეთილი ნებით. ხოლო ჩვენ, მის იარაღებს, გულის კარები ყოველთვის გაღებული უნდა გვქონდეს მისთვის და არ უნდა მივცეთ ადგილი ეშმაკს, უნდა უკუვაგდოთ მისი წინადადებები – ჯვართა და სიკვდილით, რათა, როდესაც ინებებს უფალი რაიმეს გაკეთებას ჩვენით, არ დაუხვდეს კარები დაკეტილი, ხოლო იარაღი მტრის სამსახურში. როგორი “კარგიც” არ უნდა იყოს ადამიანი, მას ღმერთის მიერ მხოლოდ სიკვდილი აქვს მისჯილი: “რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები.” (დაბ.2, 17) ჩვენ, მთელი კაცობრიობა, ვიყავით ადამის წიაღში და ამიტომ ყველამ შეეჭამეთ, ყველამ შევცოდეთ და ყველანი დაქვემდებარებულნი ვართ სიკვდილს. ყოველი ჩვენგანის ეს სიკვდილი მიიღო თავის თავზე ქრისტემ. როგორც ადამში ყველამ ვცოდეთ, ასევე ქრისტეში ყველანი გავმართლდით, მაგრამ როგორც ჩვენ ფიზიკურად არ შეგვიცოდავს ადამთან ერთად, ასევე არ არის ქრისტესთან ერთად ჩვენი ფიზიკური ჯვარცმის აუცილებლობაც. სულიერად კი მოვალენი ვართ ქრისტესთან ერთად მუდმივად ვეკიდოთ ჯვარზე, მუდმივად ვიყოთ თანაჯვარცმულნი, ქრისტესთან მომკვდარნი, უმოძრაონი და სწორედ ამ მუდმივი თანაჯვარცმის შეგრძნებაზე, ამის ხსოვნაზე მიუთითებს მოციქული პავლე: “ხოლო ქრისტესთან მათ ხორცნი თვისნი ჯუარს აცუნეს ვნებითურთ და გულის თქმით.” (გალ.5, 24) როცა ადამიანმა არ იცის ეს, ან ვერ იგებს და არ სწამს მისი არსისა, მაშინ იგი უძლურია და დაუცველი ვნებების წინაშე, ამიტომ ისინი, რასაც უნდათ, იმას სჩადიან მასთან. მაგრამ როგორც კი ადამიანი შეიარაღდება მოციქულ პავლეს ამ აზრით და თავის თავში რწმენით იტყვის: “მე ქრისტესი ვარ და ქრისტეში ჯვარცმული ვარ,” იგი მაშინვე იგრძნობს ვნებათა სრულ უძლურებას, აი ეს არის სულიერი გამოცდილების დასაწყისი, ანუ დასაწყისი სულიერი ადამიანისა და ამ მდგომარეობაში

მუდმივად ყოფნა არის სულიერი ცხოვრება, როგორც ამბობს უფალი: “სული არის განმცხოველებელ, ხოლო ხორცი არად სარგებელ არიან.” (იოან.6, 62-63). ამ სიტყვებით ქრისტემ ხაზი გაუსვა ჩვენში ყოველგვარ ხორცს, როგორც აშკარად ცოდვილს, ასევე აშკარად “კეთილსა” და “კარგს.” იგივეს ეუბნება უფალი ნიკოდიმოსსაც: “შობილი იგი ხორცთაგან ხორცი არს და შობილი იგი სულისაგან სული არს.” (იოან.3, 6). ე.ი. ხორცს, როგორც კარგიც არ უნდა იყოს იგი, ღვთისგან მხოლოდ სიკვდილი აქვს მისჯილი და ეს სიკვდილი მიიღო ქრისტემ თავის თავზე ჩვენთვის: “ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელი ღმერთისა და კაცთაი, კაცი იესო ქრისტე.” (1ტიმ. 2, 5): ამიტომ არავის სხვას, არც ერთ წმინდანს არ შეუძლია ამის შეცვლა, რამეთუ წმიდა ადამიანთაგანაც შობილან ცოდვილები. რადგან სიწმიდე არ გადაეცემა შთამომავლობით, არამედ იგი არის ნაყოფი თითოეული პიროვნების რწმენისა. წმიდა ადამიანების ხორციც ყოველთვის ხორცად რჩება. რადგან სიწმიდით განიწმიდება და იკურთხება არა სხეული, არამედ სული. სული კი ყველასი თავისუფალია და ვისაც სურს მისი ხსნა, მან უნდა შეიძულოს თავისი ხორცი. ამისათვის კი ჯერ საჭიროა დაინახო, თუ როგორია იგი, როგორც დაინახა ეს მოციქულმა პავლემ, რომელმაც თქვა: “ვინაიდან ვიცი, რომ ჩემში, ესე იგი, ჩემს სხეულში, არ იმყოფება კეთილი; ასე რომ, სურვილი არის ჩემში, მაგრამ კეთილის კეთება – არა. ვინაიდან არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მსურს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არ მსურს.” (რომ. 7, 18-19). თუ მოციქულის ხორცის ბუნების არსი მხოლოდ ბოროტებაა, მაშ, მით უმეტეს რისი უნარი უნდა ჰქონდეს ჩვენს ხორცს?! ჩვენ უნდა მხოლოდ თავს გუშველოთ და გავექცეთ მას, თავი შევაფაროთ ქრისტეს ჯვარს სიტყვებით: “მე არა მაქვს ხორცი, იგი ჯვარცმულია.” ფიქრზე: “მე მინდა ჭამა,” გუპასუხოთ: “მე არა მაქვს ხორცი, იგი ჯვარცმულია,” კითხვაზე: “სად?” მიუვოთ: “ქრისტეში, – აი, იქ, ჯვარზე.”

მგრძნობიარობა და რაციონალურობა – ორი უკიდურესი საშიშროება რწმენისათვის

რაც შეეხება სამშენიველს, აქ, გულწრფელად უნდა ითქვას, რომ მრავალი მორწმუნე ვარდება ერთი უკიდურესობიდან მეორეში. ერთი მხრივ, ვთლით რა გრძნობებს “ხორციელად,” ყოველ ადამიანს, რომელსაც ადვილად უზრუნველდება გული, მივაკუთვნებთ “მშენივერთა” კატეგორიას, ხოლო მეორე მხრივ, გვავიწყდება, რომ არც რაციონალურობა არის სულიერების ნიშანი. ამიტომაც თანაბრად უნდა გვეშინოდეს როგორც ერთი, ასევე მეორე მდგომარეობის მიხნევა სულიერებად. თუ უფრო წინ წავალთ, უნდა შევნიშნოთ, რომ არასდროს არ შეიძლება სამშენიველის ფუნქციების მკვდრულ უმოქმედობამდე დაყვანა. ადრე შეიძლება არ განვიხილავდით ჩვენს მშენივერ გრძნობებს და გაღიზიანებებს გარკვეული შემოფოთებით და ამიტომაც ვიქცეოდით შესაბამისად, მაგრამ მოგვიანებით, გავაცნობიერეთ რა ჩვენი წარსული შეცდომა, დავიწყეთ გრძნობების სრული დათრგუნვა. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება მოგვეჩვენოს სწორად, მაგრამ იგი არც ერთი მისხალით უფრო სულიერს არ გაგვხდის. თუ ჩემი მკითხველი სრულად ვერ გაიგებს ამ საკითხს, რა მცირეც არ უნდა იყოს ეს გაუგებრობა, მე ვიცი, რომ მისი ცხოვრება თანდათან მივა მკვდრულ მდგომარეობამდე. რატომ?! იმიტომ, რომ მის სულს წართმეული ექნება თავის გამოვლინების ყველა საშუალება და აღმოჩნდება ხელოვნურად მოკვდინებული გრძნობების ტყვეობაში. სწორედ აქ არის მეორე საშიშროება, კერძოდ, ემოციების ზედმიწევნით დათრგუნვით მორწმუნე თანდათანობით განვითარდება რაციონალურ და არა სულიერ ადამიანად. ამგვარად, თუნდ სხვანაირი სახით, მაგრამ ის მაინც დარჩება მშენივერ ადამიანად. ეს იმ დროს, როდესაც სამშენიველის აღზნება, რომელიც გამოხატავს სულის მდგომარეობას, უადრესად არსებითია და ძვირფასი და სამშენიველის ზრახვა, თუკი ის გამოხატავს სულის აზრს, შეიძლება დიდად გამოსადეგი იყოს სასწავლებლად და სამოდურებლად: “ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ძმანო, როდესაც სხვადასხვა განსაცდელში ცვივდებით. რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას ქმნის.” (იაკ.1, 1-10).

მანამ არ შევიგნებთ იმას, რომ იმდენად გლახაკნი ვართ, რომ ღვთის მადლისა და წყალობის გარეშე მხოლოდ უსუსური ცოდვილები ვართ, ვერ ვცხონდებით.

ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრება არა არის დამოკიდებული ჩვენი აზრებისა და გრძნობების დღელამურ გამოცდაზე, არამედ ჩვენ მიერ მაცხოვრის ჭვრეტაზე (ხედვაზე), თუ რამდენად გადავცემთ ჩვენს სულს ღმერთს ხელში: “ამრიგად, შეწყალება დამოკიდებულია არა მსურველზე და არა მცდელზე, არამედ შემწყალებ ღმერთზე.” (რომ.9, 16). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა აღვასრულოთ იესო ქრისტეს მოთხოვნა და ისე მივენდოთ ღმერთს, რომ დავივიწყოთ ჩვენი ხსნაც კი: “ვინაიდან ვისაც

სურს თავის სულს გაუფრთხილდეს, ის დაკარგავს მას, ხოლო ვინც ჩემი გულისათვის დაკარგავს სულს, ის მოიპოვებს მას.” (მთ.16, 25). დაკარგოთ ჩვენი სული, ნიშნავს, არ გავაკეთოთ ჩვენი ნებით არაფერი, ყოველი აზრი დაკარგოთ ღვთის ხელში და ვუთხრათ: “არ ვიცი, როგორც გნებავს, ისე იყოს, უფალო.” ასევე მოვექცეთ ყოველ ჩვენს გრძნობას და სურვილს, რაც იქნება მცნების შესრულება საქმით.

სიტყვა “მამის” არსი

სახარებაში იესო ქრისტე ამბობს: “თქვენ კი ნუ გიწოდებენ რაბის, ვინაიდან ერთია თქვენი მოძღვარი – ქრისტე და თქვენ ყველანი ძმები ხართ. ნურც მამას უწოდებენ ნურავის ქვეყანაზედ, ვინაიდან ერთი მამა გყავთ – ზეციერი. ნურც წინამძღვარს გიწოდებენ, ვინაიდან წინამძღვარი ერთი გყავთ თქვენ – ქრისტე.” (მთ.23, 8-10). ესაა სიტყვა ღვთისა და ის არ შეიძლება შეიცვალოს: “ცა და დედამიწა გადავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გადავლენ,” (მთ.24,35) თუ ღვთისაგან სიტყვა “მამა”-სთან დაკავშირებით ყველაფერი ასე მკაცრადაა განსაზღვრული, მაშ, ჩვენ როგორღა ვუწოდებთ ამ სიტყვას ხორციელ მამას და სასულიერო პირს? მაშინ, როდესაც თვით უფალი იესო ქრისტე, რომელიც თავად ღმერთია, არ გვაძლევს უფლებას მიწაზე ვინმეს მამა ვუწოდოთ, არამედ მხოლოდ მამა ღმერთს. (მთ.19, 16-17). ამით, თვით უფალი იესო ქრისტე გვიჩვენებს მაგალითს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ღმერთია, იგი არ ავლენს თავის ღვთაებრივ თვისებებს, როდესაც მას უბრალო მოძღვრად მიიჩნევენ, რადგან მოძღვარი, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, შეიძლება იყოს მხოლოდ თავად ღმერთი იესო ქრისტე. ე.ი. ამ მოთხოვნით უფალი გვაგადავლავლებს რომ ვხედავდეთ მასში მხოლოდ ღმერთს, და თუ მასში მხოლოდ უბრალო მოძღვარს (ადამიანს) ხედავენ, თუკი მასში არ ხედავენ ღმერთს, არამედ უბრალო მასწავლებელს, იგი აღშფოთებულია და მაღლი აღარ გამოდის მისგან. ასევე ჩვენც, თუ მივმართავთ ხორციელ მამას, ან მღვდელს, ხოლო გულით და გონებით კი არ ვდგავართ ღვთის წინაშე, რომელმაც შეგვქმნა დედის წიაღში მიწიერი მამის საშუალებით არამედ მიმართვა “მამა” ეკუთვნის მხოლოდ ადამიანს, მაშინ არავითარ მაღლს არ ვღებულობთ. ანუ ყოველთვის, როცა არ უნდა ვამბობდეთ სიტყვა “მამა”-ს, ჩვენ თავში უნდა ვგულისხმობდეთ ერთიან მამას, რომელიც ზეცაშია. თუ ამას მოვიმოქმედებთ ჩვენს შიგნით, გვექნება მაღლი მამა ზეციერისაგან, ხოლო თუ არა – მაშინ დავრჩებით უმაღლოდ.

იგივე წესი მით უმეტეს ეხება სამღვდელო პირებისადმი ჩვენს მიმართვას. ხელდასხმამდე ხომ იგივე ადამიანს ჩვენ ვუწოდებთ მხოლოდ მისი სახელით, ხელდასხმის შემდეგ კი ვუმატებთ სიტყვა “მამა”-ს, ხოლო შემდეგ ადამიანის სახელს. ანუ სიტყვა “მამა” პირდაპირაა დაკავშირებული ხელდასხმასთან. მაგრამ არა პატრიარქის ან ეპისკოპოსის მიერ ხელდასხმასთან, რამეთუ მათი ხელი არ შეიძლება იყოს “მამა”, არამედ ხელი იესო ქრისტესი, რომელიც დაასხა მოციქულებს და მათგან მოდის იგი უწყვეტად ხელდასხმის საშუალებით. სწორედ მას – იესო ქრისტეს ამ ხელს ეწოდება “მამა”: “და გაიყვანა ისინი ბეთანიაში და აღაპყრო ხელები, და აკურთხა ისინი.” (ლუკ.24,50). და სწორედ ამ ხელებსა და ამ კურთხევას ვუწოდებთ “მამის”-ას და “მამა”-ს მართლმადიდებლობაში. ასე რომ მიმართვაში მაგალითად: “მამა გიორგი”, ეს სიტყვები ეკუთვნის არა ერთ, არამედ ორ პირს: “მამა” - ეკუთვნის ხელდასხმის მადლს, ხოლო გიორგი - ადამიანს, რომელიც ატარებს ამ მადლს. თვით იესო ქრისტეში მოქმედებდა ორი ნება: ადამიანური და ღვთაებრივი: “მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი; მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ.” (მთ.26, 39). ამ სიტყვებით ქრისტე გვიჩვენებს შინაგან ბრძოლას ადამიანურ ნებასთან, ანუ მისგან განდგომას, საკუთარი თავის მოკვდინებას. (მთ.16, 24-25). მთელი მისი თავის უარყოფა მიმდინარეობს ისეთ მკაცრ ბრძოლაში, რომ მის სახეზე გამოედინება სისხლიანი ოფლი: “ამ ტანჯვაში მყოფი უფრო გულმოდგინედ ლოცულობდა; მისი ოფლი სისხლის წვეთებით გახდა და მიწას ეპკურებოდა.” (ლუკ.22, 42-44). აი თავის უარყოფის როგორ მაგალითს გვაძლევს იესო ქრისტე და მხოლოდ ასეთი ბრძოლის შემდეგ სრულდება მასში ღვთის ნება. ასეთივე თავის უარყოფის და შინაგანი ბრძოლის მაგალითს გვიჩვენებს მოციქული პავლეც, მაგალითს საკუთარ თავთან ბრძოლისა, რათა მისმა ადამიანურმა “მე”-მ არ შეუშალოს ხელი მასში ღვთის ნების მოქმედებას: “რადგან გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი, და ისიც ჯვარცმულისა. და ვიყავი თქვენთან უძღვრებით, შიშით და დიდი ძრწოლით.” (1კორ.2, 2-3). შიშსა და ძრწოლაში იყო, რომ არ ეთქვა ან მოემოქმედა რაიმე საკუთარი, ადამიანური ნებით. აი, ასეთ ბრძოლაში უნდა იყვნენ სამღვდელონი მსახურებისა თუ ქადაგებისას და ამას უნდა აწავლიდნენ მორწმუნეებსაც. მაგრამ ვინ მოქმედებს და ასწავლის ასე დღეს?! პრაქტიკულად არავინ. ამიტომაც არ არის სულიერი წინსვლის ნაყოფი არც სამღვდელოებაში და არც მორწმუნეებში. ღმერთს არ მიმართავენ არც მორჩილები და არც სამღვდელონი ამიტომაც ისინი ღაპარაკობენ და ასწავლიან თავისი ადამიანური ნებით, თავისი ადამიანური ცოდნით და არა ღვთისაგან, რადგან არ ეძებენ ღმერთს არც თვითონ და ბუნებრივია არც ასწავლიან ამას ადამიანებს, ამიტომაც არ არის შედეგი. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ გვწამს სახარებისა, მაშინ უნდა გვწამდეს მასში დაწერილი სიტყვებისაც: “ვინაიდან თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამები ბევრი არა გყავთ, რადგან მე გშობეთ თქვენ ქრისტე იესოში სახარებით.

ამიტომ შეგაგონებთ თქვენ, მომბაძეთ მე, ვითარცა მე ქრისტესა.” (1კორ. 4, 15-16). მივბაძოთ საკუთარი, ადამიანური ნების უარყოფაში, როგორც ამას თვით იესო ქრისტეც ამბობს: “რადგან ზეციდან ჩემი ნების აღსასრულებლად კი არ ჩამოვედი, არამედ მისი ნებისა, ვინც მე მომავლინა” (იოან.ნ, 38) და სხვა ადგილას ამბობს: “ვინც მეუბნება: “უფალო, უფალო!” ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც შეასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს.” (მო.7, 21). და არანაირ სასწაულებს, არ შეუძლიათ შეცვალონ მამაზეციერის ნება. ამრიგად, სიტყვა “მამა”, მორწმუნეთა მიმართვაში უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ზეციერ მამას და არა ხორციელს, ხოლო ის (ღმერთი) ადამიანში იმყოფება მხოლოდ მამის, როცა ადამიანი უარყოფს თავის ნებას, როგორც ეს გვიჩვენებს თვით იესო ქრისტემ, მოციქულმა პავლემ და წმიდა მამებმა. თუ არ არის საკუთარი ნების უარყოფა, არ არის მამის ყოფნაც ასეთ ადამიანთან და ამიტომაც უადგილოა ამ დროს ასეთი მიმართვა. აი ამიტომაც, რომ მოციქული პავლე ამბობს: “...ვინაიდან თუნდაც ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამები ბევრი არა გყავთ.” (1კორ. 4, 15). თუ მოციქული ამბობს 1 საუკუნეში, რომ “მამები ბევრი არა გყავთ”-ო, მაშ რამდენი შეიძლება იყვნენ ისინი ახლა ჩვენთან, ამ სიტყვების თქმიდან 2000 წლის და 70-წლიანი “საბჭოთა” ბატონობის შემდეგ?! მამის არსი მდგომარეობს ვინმეს შობის უნარში, ხოლო ამისათვის მას უნდა ჰქონდეს მამის, ანუ სულიწმიდის თესლი. სწორედ იგი (სულიწმიდა) ეხმარებოდა მოციქულ პავლეს, რომ ეშვა ადამიანები ქრისტეში. (1კორ.4, 15). ხოლო ვისაც ეს სული არა აქვს, ის არც შეიძლება მამა იყოს, იგი სულიერი იმპოტენცია და არა მამა, როგორც ამას სახარება ამბობს: “...ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.” (რომ.8, 9). ანუ არის არა მამა, არამედ უბრალოდ კაცი, ქრისტეს შესახებ ინფორმაციით.

ლექციის “სიტყვა “მამის” არსი”-ს დამატება

უფალი ჩვენი იესო ქრისტე სახარებაში ამბობს: “ნურც მამას უწოდებთ ნურვის ქვეყანაზედ, ვინაიდან ერთი მამა გყავთ – ზეციერი.” (მთ.23, 9). ეს სიტყვები თანაბრად ეხება ყველა ქრისტიანს, სასუფევლის ყოველ მძებნელს. და ხორციელი მამა არსობრივად (არსით) რომ მამა არ არის, ეს გასაგებია ყველასათვის. იმიტომ, რომ ჩვენი დაბადება მასზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ ვიცით, რომ დედის წიაღში ჩასახული ადამიანი ისე ყალიბდება, იზრდება და ემზადება ამსოფლად მოსასვლელად, რომ ამის შესახებ მამას არა აქვს არავითარი წარმოდგენა. ის, მხოლოდ მოგვიანებით, ხშირად რამდენიმე თვის შემდეგ იგებს დედისაგან, (ცოლისაგან), რომ იგი ელოდება ბავშვს. ასევე ჩვენი ხორციელი დედაც, თვით ისიც დაორსულებიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ იგებს, რომ ნაყოფს ატარებს მუცელში. ისიც, ისევე როგორც მამა, ვერ ხედავს და არ იცნობს თავის ბავშვს. ეს უკანასკნელი კი იზრდება მუცელში, ყალიბდება, სრულიქმდება. მშობლები ხშირად მხოლოდ ბავშვის შობის შემდეგ იგებენ თუნდაც იმას, თუ ვინ არის მათი შვილი: ბიჭი თუ გოგო. მაშ ვინ არის ჩვენი ჭეშმარიტი მშობელი? ვინ გვქმნის და გვპერწავს დედის მუცელში, ვინ არის ჩვენი ჭეშმარიტი მამა? აი, რას ეუბნება ღმერთი იერემია წინასწარმეტყველს: “იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი: ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე; ვიდრე საშოდან გამოხვიდოდი წმიდა გყავი, ხალხების ქადაგებად დაგადგინე.” (იერ.1, 4-5). იგივეს ამბობს თავის შესახებ მოციქული პავლეც: “ხოლო როდესაც კეთილინება ღმერთმა, რომელმაც გამომარჩია დედის საშოდან და მომიწოდა თავისი მადლით.” (გალ.1, 15).

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ჩვენი ფიზიკური შობითაც კი დამოკიდებულნი ვართ არა იმდენად ხორციელ მამაზე, რამდენადაც ზეციერ მამაზე. და რომ ხორციელი მამა მხოლოდ იარაღია ღვთის ხელში, რომელიც გვპერწავს (გვქმნის) ჩვენი დედის მუცელში. ზუსტად ასევე ჩვენი ხორციელი დედაც წარმოადგენს მხოლოდ იარაღს საღვთო განგებისა. კარგად ამბობს ამის შესახებ პრესვიტერი ეპიტექტე წარმართ ჭაბუკ ასტიონთან საუბრისას: “საყვარელო! ესეც იცოდე, რომ მამა შენი, რომელმაც ხორციელად გშვა, არ არის შენი ჭეშმარიტი მამა, რადგან მან შვა მხოლოდ შენი ხრწნადი ხორცი, რომელიც მალე კვდება. არამედ შენი ჭეშმარიტი მამა არის ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელმაც შენი უკვდავი სული შექმნა და შთაბერა ხორცში, რომელიც მისივე ბრძანებით ჩაისახა: სხვა არის ხილული მამა და სხვაა – უხილავი. ხილული მამა მოკვდავია, დროებითი, უბედურებებსა და სატანჯველებს დაქვემდებარებული და არაფრის შემძლებელი; უხილავი მამა კი უკვდავია, მარადიული, და არავითარ ტანჯვას არ ექვემდებარება, ყოვლისშემძლეა და ყოვლისა თვისთა ხელთა შინა მპყრობელი. მან თქვა და შენ იქმენ დედის წიაღში; მან ინება და შენ გამოხვედი დედის საშოდან. მისი

ნებით მიადწიე შენ სიჭაბუკის ამ ასაკს. და თუკი ბავშვები უნდა ემორჩილებოდნენ ხორციელ მშობლებს, რამდენად უფრო მეტად მას, რომელმაც შეგექმნა ჩვენ თავის ხატად და მსგავსად და მოგვცა ჩვენ აზრი და გონება და დაგვადგინა მეუფედ მისი ხელითქმულზე და ჩვენ - მისი მონები დაგვიახლოვა თავისთან და გვეო ძეებად და ძმებად და მეგობრებად თავისი მადლით. მხოლოდ მას, ჩვენს ჭეშმარიტ მამას, რომელმაც მოგვცა ჩვენ ამდენი სიკეთე, უნდა ვცნობდეთ, ვყვარობდეთ, პატივს ვცემდეთ და ყოველთვის თაყვანისვცემდეთ მას.” (“ცხოვრება წმიდათა ეპიტქეტე პრესვიტერისა და ასტიონ მონაზონისა.” ხსენება 7 ივლ. (ძვ. სტ.) წმ. დიმიტრი როსტოველის წიგნიდან: “წმიდათა ცხოვრება.”)

ასევე ჩვენი ხორციელი დედაც, ღვთის განგებით, წარმოადგენს იარაღს ჩვენი ხორციელი შობისა და ზრდისათვის დროებით ცხოვრებაში. მაგრამ, როგორც სახარება ამბობს ეს არ არის საკმარისი სასუფეველში შესასვლელად, არამედ საჭიროა კიდევ, რომ ვიშვეთ ზემოდან, სულით, ანუ საჭიროა ადამიანისათვის, რომ იშვეს მეორედ: “მიუგო იესომ და უთხრა მას: “ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს.”” (იოან.3, 3). მაგრამ როგორ შეიძლება ეს მოხდეს? და გააკვირვებულმა ნიკოდიმოსმა უთხრა მას: “როგორ შეუძლია კაცს იშვას, თუ იგი მოხუცია? ნუთუ შეძლებს თავისი დედის მუცელში მეორედ შევიდეს და იშვეს?” (იქვე). ადამიანის ხორციელი გონებისათვის იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია თუ როგორ შეიძლება მეორედ, ანუ ზევიდან შობა? მით უმეტეს, რომ ქრისტეს თანამოსაუბრე გახლავთ ნიკოდიმოსი – მოსეს სჯულის მასწავლებელი ისრაელის ხალხში. “მიუგო იესომ: “ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც წყლისა და სულისაგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში.”” (იოან.3, 5). და იმისათვის რათა გასაგები გახადოს, როგორ შობაზეა საუბარი, იესო უმატებს: “ხორცისაგან შობილი ხორცია და სულისაგან შობილი სულია. ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ ხელახლა უნდა იშვათ-მეთქი. სული ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი.” (იოან.3, 6–8).

ჩვენ ყველამ, ვიცით, რომ ადამიანს ხორციელად შობს დედა. მაგრამ ვინ შობს მას სულით, ე.ი. ზემოდან? ვინ არის სულიერი დედა? ამის პასუხად მოციქული პავლე ამბობს: “...ქმარი არის ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი და ის არის სხეულის მაცხოვარი.” (ეფეს.5, 23); და იმავე ეპისტოლეში ნათქვამია: “და ყოველივე დაუმორჩილა მის (ქრისტეს) ფერხთა ქვეშ და დააყენა იგი ყველაზე მადლა, თავად ეკლესიისა, რომელიც მისი სხეულია.” (ეფეს.1, 22-23).

ზემომოყვანილიდან მკაფიოდ ჩანს, რომ სულიერად ქრისტე, რომელიც თავია ეკლესიისა, არის ქმარი, ხოლო ეკლესია – კი ცოლი. იგივეა

ე.ი. სწორედ ეკლესია შობს ადამიანს სულით (ან: სულის მიერ), როგორც წერია გამოცხადებაში იქვე: “და შვა ძე...” (გამოცხ. 12, 4-5). აქ, დედაკაცი სახეა ეკლესიისა, რომელიც თვითონ იმყოფება ღვთის სულში (ანუ ეკლესიის წევრები) და თავისი გამოცდილი წევრების მეშვეობით შობს ახლებს, როგორც ამის შესახებ ამბობს მოციქული პავლე: “რადგან მე გშობეთ თქვენ ქრისტე იესოში სახარებით.” (1კორ.4, 15), ან კიდევ: “გთხოვ ჩემს შვილ ონისიმზე, რომელიც ვში ჩემს ბორკილებში.” (ფილიმ. 10). და ისინი, რომელთა მეშვეობითაც ხდება ქრისტიანთა სულით შობა, სინამდვილეში თავზე ევლებიან თავს ჩვილებს ქრისტეში ისე, როგორც დედა საკუთარ ბავშვს: “...მშვიდად ვიქცეოდით თქვენს შორის, როგორც მეტუქური, თავის ბაღლებს რომ შეფოფინებს.” (1თეს.2, 7).

იმავეს ამბობს პრესვიტერი ეპიტეტე ეკლესიის, როგორც ქრისტიანის სულიერი დედის შესახებ: “ასევე, ჩვენი ჭეშმარიტი დედა ის კი არ არის, რომელიც გვშობს ამ სოფელში ხორციელად, არამედ ის, რომელიც ჩვენს მაცხოვარზეა დაწინდული, ანგელოზთაგან პატივცემული შემკული წინასწარმეტყველთა მიერ, მოციქულთაგან განდიდებული, მოწამეთა და აღმსარებელთა მიერ ამაღლებული, მასვე უფალმა ქრისტემ ზეციური საცხოვრისი მოუმზადა; ადამიანთაგან ეს წმიდა დედა ეკლესიად იწოდება, და ხმა მისი არის ვითარცა ხმა მზრუნველი გვრიტისა ბარტყების მიმართ, და მისი ბაგეებიდან მოედინება მოციქულთა სწავლების მირონი, მისი თვალები – ჭეშმარიტი რწმენაა და დაუეჭვებელი იმედი ღვთისა; ხოლო მისი ხელები გარდამოადინებენ ზეთს კეთილმოქმედებათა, მოწყალებითა და სიყვარულით ქმნულთ; მისი ორი ძუძუ – ორი აღთქმაა, ძველი – წინასწარმეტყველთაგან სწავლებული და ახალი – მოციქულთაგან ნაქადაგარი, წმიდა ნათლისღებით კი უკვდავებაში შობს თავის შვილებს.” (“ცხოვრება წმ. ეპიტეტე პრესვიტერისა და ასტიონე მონაზონისა.” 7 ივლისი (ძვ. სტ.)).

სულიწმიდით შობის შესახებ

დღეისათვის მართლმადიდებლურ ეკლესიაში საყოველთაოდ მიიჩნევა, რომ ნათლისღება მოიცავს ორ ქრისტიანულ საიდუმლოს: წყლით ნათლობას და სულით ნათლობას, რომლის ბეჭედიცაა მირონცხება. წყლით ნათლობა გულისხმობს სინანულით ნათლობას, რომელსაც სერიოზული მომზადება სჭირდება მოსანათლავის მხრიდან, რის შემდეგაც ის უნდა გამოიცადოს გარკვეული დროის მანძილზე, არა ქრისტიანობის ცოდნაში, არამედ მის შესრულებაში. და მხოლოდ ისინი, ვინც გამოიჩინენ მტკიცე გადაწყვეტილებას იცხოვრონ ქრისტიანულად, ანუ შეუდგნენ ქრისტეს რწმენის გზას, შეიძლება დაშვებულ იქნან წყლით ნათლისღებაზე. სამწუხაროდ, დღევანდელ პრაქტიკაში ეს არ ხდება. ნათლისღება კულტურულ ტრადიციადაა ქცეული. რაღა ვთქვათ სულით ნათლისღების შესახებ, რომელსაც მირონცხებას ვუწოდებთ. მისი აზრი და დანიშნულება არამცთუ ხალხს, სამღვდელთა უმეტეს ნაწილსაც კი არ ესმის. მთელი უბედურება იმაშია რომ ეს არც არავის გვანტერესებს. ნებისმიერ ჩვენთაგანს რომ ჰკითხოს კაცმა, მიუუგებთ: მონათვლით ადამიანი ქრისტიანი ხდება, და შესაბამისად ქრისტეს ეკლესიის წევრი, რის გარეშეც შეუძლებელია ხსნა – ცათა სასუფეველის დამკვიდრება. საინტერესო იქნებოდა დაგვესვა შეკითხვა: ისინი კი დაიმკვიდრებენ, ვინც ფორმალურად მოინათლა და ძველებურად წარმართულ ცხოვრებას განაგრძობს? არამცთუ სასუფეველზე, აქ ქრისტიანობაზეც არაა ლაპარაკი – არც მონათლულის და არც მომნათვლელის, ანუ ღვთისმსახურის მხრიდან. რამეთუ თუ ასე ადვილია ქრისტიანად გახდომა, მაშინ თანამედროვე სამღვდელთაგანთან შედარებით ძალიან უმაღლო და უბედური მოჩანს მოციქული პავლე, რომელიც ამბობს: “...გახსოვდეთ, რომ სამ წელიწადს, დღე და ღამე, განუწყვეტლივ ცრემლით ვასწავლიდი თითოეულ თქვენგანს.” (საქმ.20, 31). ან კიდევ: “ჩემო შვილებო, რომელთათვისაც ჯერაც განვიცდი მშობიარობის ტკივილებს, ვიდრე თქვენში გამოსახება ქრისტე.” (გალ.4, 19). გარდა ამისა ეკლესიის ისტორიიდან და წმ. მამათა მოძღვრებიდან ცნობილია, (მაგ. იხ. კირილე იერუსალიმელის “ტრაქტატი კათაკმეველთა შესახებ”), რომ ნათლობის მისაღებად საჭირო იყო ხანგრძლივი, გულმოდგინე მომზადება და იყო ხშირი შემთხვევები, როდესაც მსურველნი ვერ აბარებდნენ გამოცდებს და არ იყვნენ დაშვებულნი ნათლობაზე. დღეს კი, რა გამოდის? მოციქულ პავლეს და კირილე იერუსალიმელს 3 წელი სჭირდებოდათ, რომ მოსანათლავებში “გამოესახათ ქრისტე,” დღევანდელი სამღვდელთათვის კი ამისათვის საკმარისია ერთი საათი, ხანდახან ნაკლებიც. საწყალი მოციქულები და წმიდა მამები მათთან შედარებით!

აქ არ არის ლაპარაკი, როგორც შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, ნათლობის არაჭეშმარიტებაზე. არა, ნათლობა ჭეშმარიტია და ის

აღესრულება, მაგრამ საცოდავია ასეთი ადამიანი, როგორც ამის შესახებ წერს სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, რადგან მან ისე, რომ ვერც კი გაიგო, რა მოხდა მის თავზე ამ “რიტუალში,” უბრუნდება ადრინდელ ცხოვრებას. ხოლო მისმა მომნათლავმა ჩაიდინა ისეთივე უგუნურება, როგორც მაგალითად, თავდახურულ ჭურჭელში წყლის ჩასხმაა. წყალი ხომ მთლიანად დაიდვრება! ასევე სულიწმიდის მადლი, რომელიც ენიჭება მონათლულს, გადმოდის მასზე, მაგრამ მისი მოუმზადებლობის გამო, ვერ შედის და ვერ მკვიდრდება მასში. ეს კი ქრისტიანისათვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს: “ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში?” (1კორ.3, 16) - ამბობს მოციქული პავლე. დღევანდელი “ქრისტიანები” არა თუ არ ემზადებიან, მათ არც კი სმენიათ რაიმე ამის შესახებ. მთავარი კი ნათლობისას ხომ სწორედ ის არის, რომ მორწმუნემ დაამყაროს კავშირი სულიწმიდასთან, და არა მარტო ნათლობისას, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე. იმიტომ, რომ ამის გარეშე ჩვენ ვერ მივიღებთ ქრისტეს მიერ განახლებულ ცხოვრებას და განვაგრძობთ, როგორც მოციქული პავლე იტყოდა, ცხოვრებას საკუთარი “ძველი კაცით.”

ის რომ მხოლოდ წყლით ნათლისღებით არ მოდის სულიწმინდა, თუნდაც შეგნებულად და სინანულითაც რომ ინათლებოდეს ადამიანი, და რომ ამისათვის მადლმოსილი ადამიანის სპეციალური ღოცვაა საჭირო, ამას მოციქულთა საქმეებში ვკითხულობთ: “იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა გაიგეს, რომ სამარიაში მიიღო ღვთის სიტყვა, და გაგზავნეს მათთან პეტრე და იოანე, რომლებიც ჩავიდნენ იქ და ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმიდა. ვინაიდან მანამდე არც ერთ მათგანზე არ იყო გადმოსული, მხოლოდ მონათლულები იყვნენ უფლის იესოს სახელით.” (საქმ.8, 14-17).

მაგრამ, ამავე დროს, სულიწმიდა არ ელოდება არავის და არაფერს, და როდესაც ხედავს, რომ ადამიანები მზად არიან მის მისაღებად, მოუნათლავებზეც კი გადმოდის, თანაც მოციქულების დაუკითხავად: “პეტრე ჯერ კიდევ ლაპარაკობდა ამ სიტყვას, რომ სულიწმიდა გადმოვიდა ყველაზე, ვისაც ესმოდა ეს სიტყვა. მორწმუნენი წინადაცვეთილთაგან, რომლებიც პეტრეს მოჰყვნენ, გაოცდნენ, რომ სულიწმიდის ნიჭი წარმართებსაც მოეფინათ, რადგან ესმოდათ, რომ ლაპარაკობდნენ ენებზე და აღიდებდნენ ღმერთს. მაშინ მიუგო პეტრემ: “ვის შეუძლია წყლით ნათლისღება დაუკავოს იმათ, ვინც ჩვენსავით მიიღეს სულიწმიდა?” და უბრძანა მათ, მონათლულიყვნენ იესო ქრისტეს სახელით. მაშინ სთხოვეს მას, რამდენიმე დღეს დარჩენილიყო მათთან.” (საქმ.10, 44-48).

როგორც ვხედავთ, კომენტარი ზედმეტია. აქ სული ღვთისა მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი, აქტიური პირი. ჩვენთან ურთიერთობაში რომ ის არის წარმმართველი, მოქმედი პირი, ჩვენ კი მხოლოდ დამორჩილებულნი და დამოკიდებულნი მასზე, ეს ნათლად ჩანს უფლის სიტყვებიდან ნიკოდიმოსის მიმართ: “ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი:

თქვენ ხელახლა უნდა იშვათ-მეთქი. სული ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი.” (იოან.3, 7-8).

ამ საუბრის დასაწყისში (იოან.3,1-6) უფალი ნიკოდიმოსს დამაჯერებლად ეუბნება, რომ საჭიროა მეორედ, ანუ წყლისა და სულისაგან შობა, და “ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევაღვთის სასუფეველში.” (იოან.3, 5). შემდეგ, უფრო გასაგები რომ გახადოს გაკვირვებული ნიკოდიმოსისთვის, თუ რისი მსგავსია ეს სულიერი შობა, უხსნის მას, რომ როგორც ქარი ქრის სადაც უნდა და მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი საიდან მოდის და საით მიდის, ანუ იგი შენგან დამოუკიდებლად მოქმედებს, ასევეა სულიც, მისი ხმა გესმის, მაგრამ შენ კი არ განსაზღვრავ მის მოქმედებას, არამედ თავად ის, ისე რომ არ გეკითხება შენ ამის შესახებ. და ეს ხდება არა რომელიმე ქრისტიანის, ან წმინდანის შემთხვევაში, არამედ “ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი,” ანუ ყველა, ვინც უნდა შევიდეს ცათა სასუფეველში. დღეს მრავალი, მათ შორის ღვთისმსახური და მოძღვარი იკითხავს: ეგ როგორ შეიძლება მოხდესო? პასუხს ისინი იპოვიან იქვე, თუ გააგრძელებენ საუბრის კითხვას: “ნიკოდიმოსმა მიუგო და უთხრა მას: “როგორ შეიძლება მოხდეს ეს?” მიუგო იესომ და უთხრა მას: “შენ ისრაელის მოძღვარი ხარ და განა ეს არი იცი?” (იოან.3, 9-10). ხედავთ როგორ პასუხობს ამ სამდღელოებას და მოძღვრებს ქრისტე: “როგორ, ეს არ იცი? შენ, რომელიც ისრაელს უნდა ასწავლიდე ამას, თვითონ არ იცი?” და თუ ძველი აღთქმის მოძღვარს კიდევ რამენაირად ეპატიებოდა ამის უმეცრება, დღეს, ჩვენს მოძღვრებს არაფრით არ ეპატიებათ! ფაქტიურად, ვინც ამას უარყოფს, ანუ სულით შობას, ის უარყოფს ქრისტესაც. ზოგიერთი ამის შესახებ იტყვის, ეგ ორმოცდაათიანელობის ერესს გავსო. მათ ამის პასუხს, სხვებზე უკეთ, წმ. სერაფიმე საროველი სცემს, რომელიც ამბობს, რომ ქრისტიანის ცხოვრების მთავარი მიზანი სულიწმიდის მოპოვება და მოხვეჭაა. (იხ. “წმ. სერაფიმე საროველის საუბარი მოტოვილოვთან ქრისტიანის ცხოვრების მიზნის შესახებ.”) ხოლო ზოგს ჰგონია და ამბობს, რომ ნათლობის დროს მათ შეიმოსეს სულიწმიდა, მაგრამ ეს მოხდა საიდუმლოდ და მათთვის შეუცნობლად, და რომ ეს ასეც უნდა იყოს. მაშინ როცა სწორედ ამის შესახებ წერს წმიდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი თავის 63-ე საუბარში, სადაც ეკითხება ასეთ ქრისტიანებს: “კვლავ და კვლავ მსურს გესაუბროთ მათ შესახებ, რომლებიც ამბობენ, რომ სულიწმიდას ფლობენ შეუცნობლად, რამეთუ ფიქრობენ, რომ ღვთაებრივი ნათლისღების შემდეგ დაიუნჯეს სულში უღვეი საგანძური მადლმოსილებისა, თუმცა თავიანთ თავებს თუ ჩაუკვირდებოდნენ, მყისვე დაინახავდნენ, თუ რაოდენ განძარცვული არიან სულიწმიდის მადლისაგან. იმათ შესახებაც მსურს გესაუბროთ, რომლებიც აღიარებენ, რომ სულიწმიდის გარდამოსვლის მსგავსი რამ არ შეუგრძენიათ ნათლისღებისას, თუმცადა არ უარყოფენ იმას, რომ ნათლისღების შემდგომ მათში დაემკვიდრა ღვთაებრივი სული და დღემდე

განაცხოველებს; მსურს გესაუბროთ აგრეთვე იმ ადამიანებზე, რომლებიც ამბობენ, რომ არასდროს ხელშესახები და აშკარა არ ყოფილა მათთვის სულიწმიდის მადლი, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მიიღეს და შეითვისეს სულიწმიდა არა გამოცდილებით, არამედ რწმენით, გონებით, რამეთუ შეისმინეს და ყურადიღეს საღმრთო წერილში ნაქადაგები. ჩვეულებისამებრ ისინი ასე მსჯელობენ: “რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელგვიღებდეს, ქრისტე შეგვიმოსიეს”, ვითარცა იტყვის წმ. მოციქულიო, ასე რომ, რაკილა იესო ქრისტეს სახელით მოვინათლეთ, მისივე ნათელში დავივანეთო. მე მსურს ვკითხო იმ ადამიანებს: თუკი თქვენ ქრისტე შეგიმოსავთ, მაშინ მიპასუხეთ – ვინ არის ქრისტე? რაღა თქმა უნდა იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთია, ჩვეულებრივ მოკვდავთა განმდმრთობი. მაგრამ ის, ვინც ქრისტეს შეერწყა, ალბათ ისიც შეიგრძნო უეჭველად, ვის შეერია. ვითარცა შიშველი, ოდეს შეიმოსება, სამოსელს შეიგრძნობს და ხედავს კიდევ, ასევე შიშველი სული, ოდეს უფალს შეიმოსავს, კიდევ უნდა გრძნობდეს და ხედავდეს ყოველივეს. თუკი ადამიანი, ღმერთშემოსილი ვერ გრძნობს ვითარ განდმრთო, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უსიცოცხლო არსებია: რამეთუ მხოლოდ მიცვალებულები ვერ შეიგრძნობენ, როდესაც მათ ტანისამოსს აცმევენ. ამიტომ, ვშიშობ, მეკვდრები ან შიშველები არ იყვნენ სინამდვილეში ის ადამიანები, რომლებიც ასე მსჯელობენ... სულიწმიდაზე, რომლის შესახებაც ცხარედ კამათობთ, და ამტკიცებთ, რომ იგი თქვენს სულებში აღეგზნო და თვალისმომჭრელი ნათლით ბრწყინავს, ნუთუ ფიქრობთ, რომ ეს ნათება სავსებით შეესაბამება იმ ყოვლისმომცველ ნათებას, რომელიც სულიწმიდის არსშია ჩადებული? მაგრამ ეს ადამიანები არამცთუ ვერ პასუხობენ ამ შეკითხვაზე, არამედ ცივად იბრუნებენ პირს, თითქოს საშინელი მკრეხელობა სმენოდეთ. შემდეგ, როდესაც გულს ოდნავ მაინც დაიმშვიდებენ, აქეთ გვეკითხებიან: “განა ვინმეს ძალუძს თქვას, რომ ხედავს ანდა ოდესმე უნახავს სულიწმინდა? თავი დაანებე მკრეხელობას და წმ. წერილი გაიხსენე: “ღმერთი არავინ სადა იხილა.” (იოან.1, 18) მითხარ, ადამიანო, ვინ სთქვა ეს? “მხოლოდშობილმან ძემან, რომელი იყო წიადთა მამისათა, მან გამოსთქვა.” მართალს ამბობ და ჭეშმარიტებას დალადებენ ბაგენი შენნი... მისმინე, რას ამბობს თავად იესო ქრისტე: “რომელმან მიხილა მე, იხილა უფალი, იხილა მამაი ჩემი.” (იოან.14, 9)... თუ რამდენად ძალუძთ ადამიანებს იხილონ უფალი, ამის შესახებ თავად იესო ქრისტეს მოვუხმინოთ: “ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.” (მთ.5, 8). ამაზე რაღას იტყოდ? თუმცა წინასწარ ვიცი, რასაც მიპასუხებ: დიახ, მართლაც იხილავენ უფალს წმინდანი გულითა, მაგრამ არა სააქაო, არამედ საიქიო ცხოვრებაშიო, რამეთუ ვერ გირწმუნებია იმ მადლის არსებობა, რითაც უფალი თითოეულ ჩვენგანს ამწყვალობებს. არც მოუთმენლად ეშურები მიიღო ზეციური მადლი და იმქვეყნიური ცხოვრებისაკენ გაგირბის გული და გონება. მითხარ, ძვირფასო, როგორ შეძლებ იხილო უფალი იმქვეყნად, როდესაც აქ ვერ მოგიხერხებია ეს? თუკი უფალმა ბრძანა, რომ მხოლოდ წმინდა გულს ძალუძს მისი ჭვრეტა, მაშინ თითოეულ ჩვენგანს გულის

განწმენდისთანავე ღმერთი შეუძლია იხილოს. თუკი ოდესმე შეძლებს გულის განწმენდას, დამერწმუნე, მყისვე იხილავ უფალს და ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაშიც ეჭვი აღარ შეგეპარება. მაგრამ აზრადაც არ მოგსვლია გულის განწმენდა და აბა, საიდან დაიჯერებდი, რომ ჭეშმარიტად არის შესაძლებელი ამჟამად მაინც უფლის ჭვრეტა. თუ მეტყვი, რომ უფალს ჭვრეტენ მხოლოდ სიკვდილის შემდგომ, მაშინ იმაშიც უნდა დამეთანხმო, რომ გულის შემუსვრილება მხოლოდ სიკვდილის შემდგომ არის შესაძლებელი. ამრიგად, თუ დაგიჯერებ, უფლის ჭვრეტა არც სიკვდილამდე და არც სიკვდილის შემდეგ არ ყოფილა შესაძლებელი, რამეთუ სიკვდილის შემდეგ სათნოებებს ვეღარ ჩავიდნით, რათა მათი საშუალებით მაინც შევძლოთ გულის განწმენდა. უფალი იესო ქრისტე კი აი, რას ამბობს: “რომელსა აქუნდეს მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს ივინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე; ხოლო რომელსა უყუარდე მე... მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი.” (იოან.14, 21). რას გულისხმობს უფალი იესო ქრისტე – აწმყო თუ მომავალ ცხოვრებას? რასაკვირველია აწმყოს, რაკიდა მცნებათა აღსრულება მხოლოდ სააქაო ცხოვრებაშია შესაძლებელი და ამისდა კვალად იესო ქრისტე გვწყალობს და გვაცხოვნებს... იმის თაობაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი უფლის ჭვრეტა აწმყო ცხოვრებაში, კვლავ პავლე მოციქულს მოვუსმინოთ: “რამეთუ ვხედავ აწ, ვითარცა სარკითა და ხატითა, ხოლო მაშინ პირსა პირის-პირ.” (1კორ.1, 13). მაგრამ მავანი იტყვის: ეს ხომ პავლემ თქვაო. ამაზე მათ ასე ვუპასუხებდი: განა პავლე ჩვეულებრივი მოკვდავი არ იყო მთელი თავისი ადამიანური მისწრაფებებით? ისინი კვლავ მომიგებენ: ამაყო და დაუჯერებელი ადამიანო, ვინ შეედრება ღვთაებრივ მოციქულს? ჩვენ ცოდვილებს ვითარ გვადარებ უფლის მოციქულს? მათ პასუხად თავად პავლე მოციქულის სიტყვებს მოვიშველიებ: “რამეთუ ქრისტე იესო მოვიდა სოფლად ცოდვილთათვის ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ.” (1ტიმ.1, 15). ამგვარად ცოდვილთაგან პირველიც ის გადარჩა. შენც, დაე, მეორე იყავ, თუნდაც მესამე, მეოთხე, მეათე, მეათასე გადარჩენილთა შორის – მაშინ მიედრები პავლე მოციქულს, დააფასებ მას და მის ნათქვამს: “მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა.” (1კორ.11, 1) და კვლად: “რამეთუ მნებავს, ყოვლისა კაცისა ყოფად, ვითარცა თავი ჩემი.” (1კორ.7, 7) (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1993 წ., სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, სამოცდამესამე სიტყვა).

თუკი მეათე საუკუნეში იყვნენ ისეთი ქრისტიანები, რომლებიც ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს მამას ხიბლში და ცდომილებაში მყოფად თვლიდნენ, მითუმეტეს არ არის გასაკვირი, რომ დღეს ასეთი “ქრისტიანები” ეკლესიის სათავეში არიან და შეეწინააღმდეგებიან ჭეშმარიტ ქრისტიანულ მოძღვრებას. მადლობა ღმერთს, რომ სიმეონ ახალ ღვთისმეტყველზე მაინც ვერ მოუბრუნდებათ ენა და ვერ იტყვიან ორმოცდაათიანელების ან კიდევ სხვა ვინმეს გაველენის ქვეშ არისო.

მივყვეთ პავლე მოციქულის მოქცევის ამბავს: “კაცები კი, რომლებიც

მასთან ერთად მიდიოდნენ, უსიტყვოდ იდგნენ: ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერავის ხედავდნენ. სავლეთ წამოდგა მიწიდან, თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერავის ხედავდა. ხელი მოჰკიდეს მას და ისე შეიყვანეს დამასკოში... წავიდა ანანია, შევიდა იმ სახლში, დაასხა მას ხელები და უთხრა: “ძმაო საულ, უფალმა გამოგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე, სადაც მიდიოდი, რომ თვალები აგეხილოს და აღივსო სულიწმიდით.” (საქმ.9, 7-8; 17). აქაც და ყველგან, უფალი ელაპარაკება ადამიანებს თავისი სულიწმიდით. იმავეს შესახებ ამბობს წმ. სერაფიმე საროველი: “ჩვენ, დღეისათვის, – ასე პასუხობდა წმ. მამა, – ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიმართ რწმენაში საერთო გაცივების, მისი ჩვენ მიმართ ღვთაებრივი განგებულებისა და ადამიანის ღმერთთან ურთიერთობაში გულგრილობის პირობებში, იქამდე მივვლით, რომ თითქმის მთლიანად ჩამოვცილდით ჭეშმარიტად – ქრისტიანულ ცხოვრებას. ჩვენ ახლა უცნაურად გვეჩვენება საღვთო წერილის სიტყვები, როცა სული ღვთისა მოსეს ბაგეებით ამბობს: “მოესმათ ხმა უფალი ღმერთისა, რომელიც სადამო ხანს ბაღში მიმოდოდა,” (დაბ.3, 8), ან კიდევ, როდესაც მოციქულ პავლესთან ვკითხულობთ: “მივდივართ აქაიისკენ და სული ღვთისა არ მოდის ჩვენთან, გამოვბრუნდით მაკედონიისკენ და სული ღვთისა ჩვენთან იყო.” არაერთხელ, წმ. წერილის სხვა ადგილებშიც არის ლაპარაკი ადამიანებთან ღვთის გამოცხადებაზე. და აი, ზოგიერთები ამბობენ კიდევ: “გაუგებარია ეს ადგილები: ნუთუ ადამიანებს ასე აშკარად შეეძლოთ ღვთის ნახვა?” ხოლო გაუგებარი აქ არაფერია. ეს გაუგებრობა წარმოიშვა იმის გამო, რომ ჩვენ დავშორდით პირველდაწყებითი ქრისტიანული ხედვის უბრალოებას და განათლების საბაბით შევედით ისეთ სიბნელეში, რომ წარმოუდგენლად გვეჩვენება ის, რასაც ძველები იმდენად აშკარად და ნათლად ხედავდნენ, რომ ადამიანებს შორის ჩვეულებრივ საუბარში ღვთის ხილვის შესახებ ვინმეს ნათქვამი, უბრალო გაკვირვებასაც არ იწვევდა. ასე მაგალითად: იობი, როდესაც მისი მეგობრები ადანაშაულებდნენ, რომ ის ჰგმობს ღმერთს, პასუხობს: “როგორ შეიძლება ეს იყოს, როდესაც (მე) ვგრძნობ ყოვლისმპყრობელის სუნთქვას ჩემს ნესტოებში?” ანუ, როგორ შეიძლება ღმერთს ვგმობდე, როცა სულიწმიდა ჩემთან არის. მე რომ ღმერთს ვგმობდე, სულიწმიდა განმემორებოდა ჩემგან, ხოლო მე მის სუნთქვას ვგრძნობ ჩემს ნესტოებშიო.” (“წმ. სერაფიმე საროველის საუბარი მოტივილოვთან ქრისტიანული ცხოვრების მიზნის შესახებ,” მე-5 თავი, II აბზაცი).

იმის დამადასტურებლად, რომ ღმერთი ხმით ელაპარაკება ადამიანებს, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ბიბლიიდან: “აჰა ხმა ციდან მეტყველი: “ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე მოვიწონე.”” (მთ.3, 17). “ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოდის უამბო, და უკვე დადგა კიდევ, როცა მკვდრები მოისმენენ ღვთის ძის ხმას და მსმენელნი გაცოცხლდებიან.” (იოან.5, 25). “მამაო, განადიდე სახელი შენი! ზეციდან მოვიდა ხმა: “განვადიდე და კვლავაც განვადიდე.” (იოან.12, 28). “მიუგო იესომ და უთხრა: “ჩემთვის კი არ იყო ეს ხმა, არამედ თქვენთვის.””

(იოან.12, 30). “ამიტომაც, როგორც სულიწმიდა ამბობს: დღეს, მოისმენთ მის ხმას.” (ებრ.3, 7). “რადგან ის ჩვენი ღმერთია, ჩვენ კი ხალხი მისი სამწყსოსი და ცხვარი მისი ხელქვეითი. ო, დღეს რომ მოგესმინათ მისი ხმა: ნუ გაისასტიკებთ გულებს, როგორც მერიბაში, როგორც გამოცდის დღეს უდაბნოში; რომ გამოცდადეს თქვენმა მამებმა, გამოცდადეს და იხილეს ჩემი ნამოქმედარი. ორმოც წელიწადს მომაბეზრა თავი იმ თაობამ და ვთქვი: “მცდარი გულის ხალხია ისინი და არ იციან მათ ჩემი გზები. ამიტომაც დავიფიცე ჩემი მრისხანების უამს, რომ ვერ შევლენ ჩემს სავანეში.”” (ფს.94, 7-11). “უთხრა პილატემ: “ესე იგი, მეფე ხარ.” მიუგო იესომ: “შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინა. ყველამ, ვინც ჭეშმარიტებიდანაა, ისმენს ჩემს ხმას.” (იოან.18, 37).

ამრიგად, უფალი ამბობს, რომ ყველა, ვინც ჭეშმარიტებისაგანაა შობილი, მას ესმის ღვთის ხმა და ემორჩილება მას. აქედან გამომდინარე, ვისაც ჰგონია, რომ ჭეშმარიტებაში ცხოვრობს და არ ესმის ღვთის ხმა, ის არ არის ჭეშმარიტებისაგან, ე.ი. არ არის ქრისტესი, არ არის ქრისტიანი. მათ ვინც ამბობს, რომ ეს შესაძლებელი იყო ადრე და დღეს ასე არ ხდება, ასე პასუხობს თავად მაცხოვარი: “მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ.” (მთ.28, 20). ასევე პასუხობს პავლე მოციქულიც: “იესო ქრისტე გუშინ და დღეს, იგივეა უკუნისამდე.” (ებრ.13, 8). უფლის ხმა და სიტყვები ისმის მის მცნებებში: “იმ ხალხებივით, რომლებიც გადააშენა უფალმა თქვენს თვალწინ, თქვენც გადააშენდებით, იმის გამო, რომ არ შეისმენთ უფლის, თქვენი ღმერთის სიტყვას.” (2სჯულ. 8, 20). ან კიდევ: “თუ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას და შეასრულებ ყველა მცნებას, რომელსაც დღეს გიცხადებ და წესიერად მოიქცევი უფლის, შენი ღმერთის თვალში.” (2სჯულ.13, 18). “თუ არ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, არ დაიცავ და არ შეასრულებ ყველა მის მცნებას და წესებს, რომელთაც გიცხადებ დღეს, გადმოვა შენზე ყველა ეს წყევლა და გეწევა.” (2სჯულ. 28, 15). “თქვა: თუ გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურს დაუგდებ მის ბრძანებებს და დაიცავ ყველა მის წესს, არ შეგყრი არც ერთ სენს, ეგვიპტეს რომ შევეყარე, რადგან მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი.” (გამოსვ.15, 26). “არ ისმინა ჩემმა ხალხმა ჩემი და ისრაელი არ დამემორჩილა.” (ფს.80, 12). “რადგან ის ჩვენი ღმერთია, ჩვენ კი ხალხი მისი სამწყსოსი და ცხვარი მისი ხელქვეითი; ოი, დღეს რომ მოგესმინათ მისი ხმა.” (ფს.94, 7). “როცა თავისებს გამოუშვებს, იმათ წინ მიუძღვის და ცხვარიც მისდევს მას, რადან იცნობს მის ხმას. უცხოს არ გაჰყვება, გაექცევა, რადგან უცხოთა ხმას არ იცნობს. ეს იგავი უთხრა მათ იესომ, მათ კი ვერ გაიგეს, რას ეუბნებოდა. კვლავ უთხრა იესომ: “ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხვართა. ყველა, ვინც ჩემზე წინ მოვიდა, ქურდი და ავაზაკია, და ცხვარმა არ მოუსმინა მათ. მე ვარ კარი: ვინც შევა ჩემით, გადარჩება. და შევა და გამოვა, და საძოვარს ჰპოვებს. ქურდი მხოლოდ იმისათვის მოდის, რომ

მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. მე იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ და უხვად ჰქონდეთ. მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის. მოჯამაგირე კი, რომელიც არ არის მწყემსი და არც ცხვარი ეკუთვნის, მოსული მგლის დანახვაზე სტოვებს ცხვრებს და გარბის. მგელი კი იტაცებს მათ და ფანტავს. მოჯამაგირე კი გარბის, რადგან მოჯამაგირეა იგი და არ ზრუნავს ცხვრებზე. მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე.” (იოან.10, 4-14).

აქ, ნათლად და გასაგებად, მწყემსისა და ცხვრების მაგალითზე, უფალი ამბობს, რომ ცხვრები ხმით სცნობენ თავის მწყემსს და მიჰყვებიან, სხვებს კი – არა. ასევე მორწმუნე, ვინც ჭეშმარიტად ეძებს ქრისტეს და სხვა არაფერს, არჩევს მის ხმას ათასობით უცხო ხმებს შორის, ესმის ღვთის ხმა, ხმა მისი მცნებებისა და მოწოდებისა, ხმა მისი გაფრთხილებებისა და შემჩნევებისა, სულით გრძნობს და ცნობს და ემორჩილება მას. ასეთი მორწმუნე მრავალ მწყემსს შორის არჩევს ერთ ჭეშმარიტ მწყემსს. ჭეშმარიტ (კეთილ) მწყემსს კიდევ იმითაც გაარჩევთ, ამბობს უფალი, რომ როდესაც მგელი, ანუ საშიშროება გამოჩნდება, ის მწყემსნი, რომელნიც არ არიან ღვთისაგან, გარბიან, იმიტომ რომ მათი მთავარი საზრუნავი შემოსავალისა და ქირის აღებაა თავიანთი მსახურებისათვის და საშიშროებისას თავს შველიან. ხოლო კეთილი მწყემსი, ანუ ვისშიც ქრისტეს სულია, ვისშიც თვითონ ქრისტეა, არ გარბის, არამედ თავს დებს და წირავს სასიკვდილოდ ცხოვართათვის, ანუ მორწმუნეთათვის.

რას ნიშნავს “იესო ქრისტე გუშინ და დღეს – უკუნისამდე იგივეა?” (ებრ.13, 8), ან როცა უფალი მოწაფეებს ეუბნება: “და თქვენთან ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ?” (მთ.28, 20). როგორ შეიძლება იესო ქრისტე ჩვენთან იყოს ყოველთვის, ყოველდღე? მართალია იმ დღეებში, როცა უფალი მიწაზე დადიოდა, იგი ხორციელად იყო მოწაფეებს შორის, მაგრამ ჯვარცმის, აღდგომისა და ბოლოს ამადლების შემდეგ, ის ვერაფრით ვერ იქნება ჩვენს შორის ხორციელად. მის ახალ, მკედრებით აღმდგარ ხორცს ჩვენ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვიხილავთ. მაშ, როგორღაა ის ჩვენთან “ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა?” რა სახით? – მხოლოდ თავისი სულით და სულიწმიდის ხმით.

როდესაც ვამბობთ, რომ “ჩვენთან არს ღმერთი,” რის საფუძველზე ვამბობთ? ჩვენ თვითონ ვართ კი მასთან? თუ ეს ცარიელი სიტყვებია? გვწამს კი ზემოთ მოყვანილი სიტყვებისა?

უფალი ამბობს: “როცა მოვა სული ჭეშმარიტებისა, ის დაგმოდვრავთ თქვენ ყოველსა საქმესა ზედა.” (იოან.16, 13). ისმის კითხვა: სული არ ჩანს და როგორ შეიძლება დამოდვროს მან მიწიერი, ხორციელი კაცი არა რომელიმე ერთ, არამედ “ყოველსა საქმესა ზედა?” უფალი იქვე აგრძელებს: რადგან “თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს და მომავალს გაუწყობთ თქვენ.” (იოან.16,13).

ხოლო როგორ შეუძლია სულს ლაპარაკი ჩვენ ვიციოთ იოან.3,7-8-დან: “სული ქრის, სადაც მოისურვებს,” და მოისურვებს იქ, სადაც ადამიანი თავს უარყოფს (მთ.16, 24). ვისაც უნდა სულიწმიდის მიღება – “უარყავნ თავი თვისი.”

მაგრამ, როგორც მოციქული ამბობს, თუ ჩვენ ხორციელად არ ვცხოვრობთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად ქრისტეს სული გვაქვს, როგორც იტყვიან, ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს: “თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი ღვთის სული ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.” (რომ.8, 9-10).

როგორც თავად უფალი ამბობს სახარებაში, ღმერთი სულია და ჩვენ მას თავყვანი უნდა ვსცეთ არა გარეგნულად, არამედ “სულითა და ჭეშმარიტებით”: “მაგრამ დგება ჟამი და უკვე დადგა, როდესაც ჭეშმარიტი თავყვანისმცემელი თავყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით, რადგან მამაც სწორედ ასეთ თავყვანისმცემლებს ეძებს თავისთვის. ღმერთი არის სული და მისი თავყვანისმცემელი თავყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით.” (იოან.4, 23-24). და თითქოს ამის განმარტებისათვის წერს მოციქული პავლე: “ვინაიდან, რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისა არავინ არაფერი იცის, გარდა ღვთის სულისა. ხოლო ჩვენ მივიღეთ არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისაგან, რათა ვიცოდეთ ღვთისაგან ჩვენთვის მონიჭებული. და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით. სულიერს სულიერით განვმარტავთ. აი, მშვენიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი. ხოლო სულიერი განსჯის ყოველივეს, თავად კი არავისგან არ განისჯება. რადგან ვინ შეიცნო უფლის აზრი, რათა ასწავლოს მას? ჩვენ კი გვაქვს ქრისტეს აზრი“ (1კორ.3, 11-16).

ხსნის გზა

1. ხსნის გზა, ისევე როგორც მიწიერი განათლება, მაგალითად სკოლებში, (10 კლასი), თავის თავში განვითარების მრავალ კლასს შეიცავს: “მასში ცხადდება ღვთის სიმაღლესი რწმენიდან რწმენაში, როგორც წერია: “მართალი იცოცხლებს რწმენით.” (რომ.1, 17). და როგორც მოციქულის სიტყვებიდან ჩანს, ღმერთი თავის ჭეშმარიტებებს გვიცხადებს, როდესაც ჩვენ რწმენის ერთი საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე გადავდივართ. მაგ: ერთი საფეხურია – როცა გვამს ღმერთის არსებობა და მეორეა – გვამდეს, რომ ის არის მთელი სამყაროს შემოქმედი და ა.შ.

2. არსებობს ადამიანური რწმენა და რწმენა ღვთისაგან. ღვთისთვის სათნო არ არის მის გზაზე ადამიანური რწმენითა და ცნებებით სიარული: “ამოდ მადიდებენ, რადგან ასწავლიან ადამიანურ მოძღვრებებსა და მცნებებს” (მთ.15,9) – ამბობს უფალი. ადამიანური გონებისათვის შეუცნობელია ღვთაებრივი რწმენის გამოვლინებები: “იქონიეთ ღვთის რწმენა. ჭეშმარიტად გეტყვით, რომ ვინც ეტყვის ამ მთას: აიწიე და ზღვაში ჩავარდით, და გულში არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, აუსრულდება მას.” (მრკ.11, 23). რწმენა ღვთისაგან არ ემყარება ადამიანურ გონიერებას ან სიბრძნეს, არამედ ჯვარცმული იესო ქრისტეს ძალას, ამიტომაც წერს პავლე მოციქული: “და მეც მოვედი თქვენთან, ძმებო, მოვედი ღვთის მოწმობის საუწყებლად, არა ამაღლებული სიტყვით ან სიბრძნით, რადგან გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა.” (1კორ.2, 1-2). თუ ჩვენ ჭეშმარიტად გვინდა ღმერთი, უნდა დავთმოთ ყველაფერი მისი გულისათვის, როგორც ეს გააკეთა პავლე მოციქულმა: “ახლაც ყველაფერი წაგებად მიმანია ჩემი უფლის იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გულისთვის, რისთვისაც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო და აღმოჩნდე მასში არა ჩემი სიმაღლით, რომელიც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენის მიერ ღვთისმიერი სიმაღლესი რწმენის მიხედვით.” (ფილიპ.3, 8-9).

3. რწმენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვინც გვქმნის დედის მუცელში, ასევე აგრძელებს ჩვენს ჩამოყალიბებას ამ ცხოვრებაში, ოღონდ აქ უკვე მოცემული გვაქვს თავისუფალი ნება, რომელიც უნდა მივანდოთ, გადავცეთ მას ხელში, და არაფერზე არ უნდა ვიზრუნოთ, როგორც ბავშვებმა: “ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.” (მთ. 18, 3). ბავშვებს არა აქვთ რაიმე პრობლემა და საზრუნავი, ისინი არ დადიან სამსახურში და ბაზარში, არ ამზადებენ სადილებს სამზარეულოში, არ ყიდულობენ ტანსაცმელს, და ა.შ., მაგრამ აქვთ ყველაფერი საუკეთესო და დროულად. სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს

უფალი, როცა გვეუბნება: “რომელ თქვენგანს შეუძლია ზრუნვით თავის სიმაღლეს ერთი წყრთა შემატოს? სამოსელზე რაღას ზრუნავთ? შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გვეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელ თავის დიდებაში, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი. თუკი მინდვრის ბალახს, რომელიც დღეს არის, ხვალ კი თონეში ჩაიყრება, ღმერთი ასე მოსავს, თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო? ამრიგად, ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ: რა ვჭამოთ? ან: რა ვსვათ? ან: რით შევიმოსოთ? ვინაიდან ყოველივე ამას წარმართნი ეძებენ; ვინაიდან თქვენმა ზეციერმა მამამ იცის, რომ თქვენ გჭირდებათ ყოველივე ეს. თქვენ კი უწინარეს ყოვლისა, ეძიეთ ღვთის სასუფეველი და მისი სიძარტლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ. ამრიგად, ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი საზრუნავი.” (მთ.6, 27-34). “არის კი თქვენს შორის ისეთი კაცი, საკუთარი შვილი პურს სთხოვდეს და ის კი ქვას აძლევდეს? ანდა თევზი რომ სთხოვოს, გველი მიაწოდოს? ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემელთა მიცემა თქვენი შვილებისთვის, რაოდენ უფრო მეტ სიკეთეს მისცემს თქვენი ზეციერი მამა მის მიმართ მთხოვნელთ? ამიტომ, ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ. ვინაიდან ეს არის რჯული და და წინასწარმეტყველნი. შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე. ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს, და მცირედნი ჰპოვებენ მას.” (მთ.7, 9-14).

ვისაც გიჭირთ ცხოვრება, თავს უბედურად თვლით და ვერ პოულობთ გამოსავალს, დაანებეთ თავი ყველა თქვენს პრობლემას, მოდით ჩემთან, – ამბობს უფალი – და მე დაგეხმარებით თქვენ: “მოდით ჩემთან, ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ. იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს. ვინაიდან ჩემი უღელი საამური და ჩემი ტვირთი – მსუბუქი.” (მთ.11, 28-30).

4. აქედან გამომდინარეობს, რომ რწმენა ტკბილია და ადვილი. თუ ვინმე თავს მორწმუნეს უწოდებს და თავის გზაზე ხვდება სიძნელეებს, მაშინ ამის მიზეზია მხოლოდ თვითნებობა, სიჯიუტე, წინააღმდეგობა და არა რწმენა. მოვუსმინოთ, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით მოციქული პავლე: “...ვისწავლე იმით დაკმაყოფილება, რაცა მაქვს. ვიცი ხელმოკლეობაში ცხოვრება და ვიცი სიუხვეში ცხოვრებაც, მიჩვეული ვარ ყველაფერს და ყოველივეს: გაძღომას და შიმშილს, სიუხვესა და ხელმოკლეობას. ყოველივე ძალმიძს ჩემს განმამტკიცებელში, ქრისტეში.” (ფილიპ.4, 11-13). ისევ გავისხენოთ უფლის ზემოთ მოყვანილი სიტყვები: “იქონიეთ ღვთის რწმენა. ჭეშმარიტად გეტყვით, რომ ვინც ეტყვის ამ მთას: აიწიე და ზღვაში ჩავარდით, და გულში არ შეეჭვდება, არამედ

ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, აუსრულდება მას,” (მრკ. 11, 23), ან კიდევ: “...ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ორნი თქვენგან შეთანხმდებიან დედამიწაზე, ითხოვონ ნებისმიერი რამ, მიეცემათ მათ ჩემი მამისაგან, რომელიც ზეცაშია. ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის.” (მთ.18, 19).

5. მაგრამ ხშირად ერთმანეთში ეშლებათ რწმენა და ცოდნა, და არათუ ხშირად, არამედ მუდმივად, როგორც ამის შესახებ ამბობს თავად უფალი, როცა მოწაფეები ეკითხებიან მას მეორედ მოსვლის შესახებ: “...გვითხარი, როდის მოხდება ეს და რა იქნება შენი მოსვლისა და წუთისოფლის აღსასრულის ნიშანი? მიუგო იესომ მათ პასუხად: “...ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისთვის დასამოწმებლად, აი, მაშინ დადგება აღსასრული.” (მთ.24, 3; 14). ანუ უფალი ამბობს, რომ მისი მეორედ მოსვლის დროს სახარება სასუფეველის შესახებ ეცოდინება ყველას, – მთელს მსოფლიოს, მაგრამ როგორი იქნება რწმენა? მაგრამ მიუხედავად ასეთი საყოველთაო ცოდნისა, რწმენას უფალი დედამიწაზე არ მოეღოს, როგორც ამბობს: “...როდესაც ძე კაცისა მოვა, ჰპოვებს ნეტა დედამიწაზე რწმენას?” (ლუკ.18, 8). ანუ ეჭვის ქვეშ აყენებს ადამიანთა რწმენას. სწორედ ამიტომაც მოვა მიწაზე კაცობრიობის არსებობის დასასრული. ამიტომ, როდესაც გვგონია, რომ სარწმუნოების შესახებ ბევრი რამ, თუნდაც ყველაფერი ვიცით, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, იმას, რომ ჩვენ თუნდაც იოტისოდენა რწმენა გაგვაჩნია. იმიტომ, რომ ცოდნა ადამიანთაგანაა, ხოლო რწმენა – კი ნიჭია ღვთისაგან: “უთხრა იესომ: “მე ვარ გზა ჭეშმარიტება და ცხოვრება, მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით.”” (იოან.14, 6), ამავე დროს: “არავის შეუძლია ჩემთან მოსვლა, თუ იგი მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, არ მოიყვანა.” (იოან.6, 44). ანუ აქ პირდაპირი მითითებაა, რომ ღვთის გარეშე რწმენა შეუძლებელია, ისევე, როგორც ხსნა. ხოლო ცოდნა ღვთის შესახებ აქვთ უდმერთო – ათეისტებსაც, მათ ჰქონდათ და აქვთ სპეციალური ინსტიტუტები, სადაც გულმოდგინედ სწავლობენ ბიბლიას, შეიძლება ზოგჯერ უფრო უკეთაც კი, ვიდრე ჩვენს სასულიერო სემინარიებში. მათ ჰქონდათ და აქვთ მუზეუმებში სასწავლომომქმედი ხატები და წმინდანთა ნაწილები, მაგრამ ამან ისინი ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუახლოვა ღმერთს, იმიტომ, რომ თავად ღმერთმა არ დაიახლოვა ისინი. ასევე ჩვენც, ვინც არ უნდა ვიყოთ: მორწმუნე, სემინარიის სტუდენტი, მღვდელმსახური თუ ბერი, როგორც არ უნდა ვეცადოთ ბევრი ვიკითხოთ, ვილოცოთ, ვისწავლოთ და ა.შ., ღმერთთან ეს არ დაგვაახლოვებს, როგორც ამის შესახებ თავად უფალი ამბობს: “ვინც მეუბნება: “უფალო, უფალო!” ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც შეასრულებს ჩემი ზეციური მამის ნება-სურვილს. ბევრი მეტყვის იმ დღეს: “უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ გწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდითო მრავალ სასწაულს?” მაშინ მე განვუცხადებ მათ: “მე არასოდეს არ გიცნობდით

თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა.” (მთ. 7, 21-23).

ასე რომ, როგორც ვხედავთ, თვით წინასწარმეტყველნი და სასწაულმოქმედნი შეიძლება არ იყვნენ ღვთისაგან, როგორც ამის შესახებ გვეუბნება უფალი ძველ აღთქმაში: “თუ გამოჩნდა შენს შორის წინასწარმეტყველი ან სიზმართმხილველი და მოგცა რამე ნიშანი ან სასწაული, და ახდა ეს ნიშანი და სასწაული, რაც გამოგიცხადათ, და გითხრათ: მივმართოთ სხვა ღმერთებს, რომელთაც შენ არ იცნობ, დე ვემსახუროთ, ყურს ნუ დაუგდებ ამ წინასწარმეტყველის ან სიზმართმხილველის ნათქვამს, რადგან გცდით უფალი, თქვენი ღმერთი, იმის გასაგებად, გიყვართ თუ არა უფალი, თქვენი ღმერთი, მთელი თქვენი გულითა და სულით. უფალს, თქვენს ღმერთს, მიჰყევით და მისი გეშინოდეთ, მისი მცნებები შეასრულეთ, მისი სიტყვა გაიგონეთ, მას ემსახურეთ, მას მიეწებეთ. ის წინასწარმეტყველი ან სიზმართმხილველი კი უნდა მოკვდეს, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანათ და მონობის სახლიდან დაგიხსნათ, დაჰგმო მან, რათა იმ გზიდან აეცდინე, რაზეც სიარული გიბრძანა უფალმა, შენმა ღმერთმა.” (2სჯულის.13, 1-5).

ღვთის წინასწარმეტყველის გარდა რომ არიან სხვა წინასწარმეტყველნიც, ამას მოწმობს წინასწარმეტყველ ელიას სიტყვებიც: “უთხრა ელიამ ხალხს: მე ერთი დავრჩი უფლის წინასწარმეტყველი, ბაალის წინასწარმეტყველნი კი ოთხასორმოცდაათი კაცია.” (3მეფ.18, 19-დან ბოლომდე).

უფრო თვალსაჩინოდ, ეს ჩანს მიქეას წინასწარმეტყველებებში. (3 მეფ.22 თავი). ერთ ადგილას წინასწარმეტყველი ეუბნება მეფეს: “გაილაშქრე და გაიმარჯვებ. მეფეს ჩაუგდებს ხელში უფალი,” (3მეფ. 22, 15), ხოლო მეორე ადგილას მუქარით ეუბნება მეფეს საწინააღმდეგოს: “თუ მშვიდობით დაბრუნდი, უფალს არ ულაპარაკია ჩემი პირით,” (3მეფ.22, 28), რაც აუსრულდება კიდევ მეფეს და ბრძოლაში მოკვდება. ყველა ეს ადგილი და კიდევ მრავალი სხვა ამოწმებს, რომ წინასწარმეტყველება და წინასწარმეტყველნი შეიძლება არ იყვნენ ღვთისაგან.

6. როგორც ასობით წინასწარმეტყველთა შორის იყო ერთი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი, ასევე, და უფრო უარესადაცაა საქმე სულიერ მოძღვართა შორის. უკვე პირველივე საუკუნეში, მოციქულთა სიცოცხლეშივე, როცა მადალსულიერი და ძლიერი იყო ეკლესია, მოციქული პავლე ამბობს: “ვინაიდან თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამები ბევრი არა გყავთ, რადგან მე გშობეთ თქვენ ქრისტე იესოში სახარებით.” (1კორ.4, 15). იმიტომ, რომ მამობა ის კი არ არის, ვინმე ვინმეს მოძღვრავდეს და ასწავლიდეს, ან დაიხმოს მამობა, არამედ ის, რომ შვას ადამიანი ქრისტეში. დღეს კი, არათუ ეს არ ხდება, არამედ ჩვენდა სამარცხვინოდ, აღარც კი ვიცით ეს რა არის.

როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმაც მიუთითებს ცათა სასუფევლის გზის სიძნელესა და სივიწროვეზე: “ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს, და

მცირედნი ჰპოვებენ მას.” (მთ.7,14). ამიტომაცაა, რომ ღვთის გზაზე საცთურიც დიდია. უფალი ამბობს: “ერიდეთ ცრუწინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან.” (მთ.7,15), ან კიდევ: “ვინაიდან ბევრი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო! და მრავალს შეაცდენენ.” (მთ.24,5).

მრავალნი იკითხავენ: როგორღაა მსუბუქი და ტკბილი ღმერთის გზა, თუ იგი ასე საშიში და ვიწროა? სწორედ მსუბუქია, ოღონდ ღმერთთან ერთად. მორწმუნე კაცი ყველაფერში მინდობილია ღმერთს, იმდენად, რომ ამ სოფლის ძეთათვის იგი სულელად ჩანს. ამას აღნიშნავს კიდევ მოციქული: “ჩვენ სულელ ქრისტესთვის, ხოლო თქვენ ბრძენ ქრისტეს მიერ; ჩვენ უძღურ, ხოლო თქვენ ძლიერ.” (1კორ.4, 10). ანუ საჭიროა მივინდოთ ღმერთს როგორც დიდ ასევე მცირე, ყოველდღიურ საქმეებშიც, სასიამოვნოშიც და უსიამოვნოშიც, რადგან ისინი ყველა მისგან არის გამოგზავნილი. ასე იქცევა მორწმუნე ადამიანი, ხოლო გონებისმიერი ადამიანისათვის ყველაფერში არსებობს წესები, კანონები, ტრადიციები, მოსაზრებები და ა.შ. აი, ამისაგან წარმოიქმნება სიძნელეები და პრობლემები ყველა ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში.

7. თუ ასე უჭირს კაცობრიობას და ასე ადვილია ღმერთთან, ხოლო სიადვილეს ეძებს ყველა, მაშინ ლოგიკური იქნებოდა გვეთქვა, რომ ყველა გაჰყვებოდა ქრისტეს ოღონდ ადვილად ველოთ. რჩება გავიგოთ როგორ წავიდეთ ამ გზაზე, რა გზაა იგი?

მანამ დავიწყებდეთ ქრისტეს გზის ძებნას, უნდა გავცეთ პასუხი მის იმ პირველ კითხვას, რომლითაც მიმართა მან ნათლისღების შემდეგ მოწაფეებს, რომლებიც დაედევნენ მას, და რომელიც ეხება ყველა ჩვენთაგანს: “რას ეძებთ?” (იოან.1, 38). აი, ამ კითხვას, თავისი სინდისის წინაშე, გულწრფელად უნდა გასცეს პასუხი ყველა ადამიანი. რა უნდა მას საერთოდ? რას ეძებს? და თუ ვინმე გადაწყვეტს აიღოს თავისი ჯვარი და გაჰყვეს ქრისტეს, ასეთებს თვით ქრისტე უჩვენებს ამ მსუბუქ გზას: “ვისაც უნდა რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს.” (მთ.16, 24). ამრიგად:

1. “უარყავ თავი თვისი.” (მთ.16, 24).

2. “გახდი უგნური (სულელი) ქრისტესთვის: “ნურავინ აცდუნებთ თავს. თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს.” (1კორ.3, 18).

3. მოკვდი ქრისტესთვის: “ვფიცავ თქვენდამი ჩემს სიქადულს ძმანო, რომელიც ჩვენ უფალ ქრისტე იესოში მაქვს, რომ ყოველდღე ვკვდები.” (1კორ.15, 31). ასევე ამბობს მოციქული: “და მუდამ სხეულში ვატარებთ უფალ იესოს სიკვდილს, რათა იესოს სიცოცხლეს ჩვენს სხეულში გამოჩნდეს. ვინაიდან ჩვენ ცოცხლები, მუდამ ვეძლევიტ სიკვდილს იესოსათვის, რათა იესოს სიცოცხლეს ჩვენს მოკვდავ ხორცში გამოჩნდეს, ამიტომ ჩვენში სიკვდილი მოქმედებს, ხოლო თქვენში – სიცოცხლე.” (2 კორ.4, 10-12), ან კიდევ: “ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ

მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის ღიღებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით.” (რომ.6, 3-4).

ჩვენ უნდა დაგვარგოთ საკუთარი თავი ქრისტესთვის, (მთ.16, 25), რადგან ყოველი ვინც თვითონ ცდილობს გადაირჩინოს თავი – დაიღუპება, როგორც ამბობს უფალი, ხოლო ვინც დაჰკარგავს თავს ქრისტესთვის, ის მოიპოვებს თავის სულს: “ვინაიდან ვისაც სურს თავის სულს გაუფრთხილდეს, ის დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაკარგავს სულს, ის მოიპოვებს მას.” (მთ.16,25). ასე რომ ხსნა მხოლოდ ღვთის ნების აღსრულებაშია და არა ღმრთის შესახებ ბევრის ცოდნაში, ან საკუთარი ნებით ღვთის მიმართ გულმოდგინებაში.

8. როგორ აღვასრულოთ ღვთის ნება? ამისათვის საჭიროა რომ ის გვინდოდეს და მუდმივად ვეძებდეთ მას. და აქ ჩვენს დასახმარებლად გამოდის უფალი, რომელიც მოითხოვს ჩვენგან, რომ გვიყვარდეს იგი – “ყოვლითა სულითა, ყოვლითა გულითა, ყოვლითა გონებითა და ყოვლითა ძალითა ჩვენითა.” ეს არის ღვთის პირველი მცნება, ამიტომაც მისი პირველ რიგში არ შესრულებით, ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში ყველაზე დიდ ცოდვას ჩავდივართ და უფალიც პირველ რიგში ამის გამო დაგესჯის, თანაც საკმაოდ მკაცრად. აი, ახლა კი ყოველმა ჩვენგანმა ჩაიხედოს თავის თავში და დააკვირდეს რითია დაკავებული მისი გონება, სული, გული და სხეული და ჩვენ დავინახავთ, რომ არათუ მორწმუნენი, არამედ ღვთისმბრძოლნი ვართ. არამცთუ მას არ მივყვებით, არამედ ვებრძვით კიდევაც. იმიტომ, რომ ის მოითხოვს ჩვენგან, რომ ვეკუთვნოდეთ მას. და თუ ჩვენ მართლა გვინდა ხსნა, მაშინ უნდა დავემორჩილოთ იმას, რასაც უფალი ჩვენგან მოითხოვს: “ვისაც უნდა რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი.” (მთ.16, 24). ე.ი. უნდა უარყვოთ საკუთარი გონება, საკუთარი გრძნობები, განცდები და შინაგანი გულის ზრახვანი. ვინც ამას გააკეთებს, ან თუნდაც მიიღებს ამის გადაწყვეტილებას და დაიწყებს ამ გზაზე სიარულს, ის აუცილებლად დაინახავს და შეიცნობს ღმერთს, მას გაეხსნება ცხოვრების სულ სხვა სამყარო და ყოველივე ჩვეულებრივი გახდება არაჩვეულებრივი და ყველაფერი ცუდი გახდება კარგი. ის დაინახავს, რომ ღმერთი არაა ჩვენგან შორს, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია, და არათუ ჩვენს წინაშეა პირისპირ, არამედ კიდევ უფრო ახლოს: ის გალანძღული, შეურაცხყოფილი, შეფუთხებული, ნაცემი და ჯვარცმული, ოღონდ არა სხვა ვინმეს მიერ, არამედ სწორედ ჩვენი დაუმორჩილებელი გონების, გულისა და თავნება სურვილების მიერ. და აი, ის, ასეთი აკაკუნებს მუდმივად ჩვენი გულის კარებზე მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე და ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე მანამ, სანამ ის ითმენს ჩვენს ფურთხებას, ლანძღვას, ცემას და შეურაცხყოფას. ხოლო როდესაც ის საბოლოოდ ხედავს, რომ ჩვენ არ გვინდა იგი, მაშინ სიკვდილით მოგვიწოდებს სამსჯავროზე, რომლის დროსაც წარდგება ღვთის წინაშე და განისჯება ყოველი ჩვენგანი. ამრიგად, ჩვენ ვცოცხლობთ მანამ, სანამ ღმერთი ცოცხლობს ჩვენში.

9. კაცობრიობამ გაიარა თავისი განვითარების ოთხი ძირითადი ეტაპი: I – სამოთხეში, II – განდევნაში (დედამიწაზე), III – მოწოდებაში, მოსეს სჯულის მიერ და IV – ამორჩევაში, მხსნელის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც თვითონვეა სჯულისმდებელი.

რადაც მსგავსს გადის თითოეული ადამიანიც. როგორც ადამი ცხოვრობდა უზრუნველად ჩვენთვის უცნობ სამოთხეში, ასევე ჩვენც არ ვიცით, როგორ ვცხოვრობდით დედის მუცელში. და როგორც ადამი გაგდებული იქნა სამოთხიდან, ასევე გამოდევნის დედა შობის დროს თავის ნაყოფს ამ წუთისოფელში. როგორც ადამს არ უნდოდა დედამიწაზე ცხოვრება, მაგრამ ცხოვრებისაგან მიყენებული დარტყმების გამო იძულებული იყო შეეუბოდა, რათა თავი გადაერჩინა, ასევე ახალშობილიც, რომელიც ევლინება წუთისოფელს, იწყებს ტირილს და სუნთქვაც კი არ უნდა ამქვეყანაზე, მაგრამ უკანალზე დარტყმით მას აიძულებენ ისუნთქოს და შესაბამისად შეეგუოს ახალ ცხოვრებას. ამის შემდეგ გადის უზრუნველი ბავშვობა, არაფრის ცოდნაში, შემდეგ იწყება სწავლა და ამ ცხოვრების კანონების შეცნობა; ხოლო შემდეგ იწყება ამორჩევა: ყოველი ადამიანი თავისუფლად ირჩევს ან ამ დროებით, მიწიერ ცხოვრებას, ან კიდევ მარადიულ, უკვდავ ცხოვრებას – ცათა სასუფეველში.

თუ ვინმე ნამდვილად ამორჩევს მარადიულ ცხოვრებას, მაშინ მას ესმის ღვთისა და ემორჩილება მის ნებას, იცნობს მას, ხედავს ღმერთს და ცოცხალი ურთიერთობა აქვს მასთან და მისთვის ადვილია ღმერთთან თვით ტანჯვის დროსაც კი. ასეთი ადამიანები ცოტაა, მაგრამ ისინი იყვნენ ყოველთვის, ყველა დროში. ასეთები ცოტანი არიან არა იმის გამო, რომ ღმერთი არ აძლევს ამ გზას ადამიანებს, არამედ იმიტომ, რომ ადამიანები, ორიდან ერთის არჩევის დროს, (მიწაზე ცხოვრება ან სასუფეველი), ერთერთის ამორჩევის ნაცვლად, ერთდროულად ირჩევენ ორივეს. და ასეთი არჩევანის შემდეგ ისინი ცხოვრობენ არა ღმერთთან თავისი ნების გარეშე, არამედ ღმერთში თავისი ნებით. მათ იციან ყოველივე ღმერთის შესახებ, თავად ღმერთის ცნობის გარდა. ასეთ “მორწმუნეებს” მოციქული ეუბნება: “...ეუმოწმებ მათ, რომ აქვთ გულმოდგინება ღვთისადმი, ოღონდ არა შეგნებულად. რადგან ღვთის სიმართლე ვერ შეიცნეს და ცდილობდნენ საკუთარი სიმართლის დადგენას და ღვთის სიმართლეს არ დაემორჩილნენ.” (რომ.10, 2-3). იმავეს და უფრო მამხილებლად ამბობს მოციქული სხვაგან: “გამოფხიზლდით ჯეროვნად და ნუ სცოდავთ. ვინაიდან თქვენდა სამარცხვინოდ ვამბობ, რომ ზოგიერთები არ იცნობენ ღმერთს.” (1კორ.15, 34), ან კიდევ: “წმიდათათვის ყველაფერი წმიდაა, ხოლო წაბილწულთა და ურწმუნოთათვის არაფერია წმიდა, არამედ წაბილწულია მათი გონებაც და სინდისიც. ისინი სიტყვით აღიარებენ ღმერთს, საქმეებით კი უარყოფენ, ვინაიდან საძაგელნი და ურჩნი არიან და უვარგისნი ყოველი კეთილი საქმისათვის.” (ტიტ.1, 15-16). “რომელთაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ. ასეთებს ერიდე.” (2ტიმ.3, 5). ან კიდევ, როგორც

ბევლ ალტქმაში ელია წინასწარმეტყველის დროს ერთ ღვთის წინასწარმეტყველზე – ელიაზე, მოდიოდა 450 ბაალის წინასწარმეტყველი და 400 მაღნარის წინასწარმეტყველი, ე.ი. 850 წინასწარმეტყველი, და ყველა ისინი ისრაელის მიერ მიხნეულნი იყვნენ წინასწარმეტყველებად. ამავე თანაფარდობაზეა ლაპარაკი იობის წიგნში: “და თუ ჰყავს ანგელოსი დამმოდვრავი, ერთი ათასიდან...” (იობ.33, 23). ასევე ახალი ალტქმის ეკლესიაში ამასვე ამბობს მოციქული ჰავლეც: “ვინაიდან თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამები ბევრი არა გყავთ...” (1კორ.4, 15). ასევე ხდებოდა ბასილი დიდის დროს, როცა ის, მეგობარი ეპისკოპოსის (ამფილოქე იკონიელის) მიმართ მიწერილ წერილში, ეკლესიის მდგომარეობას ადარებს თავის უიმედოდ დაავადებულ სხეულს. ამაზევე წერს იოანე ოქროპირი, როცა ამბობს: “არავისი ისე არ მეშინია, როგორც ეპისკოპოსებისა,” ამაზევე წერს სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, (XI ს-ში) თავად განდევნილი მონასტრიდან და გადასახლებული კუნძულზე, ამაზევე ამბობს წმ. სერაფიმე საროველი XIX ს-ში, რომ “დიდ სასულიერო პირთაგან” არავინ იცის, თუ რა არის ქრისტიანული ცხოვრების მიზანი; ამასვე წერს ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი XIX ს-ში: “მწარე გლოვის ღირსია სანახაობა: ქრისტიანები, რომლებმაც არ იციან რაში მდგომარეობს ქრისტიანობა.” ხოლო კიდევ 100 წლით ადრე – XVIII ს-ში ტიხონ ზადონელი ამბობს: “უკვე საერთოდ აღარ არის ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა, დღეს მხოლოდ თვალთმაქცობაა.” (წმ. ეპისკოპოსის ეგნატე ბრიანჩანინოვის წიგნიდან “მამათა სწავლანი, “ ” დასკვნა, გვ. 549). და თუკი ასეთი მდგომარეობა იყო XVIII-XIX საუკუნეებში, მაშინ რა შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ ყველაფერ ამ უბედურებასთან ერთად 70-წლიანი საბჭოთა ათეისტური პერიოდის გავლის შემდეგ, იმათი განადგურების შემდეგ, რომლებიც ამ საუკუნის დასაწყისში მაინც ითვლებოდნენ ქრისტიანებად, ტაძრების ნგრევის, სასულიერო წიგნების დაწვის, ხატების განადგურების შემდეგ? მაგრამ მთელი ეს ეკლესიის თავს დატეხილი უბედურება გამოვიდა თავად ეკლესიიდან. რევოლუცია და ათეიზმი არის შედეგი სწორედ ზემოდასახელებული ორივე გზის ერთდროული არჩევისა: სულის ხსნაზე ზრუნვა ამ ცხოვრებისა და საკუთარი “მე”-ს უარყოფის გარეშე. ამის შესახებ კარგად თქვა წმ. სილუანე ათონელმა: “ქრისტიანულად ცხოვრება არ შეიძლება, ქრისტიანულად შეიძლება მხოლოდ მოკვდე.”

და სწორედ ეკლესიის სწავლება დედამიწაზე ღვთისმოსავი ქრისტიანული ცხოვრების შესახებ განხორციელდა რევოლუციის იდეალებში, ხოლო ყველაზე ზუსტი გამოხატულება ჰპოვა კომუნიზმის მაშენებლის მორალურ კოდექსში, რომელიც გარეგნულად არაფრით არ განსხვავდება ეკლესიის ათი მცნებისაგან, უფრო ზუსტად ეს არის კეთილმორწმუნე ქრისტიანის ათი მცნება დედამიწაზე, საკუთარი ნებით ღმერთში, მაგრამ ღვთის ნების გარეშე.

სამწუხაროდ, ეკლესიის შიგნით ეს პროცესი ახლაც შეინიშნება

როდესაც მორწმუნეები, ან სასულიერო სემინარიის სტუდენტები, ან სამღვდლო პირები მსჯელობენ ღმერთზე, მაგრამ თავად არ იცნობენ ღმერთს. ამის შესახებ ყველაზე უკეთ თქვა ნეტარმა ავგუსტინემ: “ყველაზე საუკეთესო, რისი თქმაც შეგვიძლია ღმერთზე, ესაა ღუმილი, ხოლო ყველაზე უკეთესი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ მისთვის – ესაა არაფერი არ ვაკეთოთ.” ანუ მოვკვდეთ ქრისტეს გულისთვის, რადგან მკვდარი არაფერს აკეთებს და არც არაფერს ამბობს. აი, ასეთს გამოუჩნდება ღმერთი და აიყვანს ხელში, რათა აღასრულებინოს მას თავისი ნება. ასე სრულდება ღვთის ნება.

10. რატომ ამბობს ნეტარი ავგუსტინე, რომ არაფერი არ უნდა ვილაპარაკოთ და არც არაფერი უნდა ვაკეთოთ? იმიტომ, რომ ეს ყველაფერი უკვე აღსრულებულია. აღსრულებულია მთელი კაცობრიობის ხსნის საქმე იესო ქრისტეს მიერ, ყველა ჩვენთაგანისათვის: “ღვთის სიყვარული იმით გამოგვეცხადა, რომ ღმერთმა მოაგვლინა წუთისოფელში თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა მისით ვიცოცხლოთ. ამაშია სიყვარული, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა და მოაგვლინა თავისი ძე ჩვენი ცოდვების მისატყვევლად. საყვარელნო! თუკი ასე შეგვიყვარა ღმერთმა, ჩვენც გვმართებს ერთმანეთის სიყვარული. ღმერთი არასოდეს არავის უხილავს. თუ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში რჩება და მისი სრულყოფილი სიყვარული ჩვენშია. ჩვენ რომ მასში ვრჩებით და ის – ჩვენში, იმით ვგებულობთ, რომ მან თავისი სულისაგან მოგვცა. ჩვენ ვიხილეთ და ვამოწმებთ, რომ მამამ მოაგვლინა ძე წუთისოფლის მაცხოვრად. ვინც აღიარებს, რომ იესო არის ძე ღვთისა, ღმერთი მასში რჩება, ის კი – ღმერთში.” (1იოან.4, 9-15).

და როდესაც მან ჯვარზე თქვა “აღსრულდა”, “ამის შემდეგ, იცოდა რა იესომ, რომ უკვე დამთავრდა ყველაფერი, წერილის აღსასრულებლად, თქვა: “მწყურია!” იქ ძმრით სავსე ჭურჭელი იდგა. ძმრით გაჟღენთილი ღრუბელი წამოაცვეს უსუბს და პირთან მიუტანეს. და როცა მიიღო ძმარი იესომ, თქვა: “აღსრულდა!” დახარა თავი და სული განუტევა.” (იოან.19, 28-30). მაშინ აღსრულდა ჩვენი ხსნის საქმე. ახლა ჩვენგან საჭიროა რომ ვირწმუნოთ ეს და მივენდოთ ქრისტეს წინამძღვრობას (მეგზურობას); ხოლო ჩვენ ამ წინამძღვრობისას მოგვეთხოვება მხოლოდ ერთი რამ – არაფერი არ გავაკეთოთ ჩვენისით, უარყოთ ჩვენი თავი იმ ზომამდე, რომ მოვკვდეთ მასთან ერთად ჯვარზე, რასაც მოითხოვდა და მოითხოვს ძველი და ახალი აღთქმის პირველი მცნება: “შეიყვარე ღმერთი შენი ყოვლითა სულითა შენითა, ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა.” (მთ.22,37). და ეს შესრულდება თუ ჩვენ აღვასრულებთ ქრისტეს ნათქვამს: “ვისაც სურს გადაირჩინოს თავი, ის დაკარგავს მას: ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაკარგავს სულს, ის მოიპოვებს მას.” (მთ.16, 25). ანუ ყოველი ჩვენი მოღვაწეობა, როგორი კეთილი სახისაც არ უნდა იყოს იგი, ჩვენი გადარჩენის საქმეში დამღუპველია. ამის შესახებ ამბობს “უხილავი ბრძოლაც”: “მუზარადს ქრისტიანებისათვის წარმოადგენს საკუთარი

თავის მიმართ სრული უნდობლობა და საკუთარი თავის მიმართ სრული არამოიმედულობა.” (იხ. შესავალი და II თავის დასაწყისი, გვ. 6 და 18). მაგრამ უფრო მკვეთრად ეს გამოთქვა წმ. ეპისკოპოსმა ეგნატე ბრიანჩანინოვმა: “საიდან მოიტანეთ, რა უფლებით ამბობთ, რომ თქვენ გაქვთ საღი გონება?” (“სიტყვა მართლმადიდებლობის შესახებ.”). ამის შესახებვე წერს ეკლესიასტე: “აჰა, ესე ვპოვე მხოლოდ: ღმერთმა წრფელი შექმნა კაცი, ისინი კი ზედმეტ თავსატეხს (საფიქრალს) მრავლად იჩენენ.” (ეკლ.7, 29) და კიდევ: “კიდევ გეტყვი, შვილო, ყურად იღე: ბევრი წიგნის წერას ბოლო არ ექნება და ზედმეტი ფიქრი სხეულს აღუნებს.” (ეკლ. 12, 12).

რატომ არ შეიძლება მოვუსმინოთ საკუთარ აზრებს ჩვენი გადარჩენისა და ღმერთის შესახებ? იმიტომ, რომ მთელი ჩვენი ადამიანური ბუნება (განსაკუთრებით კი გონება) ჯერ კიდევ ადამის ცოდვით დაცემის დროიდან დაცემული და გაუკუღმართებულია: “რადგან ვიცით, რომ რჯული სულიერია, მე კი ხორციელი, ცოდვისადმი მიყიდული. ვინაიდან რას ვაკეთებ არ ვიცი: იმიტომ, რომ იმას არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ რაც მძულს, იმას ვაკეთებ...” (რომ.7, 14-25).

თუ მოციქულ პავლეს არ ესმის რას აკეთებს და ამბობს: “რა უბადრუკი ადამიანი ვარ, ვინ დამისხნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?” და იქვე პასუხობს: “ვმადლობ ღმერთს იესო ქრისტეს მიერ.” (რომ.7,24-25). მით უმეტეს ჩვენ.

11. როგორღა გვიხსნის ჩვენ ქრისტე ამ “სიკვდილის სხეულისაგან?” პირველ რიგში თავისი სიკვდილით ჩვენთვის და მისი გულისათვის ჩვენი “მეს” სიკვდილის მოლოდინით ჩვენში. და მხოლოდ ის, ვინც ამას შეასრულებს, ანუ აირჩევს თავის ხელმძღვანელად ღმერთს, საკუთარი თავის ნაცვლად, თვითონაც ხდება ღმერთის რჩეული, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ: ღმერთი ირჩევს იმას, ვინც ირჩევს ღმერთს, ე.ი. ჩვენი ხსნის, გადარჩენის საქმე ჩვენს მიერვე წყდება. ამ გადაწყვეტაში უნდა მივენდოთ არა საკუთარ გონებას, არამედ ღვთის ხელმძღვანელობას, (მეგზურობას): “რათა აღმოვჩნდე მასში არა ჩემი სიმატლით, რომელიც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენის მიერ ღვთისმიერი სიმატლე, რწმენის მიხედვით.” (ფილიპ.3,9). ხოლო როგორ გვმართავს უფალი, თუ ჩვენ შევწყვეტთ ჩვენისით საკუთარი თავის მართვას, ამის შესახებ წერია 1იოან. 4, 13-ში: “ჩვენ რომ მასში ვრჩებით და ის ჩვენში, იმით ვგებულობთ, რომ მან თავისი სულისაგან მოგვცა.” ანუ ღმერთის ყოფნას ჩვენში ჩვენ ვიგებთ არა გონებით, ან გრძნობებით და არც ჩვენი სულით, არამედ მხოლოდ ღვთის სულით: “ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.” (რომ.8, 9). როგორც ვხედავთ, პირდაპირაა ნათქვამი, რომ ღმერთმა გამოგზავნა სულიწმიდა და ჩვენ უნდა გვქონდეს იგი, თუ გვინდა რომ ღვთისანი ვიყოთ. ანუ საკითხი დგას პირდაპირ: (ყოველგვარი ზედმეტი ლაპარაკისა და კამათის გარეშე, რასაც ადგილი აქვს, როდესაც გვესმის ხოლმე ამის შესახებ): გვაქვს თუ არა ღვთის სული? მაგალითად მოციქული პავლე ამბობს: “ღმერთის სული ცოცხლობს ჩვენში.” (1კორ.3,16),

სწორედ რომ ცოცხლობს, მოქმედებს და მეტყველებს ჩვენში: “ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით?” (1კორ.6, 19). ჩვენ არ ვეკუთვნით ჩვენს თავს, არამედ ღმერთს, რამეთუ ნაყიდი ვართ დიდ ფასად. (1კორ.6, 20). აი, აქ კი, იწყება ჩვენი ბრძოლა ღმერთთან, რაც გამოიხატება ჩვენს განმარტებებში და ღვთის შესახებ მრავალსმეტყველებაში. ჩვენ ჩვენი ყველა საქმით, გონებით, მთელი გულით და გრძნობებით ვეუბნებით ღმერთს: “არა, უფალო, ჩვენ ვეკუთვნით ჩვენს თავს და არა შენ.” ჩვენ ვეწინააღმდეგებით პეტრე მოციქულს, რომელიც ამბობს: “ეს იცოდეთ უპირველესად, რომ წერილის არავითარი წინასწარმეტყველება თავისით არ განიმარტება. ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისაგან წარმოთქვამდნენ მას.” (1პეტრ.1, 20-21).

ჩვენ ვეწინააღმდეგებით თავად იესო ქრისტეს, რომელიც გვეუბნება: “სული ცხოველმყოფელია, ხოლო ხორცი უსარგებლო. სიტყვები, რომლებიც გითხარით, სულია და სიცოცხლე.” (იოან.6, 63). სახარების და მთელი წმიდა წერილის სიტყვები, თავისი არსით, სულია და არა ასოები და ბრძნობა მათით, მრავალმეტყველება, ლაყობა, წარმოადგენს მხოლოდ გონების ამპარტავნებასა და ხიბლს და სხვა არაფერს, ჩვენ კი სწორედ ამას ვხედავთ, რამეთუ ჩვენი ხორციელი გონება უძღურია ჩასწვდეს ღვთის სულის არსს. ჩვენ საგულდაგულოდ ვიკვლევთ წმიდა წერილის ასოებს, შეიძლება ითქვას, რომ ვჭამთ მათ სიტყვებს, მაგრამ ვივიწყებთ მთავარს, რომ საღვთო წერილი “სულია და სიცოცხლე” და არა ასოები. თუ ჩვენ მოგვყავს კიდევ ეკლესიის წმიდა მამათა განმარტებები, (წმიდა წერილისა), მაინც, იმის გამო, რომ არ უარყოფთ საკუთარ გონებას, მცდარად და გაუკუღმართებულად ვიგებთ ამ განმარტებებს. დაე, დაფიქრდეს ამაზე ყველა, ვისაც ეს ეხება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ ვაშენებთ და არ ვკმნით ჩვენგან ღვთის სულის სახლს, როგორც ამისაკენ მოგვიწოდებს მოციქული პეტრე: “თქვენც აშენდით ცოცხალი ქვებით სულიერ სახლად.” (1პეტ.2, 5). ხოლო იოანე მახარებელი პირდაპირ წერს: “...ღმერთი ჩვენში რჩება და... ჩვენ რომ მასში ვრჩებით და ის ჩვენში, იმით ვგებულობთ, რომ მან თავისი სულისაგან მოგვცა.” (იოან.4, 12-13). კიდევ ერთხელ წავიკითხოთ: იოან. 4, 11-16, მოვუსმინოთ მაცხოვარს, რომელიც ამბობს: “ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ღებულობს იმას, ვისაც მე მოვაგლენ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელსაც ღებულობს.” (იოან.13, 20). რადგან ლაპარაკია მიღებაზე, მაშინ მიღება შეიძლება მხოლოდ რაღაც რეალურის, აღსაქმელის, გაცნობიერებულის. ამიტომ, ყოველი იმის მთქმელი, რომ ეს ხდებოდა მხოლოდ წმინდანებთან და ისიც იშვიათად, ცდება და ცრუობს. ასეთებს თავად უფალი პასუხობს: “ვინც თქვენ მოგისმენთ, მეც მომისმენს; თქვენი უარმყოფელი მეც უარმყოფს. ჩემი უარმყოფელი უარყოფს ჩემს მომავლინებელს.” (ლუკ.

10, 16). სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ღვთის სულის მიღებას უარყოფთ, მაშინ როგორღა შევძლებთ, რომ მოვაწყოთ საკუთარი თავი “სულიერ სახლად, წმიდა სამღვდელობად,” (1პეტრ.2, 5), როგორც ამისკენ მოგვიწოდებს ყველას პეტრე მოციქული? (ეს სიტყვები ხომ ყველა ქრისტიანისკენაა მიმართული?) და როგორღა სახლი და ტაძარი ვიქნებით სულისა წმიდისა, თუ არა გვწამს მისი, თუ არ მოვძებნით და არ მოვიპოვებთ მას, რომელიც “დაგვმოძღვრავს ყოველსა საქმესა ზედა” და რომელსაც ერთადერთს შეუძლია ჩვენი ხსნა? ვაი ჩვენ, დღევანდელ ქრისტიანებს, რომელთაც სულიწმიდის შესახებ მსგავსი დამამტკიცებელი საბუთები გეჭირდება.

უფალი იესო ქრისტე შემდეგ პირდაპირ ამბობს: “მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ.” (იოან.14, 16), ანუ ლაპარაკი მიდის დაკვირვებად მოქმედებაზე, მოძრაობაზე და როგორღაა შესაძლებელი ეს მოძრაობა, თუ ჩვენ მას ვერანაირად ვერ შევიგრძნობთ, ვერ გავაცნობიერებთ და ვერ აღვიქვამთ? უფალი კვლავ ამბობს, რომ ეს სული ჭეშმარიტებისა, ნუგეშისმცემელი, “როდესაც ის მოვა, ამხილებს წუთისოფელს ცოდვის, სიმათლისა და სამსჯავროს გამო.” (იოან.16, 8).

როგორღა შესძლებს ურწმუნო სოფელი გაიგოს ან მოისმინოს მხილება და სიმათლე, თუკი სულიწმიდა მიუწვდომელი იქნება ადამიანის აღქმის უნარისათვის, ე.ი. თუკი ადამიანი ვერ მოისმენს, ვერ შეიგრძნობს და ვერ დაინახავს მას? და კიდევ ერთხელ, უფალი ამბობს: “როცა მოვა იგი სული ჭეშმარიტებისა, შეგიძლევბათ ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს და მომავალს გაუწყობთ თქვენ.” (იოან.16, 13). ამრიგად, ქრისტე ამბობს, რომ სული იმეტყველებს, ხოლო ჩვენი დღევანდელი “ღვთისმეტყველები” კი ამტკიცებენ, რომ ეს შეუძლებელია მოხდეს. ვის დაუფჯეროთ? ან კიდევ რაღატომ ვლოცულობთ იმავე სულიწმიდის მიმართ: “...მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის?” თუკი ჩვენ არანაირად არ შეგვწევს უნარი შევიგრძნოთ სულიწმიდის მოსვლა, მაშინ როგორღა გავიგებთ მოვიდა თუ არა? მაგრამ ამის შესახებ ბევრად უკეთესად ამბობს წმ. სერაფიმე საროველი “ქრისტიანული ცხოვრების მიზნის შესახებ საუბარში,” სადაც ის, როგორც თვითონვე ადასტურებს ღვთაებრივი გამოცხადებით, მრავალმხრივ აშუქებს განსახილველ საკითხს და ამხელს ბოლო დროის ეკლესიის უმიზნო და თვითმიზნურ ქმედებას. უფალი კიდევ ერთხელ ამბობს: “აჰა, ვდგავარ კართან და ვირეკ, თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან.” (გამოცხ.3, 20). აქ პირდაპირაა ლაპარაკი ღვთის ხმის გაგონების შესახებ, მის სერობასთან (ტრაპეზთან) თანაზიარობაზე, რამეთუ ჩვენთვის, ადამიანებისათვის, დამახასიათებელია სუფრასთან საუბარი, მაგრამ აქ იგულისხმება არა ფიზიკური, არამედ სულიერი ურთიერთობა.

იმათ გასაგონად, ვისაც არა სწამთ, ან ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ

ღვთის დამკვიდრება ადამიანში შესაძლებელია, ხოლო ქრისტიანში კი კანონზომიერია, უფალი ამბობს: “...ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს.” (იოან.14, 23). სავანე კი არის მუდმივად საცხოვრებელი ადგილი, სამყოფელი. ასევე, პეტრე მოციქულიც 1პეტრ.2, 5 -ში ქრისტიანებზე ლაპარაკობს, როგორც სულიწმიდის სახლზე. სახლიც – მუდმივი საცხოვრებელი ადგილია. ამაზევე წერს მოციქული პავლეც: “ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში?” (1კორ.3, 16). აქ პავლე მოციქული კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ სული ღვთისა ცხოვრობს და უნდა ცხოვრობდეს ქრისტიანებში და ხანდახან კი არ მოდის მათთან სტუმრად, როგორც ამას ჩვენი ზოგიერთი თანამედროვე “ღვთისმეტყველი” ამტკიცებს, უფრო სწორი იქნებოდა მათთვის “საკუთარისმეტყველნი” გვეწოდებინა.

სულიწმინდა არის არა სტუმარი ჩვენში, არამედ მაცხოვრებელი მასპინძელი, პატრონი, რაზედაც წერს პავლე მოციქული: “რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან? რადგან თქვენ ხართ ცოცხალი ღმერთის ტაძარი,” როგორც ღმერთმა თქვა: “დავმკვიდრდები და ვივლი მათ შორის, ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ხალხი.” (2კორ.6, 16; ლევ.26, 12). და თუ ღმერთი ჩვენს შორის ივლის, როგორ ვერ შევიგრძნობთ ამას? თუკი ჩვენ შევიგრძნობთ კოლოს, როგორ ვერ შევიგრძნობთ ღმერთს, რომელმაც მთელი სამყარო შექმნა და თავის თავში იტევს მას? ამაზევე საუბარი იობის წიგნში: “...სული ყოვლისა მპყრობელისა ასწავებს კაცთა.” (იობ.32, 8). როგორ შეიძლება კაცმა ვინმესგან ისწავლოს რაიმე, თუკი ვერანაირად ვერ შევიგრძნობს და ვერ აღიქვამს მას? სხვა ადგილასაც წერს მოციქული პავლე: “ანდა, ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით?” (1კორ.6, 19). თუ ჩვენ ვართ ტაძარი სულიწმიდისა, მაშინ დროებითი სასტუმრო კი არა, არამედ მუდმივი (მარადიული) დამკვიდრებელი ვყოფილვართ და მოციქული ხაზს უსვამს, რომ ჩვენ ჩვენს თავს არ ვეკუთვნით, რამეთუ ვართ ჭურჭელი ან ღმერთის სულის, ან სატანის სულისათვის, როგორც ამას ვკითხულობთ მოციქულთა საქმეებში: “...უფალმა უთხრა მას: “წადი ვინაიდან ის არის ჩემი რჩეული ჭურჭელი...”” (საქმ.9, 15), ან კიდევ: “ნუთუ მეკეცეს უფლება არა აქვს თიხაზე, რომ თავისი მოხელილი თიხიდან ზოგი საპატიო ჭურჭელი გააკეთოს, ზოგიც უპატიო?” (რომ.9, 21), ხოლო 1თეს.4, 4-ში კი ამბობს: “რათა ყოველმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სიწმინდით და პატივით.” და ამ ჭურჭელში დგას, ცოცხლობს, გვატარებს და გვასწავლის ორიდან ერთი, ან ღვთის სული, ან სული ეშმაკისა, რომლის ხმაც გვესმის ჩვენი აზრების, გრძნობებისა და სურვილების სახით და მონურ მდგომარეობაში ვემორჩილებით მას: “რადგან ვიცით, რომ რჯული სულიერია, მე კი – ხორციელი, ცოდვისადმი მიყიდული.” (რომ.7, 14). ამიტომაც, ჩვენ ჩვენს თავს არ ვეკუთვნით, არამედ მივყვით ცოდვას და ვართ მისი მონები,

თანაც ისეთი ერთგული მსახური ვართ ცოდვისა, რომ ვამბობთ: “მე ვფიქრობ”, “მე ვგრძნობ”, “მე ვწყვეტ”, “მე ვაკეთებ”, “მე გამოვიგონე”, “მე აღმოვაჩინე.” ეს ყველაფერი ცოდვის მრავალსახოვანი თვისებებია, რომელსაც ჩვენ კეთილი ნებით და საკმაოდ გაცნობიერებულად ვემსახურებით მთელი ცხოვრების მანძილზე. რამეთუ ჩვენი “მე”-ს ყოველგვარი გამოვლინება ყოველთვის იმის დადასტურებას წარმოადგენს, რომ ჩვენ ცოცხლები ვართ და არ მოვმკვდარვართ ქრისტესთან ერთად, ეს კი ნიშნავს, რომ ცოცხლები ვართ ცოდვისათვის და ვცოდავთ და არც ვაპირებთ ქრისტესთან თანაჯვარცმასა და აღდგომას, რათა გავცოცხლდეთ მასში. და აი, ცოდვის ყველა ამ თვისებითა და ხასიათით ჩვენ ვძვრებით ღვთისმეტყველებაში, რის გამოც დაბნეულობის, გაურკვევლობის, კამათის, გულისწყრომისა და ღვთისაგან დაშორების გარდა ვერაფერს ვიღებთ. ამიტომაც, იესო ქრისტე გვთავაზობს: “ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი”, ხოლო “ვისაც სურს თავის სულს გაუფრთხილდეს, ის დაკარგავს მას.” (მთ.16, 24-25).

ამრიგად, მხოლოდ თავის უარყოფას, საკუთარი “მე”-ს – გონების, აზრებისა და გრძნობების მოკვდინებას შეუძლია გაგვათავისუფლოს ჩვენ სულიწმიდის მისაღებად, რამეთუ ახლა ეს შეუძლებელია, იმიტომ, რომ ჩვენი “ჭურჭელი” სავსეა ჩვენი “მე”-თი. საჭიროა ჭურჭლის გათავისუფლება, უნდა გადიღვაროს მისი შიგთავსი, სხვა გზა არ არის. სწორედ ასე იქცეოდნენ წმ. მამები, რაც ჩანს კიდევ მათ ნაწერებში, მაგ: “ინება სულმა წმიდამ და ჩვენ მასში...” და მხოლოდ ამ საფუძველზე ისინი ლაპარაკობდნენ, წერდნენ, მოღვაწეობდნენ. “ვინაიდან მაშინ მოგეცემათ, რაც უნდა თქვათ; ვინაიდან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ თქვენი მამის სული ილაპარაკებს თქვენში.” (მთ.10,19-20). დღევანდელი “ღვთისმეტყველნი” კი ლაპარაკობენ თავისი თავისგან, უარყოფენ თავის უარყოფის აუცილებლობას, ამტკიცებენ რა, რომ ის ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელია და რომ ამისთვის ბერობაც კი არაა საკმარისი, ეს მხოლოდ განდევილების კუთვნილებაა, და თანაც არა ყველასი, და ა.შ. უარყოფენ რა, ხსნის საქმეში თავის უარყოფის აუცილებლობას, ისინი ამით უარყოფენ თავად ქრისტეს! რადგანაც თავის უარყოფას ქრისტე გვთავაზობს, როგორც მის გზაზე შედგომის საწყის, პირველ ეტაპს. ეს არათუ დასაწყისია ხსნის გზაზე, არამედ საერთოდ ქრისტიანული ცხოვრების შესავალი, არჩევანი დროებით და მარადიულ ცხოვრებას შორის. როდესაც გვეკითხებიან: გვინდა თუ არა ქრისტე? ამ დროს ამ გზის უარყოფელი უარყოფს ქრისტესაც, არ მიდის მის გზაზე, როგორც ის მდიდარი ჭაბუკი. მახარებელი ამბობს: “ღმერთი არასოდეს არავის უხილავს,” (1იოან.4, 12; იოან.1, 18; 1ტიმ.6, 16), ხოლო “თუ ხორციელად ვიცნობდით კიდევ ქრისტეს, ახლა აღარ ვიცნობთ.” (2კორ.5, 16), მაშ, რატომღა ამბობს იესო ქრისტე: “მე თქვენთანა ვარ, ყოველთა დღეთა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ.” (მთ.28, 20). როგორღაა ის ჩვენთან “ყოველთა დღეთა,” ანუ ყოველდღე? რა სახით? მხოლოდ სულით! და თუ ის ჩვენთანაა, მაშინ ჩვენ ვაცნობიერებთ

ადვიქვამთ მას; ხოლო თუ მას ვერანაირად ვერ ადვიქვამთ და ვერ ვაცნობიერებთ, მაშინ ის არ არის ჩვენთან, უფრო ზუსტად კი, ჩვენ არა ვართ მასთან. იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ჩვენს თავთან, ჩვენს “მე“-სთან და მხოლოდ ვლაპარაკობთ ღმერთზე. ჩვენ “მე” კი, როგორც საზოგადოდ ცნობილია ქრისტიანებისათვის, ეკუთვნის სატანას, რადგან “მე” სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ღვთისგან განდგომილი, თვითნებური მოქმედებებისა და აზრების ერთობლიობა. აი, ვისი (ე.ი. სატანის) სახელით ღვთისგმეცხველები და ვსაუბრობთ ჩვენ.

ქრისტიანი ვარ თუ არა მე და როგორ გაეხდე იგი?

“საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ რწმენაში. საკუთარი თავი გამოარკვიეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენშია იესო ქრისტე? თუ არა და, მაშ, გამოცდას ვერ უძლებთ.” (2კორ.13, 5).

ვართ ჩვენ ის, რაც უნდა ვიყოთ, თუ არა? ჩვენ ვიწოდებით ქრისტიანებად. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ქრისტესნი ვართ, ე.ი. უნდა ვიყოთ ისეთები, როგორიც ის არის. ვნახოთ, როგორია იგი ჯვარზე, რადგან ჯვარზე მოხდა ჩვენი ხსნა: ნაფურთხები, ნაცემ-ნაგინები და უსამართლოდ მოკლული. და ჩვენც, თუ ქრისტესნი ვართ, უნდა ვიყოთ, ისეთები, როგორიც თვითონაა. ხოლო ვართ თუ არა ასეთები, თითოეულმა გამოსცადოს საკუთარი თავი სახარების მიხედვით. როგორც მოციქული სხვა ადგილას ამბობს: “ყველაფერი გამოსცადეთ, კეთილს ჩაეჭიდეთ.” (1თეს.5, 21).

ხსნის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქრისტემ საკუთარი თავი განიკითხა (გაასამართლა), და თანაც როგორ? იყო მართალი, მაგრამ გაისამართლა და დაიდანაშაულა თავი, როგორც დამნაშავემ: “რადგან მაღლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღვთის გულისათვის იტანს გასაჭირს. ამისთვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ.” (1პეტრ.2, 19-21). გამოსცადეთ საკუთარი თავი და გამოიკვლიეთ, ისეთები ხართ სინამდვილეში, როგორიც ქრისტეა ჯვარზე? ქრისტემ, მართალმა, უარყო საკუთარი სიმართლე და ნებსით გახდა დამნაშავე და გვთავაზობს ჩვენ: “ვისაც უნდა, რომ გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს.” (მთ.16, 24).

ამრიგად, გამოსცადეთ საკუთარი თავი: იღებთ საკუთარ ჯვარს, მიგაქვთ იგი? “ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ

არის ჩემი ღირსი.” (მთ.10, 38). ქრისტეს ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ლიტურგიაზე სიარული, ღოცვების კანონისა და სხვა წეს-ჩვეულებების აღსრულება საკმარისი არ არის. აუცილებელია უსამართლო ტანჯვის მოთმენა. ამაშია ქრისტიანობისა და ჯვრის ზიდვის არსი, რომელსაც ჩვენ ფორმალურად ვატარებთ გულზე. თითოეულმა გამოსცადეთ საკუთარი თავი, თუკი მართლა სერიოზულად გინდათ სულის ხსნა. ამას ეძებდნენ წმ. მამები, ითმენდნენ რა მრავალ ტანჯვას უდაბნოში; ამას აკეთებდნენ წმ. მოწამენი, უარყოფდნენ რა შემოთავაზებულ მიწიერ პატივს. რაა პატივი, როცა უარყოფდნენ თვით სიცოცხლეს. გამოსცადეთ თავი! თუნდაც ფიქრებში ეთანხმებით და აკეთებთ, თუნდაც აზრებში განიკითხავთ საკუთარ თავს? “ხოლო ჩვენ თვითონვე რომ განგვეკითხა ჩვენი თავი, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი. ხოლო მსჯავრდადებულნი ვიწვრთვებით უფლის მიერ, რათა წუთისოფელთან ერთად არ ვიყოთ მსჯავრდადებულნი.” (1კორ.11, 31-32). აი, თურმე რაში ყოფილა ჩვენი ავადმყოფობის სასიკეთო გავლენა. გულისხმა-ყავთ, ავადმყოფონო, და გამხნევდით, რადგან თქვენ მარადიული სატანჯველის სანაცვლოდ გთავაზობენ დროებითი ტანჯვის მოთმენას, როგორც ამის შესახებ ამბობს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 და მე-12 თავებში მოციქული პავლე. უფალი იძულებულია გამოგვიგზავნოს ავადმყოფობები, რადგან ჩვენ არ განვიკითხავთ საკუთარ თავს. ამიტომ, ის, გვსჯის ჩვენ, როგორც ურჩ, დაუჯერებელ ბავშვებს. (ებრ.12, 6-8). ვუცქერით ჯვარს, ღოცვით მივმართავთ მას, მუხლებზე ვეცემით მის წინაშე, არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ, მაგრამ თითოეულმა შეხედეთ საკუთარ თავს, განიცდით კი ჯვრის არსს? შეგიძლიათ პავლესთან ერთად თქვათ: “(მე) უფალ იესოს წყლულებს ვატარებ ჩემი სხეულით?” (გალ.6, 17). გულახდილად უთხარით საკუთარ თავს, რომ არათუ მისი წყლულები არ გვინდა ვატაროთ, არამედ თავის დამდაბლებაც კი არ გვინდა, მეტიც, უბრალო არასასურველი გამოსედევა ჩვენი მისამართით გვადიზიანებს, შეურაცხგვეყოფს და გვაშფოთებს. როგორღა ფიქრობთ შეხვიდეთ მარადიულ ცხოვრებაში, თუკი მცდელობაც კი არა გაქვთ აიღოთ ჯვარი შეურაცხოფისა, ფურთხებისა, შოლტით ცემისა და სიკვდილისა? ქრისტემ ხომ პირდაპირ თქვა: “ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ არის ჩემი ღირსი.” (მთ.10, 38). გულახდილად აღიარეთ თითოეულმა ეს თქვენს გულებში, იტირეთ და მოინანიეთ უფლის წინაშე, განსაკუთრებით დიდი მარხვის დღეებში, როცა ჩვენ ვიხსენებთ, რომ უფალი მიდის სიკვდილზე.

მარხვა ხომ არ არის უბრალო გახსენება, არამედ ეს არის ქრისტეს მიყოლა. ქრისტე ჩვენს ხსოვნას არ საჭიროებს, იმიტომ, რომ უკვე 2000 წელია იგი დღესასწაულობს ზეცაში. ეს გახსენება (მისი ტანჯვისა და სიკვდილისა) ჩვენ გვჭირდება მისი გზის გასავლელად – მიწიდან ზეცამდე. იმიტომ, რომ მან თქვა: “მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება; ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემით.” (იოან.14, 6). ეს ჩვენ, და არა ქრისტეს, გვჭირდება მამასთან დაბრუნება, იმ მამასთან, რომელმაც

სამოთხიდან გამოგვდევნა ადამში, ქრისტეში კი შეგვირიგდა. ასე, რომ საჭიროა დავბრუნდეთ ჩვენს მარადიულ სახლში. აუცილებელია ვიაროთ, ვიმოძრაოთ, გავიაროთ ეს გზა და არ ვიდგეთ ერთ ადგილზე. ეს გზა კი არის გოლგოთის გზა, ანუ ქრისტეს ჯვრის გზა და მხოლოდ ის, ვინც მიდის ამ გზით, შეიძლება იწოდებოდეს ქრისტიანად.

მარხვა სწორედ ეს გზაა. მარხვაში ჩვენ უნდა გამოვხატოთ ღვთის სამსჯავროზე დგომის მზადყოფნა, თუ როგორ მოვემზადოთ საამისოდ, უფალი გვასწავლის ესაიას 58-ე თავში მარხვის შესახებ. ეს არ არის ის მარხვა, რომელზეც ბასილი დიდი ამბობს: “შენ მარხულობ და ხორცს არ სჭამ, არამედ ძმასა თვისსა შესჭამ.” ეს ძმა კი ხატებაა და მსგავსებაა ღვთისა. (დაბ.1, 26); სახარებაც გვასწავლის: “თუ ვინმე ამბობს ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს?” (1იოან.4, 20). და ასეთი ცრუნი ვართ ჩვენ ყველანი მთელი კაცობრიობის მოდგმა, თითოეული კაცი. (რომ.3, 10-12; ფს.13, 3). თვით მოციქული პავლეც კი თავის შესახებ ამბობს: “მე ხორციელი ვარ, ცოდვისადმი მიყიდული.” (რომ.7, 14). შეიძლებოდა დაუსრულებლად გაგვეგრძელებინა ჩვენი უღირსებების ჩამოთვლა, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვწეროთ, სულ ერთია, ყველაფერს მაინც ვერ ჩამოვთვლით, იმიტომ, რომ ჩვენ უსასრულოდ დაშორებულნი ვართ ღვთისაგან და როგორც თავად უფალმა თქვა: “...კაცთაგან ეს (გადარჩენა) შეუძლებელია.” (მთ.19, 25-26). ჩვენ ყველანი, როგორც ადამის შვილები, უღირსნი ვართ ზეცისა, რადგან ყველანი განდევნილი ვართ იქედან და თვითონ იქ დაბრუნება არ შეგვიძლია. მაგრამ მთელი ჩვენი უღირსება შეიცვალა ღვთის ძის ღირსებით, რომელშიც გავმართლდით და გავხდით ზეცის ღირსნი. მაგრამ იმისათვის, რომ შევიდეთ ღვთის ძის ღირსებაში, აუცილებელია შევუერთდეთ მას საკუთარი ნების უარყოფაში. ჩვენ უნდა მოვკვდეთ მასთან ერთად, რასაც ვპირდებით კიდევ ნათლობაში. (რომ.6, 3-11). ეს მოკვდინება ხდება არა ფიზიკურად, არამედ სულიერად, ისევე სულიერად, როგორც ეს ხდებოდა ცოდვით დაცემის დროს. მაშინ ღმერთმა უთხრა ადამს: “არ ჭამო, თორემ სიკვდილით მოკვდები.” (დაბ.2, 17), ადამმა კი შეჭამა და არ მოკვდა ფიზიკურად, ხორციელად, არამედ მოკვდა სულიერად, მოკვდა მარადისობისათვის. დაკარგა სულიწმიდა და მის ნაცვლად შეიძინა საკუთარი ნების, ანუ თვითნებობის სული. ამრიგად, ადამი მოკვდა მარადისობისათვის და გაცოცხლდა მიწისთვის, ცოდვისათვის. ახლა კი ნათლობაში ჩვენ ვდგამთ საწინააღმდეგო ნაბიჯს. ჩვენ ვინათლებით ქრისტეს სიკვდილში, ოღონდ იმის პირუკუ თანმიმდევრობით, რაც გააკეთა ადამმა: ნათლობაში ჩვენ ვკვდებით საკუთარი ნებისათვის და ვცოცხლდებით ღვთისათვის, მისი წმინდა სულისათვის, ანუ აღვადგენთ ადამის მიერ დაკარგულ ურთიერთობას ღმერთთან. მაგრამ აქ იფარება უმთავრესი მომენტი: აუცილებელია საკუთარი ნების ნამდვილი მოკვდინების მომენტი. აუცილებელია მისი (საკუთარი ნების) ნამდვილი დაფლვა (დამარხვა) ქრისტესთან ერთად, იმისათვის, რათა ქრისტესთანვე

აღვდგეთ. და აი, მხოლოდ ის, ვინც ნამდვილად მოკვდა, დამარხა თავისი ნება და აღდგა ქრისტეში, წარმოადგენს მონათლულს, სულით განახლებულს, სულიერს, ქრისტესას, ანუ ქრისტიანს. ხოლო ყოველი, ვინც არ მოაკვდინა თავისი ნება არ შეიძლება იყოს სულიერი, არამედ ხორციელია, ანუ იმყოფება უღირსების ყველა იმ თვისებაში, რომელიც ადრე ჩამოვთვალეთ. და ასეთ ადამიანს არაფერი გაეგება არც ქრისტეში და არც ქრისტიანობაში, ხოლო ასეთია, სამწუხაროდ, ახლა ყველა ე.წ. ქრისტიანი. ნათქვამიდან აშკარა ხდება, რომ ქრისტიანობა არის სიკვდილისმიდმა მყოფი ადამიანის მდგომარეობა და ცოცხალი ადამიანის გაგებისათვის იგი მიუწვდომელია. (რომ.7, 4; 1კორ. 5, 17). და აი, სამწუხაროდ, დღევანდელი ქრისტიანები ლაპარაკობენ იმაზე, რაც თვითონ არ განუცდიათ, კამათობენ და განმარტებებს იძლევიან ქრისტიანობაზე, ე.ი. სიკვდილის მიდმა მდგომარეობაზე, ისე, რომ თვითონ არ განუცდიათ და არ გაუგიათ რა არის ეს პრაქტიკულად, ანუ ყველანი ცრუობენ: “არავინ არის მართალი.” (რომ.3, 10-18). ისინი თავის თავს უწოდებენ ქრისტიანებს, თვითონ კი ცხოვრობენ ხორციელად, საკუთრი სატანური ნებით. (2ტიმ. 2, 26; ებრ.2, 14-15). ასეთებია საკუთარი ნებით ხორციელად მცხოვრები ადამიანები, სულიერად კი არიან მკვდრები. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თქვა: “მე ვაზი ვარ, ხოლო თქვენ – ღერწები.” (იოან.15,1-5). შემდეგ იქვე, ის ამბობს: “ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ გადაიგდება, როგორც ღერწი, და დატყნება. მოაგროვებენ მათ, ცეცხლში ჩაყრიან და დაიწვებიან.” (იოან.15, 6-8). ამ მაგალითით უფალი გვიჩვენებს, როგორც ვაზზე გამოზრდილ რტოს (ღერწს) არა აქვს საკუთარი ნება, სულ უმცირესიც კი, და ის მთლიანად დამოკიდებულია და საზრდოობს ვაზის წვენით, ასევე ქრისტიანი უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ ღვთის ნებაზე და მხოლოდ მისით უნდა საზრდოობდეს. აი, რაში მდგომარეობს ქრისტიანისა და ქრისტიანობის არსი. აი, ამაში მდგომარეობს სადი სწავლება ქრისტეზე. (1კორ. 2,2), რათა არაფერი ვიცოდეთ, გარდა ჯვარცმული ქრისტესი და ჩვენი სიკვდილისა მასთან ერთად. (გალ.6, 14). და მართლაც, რაღა შეიძლება არსებობდეს ქრისტიანისათვის მიწიერ ცხოვრებაში, თუკი ის ნათლისღებისას მოკვდა? – აღარაფერი, მაგრამ თუ ის ცოცხალია, მსჯელობს, თუნდაც ქრისტეზე და ქრისტიანობაზე, მაშინ ის ჯერ მონათლულიც არ არის და შესაბამისად არც ქრისტიანია, ასეთი თუნდ მღვდელი იყოს და თუნდაც პატრიარქი. იმიტომ, რომ ქრისტეში ჩვენ აღარავის ვიცნობთ ხორციელად, თუ ხორციელად ვიცნობდით კიდევ ქრისტეს, ახლა აღარ ვიცნობთ. (2კორ.ხ5, 16). როგორც ადამის ცოდვით დაცემის დროს, ის მოკვდა ღვთის ნებისათვის და გაცოცხლდა საკუთარი – ეშმაკის ნებისათვის, ისე რომ თვითონ არ მომკვდარა ფიზიკურად, იგივე ხდება ნათლობაში, ოღონდ უკუთანმიმდევრობით: ვკვდებით საკუთარი ნებისათვის და ვცოცხლდებით ღვთის ნებისათვის, ისე, რომ ფიზიკურად ვრჩებით უვნებელნი და მიუხედავად ამისა ჯვარცმულნი ვართ. (გალ.5, 24). ჩვენი ნება მიღურსმულია ღვთის ნებით და ჩვენ მუდმივად უნდა ვაკავებდეთ

საკუთარ თავს ამ მდგომარეობაში, როგორც აკავებდა საკუთარ თავს თავად უფალი ჩვენი იესო ქრისტე: “მამაო! ... მაგრამ ჩემი ნება კი არა, შენი იყოს.” (ლუკ.22, 41-44). აი, რაში მდგომარეობს ქრისტიანისა და ქრისტიანობის ძირითადი არსი. ქრისტიანი არის ცოცხალი გვამი, გვამი კი იმყოფება მიწიერი სიცოცხლის მიღმა, ხოლო რა ხდება იქ, მიწიერი ადამიანისათვის ამის გაგება მიუწევდომელია. ეს საიდუმლოთია დაფარული, და იმისათვის, რომ გავიგოთ ეს საიდუმლო, აუცილებელია მხოლოდ სიკვდილი, სიკვდილისმიღმა ცხოვრებაში შესვლა. მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ და ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა არის იქ. ხოლო დღევანდელი ქრისტიანები, როგორც უკვე ვთქვით, ლაპარაკობენ და კამათობენ იმაზე, რაც არ იცინან. (კოლ.2, 18-19). ამრიგად, ქრისტიანობა არის საიდუმლო, რომელიც სიკვდილითაა დაფარული. ესაა ღმერთთან ჩვენი სიკვდილის მიღმა ურთიერთობის მდგომარეობა. (რომ.7, 4; ფს.24, 14; ლუკ.8, 10; 1ტიმ.3, 16). და საერთოდ, მთელ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას თავის საფუძვლად აქვს ხორციელი ადამიანის გაგებისათვის მიუწევდომელი შეიდი საიდუმლო. ქრისტიანობა არის ღვთის სიბრძნე საიდუმლოებაში, დაფარული, რომელიც: “თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს.” (1კორ.2, 7-16). და მისი ადამიანური სიტყვებით აღწერა შეუძლებელია. (1კორ.2, 13). თუმცა მასზე შეიძლება დაუსრულებლად ლაპარაკი, ერთმანეთის სწავლება და ათასობით მოძღვრის ყოლა, (1კორ.4, 15), მაგრამ ეს ყველაფერი ცარიელი და უძლური სიტყვებია, იმიტომ, რომ ისინი მოკლებულია ღვთის ნებას. ხოლო ის რომ მივიღოთ, საჭიროა ჯვარს ვაცვათ ჩვენი ნება, მოვიკვეთოთ და მოვაკვდინოთ ჩვენი გონება, გრძნობები, ემოციები, ხოლო ამის გაკეთება დღეს არავის არც სურს და არც ძალუძს, არ იცის ამის შესახებ და არც უნდა რომ იცოდეს, ამიტომაც თქვა უფალმა: “ხოლო როდესაც მოვალ დედამიწაზე, ვპოვებ კი რწმენას?” (ლუკ.18, 8). თუმცა ქრისტიანული ლაყბობით ავსებული იქნება მთელი მსოფლიო. (მთ.24, 14). ამრიგად, ჭეშმარიტი ქრისტიანობა არის საფლავისმიღმა მდგომარეობა და არამიწიერი ცხოვრება, ხოლო ცრუ – ანუ ანტიქრისტიანობა კი არის ადამიანური ყბედობა ქრისტეზე და ქრისტიანობაზე სიკვდილამდე დედამიწაზე. მაგრამ ყოველი ადამიანი თავისუფალია ამ ორი მდგომარეობიდან ერთ-ერთის ამორჩევაში. ამორჩიე, მკითხველო, რომელიც გსურს: შენს წინაშეა ორი გზა (მთ.7, 13-14) და უთვალავი სწავლება, რომელთაც სახარება განყოფს საღ და მცდარ სწავლებებად (1ტიმ.1, 10; 6,3; 2ტიმ.1, 13; 4, 3; ტიტ.2, 1; 2, 8; 1, 13; ებრ.13, 9; კოლ.2, 8; 2იოან.1, 9-10). სახარების ყველა ციტატიდან, საღი სწავლების შესახებ, მოვიყვანო ერთს: “ვინც სხვანაირად ასწავლის და არ მიჰყვება ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საღ სიტყვებს და ღვთისმოსაობის სწავლებას, ის ამპარტავანია და არაფერი იცის, არამედ კამათისა და პაექრობის სენი სჭირს, საიდანაც წარმოიშობა შური, დავა, გამობა და ბოროტი ეჭვი, ფუჭი კამათი გარყვნილი გონებისა და ჭეშმარიტებას მოკლებულ კაცთა შორის, რომელთაც

ღვთისმოსაობა მოსახვეჭი რამ ჰკონიათ. ერიდე ასეთ ადამიანებს.” (1ტიმ.6, 3-5). სამწუხაროდ, ასეთებია მთელი მსოფლიოს დღევანდელი ქრისტიანები, ისე, რომ ჯერ კიდევ 150 წლის წინ წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი) თავის ბროშურაში “მართლმადიდებლობის შესახებ” წერს: “მწარე გლოვის ღირსია სანახაობა: ქრისტიანები, რომლებმაც არ იციან, რაში მდგომარეობს ქრისტიანობა. ქრისტიანები, რომლებიც არ იცნობენ ქრისტეს.” (გვ.10). შემდეგ ის წერს მართლმადიდებლობაზე: “მართლმადიდებლობა ეს არის ღვთის მიერ ჭეშმარიტი ღვთისმსახური ადამიანის განდიდება მისდამი სულიწმიდის მადლის მინიჭებით. სულიწმიდა არის ქრისტიანთა დიდება. (იოან.7, 38-39). სადაც არ არის სულიწმიდა, იქ არ არის მართლ-მადიდებლობა.” (ციტატის დასასრული). “ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.” (რომ.8, 9; 1კორ.3, 16). შემდეგ სახარება გვასწავლის იმას, რითაც ჩვენ დავიწყეთ ლექცია: “საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ რწმენაში... მხოლოდ ეს არის, რომ ის არ ხართ, რაც უნდა იყოთ.” (2კორ.13, 5). “იქონიეთ ღვთის რწმენა.” (და არა ადამიანური). (მრკ.11, 23). რათა ვიყოთ ჩვენ ისე, როგორც პავლე: “მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. მე ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული.” (გალ.2, 19-20). აი, რაში მდგომარეობს ქრისტიანობის საიდუმლო, რომლის შესახებაც ჩვენ გამუდმებით ვიმეორებთ ჩვენს ყველა ლექციაში, ისე, რომ შეიძლება მკითხველს თავიც კი მოვაბეზრეთ: სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი – სულ ერთი და იგივე. დიახ, ადამიანური გონებისათვის ეს ნამდვილად ასეა: მოსწყენია, ერთფეროვანია, უინტერესოა და უგუნურებაა, მაგრამ მთელი საქმეც ისაა, რომ მათთვის, ვისაც ნამდვილად სურს გადარჩენა, არ არის სხვა კარი ზეცაში, ამის გარდა. ამიტომაც პავლეს საშუალებით ჩვენ მიმართ ითქვა: “მე გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა, გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა.” (1კორ.2, 2). “და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო და აღმოვჩნდე მასში, არა ჩემი სიმართლით, რომელიც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს მიერ ღვთისმიერი სიმართლე, რწმენის მიხედვით.” (ფილიპ.3, 7-11). შეიძლება კიდევ ბევრი ვწეროთ და მოვიყვანოთ დასაბუთებები სახარებიდან და წმ. მამათა ცხოვრებებიდან, იმიტომ, რომ მთელი მართლმადიდებლობა გამსჭვალულია მხოლოდ სიკვდილის შესახებ სწავლებით და მთელი ჭეშმარიტი ქრისტიანობა დგას საფუძველზე, რომლის საძირკველს წარმოადგენს ქრისტიანობის პირველი 300 წლის მოწამეთა სისხლი (სიკვდილი). აი, ეს საფუძველი – საკუთარი თავის სიკვდილი – დაკარგეს თანამედროვე ქრისტიანებმა. გავიმეოროთ კიდევ ერთხელ, და გვაპატიოს მკითხველმა, გავმართლდებით პეტრე მოციქულით, რომელიც ამბობს: “ამიტომ მუდამ შეგახსენებთ ამის შესახებ, თუმცა იცით და მტკიცენი ხართ ახლანდელ ჭეშმარიტებაში.” (2პეტრ.1, 12-14). სიკვდილის აუცილებლობა ნაკარნახევია ადამის ცოდვით დაცემით, როგორც უკვე ვწერდით ამის შესახებ და ზეცაში დასაბრუნებლად არ არის სხვა გზა, ამ გზის გარდა, ოღონდ უკუმიმართულებით: ადამმა

უარყო მარადიული ზეცა, აირჩია სიკვდილი და შეიძინა დროებითი მიწიერი ცხოვრება. უკან წასასვლელი გზა მხოლოდ ერთია: უნდა უარყოთ დროებითი, მიწიერი ცხოვრება, ავირჩიოთ სიკვდილი და დავბრუნდეთ მარადიულ ზეციურ ცხოვრებაში. ქრისტემ ეს პირველმა გვიჩვენა, მოციქულებმა და მოწამეებმა დაადასტურეს, ახლა ჯერი თითოეულ ჩვენთაგანზეა. ყველამ თვითონ ავირჩიოთ. ამას გეთავაზობს უფალი: “ვისაც უნდა რომ გამოძევეს, (ზეცაში), უარყოს თავისი თავი, (მიწიერი ცხოვრება), აილოს თავისი ჯვარი (ჯვარი კი არის სიკვდილი) და გამოძევეს. (სიკვდილზე გავლით ზეცაში).” (მთ.16, 24). აქედან გამომდინარეობს მარტივი დასკვნა: ვისაც სურს, რომ გააჰყვეს, უარყოს თავისი თავი, ხოლო ვინც არ უარყოფს თავს, მას არ სურს, რომ გააჰყვეს ქრისტეს. ასეთებია დღეს მთელი მსოფლიოს ქრისტიანები, მათ შორის მართლმადიდებლებიც. ეს არ არის სიახლე, რომ არ აღშფოთდნენ მართლმადიდებლები. იმიტომ, რომ უკვე მოციქული პავლე 2000 წლის წინ იძულებული იყო ებრძოლა გონებისმიერ ქრისტიანობასთან. (1კორ.3, 18). იძულებული იყო ხაზი გაესვა, რომ ჩვენ სიკვდილმისჯილნი ვართ. (1კორ.4, 9). იძულებული იყო გაერჩია ქრისტიანობის ორი სახე: “ჩვენ უგუნურები ვართ ქრისტეს გულისათვის, თქვენ კი ბრძენები ხართ ქრისტეში,” (1კორ.4, 10), და ამ მეორე სახის ბრძნულ ქრისტიანობას გამოუტანა თავისი სამოციქულო განაჩენი: “ვინაიდან თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამები ბევრი არა გყავთ.” (1კორ.4, 15). იმისათვის რომ შვა ადამიანი ზემოდან, უნდა გაგაჩნდეს სულიწმიდა, უნდა გქონდეს შვილის შობის უნარი – სწორედ ამაში მდგომარეობს მამობა – შვა ადამიანი სულიერად სულიწმიდის მიერ. ამ აზრით არის ნათქვამი უფლის მიერ: “ნურც მამას უწოდებთ ნურავის ქვეყანაზედ.” (მთ.3,9). თუკი ასეთია სამოციქულო განაჩენი იმდროინდელი (მეორე სახის) ბრძენი ქრისტიანებისათვის, რაღა შეიძლება ვუთხრათ თანამედროვე (მეორე სახის) ბრძენ ქრისტიანებს? დღევანდელ მართლმადიდებლობაზე ტირის ყველა მართლმადიდებელი წმინდანი. ეგნატე ბრიანჩანინოვი ბროშურაში “მართლმადიდებლობის შესახებ” წერს: “არ არის მართლმადიდებლობა ადამიანურ სწავლებებსა და გონებრივ ბრძნობაში. მათში ბატონობს ცრუ გონება – დაცემის ნაყოფი. მართლმადიდებლობა არის სწავლება სულიწმიდისა და არა ადამიანური გონებისა.” (გვ. 2). დღეისათვის, სამწუხაროდ, ყველა თანამედროვე მართლმადიდებელი სწორედ ამ ცრუ გონებას ეყრდნობა. ამიტომაც ტირის წმ. ეგნატე: “უცნაურია თქვენი მსჯელობა საღი გონების შესახებ! საიდან, რა უფლებით, პოულობთ, ცნობთ მას თქვენში?” (გვ. 12). წმ. ეგნატეს ამ კითხვაზე მართლმადიდებლები ნაწყენდებიან და ამტკიცებენ, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობაშია ჭეშმარიტება. დიახ, ეს მართლაც ასეა. მაგრამ მართლმადიდებელი რომ გავხდეთ, აუცილებელია მოვაკვიდინოთ საკუთარი თავი, გავხდეთ სული, და არა ხორცი, იმდენად, რამდენადაც მართლმადიდებლობა არის სული, ხოლო სადაც არ არის სული, იქ არ არის მართლმადიდებლობა. (რომ.8, 9). “ვინაიდან ხორცს

სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.” (გალ.5, 17). როგორ შეიძლება ვიყოთ ხორცში, რომელიც ღმერთს არ ემორჩილება და არც ძალუძს, (რომ. 8,7), “იმიტომ, რომ რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ, არ ძალუძთ აამონ ღმერთს,” (რომ.8, 8), და თავს ვუწოდებდეთ ღვთის მსახურს? როგორ შეიძლება საკუთარ ნებაში მყოფი, რომელიც ეშმაკის მახეა, ღმერთს ემსახურებოდე? (2ტიმ.2, 26). ეშმაკის მახეში მყოფი შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ ეშმაკს, თუმცა შეიძლება ყვიროდეს მართლმადიდებლობის, ქრისტეს და ქრისტიანობის შესახებ, იცოდეს მთელი რწმენა და მთელი საიდუმლოებები, ლაპარაკობდეს ანგელოზების ენებით, ახდენდეს სასწაულებს და გადაადგილებდეს მთებს, (1კორ.13, 1-5), მაგრამ ეს ყველაფერი იქნება ხორცში, ეშმაკის ნებით. ეს ყველაფერი მასაც შეუძლია, როგორც არა ერთხელ გამოცხადებია წმ. მამებს ქრისტეს სახით და მოუხდენია უამრავი სასწაული ცხადად, ისე, როგორც მაგალითად, ფარაონის მოგვები (ქურუმები: იანე და იამბრე) ახდენდნენ მოსეს წინაშე. (2ტიმ.3, 8). მაგრამ ეს ყველაფერი ღვთის გარეშეა, ქრისტეს, მართლმადიდებლობის, ქრისტიანობის, ხსნის გარეშე, ეს ყველაფერი სიცრუეა და სიყალბე, ნაყოფია დაცემული ადამიანური გონებისა, რაზედაც ასე კარგად გვაფრთხილებს თავად უფალი: “ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დასამოწმებლად. აი, მაშინ დადგება აღსასრული.” (მთ.24, 14). ქრისტიანობა იწყება მხოლოდ იქ, სადაც არის საკუთარი “მე”-ს, საკუთარი ნების სიკვდილი, სადაც არის საკუთარი თავის მიმართ სრული უნდობლობა. (გვ. 2 და მთელი II თავი წიგნიდან “უხილავი ბრძოლა”). ასევე კარგადაა ქრისტიანობა აღწერილი ეპისტოლეში “დიოგნეტეს მიმართ.” ქრისტიანობა საიდუმლოებაა, რომელიც დგას ღვთის შვიდ საიდუმლოზე; ესაა საიდუმლოება, ძველი აღთქმის ეკლესიის წმიდათაწმიდაში დაფარული. მაგრამ ეს საიდუმლოება განცხადდა ქრისტეს ჯვარზე სიკვდილით. მისი სიკვდილით “ტაძრის კრეტსაბმელი (ფარდა) გაიხა ორად.” (მთ.27, 51). ეს კრეტსაბმელი-ფარდა (საბურველი), სახარების (წმ. წერილის) კითხვისას, დღემდე აფარია ყოველი ადამიანის გულსა და გონებას, ისე, რომ ადამიანები ბრძანი არიან. (2კორ.3, 14-15). ამიტომაც დღევანდელი ქრისტიანები, თუნდაც მართლმადიდებლები, თუნდაც ბაპტისტებით მთელი ბიბლიის ზეპირად მცოდნენი, და თუნდაც ქრისტეს აღდგომას საკუთარი თავის ჯვარმცემენი, (როგორც ეს ხდება ყოველ წელს ფილიპინებზე, სადაც ნებაყოფლობით ეცმება ჯვარს 40 - 40 კაცი), არ იცნობენ ქრისტეს და არც ქრისტე იცნობს მათ. (მთ.7, 21-23). იმიტომ, რომ ეს ყველაფერი არის დაცემული გონების ნაყოფი. იმიტომ რომ ამ ადამიანებმა, რომლებიც თუნდაც კვდიან ქრისტესთვის, (1კორ.13, 3), არ უარყვეს საკუთარი თავი, არ დაიმარხნენ ქრისტესთან, (სულიერად) (რომ.6,4), არამედ მოახდინეს თვითნებური თვითმკვლელობა. ეს საბურველი ადამიანის გონებიდან და გულიდან იხსნება მხოლოდ ქრისტეს მიერ, ოღონდ, როცა მას მიმართავენ სინამდვილეში და არა ცარიელი სიტყვებით

(2კორ.3, 16). საბურველი იხსნება მაშინ, როცა ადამიანი სინამდვილეში მოაკვდინებს თავის ხორციელ გონებას და მოიპოვებს სულს და სულში გახდება თავისუფალი, ისევე როგორც თავად უფალია თავისუფალი. (2კორ.3, 17). უფლის და მასთან ერთად ქრისტიანის ეს თავისუფლება არის საფლავს მიღმა, მკვდრებით აღმდგარ ქრისტეში და ქრისტიანში, რაზედაც ამბობს პავლე: “რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა, და მის ტანჯვებში მოზიარეობა და მის სიკვდილს ვემსგავსო, რათა როგორმე მივწვდე მკვდრებით აღდგომას.” (ფილიპ.3,10-11). ანუ აქ, ჩვენ ისევ ვაწყდებით სიკვდილის აუცილებლობას, იმიტომ რომ, ჯერ კიდევ ზეცაში, ადამის მიერ ხორციელად ეშმაკს ვართ მიყიდულნი. ისე, რომ ეშმაკს ჰქონდა ხელმწიფება თვით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღვთაებრივ ხორცზეც კი, და გადაჰყავდა იგი განსაცდელების დროს როგორც უნდოდა: უდაბნოდან ტაძრის სახურავზე იერუსალიმში, (მთ.4, 5), იერუსალიმიდან მაღალ მთაზე. (მთ.4, 8). და საერთოდ, თავად უფლის ხორცი დაუქვემდებარა ფურთხებას, გაშოლტვასა და ხორციელად ჯვარცმას. თუკი ასეთი რამ ხდება ჩვენი უფლის ღვთაებრივ სხეულზე, მაშ რა შეიძლება ხდებოდეს თანამედროვე ქრისტიანების ხორცზე? ამიტომაც: “საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ რწმენაში. ის ხართ, რაც უნდა იყოთ?” (2კორ.13, 5), რწმენით ცხოვრობს თქვენში ქრისტე თუ არა? (ეფეს.3, 17), თუ ეშმაკი ცხოვრობს თქვენს თვითნებობაში? (2ტიმ.2, 26). ამრიგად, როგორც უკვე არაერთხელ ვთქვით, ქრისტიანი არის ცოცხალი გვამი. აქედან გამომდინარეობს, რომ ქრისტიანსა და არაქრისტიანს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ცოცხალ ადამიანსა და მკვდარს შორის. მაგრამ აი, რა არის საკითხავი: შეუძლია თუ არა ცოცხალ ადამიანს იცოდეს თავისი სიკვდილის შემდგომი მდგომარეობის თვისებები და არსი? რა თქმა უნდა არა, ეს სისულელეა! იმიტომ, რომ ყველანაირი ხორცი კანკალებს და ძრწის სიკვდილის წინაშე, მაგრამ სწორედ მასში, მხოლოდ სიკვდილში და მხოლოდ აქედან იწყება ქრისტიანობა. (რომ.6, 3-4). ის, ქრისტიანობა, არის საღვთო საიდუმლოება, რომლის გამოცხადება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. (1კორ.2, 10-12). მკვდარი ადამიანი ხდება სული და მისი გაგება შეუძლია მხოლოდ სულს, ამიტომაც ამბობს პავლე, რომ სულიერი სულიერით უნდა განიმარტოს. (1კორ.2, 13). თანამედროვე ქრისტიანები კი, და თვით მართლმადიდებელი სამღვდელეობაც, ხორცში მყოფნი ცდილობენ იქ შედწევას, რაც თავად ღვთის მიერაა დაკეტილი. ადამიანის ხორციელი მდგომარეობა, გრძნობადი, ემოციური, არის მშვინვიერი. მკვდარი ადამიანის მდგომარეობა კი – სულიერი, და როგორც ცოცხალსა და მკვდარს შორის არ შეიძლება იყოს რაიმე ურთიერთგაგება, ასევე ის არ შეიძლება იყოს მშვინვიერსა და სულიერს შორის, თუნდაც ისინი მორწმუნეები იყვნენ. როგორც ცოცხალი ადამიანისათვის სიკვდილი არის შიში და უგნურება, ასევე მშვინვიერი მორწმუნისათვის – სულიერი რწმენა. ამაზე მოციქულმა პავლემ თქვა: “აი, მშვინვიერი ადამიანი არ ღებულს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც

ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი. ხოლო სულიერი განსჯის ყოველივეს, თავად კი არავისგან არ განისჯება. რადგან ვინ შეიცნო უფლის აზრი (გონება), რათა ასწავლოს მას? ჩვენ კი გვაქვს ქრისტეს აზრი (გონება).” (1კორ.2, 14-16). ე.ი. არსებობს სხვა გონებაც – არა ქრისტესი. ქრისტეს გონება მოიპოვება ქრისტესთან ერთად სიკვდილით. (რომ.6, 3-4; 7,4; 2კორ.5, 16). ხოლო ცოცხალ ადამიანს თავისი გონების მოკვდინების გარეშე აქვს არა ქრისტეს გონება, არამედ ეშმაკისა, დაცემული გონება, რომელიც არის ეშმაკის მახე. (2ტიმ.2, 26); იმიტომ, რომ: ისინი, ვისაც ეშინია სიკვდილისა, მთელი სიცოცხლე მონობაში არიან. (ებრ.2, 15). სწორედ გონების ამ უარყოფით იყო დაკავებული ყველა წმინდანი. ისინი თრგუნავდნენ თავიანთ თავს, ხორცს მარხვებით, მრავალი ჭირისა და მწუხარების დათმენით, სალოსობით და ა.შ. ყველანაირად აჩვენებდნენ ღმერთს საკუთარი ხორცის თანაჯვარცმას ქრისტესთან. როგორც ამას აკეთებენ ძველი აღთქმის მამათმთავრები ქრისტემდე, რაც კარგად აქვს აღწერილი პავლე მოციქულს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მთელ მეთერთმეტე თავში: “ისინი, რომელთა ღირსიც არ იყო მთელი წუთისოფელი, დაეხეტებოდნენ უდაბნოებსა და მთებში, დედამიწის მღვიმეებსა და ხევსუბებში.” (ებრ.11, 38). იმის კითხვისას, რასაც ჩვენ ვწერთ, ადამიანების ხორციელი გონება მხოლოდ აღშფოთდება, მაგრამ ჩვენ ვწერთ მათთვის, ვისაც ჭეშმარიტად სურს ხსნა და არა სიტყვიერების მოყვარულთათვის; ვწერთ მათთვის, რომელთათვისაც კანონს წარმოადგენს სახარება, რომელიც გვასწავლის: “ვინაიდან, თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორცის საქმეებს, იცოცხლებთ.” (რომ.8, 13). აი, ამ სიტყვებშია ქრისტიანული სიკვდილის გასაღები, სულიერი და არა ფიზიკური სიკვდილისა, საკუთარი ნების და არა სხეულის სიკვდილისა. (ეფეს.6, 12). საკუთარი თავის, საკუთარი ნების უარყოფას ეწევა ყოველი ადამიანი, როდესაც უარს ამბობს თავის მავნე განზრახვებსა და მოქმედებებზე. სწორედ ეს აქტი არის ის თავის უარყოფა, რომელსაც ითხოვს უფალი (მთ.16, 24). ოღონდ აუცილებელია ეს აქტები გადავაქციოთ სისტემად, გავხადოთ მუდმივი და მიეყვანოთ ისეთ სრულყოფამდე, რომ გავხდეთ მკვდარი ჩვენი ყოველი სურვილის მიმართ, არა მარტო ცუდის, არამედ კარგის მიმართაც. ასეთივე თავის უარყოფას მოითხოვენ აღმოსავლური რელიგიებიც, ასე რომ დაბნევა ძალიან ადვილია. ხსნისაკენ სწორი გზის მაჩვენებელ შუქურად, აზრების, სწავლებების, მოვლენების, მოძღვრების და ა.შ. ოკეანეში, გვევლინება მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილი, ე.ი. ყოველგვარი აზრებისა და მოქმედებების უარყოფა. და აი, ამ პირობების დაცვის შემთხვევაში, მოვლენები განვითარდება ღვთის ნებით, იმიტომ, რომ ღმერთია სამყაროს ერთადერთი ჭეშმარიტი უფალი, როგორც ნათქვამია კიდევ: “უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი.” (ფს.23, 1; 49, 12; 1კორ.10, 26-28) და როგორც თვით უფალი ჩვენ გვეუბნება: “განა ორი ბედურა ერთ ასარად არ იყიდება? მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაეცემა მიწაზე თქვენი

მამის ნების გარეშე. ხოლო თქვენ თავზე თმებიც კი დათვლილია. ნუ გეშინიათ: ბევრ ბელურაზე უკეთესნი ხართ.” (მთ.10, 29-31). რა უმტკიცესი საფუძველია რწმენისათვის! მაგრამ გეწამს კი ეს? აი, რა არის საკითხავი. ამრიგად, თუ არ გვექნება საკუთარი ნება, მაშინ ჩვენ ვიმართებით ღვთისაგან, როგორც თავად ამბობს ამის შესახებ: “ამრიგად, ნუ ზრუნავთ და ამბობთ: რა ვჭამოთ? ან რა ვსვათ? ან: რა შევიმოსოთო? ვინაიდან ყოველივე ამას წარმართნი ეძებენ; ვინაიდან თქვენმა ზეციერმა მამამ იცის, რომ თქვენ გჭირდებათ ყოველივე ეს.” (მთ.6, 31-34). ის მამა, რომელმაც შეგვექმნა ჩვენ ღვთის მუცელში, ქრისტეს პირით გვეკითხება: “არის კი თქვენს შორის ისეთი კაცი, საკუთარი შვილი პურს სთხოვდეს და ის კი ქვას აძლევდეს? ანდა თევზი რომ სთხოვოს, გველი მიაწოდოს? (არის თუ არა?). ჰოდა, თუ თქვენ, (ადამიანებმა), ბოროტებმა, (ადამის დაცემული ბუნებით), იცით კეთილ მისაცემელთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე თქვენი ზეციერი მამა მისცემს სიკეთეს იმას, ვინც სთხოვს.” (მთ.7, 9-11). და მართლაც, ის, ვინც თავიდან ბოლომდე შეგვექმნა, ნუთუ არ მოგვეცემს ჩვენთვის საჭიროს თავის ქმნილებებს? მოგვეცემს და გვაძლევს კიდევ, როგორც ვხედავთ კიდევ ამას საკუთარ თავზე და მთელი სამყაროს ცხოველებზე და ფრინველებზე, რომელთაც ის ასახრდოებს ჩვენს თვალწინ. ჩვენგან კი მოითხოვება მხოლოდ რწმენა და მეტი არაფერი, ოღონდ რწმენა საქმით. რწმენის საქმეს კი წარმოადგენს საკუთარი თავის მოკვდინება, როგორც ეს გააკეთა აბრაამმა, როცა ღმერთმა მოსთხოვა შვილის მსხვერპლად შეწირვა. (დაბ.22, 9; 15, 6). შვილის მსხვერპლად მიტანა, ხორციელი გაგებით არ არის კეთილი საქმე, მეტიც, ეს უგუნურებაა. გავისხენოთ აბრაამის მდგომარეობა: იგი 100 წლისაა და მეტისაც, სარა 90-ს გადაცილებულია, ისინი მარტონი არიან უდაბნოში, არც ერთი სულიერი მათ ირგვლივ... და ეს შვილიც (ძე) თავად ღმერთმა მისცა, და იგივე ღმერთი მოითხოვს აბრაამისგან ამ შვილის სიკვდილს. (დაბ. 22, 2). როგორ არ წარმოიშვას სამართლიანი ადამიანური აღშფოთება და შეკითხვა ადამიანური გონების მიხედვით: “მაშ, რაღად მომეცი ეს შვილი, თუკი ახლა მის სიკვდილს მოითხოვ?” მაგრამ აბრაამი მკვდარი იყო საკუთარი განსჯისათვის, ის არ ეკუთვნოდა თავის თავს და არც შვილს თვლიდა თავის კუთვნილებად, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ. თუ ჩვენც რწმენით მოვაკვდინებთ საკუთარ ნებას, აბრაამის მსგავსად, მაშინ საუკუნოდ ვიქნებით აბრაამთან მის წიაღში, ცათა სასუფეველში. და რამდენიც არ უნდა ვწეროთ ადამიანის უძლური გონებისათვის, ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ სიტყვებით გადმოვცეთ ჭეშმარიტი ქრისტიანის მდგომარეობა. (1კორ.2, 11-13). იმიტომ, რომ ეს მდგომარეობა საიდუმლოებაა, ხორცისათვის მიუწვდომელი, და გაცხადებულია ეს საიდუმლო მხოლოდ ქრისტესათვის და კიდევ მათთვის, ვინც მიენდობა მას. გაცხადდება თვალის დახამხამებაში, როგორც გაეხსნა კეთილგონიერ ავაზაკს ჯვარზე, რომელმაც უთხრა იესოს: “გამიხსენე, უფალო, როცა შენს სასუფეველში მოხვალ.” (ლუკ.23, 42). არაფერი სხვა მას არც უთქვამს და არც მოუმოქმედია: ის არ იყო მონათლული, არ

ეკუთვნოდა არც ერთ რწმენით აღმსარებლობას, არ აღუსრულებია არც ერთი რიტუალი და სხვ. მან მხოლოდ მთლიანად მიანდო თავისი თავი ღვთის ნებას, ამიტომაც გაიგონა პასუხად: “იესომ უთხრა მას: “ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში.”” (ლუკ.23, 43). სახარება იმიტომ გვაძლევს პრაქტიკული ხსნის ამ ერთადერთ მაგალითს, რომ ჩვენც ყველანი ზუსტად ისეთივე ავაზაკები ვართ, ოღონდ არაკეთილგონიერნი. იმიტომ, რომ მუდამ რაღაცას მოვითხოვთ ღვთისაგან, იმიტომ, რომ ყოველთვის, რწმენის ნაცვლად, ვცდილობთ გავიგოთ დაცემული გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო: ვკამათობთ, ვჩხუბობთ, ვამტკიცებთ, ვმტრობთ, ვომობთ კიდევ, ე.ი. ყველანაირად ვეყოფით ერთმანეთს, მაშინ, როცა მართლმადიდებლები, კათოლიკეები, მონოფიზიტები, პროტესტანტები ზიარებისას სიტყვებით ყველანი ვაღიარებთ: “მწამს, რომ ეს არის ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,” (მაგრამ უფლის ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი მხოლოდ მართლმადიდებლურ ზიარებაშია), ყველანი ვაღიარებთ ქრისტეს და მის საქმეებს, ეს კი ნიშნავს, რომ ვაღიარებთ იმასაც, რაც მან თქვა: “გიყვარდეთ ერთმანეთი.” ამრიგად უფალი ერთია, ჩვენ კი ვკლავთ ერთმანეთს. განა შეიძლება უფალი გაიყოს თავის თავში? – არანაირად, ეს ყველა აღმსარებლობის ადამიანები მიდიან ზიარებაზე მოუმზადებელი, რომლებმაც უარი არა თქვეს საკუთარ თავზე და საკუთარ ნებაზე. ჩვენ კი, მართლმადიდებლები, რომელთაც ჭეშმარიტი ზიარება გაგვაჩნია, უფრო იუდას ვგავართ, რომელიც ასევე ეზიარა და სწორედ ზიარების შემდეგ შევიდა მასში ეშმაკი. (იოან.13, 27). ასე რომ, როგორც ვხედავთ, გვიხსნის არა ზიარება, არამედ მისდამი რწმენა, თავად ადამიანის რწმენა. თვით უფალიც ვერ გვიხსნის, იმიტომ, რომ მან თავად მისცა იუდას პურის ნაჭერი. (იოან.3, 36). ხსნა შეუძლია მხოლოდ თავად ადამიანის რწმენას უფლისადმი, როგორც ეს თვალსაჩინოდაა ნაჩვენები სისხლმდინარე ქალის მაგალითზე. მიაქციეთ ყურადღება ამ მოვლენას: ქალი იტანჯებოდა სისხლდენით 12 წლის განმავლობაში. შეეხო რა ქრისტეს სამოსის ბოლოს იგი განიკურნა: “თქვა იესომ: “ვინ შემეხო?” როცა ყველამ უარი თქვა, პეტრემ და მასთან მყოფებმა უთხრეს: “მოძღვარო, ხალხი გარს გახვევია და ზედ გაწყდება, შენ კი ამბობ ვინ შემეხო?”” (ლუკ.8, 42-48). როგორც ამ მოვლენიდან ვხედავთ, ქრისტეს ბევრი ეხებოდა, მაგრამ განიკურნა მხოლოდ ერთი ქალი, თავისი საკუთარი რწმენით, ყოველგვარი სწავლების გარეშე, რაც თავად უფალმა მოუწონა და უთხრა: “ნუ გეშინია, ასულო, შენმა რწმენამ განგკურნა. წადი მშვიდობით!” (ლუკ.8, 48) ამ ქალის სახით, ეს სიტყვები ნათქვამია ყველა ჩვენთაგანის მიმართ, პირადად შენს მიმართ, მკითხველო! ნუ გეშინია, ძვირფასო, გადაირჩინე თავი! რაც უფალზე იყო დამოკიდებული, მან უკვე აღასრულა 2000 წლის წინ: გვიხსნა და თითოეული ჩვენთაგანი მიჰყავს ცათა სასუფეველში. ჩვენ მოგვეთხოვება, რომ მხოლოდ მივენდოთ მის მხსნელ ნებას, ყველა მოვლენის დროს, რაც ჩვენს თავს ხდება. ეს ნდობა არის სწორედ უმაღლესი გამოხატულება ჩვენი რწმენისა, როგორც პავლე მოციქული

გვასწავლის: “მაინც დიადი შენაძენია ღვთისმოსაობა კმაყოფილებასთან ერთად. რადგან არც არაფერი მოგვიტანია წუთისოფლად და, ცხადია, ვერც ვერაფერს წავიღებთ მისგან. ამიტომ, თუ გვაქვს საზრდო და ტანსაცმელი, დავჯერდეთ ამას.” (1ტიმ.6, 6-8).

რა არის მართლმადიდებლობა

“ზეციდან მოვიდა ხმა: “განვადიდე და კვლავაც განვადიდე.”” (იოან.12, 28). როდის მოვიდა ხმა? როდესაც ქრისტე წავიდა სიკვდილზე – აი, მართლმადიდებლობის დასაწყისი.

დღეს, მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს კამათი ეკლესიებს შორის, რწმენის სიწმიდის შესახებ, რათა მოიძებნოს ყველაზე მართალი და სწორი რწმენა. ისინი, ვინც ამას ეძებენ, ალბათ საერთოდ არ წაუკითხავთ სახარება, ან თუ წაუკითხავთ კიდევ, ვერაფერი გაუგიათ მასში და არ ესმით საერთოდ რა არის ეკლესია. რომ იგი ქრისტეს მიერაა შექმნილი, როგორც თავად ამბობს ამის შესახებ: “ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დასძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი.” (მთ.16, 18). ე.ი. ქრისტეს ეკლესია არსებობდა და არსებობს ისე, რომ იგი მიუწვდომელია თვით ჯოჯოხეთისათვის. ანუ მათ, ვინც ეძებენ ყველაზე ჭეშმარიტ ეკლესიას, არაფერი იციან მის შესახებ, რადგან, რომ იცოდნენ არ დაუწყებდნენ ძებნას. მაგრამ რადგან ეძებენ, აქვთ პრეტენზია საკუთარ სიმართლეზე, რითაც უარყოფენ ქრისტესმიერ დამყარებულ სიმართლეს და თავიანთი ძიების არსით ფაქტიურად ებრძვიან ქრისტეს ეკლესიას, ე.ი. ღმერთსაც, ღმერთს კი ებრძვის მხოლოდ ეშმაკი. მაგრამ რადგანაც ისინი იბრძვიან ქრისტეს სახელით, არსით წარმოადგენენ ანტიქრისტიანებს. ეს არ არის გასაკვირი, რადგან პირველი ასეთი ანტიქრისტიანული მოქმედება, როგორც სახარებიდან ვიცით, წამოსწია თავად პეტრე მოციქულმა, როცა მან, თავის ადამიანურ გრძნობებს აყოლილმა, მთელი გულით დაიწყო თავად ღმერთის დაცვა, დაიწყო მხსნელის გადარჩენა: “პეტრემ გაიხმო იგი, არწმუნებდა: “შეიწყალე თავი, უფალო!” ის კი მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: “მომცილდი სატანავ! ჩემი საცდური ხარ, ვინაიდან ფიქრობ არა იმაზე, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია.”” (მთ.16, 22-23). ეს სიტყვები: “მომცილდი სატანავ!” ნათქვამია თანამედროვე სიმართლის მეძიებელთა და თანამედროვე მართლმადიდებლობის დამცველთა მიმართ, რადგან ისინი, მართლმადიდებლობის დაცვის სახით, მხოლოდ შეურაცხყოფენ და ამცირებენ მას, (მართლმადიდებლობას), რამეთუ რაღა ღმერთია მათთვის ქრისტე, თუკი მის ეკლესიას ადამიანების დაცვა

სჭირდება? როგორიღა მაცხოვარი და მხსნელია ადამიანებისა, თუკი თავად სჭირდება ხსნა? მაგალითად, საბერძნეთის ათონის ერთ-ერთი მონასტრის თავზე არის დიდი ლოზუნგი: “მართლმადიდებლობა ან სიკვდილი!” ამ მონასტრის ბერები არამცთუ მართლმადიდებელი ბერები, ქრისტიანები და მონათლულები არ არიან, არამედ არ არიან კათაკმეველნიც (ნათვლად განმზადებულნი) კი, რადგან ნათლისღების კანონი ამბობს: “ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ?” (რომ.6, 3). ასე, რომ ნათლობის წინ, ღვთის წინაშე კათაკმეველად აღგენენ მას, ვინც თანახმაა მოკვდეს ნათლისღებაში. ეს ბერები კი ჯერ კიდევ არჩევანს აყენებენ: “ან სიკვდილი,” ე.ი. ისინი ჯერ არ მომკვდარან, ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, ხოლო ქრისტიანი უკვე მკვდარს ნიშნავს: “ამიტომ, დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით.” (რომ.6, 4). ეს ნიშნავს, რომ ბერები, რომლებმაც ჩამოკიდეს ეს ლოზუნგი, ჯერ არ დამარხულან ქრისტესთან ერთად, ამიტომ, ისინი ჯერ ქრისტიანებიც კი არ არიან. ქრისტეს ეკლესიის ძალა მდგომარეობს ქრისტეს მიბაძვაში, რომ როგორც არ უნდა სცემონ ქრისტიანი და რაც არ უნდა უყონ მას, იგი მკვდარია, მკვდარია საკუთარი თავისათვის, მას თავის თავში არაფერი აქვს დასაცავი, როგორც არ იცავდა თავის თავს ქრისტე, არამედ იცავდა თავის შეურაცხყოფელებსა და მკვლელებს თავისი ზეციერი მამის წინაშე და ლოცულობდა მათთვის: “მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ.” (ლუკ.23, 34). ასე ლოცულობდა პირველმოწამე სტეფანე და ამბობდა: “უფალო, ნუ მიუთვლი ამათ ამ ცოდვას.” (საქ.7, 60). ასე უნდა მოიქცეს ყველა, ვინც ეკუთვნის ქრისტეს ეკლესიას. იმიტომ, რომ ისინი ქრისტესთან ერთად არიან მკვდარნი და არაფერი აქვთ ამ სოფელში საძებნი და დასაცავი, გარდა თავიანთ მტანჯველთა და შეურაცხყოფელთა. ქრისტიანს, ისევე როგორც ქრისტეს, არავინ ჰყავს ამქვეყნად მტერი გარდა ერთისა საკუთარ თავში: საკუთარი “მე”, მაგრამ ისიც დამარცხებულია (ქრისტეს) სიკვდილით ყველა მის ინტერესებთან ერთად. ხოლო ისინი, რომელნიც ეძებენ ჭეშმარიტ რწმენას, თავად ამ ფაქტით ადასტურებენ, რომ შორს არიან მისგან და თუ იცავენ იმას, რაც არ საჭიროებს მათ დაცვას, ამით ხელს აწერენ, რომ იცავენ საკუთარ ინტერესებს, იმიტომ, რომ ქრისტეს ეკლესიას მთელი ჯოჯოხეთის ძალები ვერ მოერევიან, იგი არსებობს ქრისტეს იმ სიტყვების შემდეგ, რომლებიც უთხრა პეტრეს: “...(მე) აღვაშენებ ჩემს ეკლესიას და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას.” (მთ.16, 18). უბრალოდ, საჭიროა ვეცადოთ, რათა ვეკუთვნოდეთ ამ ეკლესიას. ეს სულაც არ არის რომელიმე კერძო: ბერძნული, რუსული, ქართული, იერუსალიმის, ანტიოქიის, სომხური, პროტესტანტული, კათოლიკური ან რომელიმე სხვა ეკლესია, არამედ ესაა პირადად ქრისტეს კუთვნილი ეკლესია, რომელიც ყოველთვის – გუშინ, დღეს დასაუკუნოდ, იგივეა, რადგან საუკუნოდ იგივეა – იესო ქრისტე. (ებრ.13, 8). ისინი, ვინც გამოდიან მართლმადიდებლობის დაცვისათვის ბრძოლის ლოზუნგით, თავიანთ მოქმედებებში ერთიანი არიან მათთან, ვინც იბრძვის მთელს მსოფლიოში

მშვიდობის დაცვის ლოზუნგით. რადგან იჩქმალება აშკარა ფაქტი: რომ ბრძოლა ეს უკვე მშვიდობის უარყოფაა და ამ გზით მშვიდობას ვერესოდეს მიაღწევ – ამიტომაც არ არის დედამიწაზე მშვიდობა. ან კიდევ, მსგავსად ლოზუნგისა: “ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება”, რომლის მოპოვებასაც ასევე ბრძოლით ცდილობენ. იმ თავისუფლებისათვის, რომელიც ადამიანში ვერასოდეს ვერ იქნება, იმიტომ რომ ჩვენ არა ვართ თავისუფალნი ჩვენი სურვილებისაგან: გვინდა ჭამა, სმა, ძილი, და ა.შ. ჩვენ ვართ ჩვენი სურვილებისა და ვნებების მონები. ან კიდევ, რა თანასწორობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ ვინმესთან, როცა ჩვენს შიგნით არ არის თანასწორობა სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის. ასევე არ არის ძმობაც ამ სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის, ამიტომაც, ყოველი ადამიანი მუდმივად უკმაყოფილოა თავისი თავით. ის თავისი თავისთვის არ არის ძმა და როგორ შეიძლება იყოს ძმა სხვა ადამიანისათვის? ასე, რომ ლოზუნგი – “ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება”, ისევე როგორც ლოზუნგი – “ბრძოლა მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში”, “ახლომხედველი” ადამიანებისთვისაა, ხოლო ასეთებით სავსეა დღევანდელი მსოფლიო. სწორედ ასეთები ხოცავენ ერთმანეთს “ძმობისათვის”, განსაკუთრებით საქართველოში. მაგრამ არის თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის ნამდვილი ადგილი, ესაა სასაფლაო. იგია შერიგების ადგილი, სადაც ყველა მშვიდად და უბრძოლველად წევს. აი, ქრისტიანობის არსი, რომელიც გვიჩვენა დემურთა ქრისტეს სახით, და რომელიც მდგომარეობს ასეთივე დამარხვაში ნათლისღებით უკვე ამავე ცხოვრების დროს.

სწორედ ასეთი, (ამ სოფლისათვის და საკუთარი “მე”-სათვის მკვდარი), ცოცხლად დამარხული ადამიანები არიან მართლმადიდებლები. სწორედ ისინი შეადგენენ ქრისტეს ეკლესიას, რომელიც მხოლოდ თავად ქრისტეს ემორჩილება, მისი პირველი მცნების მიხედვით. და ამ ეკლესიის წევრები გაფანტულნი არიან მთელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ქრისტეს მსხნელი ლამპრებით, მაგრამ ისინი მუდამ მოძულებულნი და დევნილნი არიან ამ სოფლისაგან: “თუ თქვენ წუთისოფელს სძულხართ, იცოდეთ, რომ პირველად მე მომიძულა. თქვენ რომ წუთისოფლისანი ყოფილიყავით, წუთისოფელს ეყვარებოდა თავისიანები და რაკი არა ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთისოფელს.” (იოან.16, 18-19). მართლმადიდებლები მაგალითად, კამათობენ “სტარობრიადელებთან” თითების სწორად დაწყოებაზე, როგორ უნდა მოხდეს პირჯვრის სწორად გადაწერა ორი თუ სამი თითით. ვკითხოთ ერთთაც და მეორეთაც, ისინი რომ ქრისტესთან ერთად მომკვდარიყვნენ და დაფლულიყვნენ, რამდენი თითით გადაიწერდნენ პირჯვარს? თითები ხომ ხორცს ეკუთვნის, გარეგან ადამიანს, ხოლო ხსნის საკითხი ეხება შინაგან ადამიანს, რომელიც არის სული და რომელსაც არა აქვს თითები. ან სხვაგვარად მართლმადიდებლისა და სტარობრიადელისთვის რომ ხელები მოეკვეთათ, (ხომ ხდებოდა ასეთი რამ წმ. მოწამეთა ცხოვრებაში), მაშინ

როგორ დაუმტკიცებდნენ ისინი ერთმანეთს თავიანთ სიმართლეს? (ამ მსჯელობით ჩვენ არ ვაკნინებთ პირჯვრის სამი თითით გადაწერის სისწორესა და მნიშვნელობას, რომელიც 2-ე მსოფლიო კრების დროს დაკანონდა, არამედ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ სწორი გარეგნული ფორმა, თუ მას თან არ ახლავს სწორი შინაგანი სულიერი მდგომარეობა არ იძლევა სასურველ შედეგს). იგივე ეხება ადამიანთა შორის რწმენის საკითხებზე ნებისმიერ სხვა უთანხმოებას. ყველამ, ვინც წარმოშობს ამ უთანხმოებებს, არ იცის, რომ: “ღვთის სასუფეველი... (არის) სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაშია. ხოლო ვინც ამით ემსახურება ქრისტეს, იგი სასურველია ღვთისათვის და მოსაწონი – ადამიანთათვის. მაშ, ვესწრაფოთ იმას, რაც მშვიდობასა და ერთმანეთის აღშენებას ემსახურება.” (რომ.14, 17-19). სიმართლის, მშვიდობისა და სიხარულის შესახებ თქმულ ამ სიტყვებში იგულისხმება სულიწმიდისმიერი სიმართლე და არა ჩვენმიერი, რომელიც ადამიანის ხორციელი გონებისაგანაა, სულის გარეშე. ანუ სიმართლის ძიების დაწყებამდე, აუცილებელია მივხედოთ გაერკვეს თავის თავში, როგორ ცხოვრობს თავად, ხორცის თუ სულის მიხედვით? “ვინაიდან ისინი, რომლებიც ხორციელად არიან, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომლებიც სულიერად არიან – სულიერზე... ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები – სიცოცხლე და მშვიდობა. იმიტომ, რომ ხორციელი ფიქრები ღვთის მტრობაა, ვინაიდან არ ემორჩილება ღვთის რჯულს და არც შეუძლია... თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი ღვთის სული ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის. და თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისათვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისათვის.” (რომ.8, 5-10).

ამ სიტყვებით ხაზგასმულია მკვდარი სხეულის აუცილებლობა, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სული გაცოცხლდეს სიმართლისათვის. ხოლო სხეულით ცოცხალნი, ჩვენ ვეკუთვნით საკუთარ თავს და არა ქრისტეს, რის გამოც ვკამათობთ ერთმანეთთან მთელს მსოფლიოში, რადგანაც: “მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვენ თავიანთი ხორცნი ვნებებთან და გულისთქმასთან ერთად.” (გალ.5, 24), ანუ ნამდვილ ქრისტიანს უბრალოდ, არ შეუძლია იკამათოს: “და თუ ვინმე განიზრახავს იდაოს, ჩვენ არა გვაქვს ასეთი ჩვეულება, არც ღვთის ეკლესიებს.” (1კორ.11, 16). მაგრამ თუ ადამიანები მაინც დაობენ და ეძებენ, ისინი ჯერ არ მომკვდარან ქრისტესთან ერთად და ამიტომაც ეკუთვნიან არა ქრისტეს, არამედ საკუთარ თავს, ღვთისადმი დაუმორჩილებელ საკუთარ ხორცს, თუმცა ამის შესახებ არც კი ეჭვობენ: “ვინაიდან ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ გულმოდგინება ღვთისადმი, ოღონდ არა შეგნებულად. რადგან ღვთის სიმართლე ვერ შეიცნეს და ცდილობდნენ საკუთარი სიმართლის დადგენას და ღვთის სიმართლეს არ დაემორჩილნენ.” (რომ.10, 2-3).

ასეთი სიმართლის მაძიებლების დაუმორჩილებლობის შესახებ თავად უფალი გვაფრთხილებს: “მაგრამ მოდის ჟამიც, როცა თქვენს

ყველა მკვლელს ეგონება, რომ ამით ღმერთს ემსახურება. ასე მოგეპყვევიან, რადგან არ იცნეს არც მამა, არც მე.” (იოან.16, 2-3). ასეთი ადამიანები ამტკიცებენ საკუთარ სიმართლეს და თუმცა ისინი ლაპარაკობენ ღმერთზე და მზად არიან თავიც კი გასწირონ მისთვის, მაგრამ ისინი გვანან მოციქულ პეტრეს, რომელიც ქრისტეს ძედ ღვთისად აღიარებასთან და მის წინ მუხლებზე დავარდნასთან ერთად აგდებს მას ნავიდან სიტყვებით: “გამშორდი, უფალო, ვინაიდან ცოდვილი კაცი ვარ.” (ლუკ. 5, 8). თუკი პირველი მოციქული ამდენჯერ ცდება საკუთარი ნების გამოვლინების გამო, რამდენად უფრო მეტად შეცდებიან უბრალო მოკვდავნი – დღევანდელი მართლმადიდებლობის დამცველნი? უკეთესი იქნებოდა მათ ხსომებოდათ უფლის სიტყვები, რომლითაც მიმართა პეტრეს: “მომცილდი სატანავ! ჩემი საცდური ხარ, ვინაიდან ფიქრობ არა იმაზე, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია.” (მთ.16, 23). ქრისტეს ეს სიტყვები პირდაპირ ეკუთვნის მართლმადიდებლობის დღევანდელ დამცველებსა და სხვა სიმართლის მაძიებლებს. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ როგორ იცავდა მართლმადიდებლობას თავად მისი დამაარსებელი – იესო ქრისტე. განა ის ვინმესთან კამათობდა? იცავდა ან ამტკიცებდა რაიმეს? განა მასზე არ ამბობდა ესაია წინასწარმეტყველი: “ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე.” (ეს.53, 7). აი, რაშია მართლმადიდებლობის არსი. იმაში, რომ პირი არ აღვადოთ მის დასაცავად, არამედ უბრალოდ და მდუმარედ ვიყოთ მართლმადიდებლები, როგორც ქრისტე, ან როგორც მეფსალმუნე დავითი, რომელიც ღმერთს არც კი აღიდებს მის გარეშე: “უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ და პირი ჩემი იტყოდეს ქებულებასა შენსა.” (ფს.50, 17). მაგრამ იმისათვის, რომ ასეთები გავხდეთ, თავიდან, როგორც მინიმუმი უნდა მოგვედეთ ქრისტესთან ერთად, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება თავი დავადლოთ ეშმაკის ძალაუფლებას. იმიტომ, რომ მანამ ჩვენში ცოცხლობს ჩვენი “მე”, ჩვენ ეშმაკის მონები ვართ. უფალი იმისათვის განხორციელდა, “რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი, და გაათავისუფლოს ისინი, ვინც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლე მონობაში იყო.” (ებრ.2, 14-15). რის შესახებაც ყველანი ვგალობთ აღდგომის დღესასწაულზე: “ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.” ე.ი. იმისათვის, რომ აღვდგეთ მკვდრეთით, ჯერ უნდა მოგვედეთ და ჩავწვეთ საფლავში, საფლავიდან კი ვინ იცავს მართლმადიდებლობას, ან ვინ მსჯელობს საკუთარი საეკლესიო ორგანიზაციისა და რწმენის უპირატესობაზე? ასეთი ადამიანები, ჯერ კიდევ ქრისტეს გარეშე ცოცხლობენ და ბუნებრივია დამონებულნი არიან ეშმაკს, თუმცა ვითომაც იცავენ რწმენასა და ღმერთს. მაგრამ ასე იცავდა მათ ჯერ კიდევ მოციქული პეტრე, როცა აგდებდა ქრისტეს ნავიდან. თავისი არსით, სწორედ ასე აგდებენ ქრისტეს მისივე ეკლესიიდან

თანამედროვე მართლმადიდებლობის დამცველები.

ხოლო აგდებენ, ქრისტეს, იმიტომ, რომ მან თქვა: “ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა.” (იოან.18, 36), დღევანდელ “დამცველებს” კი თავიანთი სამეფო ამა სოფლისაგან აქვთ. და აი ისინი იცავენ წუთისოფელს მართლმადიდებლობის დაცვის სახელით, იმიტომ, რომ არ მოკვდნენ მისთვის და ებღაუჭებიან და ეჭიდებიან მის ატრიბუტებს: მანქანებს, ბინებს, თანამდებობებს, და ა.შ. და სარწმუნოება მათთვის უბრალოდ წარმოადგენს პურის ბარათს უზრუნველი და მაძლარი ცხოვრებისათვის. აი, რას იცავენ ისინი. რადგან, ისინი რომ ქრისტესნი ყოფილიყვნენ, მაშინ მოიქცეოდნენ კიდევ მასავით: “არ იდავებს და არც იყვირებს, და ქუჩებშიც ვერავინ გაიგონებს მის ხმას. გატეხილ ლერწამს არ დალეწავს და მბუბუტავ პატრუქს არ ჩააქრობს, ვიდრე განკითხვას გამარჯვებამდე არ მიიყვანს და მის სახელს მიენდობიან ხალხები.” (მთ.12, 19-21). ასე რომ, ნამდვილი ქრისტიანები უსიტყვოდ ესავენ ქრისტეს სახელს, როგორც პირველმოწამე სტეფანე და ყველა დანარჩენი მოწამე. ხოლო თანამედროვე “დამცველები” ესავენ და ამტკიცებენ საკუთარ სახელს და იმდენად გაერთნენ საკუთარი “მოღვაწეობით”, რომ დაავიწყდათ ქრისტეს გამაფრთხილებელი სიტყვები: “ვინც მეუბნება: “უფალო, უფალო!” ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც შეასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს.” (მთ.7, 21).

იმისათვის, რომ შევასრულოთ ზეციერი მამის ნება, დასაწყისისათვის, სულ მცირე, უნდა უარყოთ ჩვენი ნება, რომელიც ეშმაკს ეკუთვნის: “რათა გათავისუფლდნენ ეშმაკის მახისაგან, რომელმაც თავის ნებაზე დაატყვევა ისინი.” (2ტიმ2, 26). ხოლო ეშმაკის ნება, როგორც ჩვენ ვამბობთ სახარების მიხედვით, შეიძლება მოვიცილოთ მხოლოდ საკუთარი თავის მოკვდინებით: “ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი.”

სიკვდილი – აი, მართლმადიდებლობის ფუნდამენტი და საფუძველი. თუ იგი არ არის, არ არის მართლმადიდებლობაც, იმიტომ, რომ ქრისტემ საფუძვლად დადო მხოლოდ ეს ქვა - საკუთარი ღვთაებრივი სხეულის სიკვდილი. ამაში მდგომარეობს მართლმადიდებლობის და საერთოდ ღვთის დიდების არსი. ქრისტეს სიკვდილი არის მწვერვალი, გვირგვინი მისი მსახურებისა, ამიტომაც, გოლგოთაზე მიმავალი, ამბობდა: “ამის თქმის შემდეგ იესომ ცას მიაპყრო თვალები და თქვა: “მამაო, დადგა ჟამი, განადიდო შენი ძე, რათა ძემაც განგადიდოს შენ.” (იოან.17, 1). ამრიგად, ძე ღვთისა თავის მამას განადიდებს საკუთარი სიკვდილით, ხოლო სიმართლისმოყვარენი ცდილობენ განადიდონ მამა თავიანთი ცხოვრებით და სრულიად დაივიწყეს, თუ როგორ არის საჭირო მამის თაყვანისცემა და სათნოყოფა: “მაგრამ დგება ჟამი და უკვე აქ არის, როდესაც ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით, რადგან მამაც სწორედ ასეთ თაყვანისმცემლებს ეძებს თავისთვის. ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი

თავიანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით.” (იოან.4, 23-24), “სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა.” (2კორ.3, 17). თავისუფლება ეშმაკისგან, რომელმაც ჯერ კიდევ ადამში დაიმონა ჩვენი სული და ამყოფებს მას ჩვენს სხეულში, როგორც სამუდამო პატიმრობაში. ხოლო სამუდამო პატიმრები ციხიდან თავისუფლდებიან მხოლოდ ერთ შემთხვევაში – პატიმრის სიკვდილის შემდეგ. მაშინ, იგი, უბრალოდ გამოაქვთ ციხიდან, ანუ ათავისუფლებენ იქედან. სწორედ ასე გაგვათავისუფლა ჩვენ – ქრისტემ. ახლა კი, მისი დახმარებით, იგივე უნდა გავაკეთოთ ჩვენ თვითონაც – მდუმარედ, მდაბლად, მოთმინებით, ყველას სიყვარულით, როგორც მან გვამცნო: “ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი... ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთს შორის.” (იოან.13, 34-35). ხოლო თუ მართლმადიდებელი ქრისტიანები სიყვარულის ნაცვლად, სიძულვილამდე მისულნი, დაობენ ერთმანეთში და არად დაგიდევენ მოციქულთა მიერ კამათის აკრძალვას (1კორ.11, 16) და არც უფლის მცნებას: “მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყვერები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროვებთ და გდევნით,” (მთ.5, 44), მაშინ უბრალოდ ისინი არ არიან ქრისტიანები, როგორც უკვე მრავალჯერ ვაჩვენეთ სახარების სიტყვებით. მაგრამ სწორედ ეს დამცველები, რომელთა სამეფოც არ არის ქრისტესთან ერთად ზეცაში, არამედ მათი სამეფო მიწაზეა, არიან იმ რწმენის დამცველთა მემკვიდრენი, რომელთაც ჯვარს აცვეს ქრისტე მაშინ, ხოლო ესენი ჯვარს აცმევენ ახლა, და როგორც ისინი ამას აკეთებდნენ ღვთისათვის მოშურნეობის საფარქვეშ, ასევე აკეთებენ ესენიც. მათ ჯერ კიდევ პავლე მოციქული ამხელდა არაერთხელ: “ჩვენ უგუნურები ვართ ქრისტეს გულისათვის, თქვენ კი “მართლმადიდებლობის დამცველები,” ბრძენები ხართ ქრისტეში. ჩვენ უძღურნი ვართ, თქვენ კი ძლიერნი. თქვენ დიდებულნი, ჩვენ კი უპატიონი... რადგან ღვთის სასუფეველი არის არა სიტყვაში, არამედ ძალაში.” (1კორ.4, 9-20). მათ, რომელთაც ჯვარს-აცვეს ქრისტე, არ შემცდარან. იცნეს იგი და მოვალენი იყვნენ დაეთმოთ თავიანთი ძალაუფლება ტაძარში და ხალხზე, მაგრამ არ გააკეთეს ეს. ასევე მართლმადიდებლობის თანამედროვე დამცველები ყველაფერს ხედავენ და ყველაფერში შესანიშნავად ერკვევიან, იმიტომ, რომ არაფერი ქრისტიანობაში, გნებავთ ჩვენ მიერ მოყვანილიდან, რთული და გაუგებარი არ არის, რამდენადაც უნდა გავიგოთ მხოლოდ ერთი: გაჩუმდი, გარედანაც და შიგნიდანაც და თავის მართლების გარეშე ირწმუნე და ღვთის გამოგზავნილად მიიღე ყველაფერი ცხოვრების ბოლომდე, რადგან “თქვენს თავზე თმებიც კი დათვლილია.” (მთ.10, 30). სწორი სარწმუნოების ასეთ “დამცველებზე” გვაფრთხილებდა მოციქული პავლე: “ვინაიდან მე ვიცი, რომ ჩემი წასვლის შემდეგ შემოგივარდებიან უღმობელი მგლები, რომლებიც არ დაინდობენ სამწყსოს. და თვით თქვენგანაც აღდგებიან კაცები, რომლებიც უკუდმართად ილაპარაკებენ, რათა მოწაფეები გადაიბირონ.” (საქმ. 20,

29). განსხვავება ჭეშმარიტ და ყალბ მართლმადიდებლებს შორის მთელი ამ მრავალსიტყვაობიდან დაიყვანება ერთ საკითხამდე: მზადაა თუ არა ეს ქრისტიანი მოკვდეს ქრისტესთან ერთად, თუ არჩევს იცხოვროს, (ოღონდ ეს იქნება უკვე ცხოვრება ქრისტეს გარეშე), და იმსჯელოს ქრისტეზე. შეიძლებოდა არც კი დაგვეწერა ეს ყველაფერი, რადგან მართლმადიდებლობა არის უბრალოდ ქრისტეს მიბაძვა, დაწყებული იუდას ლაღატიდან. მართლმადიდებლობა დაიწყო მაშინ, როცა: “ის (იუდა) კი როგორც კი ლუკმა აიღო, დაუყონებლივ გავიდა. და იყო ღამე. როცა ის გავიდა, თქვა იესომ: “ახლა განდიდდა კაცის ძე და ღმერთი განდიდდა მასში. რაკი ღმერთი განდიდდა მასში, ღმერთიც განადიდებს მას თავის თავში და უმაღლვე განადიდებს მას.”” (იოან.13, 30-32). ამრიგად, მართლმადიდებლობა დაიწყო რა იუდას ლაღატი, აღსრულდა ქრისტეს სიკვდილით ჯვარზე: “როცა მიიღო ძმარი იესომ, თქვა: “აღსრულდა!” დახარა თავი და სული განუტევა.” (იოან.19, 30). მოკლედ, მართლმადიდებლობის შესახებ შეიძლებოდა ასე გვეთქვა: ვინც უსიტყვოდ ბაძავს ქრისტეს, იუდას ლაღატიდან ჯვარცმით სიკვდილამდე, ის არის მართლმადიდებელი, მაგრამ ვინც მხოლოდ ლაპარაკობს ამის შესახებ, ის მართლმადიდებლურად მოლაყბება და ღმერთმა ქნას, რომ როდესმე გახდეს მართლმადიდებელი. მართლმადიდებლობა ყოველთვის იყო ხსნის საშუალება და არა დაცვის საგანი. იგია ნათელი, რომლისაგანაც გარბის სექტებისა და სექტანტების სიბნელე. მაგრამ თუ დღეს ისინი გამრავლდნენ და აყვავდნენ, არა იმიტომ, რომ ისინი გაძლიერდნენ, არამედ იმიტომ, რომ აღარ არის მართლმადიდებლობა და მისი ჭეშმარიტების ნათელი. განა საერთოდ აღარ არის, მაგრამ თავად ღვთისაგან ასეა დაშვებული და განსაზღვრული: “ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო!” (მთ.24, 5). ამრიგად, მართლმადიდებლობის საკითხში, თითოეულმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ღმერთთან თავის პირად ურთიერთობებში, სულში. უბრალოდ რომ ვთქვათ, მართლმადიდებლობა შესაძლებელია მხოლოდ სულში და არა ხორცში, როგორც მას ეძებდნენ ძველი აღთქმის რწმენის მოშურნენი და ზუსტად ასევე ეძებენ დღეს ახალი აღთქმის სიმართლისმაძიებელი, რომელნიც ეძებენ გამართლებას, ე.ი. ხსნას კანონში. ისინი, ძველები, ეძებდნენ ხსნას თალმუდში, ხოლო ესენი ახლები – ნომოკანონში, (სჯულის კანონში), მაშინ, როცა თვით ეს კანონი ამბობს, რომ სჯულით და მისი საქმეებით ვერავინ გამართლდება, წყეულია ყველა, ვინც არ აღასრულებს მთელ რჯულს, ხოლო მთელი რჯულის შესრულება არ შეეძლო არავის იესო ქრისტეს გარდა. ასე, რომ ყველა სიმართლისმაძიებელი სცოდავს კანონის (სჯულის) წინაშე, რადგან არღვევს მას ყველა: ერთნი ერთში, მეორენი – სხვაში, და ჭამენ ერთმანეთს სრულიად საფუძვლიანად, თითოეული თავის თავშია გამართლებული, და არ ეძებენ გამართლებას ქრისტეს მიერ, იმიტომ, რომ ქრისტემ არავინ განსაჯა, არამედ მოგვცა სიყვარულის კანონი, კანონი ყველასათვის ყველაფრის მიტევებისა, რაც საკუთარი მაგალითით გვიჩვენა. ამ მაგალითს კი რჯულის მიმდევრები არ მისდევენ,

არამედ ემყარებიან ხორცს, რწმენის ხილულ საქმეებს, მაგრამ რადგანაც ხორცი მიყიდულია ცოდვას (რომ.7, 14), ამიტომაც მხოლოდ ცოდვას ემსახურება იგი, თვით მოციქულ პავლეშიც კი, როგორც ის ამის შესახებ წერს: “ვინაიდან რას ვაკეთებ, არ ვიცი; იმიტომ, რომ იმას არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ, რაც მძულს, იმას ვაკეთებ.” (რომ.7, 15). ე.ი. რა გამოდის? რადგან სცოდავს თვით მოციქულიც კი, სიმართლის-მაძიებლებმა მას აღარ უნდა მოუსმინონ? უნდა განსაჯონ? თავიანთი საქმეებით ისინი ასეც იქცევიან და იგროვებენ ცოდვებს, მაშინ, როცა თვით მოციქული დასტირის თავის ცოდვებს და წერს, რომ ადამიანში ერთდროულად შეიძლება იყოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობა: “აჰა, მე თვითონ ჩემი გონებით ღვთის რჯულს ვემონები, ხოლო სხეულით – ცოდვის რჯულს.” (რომ.7, 25). ამავე თავში, მოციქული ხსნის, რომ თუ ის სცოდავს კიდევ გარეგნულად, სხეულით, თვითონ კი არ სცოდავს, არამედ მასში მცხოვრები ცოდვა, რომელსაც სხეული მიყვია ჯერ კიდევ ადამში და ჩვენ ვსაუბრობთ არა სხეულის, არამედ სულის გადარჩენის შესახებ. ასე რომ, თუკი სხეულით ცოდვის დროს, მოციქულის სული არ ეთანხმება ცოდვას, იბრძვის, ტირის, არ უნდა მისი ჩადენა, მაშინ ასეთი მებრძოლი სული არც სცოდავს, ის გამართლდება, ოღონდ ქრისტეში და თავად ქრისტეს მიერ, თუმცა გარეგნულად, სხეულით, ხილულად, ადამიანი სცოდავს და ამის მხილველი მწიგნობრები განიკითხავენ მას, მაშინ, როცა თვითონაც, იგივე ბუნებისანი, იმავეს სჩადიან. ისმის კითხვა: ფიქრობენ ისინი საკუთარ ხსნაზე? – რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ეს მათი პრობლემაა. მართლმადიდებლებმა უნდა ილოცონ მათთვის, როგორც ლოცულობდა თვითონ იესო ქრისტე და ყველა მისი წმინდანი: “მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ.” (ლუკ.23, 34). სიმართლისმაძიებელთა შეცდომა ისაა, რომ ადამიანს ისინი განიხილავენ ერთიან არსებად, როგორც ეს გარედან ჩანს და არ იციან, რომ სამება ღმერთის – მამისა და ძისა და სულიწმიდის მსგავსად ადამიანის არსებაც სამსახოვანია: “ვკმნეთ კაცი სახედ და ხატად ჩვენდა.” (დაბ.1, 26). “თავად მშვიდობის ღმერთმა წმინდა გყოთ სრულად და მთლიანად: სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უბიწოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისათვის.” (1თეს.5, 23). თუკი სულის ხსნის გზაზე, ჩვენი სხეული სცოდავს, რამეთუ დამონებულია ჩვენზე უფრო ძლიერის, ე.ი. ეშმაკის მიერ ჩვენ გვყავს მასზე კიდევ ძლიერი შემწე და შუამდგომელი ღვთის წინაშე, უფალი ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე, – აი, რა არის მართლმადიდებელთა სასოება და არა საკუთარი სიმართლე საკუთარ თავზე დაკვირვებით, ღვთისა და მისი სულიწმიდის ხსნაში ხელმძღვანელობის გარეშე: “მხოლოდ ეს მსურს ვიცოდე თქვენგან: რჯულის საქმეებით მიიღეთ სული თუ რწმენის შესმენით? ნუთუ იმდენად უგუნურნი ხართ, რომ სულით დაიწყეთ და ახლა ხორციით ამთავრებთ?” (გალ.3, 2-3). “თუ ქრისტესთან მოკვდით წუთისოფლის ნივთათვის, წუთისოფელში მცხოვრებთა მსგავსად, რაღად ემორჩილებით წესებს: ნუ მიეკარები, ნუ იგემებ, ნუ შეეხები, ყველაფერს,

რაც იხრწნება ხმარებისაგან, კაცთა მცნებისა და მოძღვრების თანახმად?” (კოლ.2, 20-23). “ახლა კი, როცა ღმერთი იცანით, უფრო მეტიც, როცა ღმერთმა გიცნოთ, როგორღა უბრუნდებით უძღურ და ღატაკ საწყისებს და გინდათ ხელახლა დაემონოთ მათ? დღეებს იცავთ თქვენ და თვეებს, ვადებსა და წელიწადებს. ვშიშობ, ამოდ ხომ არ გავისარჯე თქვენს შორის.” (გალ.4, 9-11), “ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნულად ჰგავს სიბრძნეს ცრუთაყვანებით, სიმდაბლით და სხეულის დათრგუნვით, მაგრამ ყოველივე ეს არ არის გამიზნული ხორცის განცხრომის წინააღმდეგ.” (კოლ.2, 23). მაგრამ ყოველივე ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს, რომ სჯულისკანონი და ყველა მისი კანონი საჭირო არ არის, არავითარ შემთხვევაში, არა და არა! არამედ, ჩვენ ვამბობთ იმის შესახებ, რომ მთელი სჯულის კანონის შესრულება ჯერ ერთი შეუძლებელია, და მეორე: რომც იგი შესრულებულ იქნეს, ეს ადამიანს ვერ აცხოვნებს. არამედ კანონი არის მხოლოდ გზის მაჩვენებელი, ორმხრივი ღობე, ყავარჯნები, საყრდენი, მაშველი რგოლი წუთისოფლის ცოდვათა ზღვაში, რათა ამ კანონის დახმარებით უფრო ადვილი იყოს მისვლა სხვა მაცხოვნებელ კანონამდე, რომელიცაა კანონი ქრისტესმიერი სიყვარულისა სულიწმიდაში.

ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი, ვინც ღვთის სულით არიან, განთავისუფლდნენ კანონისაგან და აღარ საჭიროებენ მას: “და თუ სულით იარებით, რჯულის ქვეშ აღარ ხართ” (გალ.5, 18) და ცოდვა ასეთებზე უკვე აღარ ბატონობს: “რადგან თქვენ რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ხართ.” (რომ.6, 14). “ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, რომლებიც ქრისტე იესოში ცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად.” (რომ.8, 1). მაგრამ იმისათვის, რომ სულის მიხედვით ვიცხოვროთ, აუცილებელია, როგორც მინიმუმი, მოგკედეთ ხორციელად, იმიტომ, რომ რჯულს აქვს ძალაუფლება ადამიანზე, ვიდრე ის ცოცხალია. (რომ.7, 1). როგორც ამას ვწერდით სამუდამო პატიმრობაში მყოფის მაგალითზე. (რომ.6, 1-11). მაგრამ ყველა ჩვენს მსჯელობაში ჩვენ არა გვაქვს იმედი, რომ გაგვიგებენ ისინი, ვინც ხორცის კანონით ცხოვრობს, ხოლო ჩვენ ვწერთ სულის კანონების შესახებ. ხორცს და სულს თავთავიანთი კანონები აქვთ, თავთავიანთი ცოდნა, მეთოდები, განათლება, თავისი სიბრძნე. ასე, რომ ყოველივე ამის შესწავლა ერთი კი არაა, არამედ ორი, სხვადასხვა: “ხოლო ჩვენ მივიღეთ არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისაგან, (ორ სხვადასხვა სულზეა ლაპარაკი), რათა ვიცოდეთ ღვთისაგან ჩვენთვის მონიჭებული. და რასაც გაუწყებთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, (ერთი მეთოდი), არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით. (მეორე მეთოდი).” (1კორ.2, 12-13). “ოღონდ სიბრძნეს (ლაპარაკია სულიერ სიბრძნეზე) ვლაპარაკობთ სულიერად მოწიფულთა შორის, არა წუთისოფლის სიბრძნეს, (მეორე სიბრძნე).... არამედ ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს საიდუმლოებაში, დაფარულს.” (1კორ.2,6-10). აი, რატომ არ ესმით და ვერ გვიგებენ ჩვენ. როგორც ვერ უგებდნენ თავის დროზე თავად უფალს, იესო ქრისტეს, იმიტომ რომ

რაზეც ის ლაპარაკობდა, დაფარული იყო სულში, ხოლო ადამიანები ისმენდნენ ხორციელად, თუმცა ამის შესახებ ეუბნებოდა მათ: “სული ცხოველმყოფელია, ხოლო ხორცი უსარგებლო. სიტყვები, რომლებიც გითხარით, სულია და სიცოცხლე.” (იოან.6, 63). აი, რა არის სახარება. ის თავისი არსით სულია და არა ასოები, როგორსაც ხედავენ ადამიანები და ცდილობენ ახსნან და გაიგონ თავიანთი ხორციელი გონებით, თუმცა ისინი გაფრთხილებული არიან ამ შეცდომის შესახებ თავად სახარებაში: “ეს იცოდეთ უპირველესად, რომ წერილის არავითარი წინასწარმეტყველება თავისით არ განიმარტება.” (გონებით, სულის გარეშე). რატომ? იმიტომ რომ: “წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ ადძრუნნი, ღვთისაგან წარმოსთქვამდნენ მას.” (2პეტრ.1, 20-21). იმისათვის კი, რომ მივიღოთ ეს სული, საჭიროა უარყოფითი საკუთარი თავი, (მთ.16, 24), მოვაკვდინოთ საკუთარი ხორცი. მივმართოთ ქრისტეს მაგალითს: ის ჩაისახა ღვთისაგან თუ ადამიანისაგან? – ღვთისაგან: “ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ.” (ლუკ.1, 35). დაიბადა ღმერთი, რომელსაც თავყვანი სცეს მწყემსებმა, მოგვებმა და ანგელოზებმა. (ლუკ.2, 8-12). იზრდებოდა ქრისტე და იცოდა, რომ ის არის ღმერთი და რომ მამის სახლში უნდა იყოს. (ლუკ.2, 49). ასე რომ, თავად ღმერთი იესო ქრისტე, რომელმაც იცოდა თავისი არსება და თუმცა იყო ღმერთი მარადიული, არ გამოდის თავის საზოგადო მსახურებაზე სულიწმიდის გარეშე, რომელიც მან მიიღო მხოლოდ ნათლისღების, ანუ სიკვდილზე თანხმობის შემდეგ. (იოან.1, 32). იმიტომ, რომ მხოლოდ სულიწმიდის მიღება და მასთან ურთიერთობა ხდის მოძღვარს მოძღვრად. ასე უნდა აღსრულებულიყო ყოველი სიმაღლე. (მთ.3, 15). იმავეს აკეთებენ მისი მოწაფეები, იმალებიან და მსახურებაზე არ გამოდიან მანამ, სანამ არ გადმოვა მათზე სულიწმიდა. (საქ. 2, 1-4), იმიტომ, რომ მხოლოდ მან იცის ყველაფერი და შეუძლია ყოველგვარ ჭეშმარიტებაში დამოძღვრა, (იოან.16, 13), და არა მოციქულებს მის გარეშე. სწორედ სულიწმიდის გარდამოსვლის ეს დღე არის ქრისტეს ეკლესიისა და მართლმადიდებლობის დაარსების დღე. მაშინ, მოციქულების დროს, მანამ მათთან არ იყო სულიწმიდა, არ იყო არც ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე იყო იერარქია, პეტრე მოციქული დანიშნული იყო უპირატესად. (იოან.21, 15-22). ამრიგად, მართლმადიდებლური ეკლესია დაფუძნდა და საფუძვლად მას უნდა ჰქონოდა სულიწმიდა, როგორც კლდე. სწორედ ამ კლდეზე და არა თავად პეტრეზე საუბრობს ქრისტე: “შენ ხარ პეტრე, (კლდე), და ამ კლდეზედ ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი.” (მთ.16, 18). ის, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის სულიწმიდას და არა პეტრეს, ჩანს იქვე, შემდგომი ეპიზოდებიდან, როცა უფალი ეუბნება პეტრეს: “განვედ ჩემგან სატანავ!” (მთ.16, 23). ხომ პეტრეს მიმართავს უფალი ამ სიტყვებით და არა სხვას? მაგრამ ეხება ეს არა პეტრეს, არამედ წინააღმდეგობის სულს, სატანას, რომელიც იმ წუთას პეტრეში შევიდა. სწორედ ასევე, პირველ შემთხვევაში, მიმართვა: “შენ ხარ კლდე” ეხება

არა პეტრეს, რომელმაც წარმოთქვა სიტყვები: “შენ ხარ ქრისტე ძე ღვთისა,” (მთ.16, 16), არამედ ღმერთს – სულიწმიდას, რომელმაც გაუმხილა პეტრეს ეს საღვთო საიდუმლო. ასე რომ, მართლმადიდებლური ეკლესია დაფუძნებულია არა ადამიანზე – პეტრეზე, არამედ სულიწმიდაზე. და ამიტომ, სადაც ის არ არის, არ შეიძლება იყოს მართლმადიდებლობაც. როგორც ჩვენ ზემოთ ვთქვით, თავად ღმერთი იესო ქრისტე, რომელიც იყო ღმერთი დედის წიაღში ჩასახვამდე და მას შემდეგაც, თავად აღასრულებს ღვთაებრივ სიმართლეს იმ მაგალითით, რომ მხოლოდ ნათლისღებისას მასზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ იწყებს თავის მსახურებასა და მოძღვრობას. ნათლისღება კი არის სიკვდილი. ამრიგად, კიდევ და კიდევ, აი მართლმადიდებლობის ორი აუცილებელი პირობა: სიკვდილი და სულიწმიდის მიღება და მასთან კავშირი. მართლმადიდებლობის სტრუქტურის არსი კარგად ჩანს ქალაქის წყალგაყვანილობის სისტემის მაგალითზე, სადაც ამ სისტემის მთავარ ღირსებას წარმოადგენს წყლის გატარების უნარიანობა, ჩვენს შემთხვევაში, სწორედ ეს წყალია სულიწმიდა. მაგრამ თუ წყალი არ არის, ეს წყალგაყვანილობის სისტემა, ოქროსიც რომ იყოს, ვის რაში სჭირდება? აი ასეთ წყალგაყვანილობის სისტემას წყლის გარეშე წარმოადგენდა ქრისტეს თანამედროვე ძველი აღთქმის იერარქიის სტრუქტურა. ბევრად უკეთესად არც ახლაა საქმე, თანამედროვე ოფიციალური მართლმადიდებლური იერარქიის სტრუქტურაშიც, თუმცა ეს არ არის ის მართლმადიდებლობა, რომელზეც თქვა ქრისტემ, როგორც საკუთარი ეკლესიის შესახებ, რომელსაც ვერ სძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენიც კი. ქრისტეს ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, როგორც იგი ამის შესახებ ამბობს: “ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ. მე ვიცნობ მათ და ისინი მე მომყვებიან. მე მათ საუკუნო სიცოცხლეს ვაძლევ და არ დაიღუპებიან საუკუნოდ და ხელიდან ვერავინ გამომტაცებს.” (იოან.10, 27-28). ასე რომ, ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა მდგომარეობს ქრისტესადმი პირდაპირ მორჩილებაში და მაშინ უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა მარხვებს, დღესასწაულებს, დღეებს და თვეებს, (გალ.4, 9-10), და სხვა განკითხვებს იმათგან, ვინც ქრისტეში ამ თავისუფლებამდე არ მისულან და ჯერ კიდევ გზაში არიან: “მასთან ნათლისღებით დამარხულები მასთანვე აღდექით ღვთის ძალისადმი რწმენით, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით. თქვენც, მკვდრები შეცოდებებში და თქვენი ხორცის წინადაუცვეთელობაში გაგაცოცხლათ მასთან ერთად და მოგვიტევა ყველა შეცოდება... ამიტომ ნურავინ განგსჯით თქვენ საჭმლისა თუ სასმელისათვის, ან რაიმე დღესასწაულისათვის, ანდა ახალმთვარობისა და შაბათებისათვის. ეს მომავლის ჩრდილია, სხეული კი – ქრისტესი. ნურავინ შეგაცდნენ სიმდაბლით, და ანგელოზების სამსახურით, ვინც ეპოტინება იმას, რაც არ უნახავს და ფუჭად ამპარტავნობს თავისი ხორციელი გონებით. არ ეჭიდება თავს, რომლისგანაც მთელი სხეული, სახსარებითა და კავშირებით შენივთებული და შეერთებული, იზრდება ღვთისმიერი ზრდით. თუ ქრისტესთან მოკვდით წუთისოფლის ნივთათვის,

წუთისოფელში მცხოვრებთა მსგავსად, რაღად ემორჩილებით წესებს: ნუ მიეკარები, ნუ იგემებ, ნუ შეეხები, ყველაფერს, რაც იხრწნება ხმარებისაგან, კაცთა მცნებებისა და მოძღვრების თანახმად?” (კოლ.2, 12-13; 16-21). რწმენის გაგების საკითხებში არის მრავალი საფეხური, ეს საფეხურები საერთოდ იყოფა 2 ძირითად ნაწილად: იმის მსგავსად როგორც ადამიანის ცხოვრება დედის წიაღში და ცხოვრება დაბადების შემდგომ. ზუსტად მსგავსი სახით ხდება ადამიანის რწმენის განვითარებაც. როგორც ნათქვამია კიდევ ამის შესახებ, რომ: “მთელი სხეული, სახსარებითა და კავშირებით შენივთებული და შეერთებული, იზრდება ღვთისმიერი ზრდით.” (კოლ.2, 19). რწმენის საკითხებში ასეთი ორი ძირითადი ეტაპი შედგება ნათლისღებით სიკვდილში დაფლვისაგან, (რომ.6, 3), ეს არის პირველი ეტაპი, და ქრისტესთან ერთად აღდგომისა და რწმენაში აღორძინებისაგან. პირველ ეტაპზე მოქმედებს ადამიანური ცოდნა, ხოლო მეორეზე – ღვთის ნიჭი. მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც იმას შორის რასაც ადამიანი ხედავს დედის მუცელში ყოფნისას, და რასაც ხედავს იგივე ადამიანი მუცლიდან გამოსვლის შემდეგ. ის, რასაც ხედავს იგი დედის მუცელში – მშვინვიერი ხედვა ეწოდება, ხოლო მას რასაც იგი დაინახავს მუცლიდან გამოსვლის შემდეგ, ეწოდება სულიერი ცოდნა. ასე რომ, ხატოვნად რომ ვთქვათ, მშვინვიერი ადამიანი რწმენის ყველა ასპექტის შესახებ მსჯელობს ისე, რომ მხოლოდ დედის მუცლის საზღვრებში შეუძლია მისი წარმოდგენა. მაშინ როცა, სინამდვილეში, დედის მუცელთან შედარებით, ცხოვრება უსასრულოდ უფრო დიდი მასშტაბებით წარმოგვიდგება. აღიშნული ორი მდგომარეობა სახარებაში შემდეგნაირადაა გადმოცემული: “მშვინვიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგნურებად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი, ხოლო სულიერი განსჯის ყოველივეს, თავად კი არავისგან არ განისჯება. რადგან ვინ შეიცნო უფლის აზრი, (გონება), რათა ასწავლოს მას? ჩვენ კი გვაქვს ქრისტეს აზრი. (გონება).” (1კორ.2, 14-16). ამრიგად, რწმენის, ეკლესიისა და მართლმადიდებლობის შესახებ მსჯელობისას არსებობს ორი ძირითადი შეხედულება: 1. ადამიანური შეხედულება, რომელიც რამდენი ადამიანიცაა, იმდენნაირია და ამიტომ გვაქვს უთანხმოება და კამათი, და 2. ღვთაებრივი შეხედულება, რომელიც ქრისტეს გონებისაგანაა. მასში ყველაფერი ერთიანია ისევე, როგორც ერთიანია ღმერთი. დაგვრჩენია ვისურვოთ და შევიძინოთ ქრისტეს გონება თავის უარყოფისა და ადამიანური გონების სიკვდილამდე უარყოფის მეთოდით, ქრისტეს მიბაძვით. ამრიგად, მართლმადიდებლები ისინი არიან, ვინც ღმერთს ადიდებენ ქრისტეს გონებით, ისე, როგორც ადიდა ღმერთი თავად ქრისტემ (იოან.13, 30-35; 17, 1-7). იმისათვის, რომ ვიყოთ მართლმადიდებლები, საჭიროა იმდენად გვსურდეს მარადიული ცხოვრება ცათა სასუფეველში, რომ უნდა მოვიძულოთ ყველაფერი ამსოფლად, თავად ჩვენი თავიც და საკუთარი ცხოვრებაც. მხოლოდ ამ გზით მოიპოვება ქრისტეს გონება. როგორც ადამმა, თავის დროზე, სამოთხეში უარი თქვა ამ ქრისტეს

გონებაზე, ასევე ჩვენც, უარი უნდა ვთქვათ საკუთარ მიწიერ გონებაზე, ანუ უბრალოდ უნდა გადავდგათ ნაბიჯი უკან, საპირისპირო მიმართულებით. როგორც მაშინ, ადამი გააფრთხილა ღმერთმა: “არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ მოკვდებიო.” (დაბ.2, 17). თავისი მოქმედებებით ადამმა უთხრა ღმერთს: “არ მინდა შენი სასუფეველი, არამედ ძალიან მინდა სიკვდილიო,” რაც მიიღო კიდევ და ჩვენც ყველამ ვიცით ეს საკუთარ თავზე. ახლა მოვიდა ქრისტე, გვასწავლა თუ როგორ უნდა დავბრუნდეთ უკან და გვიჩვენა პრაქტიკული გამოცდილებით: “არ მინდა მიწაზე ცხოვრება, ჩემი მეუფება არა ამ სოფლისაგან არს, (იოან.18, 36), მინდა სიკვდილი, რომელიც აირჩია ადამმა და მისი საშუალებით მინდა დავბრუნდე უკან – ცათა სასუფეველში.” აი, ასეთი აზრები ადამიანში, წარმოადგენს მხოლოდ მართლმადიდებლობის დასაწყისს. რადგან ღმერთმა გვამცნო სახარებაში: “ნუ შეიყვარებთ წუთისოფელს, ნურც იმას, რაც წუთისოფელშია... ვინაიდან ყოველივე, რაც წუთისოფელშია... მამისგან კი არა, წუთისოფლისაგან არის.” (იოან.2, 15-16), “ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა უნდა, იგი ღვთის მტერი ხდება.” (იაკ.4, 4). ხოლო ასეთებია დღეს ყველა, თვით ღვთისმსახურნიც კი. აი, რატომ არ არის მართლმადიდებლობა, ხოლო სექტები ბევრია და დღითი-დღე სოკოებივით მრავლდებიან. მართლმადიდებლობა - ნათელია, ხოლო სექტები – ბნელი. მაგრამ თუ არ იქნება ნათელი? მაშინ დარჩება მხოლოდ ბნელი. აი, სწორედ ასეა დღეს. მაგრამ ქრისტეს ეკლესია იყო, არის და იქნება უკუნისამდე! თუმცა იგი სულაც არ არის ის, რაც დღეს მართლმადიდებლობადაა მიღებული.

ოჯახური ბედნიერება და ქალის როლი მასში

ბედნიერება – ყველა ოცნებობს მასზე და ყველაზე მეტად ქალები, მაგრამ ახლა ვის აქვს იგი? პრაქტიკულად არავის, და ამით ყველაზე მეტად ისევ ქალები იტანჯებიან. რა არის იმის მიზეზი, რომ ეგზომ სასურველი ბედნიერება არა აქვთ ადამიანებს? ფილოსოფოსები, ექიმები და სხვა მეცნიერები ცდილობენ ამ პრობლემის გადაჭრას, მაგრამ უშედეგოდ. მათი მცდელობანი წარუმატებელია იმიტომ, რომ ისინი არ მიმართავენ თავად ოჯახის შექმნის საწყისებს, კერძოდ კი ყველა საწყისის დასაწყისს – ადამისა და ევას შექმნასა და მათ ყველაზე პირველ ოჯახურ აქტს. ყველა ოჯახისა და ცალ-ცალკე თითოეულის უბედურების ფესვები სწორედ იმ საწყისების დარღვევიდან გამოდის. ეს საწყისები აღწერილია ბიბლიის პირველი წიგნის – “დაბადების” პირველ სამ თავში. ბიბლიის მიხედვით, ცოდვა და მშენიერი ოჯახის ჩამოყალიბება დაიწყო ქალისაგან – ევასაგან. აქედან უკვე ნათელი ხდება, რომ ოჯახური უბედურების ყველა სათავეც ქალისაგან იწყება. ეს იმდენად აშკარაა, რომ განსაკუთრებულ დამამამტიციებელ საბუთებს არ საჭიროებს. ამის დადასტურებას თუნდაც ის წარმოადგენს, რომ თითქმის ყველა ოჯახი უბედურია. ამრიგად, მიუზღუნდეთ და განვიხილოთ დასაწყისი – პირველი ოჯახის წარმოშობა.

ბიბლიის მიხედვით, დედამიწისა და მასზე ყოველივე ცოცხალის შექმნის შემდეგ, ღმერთმა შექმნა ადამი, როგორც ყველა ქმნილების გვირგვინი, როგორც ყოველივე ცოცხალის მწვერვალი. მაგრამ ჯერ ის იყო მარტო და არ ჰყავდა შემწე, მისი მსგავსი. (დაბ.2, 20). ეს უკვე მეტყველებს მამაკაცის უპირატესობაზე დედამიწის მთელ ცოცხალ სამყაროსთან შედარებით, ხოლო ქალი ჯერ საერთოდ არ არის. მასზე ლაპარაკიც კი არ არის. ასეთივე თანმიმდევრობა უნდა იყოს დაცული საერთოდ კაცისა და ქალის დანიშნულებისა და ადგილის გაცნობიერებისას. მაგრამ ასეა კი სინამდვილეში ახლა? რა თქმა უნდა, არა. დღეს ქალები თვლიან, რომ მთელი დედამიწა და ყველაფერი, რაც მასზეა – მათ ეკუთვნით, ხოლო მამაკაცები მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ მოემსახურონ მათ და მიაღწიონ ყველაფერი, რასაც ქალები მოისურვებენ. ეს არის პირველი და ყველაზე უხეში დარღვევა მამაკაცისა და ქალის ბუნებრივი დანიშნულებისა, ფესვი მთელი კაცობრიობის ყველა უბედურებისა, რომლის არსიც მოსწრებულადაა გამოთქმული ერთ ფრანგულ ანდაზაში: “პახტუ შერშე ლა ფამ,” – “ყველაფერში ექებეთ ქალი.” ამიტომ, თუკი ქალები დაინახავდნენ თავიანთ უპირველეს შეცდომას და შეეცდებოდნენ მის გამოსწორებას და დადგებოდნენ მეორე ადგილზე მამაკაცის შემდეგ, მთელი კაცობრიობა გახდებოდა უფრო ბედნიერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალები თვით ამ სიტყვების წაკითხვის დროსაც არამცთუ არ მოისურვებენ გამოსწორებას, არამედ უკიდურესად აღშფოთდებიან საკითხის ასე დაყენების გამო. მაგრამ

რადგანაც ჯერ მამაკაცის და შემდეგ ქალის შექმნის იდეა ღმერთს ეკუთვნის, ბუნებრივია, რომ ეს აღშფოთებაც მისადმია მიმართული, რის გამოც ყველას გვაქვს სასჯელი ღვთისაგან, ხოლო მათ შორის პირველ რიგში ქალებს, და სამართლიანადაც, რადგან ღმერთთან არ არის უსამართლობა.

ოჯახის მთავარი საიდუმლო დევს თვით ქალის შექმნის აქტში: “უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა. თქვა ადამმა: ეს მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგან და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული. ამიტომაც მიატოვებს კაცი მამას და დედას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ. შიშველნი იყვნენ ორივე, ადამი და მისი დედაკაცი და არ რცხვენოდათ.” (დაბ.2, 21-25).

ამრიგად, ორნი, ადამი და ევა, ბიბლიის მიხედვით, მეუღლეობის კავშირში ხდებიან ერთი ხორცი და ერთმანეთს შეერწყმიან ერთიანი ბედნიერების გრძნობით, იმიტომ, რომ ამ ორს აქვთ ერთიანი საწყისი, რამეთუ ქალი აღებულია კაცისაგან. ამრიგად, მამაკაცისა და დედაკაცის ურთიერთობის ბუნება თავად მიგვანიშნებს დედაკაცის ადგილსა და მის დანიშნულებაზე. კვლავ ისმის კითხვა: დათანხმდებიან კი თანამედროვე ქალები თავის ამ ბუნებრივ დანიშნულებას? რა თქმა უნდა, არა! სწორედ ამაში მდგომარეობს ყველა ადამიანის უბედურების სათავე და პირველ რიგში ქალებისა. ხოლო, რამდენადაც ადამიანის ეს ბუნება ღვთისაგანაა განსაზღვრული, ხოლო ქალები არ ურიგდებიან საქმის ასეთ ვითარებას, ისინი ამით არ ემორჩილებიან თავად ღმერთს, რისთვისაც ისჯებიან კიდევ ბედნიერების დაკარგვით. ქალის მდგომარეობა, ბიბლიის მიხედვით, ისეთია, რომ იგი ადამიანის მხოლოდ ნეკნს, ანუ ერთ უმცირეს ნაწილს წარმოადგენს, და თავად იგი, ამის გამო, არც შეიძლება ცალკე ადამიანად ჩაითვალოს. აი, ერთ-ერთი ამის დამადასტურებელი მაგალითი: “ხოლო მჭამელი ხუთი ათასამდე კაცი იყო, გარდა ქალებისა და ბავშვებისა.” (მთ.14, 21). იმის წინააღმდეგ, რომ ქალი ადამიანადაც კი არ ითვლება, კვლავ აღშფოთდება ყველა თანამედროვე ქალი, რის გამოც ისჯება ყველა ადამიანი დედამიწაზე და პირველ რიგში ქალები და სამართლიანადაც, რადგანაც ღმერთთან არ არის უსამართლობა. ამაში მდგომარეობს ადამიანთა უბედურების მთავარი მიზეზი.

ახლა დეტალურად განვიხილოთ მამაკაცისა და დედაკაცის პირველი ცოდვით დაცემის აქტი, რადგანაც ის მეორდება ყოველი ჭაბუკისა და ქალიშვილის ურთიერთობაში, ანუ ბიბლია მეორდება ყოველი შეუღლებული წყვილის შემთხვევაში. მაგრამ მეორდება არა ისე, როგორც ეს იყო ადამსა და ევას შორის, არამედ გაუკუღმართებულად, მამაკაცისა და ქალის ბუნებრივი ურთიერთობის დარღვევით.

ცოდვა დაიწყო გველის მიერ ევას ცდუნებით. “გველი ყველაზე

ცბიერი იყო ველურ ცხოველებს შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა.” (დაბ. 3, 1). ევამ იცოდა ღვთის აკრძალვის შესახებ: “ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში, მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო.” (დაბ.2, 16-17). იცოდა ამის შესახებ გველმაც და სამოთხის ყველა მკვიდრმა, რადგან სასუფეველში არაფერია საიდუმლო. და აი, მიუხედავად ამისა, გველი სრულიად საწინააღმდეგო კუთხით უსვამს შეკითხვას ევას: “მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არც ერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთ?” (დაბ.3, 1). ევას წინაშე აშკარა სიცრუე, როგორც გველის ყალბი უზაკველობა, ასევე ღვთის აკრძალვის გაუკუღმართებული განმარტება. და ევა, ხედავს რა მის წინაშე აშკარა სიცრუეს, შედის მასთან კონტაქტში, რითაც ეფლობა, იძირება ამ სიცრუეში და ეძლევა მას ცოდვის ჩადენის წინ. სწორედ ამ სიცრუეში, რომელსაც გოგონათა “მეოცნებეობას” უწოდებენ, ჩაძირულია დღეს ყველა გოგო. ხოლო როცა დონუანები და “თაყვანისმცემელი” ეუბნებიან მათ ამავე სიცრუეს, ისინი გატაცებით უსმენენ, თუმცა იციან, რომ ეს სიცრუეა. ევას ეს თვისება ჩადებულია თითოეულ გოგონაში, რის გამოც ისინი მაცდუნებელთა მიერ მოტყუების შემდეგ, ცხარე ცრემლებით ტირიან. თუმცა, მომხდარის ოდნავ ფხიზლად შეფასებითაც კი, არ შეიძლება არ ხედავდნენ თავიანთ დანაშაულს საკუთარ უბედურებაში. ესაა ადამიანთა უბედურების შემდგომი მიზეზი და ქალების პირველ რიგში. იმიტომ, რომ ისინი, ჯერ კიდევ გოგონები, არ იცავენ ღვთის კანონს: “არ სჭამო ცნობადის ხის ნაყოფი, რადგან სიკვდილით მოკვდები.” (დაბ.2, 17). ყოველი გოგონა ისწრაფის გაიგოს ეს საიდუმლო, – რას ნიშნავს ქალად ყოფნა. ოცნებობენ პრინციებზე, რაინდებზე, მათთან საკუთარ ბედნიერებაზე, მაშინ, როცა მთელი ეს ოცნებები ისევ იმ გველის მიერაა თავსმოხვეული, რომელმაც თავის დროზე გაასულელა ევა. ამიტომაც არ შეიძლება ამ მეოცნებეობისათვის თავის მიცემა რადგან გოგონები არ არიან შექმნილი მიწიერი რომანტიკისა და ბედნიერებისათვის, არამედ ისინი შექმნილი არიან უფრო მეტისათვის, მარადიული, ზეციური ბედნიერებისათვის, მაგრამ ვინ ფიქრობს დღეს ამაზე? და თუ ფიქრობს კიდევ ვინმე, მათგან ბევრმა არ იცის, განსაკუთრებით იმის შესახებ, რომ ცოლის დანიშნულება ის არის, რომ იგი უნდა იყოს შემწე ქმრისა. (დაბ.2, 20) ამ დანიშნულების ვერგაგება და დარღვევა თანამედროვე ქალების მიერ, როდესაც ისინი მამაკაცებს განიხილავენ, როგორც მათი ბედნიერების მოსამსახურეებს, წარმოადგენს მორიგ შეცდომას, ქალისა და კაცის ბუნებრივი ურთიერთობის დარღვევას და შესაბამისად მათი უბედურების მორიგ მიზეზს. ადამსა და ევას სამოთხეში არ ჰქონდათ არავითარი ცოდნა. ამიტომ, როდესაც ევამ პირველმა შეჭამა აკრძალული ხის ნაყოფი, მან შეიძინა ცოდნა, რომელიც ადამს ჯერ კიდევ არ ჰქონდა. უხეშად რომ ვთქვათ, ევა გახდა “ჭკვიანი,” ხოლო ადამი ჯერ კიდევ “სულელი” იყო, მას საერთოდ არ ესმოდა ევასი. ასეთი თანაფარდობა კაცსა და ქალს შორის შეინიშნება თითოეულ ოჯახში. ყველა ცოლი თავის ქმარს მოფერებით სულელად თვლის. ყოველ ოჯახში, რა საქმეც არ უნდა

წამოიწყოს ქმარმა, ცოლი წამსვე იქ გაჩნდება თავისი რჩევებითა და აუცილებლად საყვედურებით, რომ ეს სამუშაო სულ სხვანაირად უნდა შესრულებულიყო, რომ არ ვარგა ეს ფერი, შეუფერებელია ფასონი და ა.შ. უსასრულოდ. ამაში მდგომარეობს ყველა ადამიანის უბედურების მიზეზი, რადგან არ გვესმის ის ფაქტი, რომ ევა, ე.ი. ყოველი ცოლი, დღემდე იმყოფება გველის ციბიერი, ეშმაკური ზემოქმედების ქვეშ, ხოლო ადამი და მისი გონება ღვთის ძალაუფლების ქვეშაა: “მაგრამ ასევე მინდა იცოდეთ, რომ ყოველი მამაკაცის თავი ქრისტეა, ცოლის თავი – ქმარი და ქრისტეს თავი ღმერთი.” (1კორ.11, 3). “ვინაიდან მამაკაცი კი არ არის დედაკაცისაგან, არამედ დედაკაცი – მამაკაცისაგან. ასევე მამაკაცი კი არ შექმნილა დედაკაცის გულისათვის, არამედ დედაკაცი – მამაკაცის გულისათვის.” (1კორ.11,8-9). ო! რომ ესმოდეთ ქალებს თავიანთი დანიშნულება – ემსახურონ ქმრებს, როგორი ბედნიერები იქნებოდნენ ისინი!

მივყვეთ პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემის მოვლენათა შემდგომ განვითარებას. ამრიგად, ევა ჭკვიანია, ხოლო ადამი – ჯერ კიდევ სულელი. და აი, ჭკვიანი ცოლი შეაგონებს თავის ბრიყვ ქმარს, შეჭამოს კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხის ნაყოფი და ამით თვითონაც გახდეს ღმერთივით. (დაბ.3, 1-7). ადამი დგას არჩევანის წინაშე: დარჩეს ღვთის ერთგული და დაკარგოს ცოლი, რამდენადაც აკრძალული ხის ნაყოფის ჭამის შემდეგ ევა უნდა მომკვდარიყო, ან მოიქცეს პირიქით, უარი თქვას ღმერთზე და მოკვდეს ცოლთან ერთად. ის ირჩევს სწორედ მეორეს, რისი წყალობითაც ყველანი ვცხოვრობთ მიწაზე და არა სასუფეველში და რის გამოც ყველანი ვკვდებით. სწორედ მამაკაცისა და დედაკაცის ამ პირველ ოჯახურ აქტშია დაფარული თანამედროვე ოჯახების უბედურების მთელი საიდუმლო. ადამი და ევა პირველი ჭაბუკი და გოგონაა და ცოდვისკენ უბიძგებს სწორედ ევა – გოგონა. იგივე ხდება ახლაც, თანამედროვე სუფთა ჭაბუკებისა და გოგონების ურთიერთობებში მათ შორის სწორედ გოგონა მიმართავს სიტუაციას ცოდვისაკენ. ან წარმოადგენს რომ მას სცივა, ან კიდევ, რომ ეშინია, იგონებს რასაც უნდა, ოღონდ კი მოახდინოს ჭაბუკის პროვოცირება სიახლოვეზე, ხოლო შედეგად ყველაფერში მას ამტყუნებს უზაკველი სიტყვებით: “მე არ მეგონა, რომ შენ ასეთი იყავი” და ა.შ. მაშინ როცა, სინამდვილეში კი ფიქრობდა სულ საწინააღმდეგოს: “ნუთუ არ მომეხევა, ნუთუ არ მაკოცებს” და ა.შ. პირველად, როგორც წესი, მთელი ინიციატივა გოგონასაგან მოდის, ჭაბუკს რჩება მხოლოდ მისი სურვილების შესრულება. სწორედ, ამგვარად მოხდა პირველი ცოდვით დაცემა. “ადამმა უპასუხა (ღმერთს): “შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შეეჭამე.”” (დაბ.3, 12). ამ ურთიერთობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ევა ეძლევა ადამს, გოგონა – ჭაბუკს და მხოლოდ ამის შემდეგ ჭაბუკი ხდება მამაკაცი და გოგონა შეიცნობს რა არის დედაკაცობა და რაშია ქალური ბედნიერება. ქალური ბედნიერება კი იმაში მდგომარეობს, რომ ქალი მთლიანად ეკუთვნის მამაკაცს, ეძლევა მას სულითა და ხორციით,

ჯერ სულით, შემდეგ კი – ხორციით. ეკუთვნის იმდენად, რომ შერწყმულია მასთან. ქალი ცდილობს შეუერთდეს, ხოლო კაცი ცდილობს მთლიანად დაიტოს იგი თავის თავში, ანუ ადამიანი და მისი ნეკნი შეერწყმიან ერთმანეთს ერთ ხორცად. (დაბ.2, 21-24), ასეთია ოჯახური ბედნიერების პირობა. მაგრამ როგორია მამაკაცისა და დედაკაცის ურთიერთობები დღეს? სამწუხაროდ, სრულიად საწინააღმდეგო. ცოლი კი არ ეძლევა ქმარს, რათა ეკუთვნოდეს მას, არამედ პირიქით, მოითხოვს ქმარი ეძლეოდეს, ემორჩილებოდეს მას და უზრუნველყოს მისი ქალური ბედნიერება. ასეთი დამოკიდებულების დროს ქმარი უეჭველად კარგავს სიმამაცეს, რადგან ის დგება არა ქმრის – ბატონის, არამედ მსახურის როლში და არა ნაწილი – ცოლი, ანუ ნეკნი კი არ მიისწრაფვის მთელისაკენ, არამედ ქმარი ვალდებული ხდება ემსახუროს თავის ნაწილს, ანუ ნეკნს – ცოლს. რა გამოდის აქედან? თუკი ქმარს წართმეული აქვს ქმრის თვისებები, ოჯახის თავობა და ძალაუფლება, მაშ როგორღა შეუძლია მას ქალი აქციოს ქალად, მიანიჭოს მას ქალური ბედნიერება? ის ხომ აღარ არის მისი მამაკაცი, არამედ მისი ქალური ბედნიერების მამაკაცური ინსტრუმენტი. ასე დგას ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის საკითხი დღეს ყველგან. ირდევკვა ქორწინების ელემენტარული ფიზიოლოგია. იმისათვის რომ გახდეს ქალი, იგი ჯერ უნდა დანებდეს კაცს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მასთან ლოგინში დაწოლას, როგორც ეს დღეს ესმით. დანებდეს ნიშნავს მართლა დანებდეს, მთლიანად ეკუთვნოდეს ამ მამაკაცს, სწორედ რომ ეკუთვნოდეს, იყოს მისი შემადგენელი ნაწილი. მხოლოდ ასე შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ქალური ბედნიერება. როგორ არის ოჯახის საქმე სინამდვილეში დღეს? ქალი მამაკაცთან ურთიერთობაში ეკუთვნის არა მას, არამედ საკუთარ თავს და მისგან მოითხოვს, რომ ქმარი ეკუთვნოდეს და მოემსახუროს მას. ანუ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული, იმ ნორმალურ ბუნებასთან შედარებით, რაც პირველ ურთიერთობებში განუსაზღვრა ღმერთმა ადამსა და ევას. ამაში მდგომარეობს მორიგი, და ყველაზე მთავარი მიზეზი ყველა ოჯახისა და პიველ რიგში ქალების უბედურებისა. ისინი, ქალები უარს ამბობენ თავიანთ ბუნებრივ სისუსტეზე, იმაზე, რომ ბუნებრივად მამაკაცებზე უნდა იყვნენ დამოკიდებულნი, და სწორედ ეს იზიდავს მამაკაცს ქალისაკენ, იმიტომ რომ ეს სისუსტე იწვევს მამაკაცში სიმამაცის, მფარველობისა და მზრუნველობის ტალღას, ყველაფერ იმას, რაც თავად ქალს სურს. მაგრამ დღეს ქალები საკუთრი ძალით, დამოუკიდებელი ქცევით, მამაკაცების მიმართ მომთხოვნი დამოკიდებულებით, თვითონ ხდებიან მამაკაცურები, თვითონ ძარცვავენ საკუთარ თავს, რაშიც მამაკაცებს ადანაშაულებენ. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მამაკაცებზე, მათ საჭიროებებზე, მათ სურვილებზე და მათთან მოპყრობაზე და ამ მოპყრობის ხერხებზე და მეთოდებზე და მამაკაცის მოღვაწეობის სხვა მრავალ მხარეზე, მსჯელობენ ქალები და არა კაცები. თანამედროვე ცოლებს დაავიწყდათ, რომ ისინი არიან მხოლოდ ნეკნები, ადამიანებიც კი არ არიან ბიბლიის მიხედვით, და საკუთარი აქტიურობით მამაკაცში

თრგუნავენ იმას, რასაც თვითონვე საჭიროებენ. როგორც ადრე ავღნიშნეთ, რომ ცოლი ქმარს ლურსმნის ჩაჭედებასაც კი არ აცდის, იმწამსვე იქ ჩნდება თავისი რჩევებით, რომლებიც თავისი არსით ერთიანად შეურაცხყოფაა კაცისათვის. მეორე მხრივ, რაც არ უნდა შესთავაზოს ცოლს ქმარმა, მას არაფერი მოსწონს: “არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს” და ამას აწვდის ქმარს გაღიზიანებული, შეურაცხმყოფელი და გამანადგურებელი ტონით, რომელიც თრგუნავს ქმრის პიროვნებას. შემდეგ კი, როცა ქმრის პიროვნება გათელილია, ქალი ელოდება მისგან ალერსს და როცა ვერ იღებს, ისევ მას საყვედურობს. ასე იქცევა ყველა თანამედროვე ცოლი და შემდეგ, როცა ერთად იკრიბებიან, იწყებენ პრობლემის გადაჭრას, თუ რა უყონ მათ - უბედურმა ცოლებმა თავიანთ “არაფრისმაქნის” ქმრებს, როგორ გამოასწორონ ისინი და ასწავლონ მათ სიმამაცე და რაინდობა. მაგრამ ეს ცოლები, არც კი დაფიქრებულან იმაზე, რომ შეეკითხონ მამაკაცებს რა სჭირდებათ და რა უნდათ თვითონ ქმრებს. ამის მაგივრად, ცოლები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ ქმრებს მათ ნებაზე. ცოლებმა უკეთესად იციან, როგორ ჩაიცვას კაცმა, რომელი პერანგი შეარჩიოს, რომელი ჰალსტუხი, ფესხაცმელზე რომელი ზონარი გაიკეთოს, მოკლედ ცოლებმა იციან ყველაფერი, ქმარებმა კი არაფერი და აი, თავის ასეთ დამოკიდებულებას ცოლები ამჟღავნებენ ყოველდღიურად: “ჩემი სულელი, უვარგისი, ყველაფერში გამოუსადეგარი, რატომ გამოგყევი ცოლად, შენ თუ კაცი ხარ!” და ა.შ. მაგრამ ეს ყვედრება გრძელდება მანამ, სანამ მამაკაცის ცხოვრების გზაზე არ გამოჩნდება სხვა ქალი, რომელიც კაცს ეუბნება სრულიად საწინააღმდეგოს: “ჩემო ერთადერთო, შეუდარებელო, ჩემო სიყვარულო, ჩემო ბედნიერებაზე” და ა.შ. მაშინ მამაკაცი რწმუნდება, რომ ის არის ის, რაც არის, ანუ არის მამაკაცი და რომ ის ცხოვრობს ამქვეყნაზე ერთხელ და ამისთანა შემთხვევის გაშვება ხელიდან არ შეიძლება და მიდის ამ ქალთან. აი მაშინ კი ფხიზლდებიან ცოლები, მაგრამ ეს გამოფხიზლება გამოიხატება არა საკუთარი დანაშაულის დანახვაში, არამედ იმ სხვა ქალის დაუსრულებელ წყევლა-კრულვასა და შეურაცხყოფაში. თუ როგორია ეს შეურაცხყოფა, თვითონ ქალებმა უკეთესად იციან, ამიტომ მათი აქ მოყვანა უადგილოა. მაგრამ თავად განსაჯეთ, რა შუაშია სხვა ქალი, განა თვითონ არ ეუბნებოდა ქმარს: “უვარგისო, შენ რა კაცი ხარ, აღარ შემიძლია შენი ატანა, რატომ ის დღე არ დაიქცა, შენ რომ გამოგყევი, როდემდე გითმინო” და ა.შ.? აი ამგვარი ურთიერთობებია დღეს თითქმის ყველა ოჯახში. გამონაკლისები იშვიათია.

ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ მიწიერი ურთიერთობები მამაკაცსა და ქალს შორის, რომლებიც არარაობაა მარადისობასთან შედარებით, იმ მარადისობასთან, რომელიც დაკვარგეთ ადამში არა რაიმე სხვა საქმეების, არამედ მხოლოდ იმ ერთადერთის გამო, რომ კაცმა სულ ერთი წუთით დაუთმო თავისი უფლებები ცოლს – ევას. ადამის დანაშაული მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მან მოუსმინა თავისი ცოლის ხმას. (დაბ.3, 17). ღმერთი არ არკვევს, რა თქვა ცოლმა, არამედ სასჯელი მოდის იმის

გამო, რომ მან ამოიღო ხმა. ადამი კი დამნაშავეა იმაში, რომ მოუსმინა მას. და აი, მხოლოდ ასეთ, ერთი შეხედვით მცირე დანაშაულს მოჰყვა უმკაცრესი სასჯელი: “რამეთუ ისმინე ხმა ცოლისა შენისა... წყეულ იყავნ ქვეყანა საქმეთა შინა შენთა.” (დაბ.3, 17). ეს ღვთისმიერი წყევლა ისმის, ვრცელდება და მოქმედებს ყველა ოჯახში, სადაც ისმის ქალის ხმა. ხოლო რამდენადაც ქალი დღეს ხმას იძლევა არა მარტო ოჯახში, არამედ მიტინგებზე და მთავრობებშიც კი, ამიტომაც, ეს წყევლა ჩვენს თავებზეა და ჩვენ ყველანი ამას ვგრძნობთ, იმიტომ რომ ღმერთი ადამიანი არ არის და მისი ნათქვამი სიტყვა უცვლელია და გარდაუვალი, როგორც ამბობს ამის შესახებ წმიდა წერილი: (ბიბლია): “ცა და მიწა გარდავა, ხოლო სიტყვები, რომლებიც მე გითხარით, არ გარდავა. არც ერთი იოტა, ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, (ბიბლიისა), ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება.” (მთ.5, 18 და 24, 35). ძველად, ეს იცოდნენ ადამიანებმა და კარგად ახსოვდათ. ამიტომ როცა ხდებოდა, რომ მამაკაცების კამათი საშიშ ხასიათს იღებდა, თუ ამ დროს ქალი მანდილს, თავსაფარს, მოიხდიდა ღვთის წინაშე და მათ შორის ჩააგდებდა, ისინი მაშინვე შიშით წყვეტდნენ შუღლს, რადგან იცოდნენ, რომ ქალის თავიდან არაფერი სასარგებლო არ მოდის, მხოლოდ წყევლა. ამაზე წერს ბიბლიაში ეკლესიასტე: “მივხვდი, სიკვდილზე მწარეა ქალი, მახე და ბადეა მისი გული, ბორკილებია ხელები მისი; ღვთის სათნო გადაურჩება, ხოლო ცოდვილი მისგან დატყვევდება... კიდევ ამას ეძიებდა გონება ჩემი, მაგრამ ვერ ვპოვე: ათასიდან ერთი მამაკაცი ვპოვე, მაგრამ მათ შორის ვერ ვპოვე ვერც ერთი ქალი. აჰა, ეს ვპოვე მხოლოდ: ღმერთმა წრფელი შექმნა კაცი, ისინი კი ზედმეტ თავსატეხს მრავლად იჩენენ.” (ეკლ.7, 26-27; 29). ბიბლიის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ არა მარტო ქალი, არამედ მამაკაციც არაა ღვთის წინაშე მართალი, როცა ის თავის თავში უშვებს ფიქრებს, აზრებს. ასეთია ღვთის უცვლელი კანონი. მაგრამ ადამიანებმა დღეს იმდენად შეცვალეს იგი, რომ დღეს არა მარტო ოჯახში უფროსობს ქალი და მართავს მას, არამედ სამსახურებში, მიტინგებზე, კრებებზე, მთავრობებში. ქალები მართავენ მთელ ჩვენს ცხოვრებას, ხოლო ქალს მართავს თავად ეშმაკი. ეშმაკს კი არა აქვს ბედნიერება და არც შეიძლება ჰქონდეს, რადგან იგი დაწყევლილია ღვთისაგან, ყველა ცოცხალი არსების წინაშე. (დაბ.3, 14).

აი, ყველა ადამიანისა და პირველ რიგში ქალების უბედურების მთავარი და ძირითადი მიზეზები. ახლა, როცა გამოაშკარავებულია უბედურებათა მიზეზები, ცხადი და ნათელი ხდება ბედნიერების მიღწევის გზა, რაც მდგომარეობს უბედურების მიზეზების აღმოფხვრაში. ეს მიზეზი კი საბოლოო ჯამში ერთია – ქალის ხმა. ის ან უნდა დადუმდეს, რაშიც თავად ქალების ბედნიერებაა, ან მამაკაცმა არ უნდა ისმინოს მისი, ამაში კი მამაკაცების ბედნიერებაა. და მართლაც, მამაკაცები რომ იმდენად მამაცნი, შემწყნარებელნი და კეთილშობილნი იყვნენ, რომ ქალის ხმისაგან მიყენებულ ტკივილზე და წყენებზე მაღლა დადგნენ და ხედავდნენ იმას, რომ ქალში ლაპარაკობს არა ქალი, არამედ ეშმაკი, ხოლო

ცოლი კი მხოლოდ უბედური მძევალია მთავარი “რეკეტიორის” – ეშმაკის ხელში. ნეტავი ქმრებს ელოცათ თავიანთი ცოლებისათვის, როგორც თავად მათთვის ლოცულობდა ქრისტე: “მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ.” (ლუკ23, 34). ასევე ცოლებიც თუ გაიხსენებდნენ, რომ ისინი არ არიან მთელი, არამედ ქმრის მხოლოდ ნაწილი, მისი ნეკნი და არა თავი, ისინი ამით შექმნიდნენ საკუთარ ბედნიერებას. ქალებს უნდა ახსოვდეთ, რომ ჭირი და მწუხარებები, განცდები, ავადმყოფობები, ქმრისაგან კი არ არის, არამედ ღვთისაგან: “ღედაკაცს უთხრა: “სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე.”” (დაბ.3, 16). როგორც ვხედავთ, ღვთისაგანაა განსაზღვრული ქმრის ბატონობა ცოლზე, მაგრამ ვინ ბატონობს სინამდვილეში? ქალებმა ეს უკეთესად იციან, მაგრამ არ უნდათ ამის ცოდნა. სწორედ ამ უცოდინარობის გამოა ყველა უბედურება ყველა ადამიანის თავზე. ასეთია ქალის როლი თანამედროვე ოჯახში. იგია მიზეზი და წყარო ყოველი უბედურებისა. და ის ქალები, რომლებიც მონდომებენ გახდნენ ბედნიერი, ძალიან ადვილად შეძლებენ ამის მიღწევას. საკმარისია მათ სინამდვილეში მონდომონ ეს და არა მხოლოდ სიტყვით. ოჯახის ბედნიერების დაბრუნებაც უნდა დაიწყოს იმით, რითაც იწყება თვითონ ოჯახი. ხოლო ოჯახი იწყება შეთანხმებითა და ურთიერთშეფიცებით: ქმარი – “მე შენი ვარ,” ცოლი: “და მეც – შენი.” ამ შეპირებებში ჩადებულია თავგანწირვა და თანაც ორმხრივი, და ოჯახი ნარჩუნდება მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი არღვევს დადებულ ფიცს, ოჯახი მაინც დგას მეორის მსხვერპლის ხარჯზე. ბიბლიის კანონებით პირველ და აუცილებელ მსხვერპლს უნდა წარმოადგენდეს ცოლი, რადგან ის (ცოლი) დამნაშავეა სასუფევლის, მარადიული ცხოვრების დაკარგვაში, და ახლა მიწაზეც არ იძლევა ცხოვრების საშუალებას. ქალებმა ეს იციან, მაგრამ მაინც არ ცვლიან თავიანთ ქცევას, იმიტომ, რომ იციან მხოლოდ გონებით და არა საქმით სინამდვილეში. მხოლოდ ყველაზე გულახდილ და საიდუმლო საუბრებში ქალები არაფერს არ მაღავენ, მაგრამ მათ რომ იცოდნენ, თუ რამდენად დანაშაულებრივია ასეთი საუბრები მათივე პირადი ბედნიერების, ქმრის, ბავშვებისა და ოჯახის ბედნიერების წინაშე. სამწუხაროდ მათ ეს არ იციან. მაგრამ იმ ქალებმა, რომლებიც გადაწყვიტენ, რომ იყვნენ გულმოდგინენი საკუთარი ბედნიერების დაბრუნებაში, მათ უნდა გაიხსენონ ის პრაქტიკული დასაწყისი, საიდანაც იწყება ყველა ოჯახი – ეს არის ქორწილის პირველი დამე. ქალის ადგილი და მოვალეობა ამ დროს ის არის, რომ მართლა მიეცეს და დანებდეს ქმარს სულითა და ხორციით, და არა უბრალოდ იწვეს ქმართან საკუთარი ბედნიერების მოლოდინში და უკარნახოს ქმარს თავისი პირობები, ასე ნამდვილი ცოლი არ იქცევა. ადამი მამაკაცი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ევამ მისცა მას თავისი თავი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო მან ის, რაზეც ოცნებობს ყველა ქალი. ამრიგად, ქალური ბედნიერების დასაწყისი თავად ქალის ხელშია, და არა მამაკაცის, ხოლო ქალი

მოითხოვს ამას კაცისაგან და არა საკუთარი თავისაგან. ქალი, რომელსაც მართლა სურს გახდეს ბედნიერი, თავადაც მართლა უნდა მიეცეს და დანებდეს თავის ქმარს და არა მოჩვენებითად. და ის ქალი, რომელიც შეიწყნარებს და მიჰყვება ამ დარიგებებს, საქმით დარწმუნდება ამაში, მაგრამ მის ქმედებებს არ უნდა ჰქონდეს ერთეული მცდელობის სახე, არამედ მან უნდა გამოასწოროს მთელი თავისი ცხოვრება, რათა იგი არა მარტო საწოლში დანებდეს ქმარს არამედ ყველა ოჯახურ ურთიერთობაში, რათა ქმარი მართლა ქმარი იყოს მისთვის და არა უბრალო მანეკენი.

ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ეხება მხოლოდ ოჯახის მიწიერ, ამსოფლიურ ყოფას, მაშინ, როცა ჩვენ მოცემული გვაქვს მარადიული ცხოვრება – ცათა სასუფეველი, რომელიც თავის დროზე დაგვარგეთ, პირველ რიგში ქალის ურჩობის გამო. ამ დაუმორჩილებლობის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მორჩილებით. აი, რატომ მოეთხოვება ქალს იყოს ქმრის მორჩილებაში. ცოლი, რომელიც სინამდვილეში ემორჩილება ქმარს, მიწაზე იღებს ქალურ ბედნიერებას, საკუთარი შვილებისა და ოჯახის ბედნიერებას და მიიღებს მარადიულ ნეტარებას სამოთხეში. ამრიგად, ცოლის მორჩილება არის ყველა სახის ბედნიერების ერთადერთი გასაღები და სხვა არც შეიძლება იყოს. ო! ეს რომ ესმოდეთ ქალებს, როგორი ბედნიერნი იქნებოდნენ ისინი და როგორი ბედნიერი იქნებოდა მთელი მსოფლიო მათ ირგვლივ. მაგრამ, სამწუხაროდ, ქალები ბედნიერებას ეძებენ არა მორჩილებაში, არამედ დაუმორჩილებლობაში, თვითნებობაში, რითაც არის ხებენ ღმერთს, ქმრებს და შედეგად ამრავლებენ საკუთარ და მთელი კაცობრიობის უბედურებას. ქმარსა და ცოლს შორის ურთიერთობები დამოკიდებულია ოჯახის დანიშნულებისა და საერთოდ ცხოვრების გლობალურ გაგებაზე. თუ ჩვენ ვცხოვრობთ მხოლოდ იმისათვის, რომ მოვკვდეთ, მაშინ საერთოდ არ ღირს ცხოვრება. მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ მარადიული ცხოვრებისათვის და მისი მიღწევა, ქმრის გარეშე, ქალისათვის შეუძლებელია. არა იმიტომ, რომ ის ამას საერთოდ ვერ შეძლებს, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ, არა აქვს მიცემული ღვთისაგან. “დედაკაცი უნდა სწავლობდეს მდუმარებაში ყოველგვარი მორჩილებით. დედაკაცს არ ვაძლევ სწავლების ნებას, არც ქმარზე ბატონობისას, არამედ იყოს მდუმარედ. ვინაიდან პირველად ადამი შეიქმნა და მერე ევა. ადამი კი არ შემცდარა, არამედ დედაკაცი შეცდა და დანაშაული ჩაიდინა, თუმცადა გადარჩება შვილების შობით, თუ იღვება რწმენაში, სიყვარულში და სიწმინდეში კდემამოსილებით (უბიწოებით).” (1ტიმ.2, 11-15). ბიბლიის ამ სიტყვებში მორწმუნე ქალებისათვის ნაჩვენებია ხსნის ერთადერთი გზა – ქმრის მორჩილება, თუნდაც ის ურწმუნო იყოს: “ასევე ცოლები დაემორჩილონ თავიანთ ქმრებს, რათა ისინი, ვინც არ ურწმუნებიან სიტყვას, სიტყვის გარეშე იყვნენ მოგებულნი მათი ცოლების საქციელით. იხილავენ რა თქვენს უბიწო ქცევას მოშიშობით. თქვენი მშვენება ნუ იქნება გარეგნობაში: თმის ნაწნავებში, ოქროს სამკაულებში ან ჩაცმულობაში,

არამედ გულის დაფარული კაცი უხრწნელ მყუდროებაში და სულის სიმშვიდეში, რაც ძვირფასია ღმერთის წინაშე.” (1პეტრ.3, 1-4). აი, რა არის ქალის ჭეშმარიტი სილამაზე ღვთის წინაშე: სიმშვიდე და მდუმარება. სწორედ ეს თვისებებია ძვირფასი მამაკაცისთვისაც. სწორედ ისინი იწვევენ სიფაქიზის, მფარველობისა და რაინდობის ტალღას მამაკაცში. ყველაფერ იმას, რაც ასე სწყურიათ ქალებს. ყველაფერი, ამ ყველაფრის დასაწყისი მათივე ხელშია. მშვიდ ცოლს ქმარი ხელისგულზე ატარებს და არ იცის სად დასვას იგი, ცდილობს მისთვის ყველაფერი გააკეთოს, ხოლო ძლიერი ცოლი ყველა საზრუნავს თავის თავზე იღებს, რის გამოც, ქმარს სხვა არაფერი დარჩენია, სმისა და სხვა ქალებთან დროსტარების გარდა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ძლიერი ცოლი თავის თავზე იღებს ქმრის ფუნქციებს, მაშინ, როცა ცხოვრებისეული სიბრძნე ამბობს, რომ ქალის ძალა მის სისუსტეშია, ანუ სიმდაბლეში. აი, კიდევ როგორ უნდა ემორჩილებოდნენ ცოლები თავიანთ ქმრებს: “ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს. ვინაიდან ქმარი არის ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი და ის არის სხეულის მაცხოვარი. მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს – ყველაფერში.” (ეფეს.5, 22-24). ამრიგად, ცოლი ქმარს უნდა დაემორჩილოს როგორც ქრისტეს და როგორც ქრისტე არის მაცხოვარი ეკლესიისა, ასევე ქმარი ცოლისა. ამიტომაც, გათხოვილ ქალს საკუთარი ქმრის გარდა არავითარი სულიერი მოძღვრის ყოლის უფლება არა აქვს: “თქვენი ქალები ეკლესიაში დუმდნენ, რადგანაც ლაპარაკი კი არა აქვთ ნაბრძანები, არამედ მორჩილება, როგორც ამბობს რჯულიც. ხოლო თუ რისიმე სწავლა სურთ, სახლში ჰკითხონ თავიანთ ქმრებს; რადგანაც ქალისთვის საძრახისია ეკლესიაში ლაპარაკი. განა თქვენგან გამოვიდა ღვთის სიტყვა? ან, იქნებ, მხოლოდ თქვენამდე მოაღწია?” (1კორ.14, 34-36). პირდაპირ გაოგნებას იწვევს ის ფაქტი, თუ რაოდენ სისადაგლემდეა მისული დღევანდელი ქალების დაუმორჩილებლობა ღვთის კანონების მიმართ და თანაც იმ ქალებისა, რომლებიც საკუთარ თავს მორწმუნეებად თვლიან. ისინი ხომ პირველნი აღშფოთდებიან ბიბლიის ზემომოყვანილ სიტყვებზე. ხოლო თუ დავაკვირდებით და მოვუსმენთ, როგორ გამოდიან და რას ამბობენ ქალები მიტინგებზე, შეკრებებსა თუ სამთავრობო სხდომებზე, როგორი სულითა და ტონით მოქმედებენ, ისდა დაგვრჩენია რომ გვიკვირდეს, თუ როგორ ითმენს ღმერთი მისი კანონების ასეთ შეურაცხყოფას, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთია მრავალმოწყალე და სულგრძელი. ჯერჯერობით ის ქალებს სჯის ბედნიერების წართმევით, რომლის საბაბსაც თვითონვე იძლევიან, ანუ თვითონ განაყენებენ თავს ბედნიერებისაგან, ოღონდ არა მარტო მიწიერი, არამედ, რაც ბევრად უფრო საშინელია, მარადიული, ზეციური ბედნიერებისაგანაც. ურჩობას არ შეუძლია ზეცაში ასვლა, რადგან სწორედ ქალის ურჩობის გამო ჩვენ დავკარგეთ ზეცა. ამრიგად, დღევანდელი ქალები, საკუთარი, მარადიული ცხოვრების მკვლელები არიან. ეს თვითმკვლელობა

განსაკუთრებით ეფექტურად ჩანს ქმარს გაცილებული ცოლების ჩივილში, რომლებიც შეკითხვაზე: “რატომ დაცილდით ქმარს?” ძირითადად ასე პასუხობენ: “იცით, მას ჩემი არ ესმის.” ხოლო ვის ვისი უნდა ესმოდეს ბიბლიის მიხედვით? ხოლო თუ გავიხსენებთ იმ მკვლევარებს, რომლებსაც ქალები სწადიან საკუთარი შვილების მიმართ თავიანთ მუცელში, და თუ შევადარებთ ამ ქმედებებს ცხოველების მოქმედებასთან, (რომლებიც თავს სწირავენ თავიანთი შვილებისათვის), როგორი საცოდავნი გამოჩნდებიან ჩვენი ქალები ამ შედარებისას. ხოლო ის ბავშვები, რომლებსაც მუცელშივე კლავენ ქალები, მათ ხომ არ ეკუთვნით, რადგან ქალები კი არ ქმნიან ბავშვებს, არამედ ღმერთი. ქალი მხოლოდ ატარებს ამ ქმნილებას და არც იცის როგორია ის სინამდვილეში, ე.ი. ქალი კლავს ღვთის ქმნილებას. მაგრამ რადგანაც ღვთის ქმნილება უკვდავია, ასევე უკვდავნი არიან საკუთარი დედების მიერ მოკლულთა სულებიც. და ეს სულები საშინელ სამსჯავროზე, ქრისტეს მეორედ მოსვლისას, აუცილებლად შეხვდებიან საკუთარ მკვლელ დედებს. ამ ფონზე არც კი ღირდა ლაპარაკი იმ სისაძაგლეზე, რომელსაც სწადიან თანამედროვე ქალები, ხოლო ბოლო ხანებში დაიწყეს კაცებმაც: “ნუ ჩაიცვამს მამაკაცის ტანსაცმელს ქალი და ნუ შეიმოსება ქალის სამოსელით მამაკაცი, რადგან საძაგელია უფლისათვის, შენი ღმერთისათვის ყველა, ვინც ამას სწადის.” (2რჯული.22, 5). ქალთა დანაშაული ღვთის წინაშე ურიცხვია. იგივე ეხება მამაკაცებსაც, რადგან თავიანთი ურწმუნოების გამო, სწორედ მათ მიიყვანეს ქალები ამ მდგომარეობამდე. ადამი ხომ სწორედ ამიტომ დაისაჯა: “რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე, (მოუსმინე), მიწა დაიწყევლოს შენს გამო.” (და შესაბამისად ყველა ოჯახი დედამიწაზე). (დაბ.3, 17). იმიტომ, რომ მამაკაცები ყველგან: მიტინგებზე, მთავრობაში და თვით საპატრიარქოში უსმენენ ქალის ხმას. თუკი ამის გამო მოდის ჩვენზე წყევლა, მაშ საიდანღა შეიძლება ვიყოთ ბედნიერნი? ასეთია პასუხი სათაურზე, რომელიც წავუძმძღვარეთ წერილს: “ოჯახის ბედნიერება და ქალის როლი მასში.” მისი როლი ისეთია, რომ ქალი ქმნის მხოლოდ უბედურებას, რაზეც წერს მეფე სოლომონი თავის იგავში: “ბრძენი დედაკაცი თავის სახლს აშენებს, ბრიყვი კი საკუთარი ხელით ანგრევს მას.” (იგავ.14, 1). “ღირსეული დედაკაცი ქმრის გვირგვინია, შემრცხვენელი კი მისი ძვლების გამომჭამელია.” (იგავ.12, 4). “გინდ ოქროს ბეჭედი ღორის ღინგზე, გინდ უგუნური ქალის სილამაზე.” (იგავ.11, 22). “მამისთვის დაღუპვაა ბრიყვი შვილი, ანხელი დედაკაცი კი – წყალსაყური (საკანალიზაციო) ღარია.” (იგავ.19, 13). რამდენადაც თანამედროვე ცოლები ურჩნი არიან ქმრებისა, როგორი საწყენიც არ უნდა იყოს, ყველა ზემოთ მოყვანილი შედარება, ბიბლიური კანონების ფონზე, სრულიად სამართლიანია მათზე. ქალების ყოფაქცევა განისაზღვრება ცხოვრებისა და მისი აზრის გაგება-გააზრებით. ადრეულ დროში, როცა მთელი კაცობრიობა რელიგიური იყო, ცხოვრების აზრი მდგომარეობდა ცათა სასუფეველის მიღწევაში და ყველა ქალმა იცოდა, რომ მისთვის იქ მისასვლელი ხიდი მხოლოდ

ერთია – ქმარი და მისი ნების მორჩილება, რათა ამით ქალს უნდა ეჩვენებინა ღვთისათვის, როგორ ასწორებდა იგი ევას ურჩობას. ამიტომაც, ყველა ქალი ცდილობდა გათხოვილიყო ნებისმიერზე, ვინც არ უნდა შეხვედროდა საქმროდ: ინვალიდი, მოხუცი, ხეიბარი, ავადმყოფი და ა.შ. ნებისმიერ მამაკაცზე, რათა, მისი მორჩილებითა და მომსახურებით, ჰყოლოდა ღმერთის – იესო ქრისტესმიერი თავი, რადგან მოციქული ამბობს: “მაგრამ ასევე მინდა იცოდეთ, რომ ყოველი მამაკაცის თავი ქრისტეა, ცოლის თავი – ქმარი და ქრისტეს თავი – ღმერთი.” (1კორ.11, 3). ადრე ქალებმა იცოდნენ ბიბლიის ეს სიტყვები, მორჩილებდნენ ქმრებს და შედიოდნენ ცათა სასუფეველში. ოჯახის ცხოვრება იყო შინაარსიანი, მიზანდასახული, გააზრებული და ამიტომაც ოჯახები იყო მტკიცე და ბედნიერი. დღეს კი ოჯახს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, უყურებენ როგორც ბუნებრივი ცხოველური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ საშუალებას. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცხოველები უერთდებიან ერთმანეთს ერთხელ გარკვეულ პერიოდში, მოდგმის გასაგრძელებლად, ადამიანები კი დაუსრულებელად საშინელებამდე გაუკუღმართებული ფორმებით. ასე რომ, ცხოველებიც კი წითლდებიან სირცხვილისაგან ადამიანთა გამო.

კაცობრიობის გამოსწორების იმედი საერთო ჯამში არ არის: “ეს კი იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში საზარელი ჟამი დადგება.” და ადამიანთა უკეთურების გამო მთელ დედამიწას გამოტანილი აქვს ცეცხლით დაწვის განაჩენი: “დედამიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, გადაიბუგება.” (2პეტრ.3, 9-13). შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია: გადაირჩინოს სული ბიბლიის კანონების შესრულებით, რომელთაც ქალები დღეს არღვევენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალებისაგან ყოველი დარღვევა ხდება იმიტომ, რომ კაცები ცხოვრობენ არა საკუთარი გონებით, რომელიც მათ მიცემული აქვთ ღვთისაგან, არამედ უსმენენ ცოლების ხმას, რის გამოც ჯერ კიდევ ადამი დაიწყებულა. ამ აზრით, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მამაკაცებს, იმიტომ, რომ ისინი თავის ადგილს უთმობენ ქალს, საკუთარი სურვილითაც კი, რის გამოც პასუხს აგებენ ღვთის წინაშე, დღეს კი, თავად არიან უბედურები ამ დათმობების გამო, რადგანაც მათ არ აფასებენ საკუთარი ცოლები. კიდევ უნდა ითქვას, რომ ქალების ყველა ეს დანაშაული უპირატესობას არ მატებს მამაკაცებს: “ისე უნდა უყვარდეთ მამაკაცებს თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეულები. ვისაც საკუთარი ცოლი უყვარს, მას საკუთარი თავი უყვარს. ხოლო ცოლს უნდა ეშინოდეს ქმრისა.” (ეფეს.5, 28-33). “თქვენც, ქმრებო, გონივრულად მოეპყართ ცოლებს, როგორც უძღურეს ჭურჭელს, პატივი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს, რათა ღოცვა არ დაგვიბრკოლდეთ.” (1პეტრ. 3, 7). ქალებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი არიან მხოლოდ ნაწილი, მხოლოდ ნეკნი, თავიანთი ქმრებისა და მოკლებულნი არიან ღვთისმიერ მართვას. სწორედ ამისათვის მიეცა ქალს ქმარი. ხოლო ქმრებმა არ უნდა დაივიწყონ თავიანთი მოვალეობა, იზრუნონ და მართონ თავიანთი

“ნეკნები” ღვთის დახმარებით, რამეთუ ღმერთმა თქვა: “ამიტომ, ჩემი სურვილია, ყველგან ლოცულობდნენ კაცები და აღაპყრობდნენ წმინდა ხელებს რისხვისა და ეჭვის გარეშე.” (1ტიმ2, 8). ოჯახი იწყება მეუღლეთა ქორწინებით. როგორც ცნობილია, საქორწინო გვირგვინქვეშ სასძლო უნდა იდგეს ქალწული, ისევე როგორც ევა. ქალწულების ბეჭედს გოგონა კი არ ადებს თავის თავს, არამედ ის ვინც შექმნა იგი მთლიანად, ანუ ღმერთი. ამიტომაც, მხოლოდ ღმერთს შეუძლია გადაწყვიტოს, თუ ვინ უნდა დაარღვიოს იგი, და არა თვითონ გოგონამ და არც მისმა მშობლებმა, არამედ მხოლოდ ღმერთმა, რომელთანაც უნდა მიიყვანონ მშობლებმა თავისი ქალიშვილი ტაძარში, ღვთის სახლში. და აი, ღვთის სახლში, ღვთისმსახური აბარებს გოგონას თავის საქმროს, მის მომავალ ქმარს და ჯვარს წერს მათ. მაგრამ ამის შემდეგაც მათ არ უნდა ჰქონდეთ ახლო ურთიერთობა, არამედ ერთი კვირის განმავლობაში უნდა დატკბნენ გვირგვინის სულიერი სიწმიდით, რითაც უნდა გამოხატონ მადლიერება ღვთისადმი ყველაფრისათვის და ამ სიწმიდის სურვილი საკუთარი ცხოვრების ბოლოს. რომ მათთვის ეს სიწმიდე ყველაზე უფრო ძვირფასია. აი, როგორია კანონი ქორწინების შესახებ ძალიან ზოგადი სახით. უფალი შეგვეწიოს ყველას, რათა აღვასრულოთ ბრძანებანი მისნი. ამინ.

ბავშვები და მათი ხსნა

რამდენი ადამიანიცაა – იმდენი აზრია, ხოლო ბიბლიური აზრი ერთია უკუნისამდე.

ყოველი ადამიანი, სანამ დადგება მისი ხსნის საკითხი, გაივლის ბავშვობას, ამიტომაც სულის ხსნის პრობლემის გადაწყვეტა ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს. სრულიად ნათელია, რომ ამაზე უნდა იზრუნონ არა ბავშვებმა, რადგან მათ ჯერ არა აქვთ საამისო ცნობიერება, არამედ ამაზე უნდა იფიქრონ და იზრუნონ მათმა მშობლებმა. ამისათვის აუცილებელია, რომ ისინი, სულ მცირე, აღიარებდნენ ღვთის არსებობას და ხელდავდნენ ამსოფლიური ცხოვრების არარაობას. იმდენად ხარბები უნდა იყვნენ სიცოცხლის მიმართ, რომ მათ უნდა ეცოტავებოდეთ ჩვეულებრივი 70, ან თუნდაც 100 წელი, (რასაც სუფრაზე უსურვებენ ხოლმე ერთმანეთს), და უნდა უნდოდეთ სიცოცხლე მარადიულად და არაფრით უფრო ნაკლები. უნდა უნდოდეთ ეს თავისთვის და საკუთარი ბავშვებისთვისაც. სწორედ ასეთი - მარადიული ცხოვრება მოგვიმზადა ჩვენ ღმერთმა. ამ ცხოვრების მისაღწევად სულ ცოტა რამაა საჭირო: უნდა უარყოთ მიწიერი ცხოვრება. თუ ფხიზელი თვალთ შევაფასებთ და შევადარებთ ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობის ციფრებს: “100” და “მარადისობას”, მაშინ გადაწყვეტილებაც თავისთავად ნათელი იქნება. გარდა ამისა მათემატიკა გვასწავლის: ნებისმიერი რიცხვი, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს იგი, წარმოადგენს ნულს უსასრულობასთან შედარებით. რიცხვებში ყველაფერი ნათელია, ცხოვრებაში კი – არც ისე. არავის არ უნდა ამ ცხოვრების უარყოფა. მაშინვე ასეთ კითხვებს სვამენ: “და იქნებ არავითარი ცხოვრება არ არის საიქილოში, მაშინ რაღა ვქნა?” კი, მაგრამ ჩვენს ბაბუა ადამს არ დაუსვამს მსგავსი შეკითხვები ეშმაკისათვის. ღმერთმა გააფრთხილა ადამი: “არ ჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები.” (დაბ.2, 17). ხოლო ეშმაკმა უთხრა: “არ მოკვდებით. მაგრამ... როგორც კი შეჭამო, თვალი აგეხილებათ და შეიქნებით ღმერთივით.” (დაბ.3, 4-6). ადამმა არ დაუჯერა ღმერთს არამედ ეშმაკს. უგულვებელყო ზეცა და აირჩია მიწა, სადაც ვცხოვრობთ კიდევაც ზეციდან განდევნილები ეშმაკთან ერთად და ვკვდებით. ჩვენ უბრალოდ უნდა გადავდგათ ნაბიჯი უკან: ზეცის გულისთვის უნდა უარყოთ (უგულვებელყოთ) მიწა. უბრალოდ დავბრუნდეთ სახლში. უნდა გამოვასწოროდ ის, რაშიც შეცდა ჩვენი ბაბუა ადამი. ჩვენს უკან დასაბრუნებლად ზეციდან ჩვენთან ჩამოვიდა ის, ვინც შეგვკმნა: თავად ღმერთი, თავისი ძის, იესო ქრისტეს სახით. ის მოგვიწოდებს თითოეულ ჩვენთაგანს: “ვისაც უნდა, რომ მომყვას, (სასუფეველში), უარყოს თავისი თავი.” (მთ.16, 24). თავად ქრისტე ჩვენთვის იმდაბლებს თავს სამყაროს შემოქმედიდან ჩვეულებრივ კაცამდე, ცხოვრობს ჩვენს მსგავსად, სახარებით გვასწავლის სასუფეველის გზას, ჯვარზე თავად შედის იმ სიკვდილში, რომელშიც, თავის დროზე, ასევე ნებაყოფილობით შევიდა ადამი, იმარსება

მიწაში, აღდგება მკვდრებით, მაღლდება ზეცად და ჩვენც მოგვიწოდებს იქით. და ბევრი, ვინც დაიჯერა, მოინდომა და გაჰყვა ქრისტეს, დაბრუნდა სახლში – ცათა სასუფეველში, მარადიულ ცხოვრებაში. ესენი არიან წმიდანები. ახლა თითოეული ჩვენთაგანის რიგია. სიკვდილი ბუნებრივად გვანქარებს გადაწყვეტილების მიღებაში, მზადება კი საჭიროა ბავშვობიდან დავიწყეთ. მიწიერი ცხოვრება იმდენად მიმზიდველია, მაცდური, იმდენად გვეძალება თავისკენ და არ გვიშვებს, რომ ჭეშმარიტად, უნდა გავექცეთ მას, მის ცდუნებებს. მაგრამ თუკი ჩვენმა ბაბუა ადამმა დათმო მარადიული ცხოვრება, დიდი ამბავი იქნება, თუკი ჩვენ უარს ვიტყვით მცირედზე: დედამიწაზე დროებით ცხოვრებაზე, თანაც ისე გაუკუღმართებულზე როგორც ახლა? მით უმეტეს, თუკი გავიხსენებთ ჩვენი შობის, დედის მუცლიდან ჩვენი დაბადების დღეს, რომელსაც არავინ არ მიიჩნევს სიკვდილად, ასევე ახლაც, მოსალოდნელი სიკვდილიც უბრალოდ არის დაბადების დღე სხვა, უკვე მარადიულ ცხოვრებაში. სიკვდილი, როგორც ასეთი, არ არსებობს. არის მხოლოდ ძალიან ვიწრო კარი, რომლითაც გამოვიდა ადამი და რომლითაც ჩვენ უნდა დავბრუნდეთ უკან. სხვა კარი სასუფეველში შესასვლელად სიკვდილის გარდა არ არსებობს. სიკვდილი ნებაყოფლობითი, მაგრამ არა ფიზიკური, არამედ ჩვენი ამქვეყნიური “მე”-სი, ჩვენი ნებისა, “მე მინდასი.” ზრდასრული ადამიანი, რომლისთვისაც გახსნილია ეს გზა, წუხს, რომ ბავშვობიდანვე არ ასწავლეს საკუთარი “მე”-ს უარყოფა. საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ დედამიწაზე ადამიანის მტრებს შორის, თითოეულ ჩვენთაგანს ჰყავს მხოლოდ ერთადერთი მტერი: ეს არის ჩვენი “მე.” ყველა დანარჩენი და ყველა დანარჩენი მტერი, არის ჩვენი კეთილისმყოფელი, მაგრამ ცხოვრების არსის ასეთ გაგებაზე ჯერ კიდევ მისვლაა საჭირო. ეს სწორი გაგება ადამიანს გაეხსნება მხოლოდ ერთი პირობით: თუ მოისურვებს რომ მოკვდეს სასუფეველის გულისათვის, ანუ მოკვდეს დროებით, რათა ვიცხოვროთ მარადიულად. სიკვდილი აუცილებელია იმიტომ, რომ სწორედ სიკვდილის ეს გზა აიღწია ადამმა, როცა ღმერთმა უთხრა მას: “არ ჭამო, თორემ სიკვდილით მოკვდებიო.” (დაბ.2, 17). ახალი ადამი - ქრისტე, ასევე გვთავაზობს: “უარყავი თავი, აიღე საკუთარი ჯვარი და გამომყევი.” (მთ.16, 24). სად უნდა გავყვეთ მას? სად მიდიოდა ქრისტე მთელი თავისი ცხოვრება? რისთვის მოვიდა იგი დედამიწაზე? პასუხი ერთია: იმისათვის რომ მომკვდარიყო. (მთ.20, 25-28). და ვინც თავის თავში არ მიიღებს გადაწყვეტილებას რომ მოკვდეს, ის არ არის ქრისტიანი და ვერც ვერაფერს გაიგებს ქრისტიანობაში, რადგან: “სადაც ლეშია, იქ ორბებიც შეგროვდებიან.” (მთ.24, 28). სადაც ორბები – სიკვდილის სულიერი გაგების სიმაღლეს ნიშნავს. პირველი ასეთი ორბი იყო ქრისტე. “ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყევა, არ არის ჩემი ღირსი.” (მთ.10, 33). ანუ თავად უფალი გვიმოწმებს, რომ ვინც არ მოისურვებს საკუთარ სიკვდილს, არ არის მისი ღირსი. ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე ყველა გალობს ამსოფლიურ ცხოვრებაზე სიკვდილის გამარჯვების საგალობელს: “ქრისტე აღსდგა მკვდრებით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი

და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.” ამ ჰიმნში სიკვდილი ოთხჯერ არის ნახსენები. იმიტომ რომ ქრისტეს ძლევა მოსილი აღდგომა არ მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო სიკვდილი, ასე რომ ეს არის სიკვდილის ჰიმნი, მაგრამ არა ფიზიკური, არამედ სულიერი სიკვდილისა რწმენით, იმიტომ რომ რწმენაში სიკვდილი საერთოდ არ არსებობს. არამედ სიკვდილი არის მარადიულ ცხოვრებაში შემავალი ვიწრო კარიბჭე და ვისაც მოუხდება იქ მოხვედრა, ის თვითონ ეცდება ამ კარებიდან შეღწევას. ასეთ სიკვდილს ეძიებდნენ წმინდანები და წმ. მოწამეები. ვახტანგ გორგასლის ფარზე დაწერილი დევიზი ამბობს: “მარადის ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსაო.” თუ ამ ჭრილში უფრო შორს გავიხედავთ, ქრისტიანისათვის ყველაზე უფრო სასურველი შეიძლება იყოს მხოლოდ სიკვდილი, იმიტომ, რომ მის მიღმა ღმერთთან შეხვედრაა. ჩვენს განსახილველ თემაში ბავშვების შესახებ, ჯერჯერობით მხოლოდ სიკვდილზე ვსაუბრობთ, მაგრამ იმიტომ, რომ მხოლოდ სიკვდილშია მარადიული ცხოვრება, და ვისაც მართლა უყვარს ბავშვები, ბუნებრივია, რომ მაქსიმალურად მეტი უნდა უნდოდეს მათთვის. თუ სიკვდილის საკითხს დავსვამთ მოუშადადებელი ადამიანის წინაშე, იგი არასოდეს დათანხმდება მასზე, რაც ნიშნავს, რომ იგი ვერ მიიღებს მარადიულ ცხოვრებას. ამიტომაც, საჭიროა რომ ამისათვის ადამიანი მოვამზადოთ ბავშვობიდან. როგორც მომავალ სარძლოს ქორწილისათვის ბავშვობიდან უმზადებენ მზითვეს, ასევე ყოველი ქრისტიანის სულს ბავშვობიდან ესაჭიროება ზეთის მოგროვება მისი რწმენის ლამპრისათვის, რომ არ აღმოჩნდეს იმ უგუნურ ქალწულთა რიცხვში, რომელთაც არ ეყოთ ზეთი სიძის – ქრისტეს შესახვედრად. (მთ.25, 1-14). ზეთი კი არის მარაგი გონიერი დასკვნებისა ცხოვრების, რწმენის, ღვთის და ა.შ. შესახებ. სწორედ ამ ზეთის მოგროვებაში გვსურს დავეხმაროთ ადამიანებს. მივაქციოთ ყურადღება, სიკვდილზე და დედამიწაზე ადამიანისათვის მის უპირატესობაზე ლაპარაკობს ყოველი ახალშობილი ბავშვი იმით, რომ თვითონ არ უნდა სუნთქვა, თვითონ არ უნდა ცხოვრება აქ მიწაზე, მას კი ძალით აიძულებენ, რომ იცხოვროს. ამ დროს მას სწყინს ცრემლებით ტირილამდე, ჩვენ კი გვიხარია, რომ მან დაიწყო ცხოვრება და რაოდენ დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ადამიანი კვლავ დაუბრუნდეს ამ ტირილსა და გლოვას საკუთარი ცხოვრების შესახებ, როგორც ეს ხდება წმიდა ადამიანებში, მაგრამ სამწუხაროდ ეს ძალიან იშვიათია. საკუთარი შვილების მიმართ ასეთი წმიდა სიყვარულის მაგალითები ცხოვრებაში ბევრია, მაგრამ მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა ქვრივი სოფიას სიყვარული თავისი სამი მცირეწლოვანი ქალიშვილის მიმართ, რომლებიც 12, 10 და 9 წლისანი იყვნენ, და რომელთაც წამებით წაართვეს სიცოცხლე საკუთარი დედის თვალწინ. და როდესაც ბავშვებს განსაკუთრებით უჭირდათ, დედა თავად არწმუნებდა შვილებს რათა მათ სიკვდილი აერჩიათ მარადიული ცხოვრებისათვის. ესენი არიან მთელ მსოფლიოში ცნობილი წმიდანები: რწმენა, სასოება და სიყვარული (პისტი, ელპიდი და აღაპი) და მათი დედა სოფია. ასე წმიდა შუშანიკმა

უარი თქვა შვილებზე, როცა მათ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღეს. ასევე, თავად ქრისტე უარყოფს მოციქულ პეტრეს, როდესაც იგი მას მიწიერ ცხოვრებას სთავაზობს. (მთ.16, 23). სხვა ადგილას უფალი პირდაპირ ლაპარაკობს ამ ცხოვრების მოძულეებაზე: “თუ ვინმე მოვა ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებსა და დებს, საკუთარ სულსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე.” (ლუკ.14, 26-27). სხვა ადგილას კი ქრისტე არ აძლევს ნებას არც მამის დამარხვისა და არც შინაურებთან გამომშვიდობებისა, არამედ ამის მომთხოვნით უცხადებს კიდევ, რომ ისინი არ არიან მისთვის სანდონი. (ლუკ.9,57-62). ყოველი ზემოთქმულიდან მუდმივად გამომდინარეობს ერთი და იგივე აზრი: ან უნდა ვიცხოვროთ დედამიწაზე იმისათვის რომ მოგკვდეთ, ან უნდა მოგკვდეთ დედამიწაზე, რათა ვიცხოვროთ მარადიულად. მაგრამ ამ არჩევანს თითოეული ადამიანი თვითონ აკეთებს. მხოლოდ არჩევანის გაკეთების შემდეგ ადამიანი ცხოვრობს გარკვევით, ნათლად, განსაზღვრულად, ჭეშმარიტად შეგნებულად. ამ არჩევანის გარეშე ჩვენი ცხოვრება სავსეა პრობლემებით, კითხვებით, ჩიხებით, გაურკვევლობებით, ცრემლებით, მრავალი გულისტკივილითა და სიხარულით, და ა.შ. რაც ჩვეულებრივ მიღებულია და რაც ნორმალურ ცხოვრებად ითვლება. დიახ, ეს ნამდვილად ნორმალური ცხოვრებაა, ოღონდ ცხოვრება ბრმა ადამიანისა. ღმერთი კი გვთავაზობს გავახილოთ თვალი და თვითონ განვსაზღვროთ ფასეულობები, თუმცა თითოეული ჩვენგანი უკვე ამქვეყნად მოსვლისას აშკარად გამოხატავს თავის არჩევანს, იმით, რომ მას უბრალოდ არ უნდა აქ ცხოვრება და სუნთქვაც კი. თუკი ჩვენ ყველანი ასე ვხვდებით ამ ცხოვრებას, მაშ რისთვისღა მოვდივართ საერთოდ დედამიწაზე? ამ პროცესის შეჩერება, ბუნებრივია, ჩვენს ძალებს აღემატება, რადგანაც ჩვენი ნებით არაფერი ხდება: არც ჩასახვა, არც ზრდა, და არათუ ჩვენი, არამედ მშობლების ნებითაც კი. ასევე ჩვენი ნებით არ ხდება დედის მუცლიდან ჩვენი გამოსვლა, და არც დედის ნებით გამოვდივართ მუცლიდან, იმიტომ რომ, არა თავად დედა გვშობს ჩვენ, არამედ მას თვითონ ეწყება სამშობიარო შეტევები და ისინი გვაძევენ ჩვენ ამ ცხოვრებაში, უფრო ზუსტად კი გვდევნიან ჩვენ დედის მუცლიდან, როგორც იქნენ განდევნილნი ადამი და ევა. და როგორც ადამსა და ევას, სამოთხიდან განდევნისას, არ უნდოდათ დედამიწაზე ცხოვრება, მაგრამ იძულებული იყვნენ, სწორედ ასევე გვაიძულებენ ჩვენც ვიცხოვროთ მიწაზე შობის შემდეგ უკანაღზე მორტყმით. ანუ ყველაფერს, რაც გადახდათ ადამსა და ევას, განიცდის თითოეული ჩვენთაგანი. ზემოთ თქმულიდან ნათელია, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით არც საკუთარ თავს, არც მშობლებს: “...თქვენს თავს არ ეკუთვნით. ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ აღიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისაა.” (1კორ.6, 19-20). მშობლებს კი შვილები ეძლევათ იმისათვის, რათა გაიგონ ის, რისი გაგებაც მოინდომა მათმა ბაბუა ადამმა, ხოლო მან მოინდომა თვითონ გამხდარიყო ღმერთივით. (დაბ.3,5). და აი, ღმერთმაც ყოველ მამას და დედას მისცა საშუალება, რომ თვითონ

გამოსცადონ, თუ როგორია ბავშვების მოვლა და ღლოლიაობა, ისევე როგორც თვითონ მათ ელოლიავენ ღმერთი. გარდა ამისა, მშობლების წინაშე დგას სხვა ამოცანაც, რომელიც ღმერთმა თავდაპირველად ადამსა და ევას დაუყენა და უთხრა: “ადამ, მე შეგქმენი უცოდველი, ხოლო შენ არ მოინდომე ჩემი მარადიული ცხოვრება და შენთვის სიკვდილი აირჩიე. და აი, როგორც შენ თავად მოინდომე ღმერთად ყოფნა, ამიტომაც გაძღვე შენ შვილს ცოდვის გარეშე, გაზარდე იგი, დაიცავი ცოდვისაგან, რათა ამოვიდეს ჩემთან სასუფეველში და მის გამო მოგიტყვევებ, ადამ, შენს ცოდვას.” რადგანაც თვითონ ადამისთვის აღარ შეიძლებოდა მიტყვევება, რადგან ღმერთი თავის ნებას აღარ გადადის. და თუ ადამი განდევნილ იქნა, თვითონ ის უკან ვეღარ დაბრუნდება, არამედ მხოლოდ შუამავლის საშუალებით. ამრიგად გამოდის, რომ ჩვენი შვილები ჩვენთვის შუამავლები არიან ღვთის წინაშე, როგორც ნათქვამია ქალზე: “თუმცადა გადარჩება შვილების შობით...” (1ტიმ2, 15). და აი, რამდენიც არ გაჩნდა ბავშვი, შვილი, ვერც ერთმა ვერ შეძლო ზეცაში ასვლა, რათა ეშუამდგომლა ჩვენთვის, მთელი კაცობრიობისათვის, სანამ არ მოვიდა ქრისტე: “არავინ ასულა ცაში, გარდა ციდან ჩამოსული კაცის ძისა, რომელიც ზეცაშია.” (იოან3,17). “კაცის ძე” მას სწორედ იმიტომ ეწოდება, რომ იგია შუამავალი მთელი კაცობრიობისათვის ღვთის წინაშე. ეს ის ძეა, რომელიც მისცა ღმერთმა ადამს: “ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი - კაცი ქრისტე იესო.” (1ტიმ2, 5). ქრისტემდე არ იყო სხვა შუამავალი იმიტომ, რომ არც ერთი ნაშობთაგანი არ დაბადებულა სიკვდილისათვის. პირიქით, ყველა მშობელი ხარობდა შვილების შობით და სურდა მათი მიწაზე ცხოვრება, როგორც უხარიათ ახლაც. მხოლოდ ყოველდღე მინდა ღვთისმშობელმა მარიამმა იცოდა თუ ვინ შვა და რისთვის შვა, რაზეც უწინასწარმეტყველა კიდევ მას მართალმა სიმეონ ღვთისმომრქმელმა: “და თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი.” (ლუკ2, 35). ეს მახვილია ის ჯვარი და ლახვარი, რომლითაც იტანჯა იესო ქრისტე. მაგრამ როგორც ცხოვრების გამოცდილებიდანაა ცნობილი, როდესაც დედები ხედავენ შვილების ტანჯვას, მათზე გაცილებით უფრო მეტად თვითონ იტანჯებიან. ასე რომ სიმეონის წინასწარმეტყველება ზუსტად აღსრულდა და სამსჭვალეები (ღურსმნები) ჩაატყდეს არა მარტო ქრისტეს, არამედ თავად ღვთისმშობელსაც გულში. და ლახვარმა განგმირა არა მარტო მომკვდარი ქრისტე, არამედ თავისი ძის ჯვრის წინაშე მდგომარე ღვთისმშობლის ცოცხალი გულიც. (იოან.19, 25-34). ან კი როგორ იდგა იგი, რა ხდებოდა იმ დროს მის გულში, რას ფიქრობდა და ა.შ. შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ. ყველა დედამ უნდა მოინდომოს, რომ განიცადოს ის გრძნობა, რასაც განიცდიდა მაშინ ღვთისმშობელი, რადგან თვითონაც ხომ დედები არიან. და აი, ღვთისმშობელი, ხედავდა რა თავისი უდანაშაულო ძის ტანჯვას, უსიტყვოდ ითმენდა, და არა ისე, როგორც ჩვენი დღევანდელი დედები, რომლებიც გააფთრებულნი ეცემიან ხოლმე თავიანთი შვილების დასაცავად, როგორი დამნაშავენიც არ უნდა იყვნენ ისინი, ამართლებენ რა მათ დანაშაულს.

ამ დედების მოქმედებებს შორის ის არის განსხვავება, რომ ღვთისმშობელს უყვარდა არა მარტო საკუთარი ძე, არამედ მთელი კაცობრიობის შვილები, რომლებიც თავად ღმერთმა ქრისტემ მიაშვილა მას თავისი მოწაფის - იოანეს სახით: “იესომ დაინახა იქ მდგომი დედა და მოწაფე, რომელიც უყვარდა. უთხრა დედას: “დედაკაცო, აჰა, შენი ძე!”” (იოან.19, 26). ეს “ძე შენი,” არის მთელი კაცობრიობა, ყველა ჩვენთაგანი. აი ეს, იცოდა მარიამმა და ამიტომ არ ტიროდა და არ ყვიროდა, როგორც ჩვენი დედები, და არ ვარდებოდა ისტერიკაში, როგორც სხვები, იმიტომ რომ სწამდა და იცოდა, რისთვის კვდებოდა მისი ძე. ისევე როგორც იცოდა წმიდა სოფიამ, თუ რისთვის კვდებოდნენ მისი პატარა შვილები: რწმენა სასოება და სიყვარული. ეს ყველაფერი იწერება იმისათვის, რათა ეს ცნობილი გახდეს სხვა მშობლებისათვისაც, და თუ მოინდომებენ თვითონ და მათი შვილები მარადიულ ცხოვრებას, დაე ისწავლონ ქრისტესაგან და მისი დედისაგან - ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ მარიამისაგან. ეს სწავლა იწყება ქრისტეს და ღვთისმშობლის ცხოვრების ზოგადი გააზრებით. თავად ღვთისმშობელი 3 წლის ასაკიდან მოაკლდა ამსოფლიური ცხოვრების სიხარულს, ისე, რომ გათხოვებაზე არც კი უოცნებია. მდუმარედ, ყოველგვარი თავის მართლების გარეშე, მოითმინა იოსებისაგან (რომელიც მის ქმრად ითვლებოდა) შეურაცხმყოფელი ეჭვიანობა ფეხმძიმობის გამო, რომელიც თვლიდა, რომ მარიამმა მას უღალატა, რადგანაც თავად იოსები მას არ გაჰკარებია. (მთ.1, 13-25). თავად მისმა ქმარმა იოსებმა არ იცოდა მარიამი, ვიდრე მან არ შვა. არ იცოდა იგი იმ გაგებით, რომ ფიქრობდა მასზე როგორც ჩვეულებრივ ქალზე, მაგრამ როცა მან შვა, როცა მოვიდნენ ანგელოზები, მწყემსები და მოგვები აღმოსავლეთიდან და თაყვანისცეს მისგან შობილ ყრმას, მხოლოდ ამის შემდეგ გაიგო იოსებმა თუ ვინ შვა მან და ვინ იყო თავად მარიამი. (ლუკ.2, 6-15; მთ.2, 1-2). ღმერთი, რომელიც თავის თავში იტევს მთელ სამყაროს, დაპატარავდა და დამცირდა ისე, რომ დაეცია უბრალო ქალის წიადში, რომელიც მისივე მხევალი იყო (ლუკ.1,38). დაიბადა გამოქვაბულში პირუტყვთა შორის და ბაგაზე მიიწვინა. ბავშვობიდანვე მოითმინა დევნა, იცხოვრა როგორც უბრალო ადამიანი და დაემორჩილა საკუთარი დედის გაუგებლობას. (ლუკ. 2, 48-52). შემდეგ დაემორჩილა სინედრიონისა და მთელი ხალხის გაუგებლობასა და უსამართლობას და ეს ყველაფერი საკუთარი კეთილი საქმეებისათვის მიიღო. ყველაფერი, რაც ჩვენ ჩამოვთვალეთ, არის ყველაზე დიდი მაგალითი ადამიანთა სწორად გააზრებული ცხოვრებისა დედამიწაზე და საკუთარი ბავშვების სწორი აღზრდის წესი. მაგრამ რა შორს ვართ ჩვენ ყოველივე ამისაგან? ღვთისმშობელიც და მისი ძეც ბავშვობიდანვე, მეტიც, თვით ჩასახვიდანვე მიძღვნილი იყვნენ სიკვდილისადმი. ხოლო ჩვენ, რა გვინდა ჩვენ თვითონ, და რას ვუძღვნით ჩვენს საკუთარ და ჩვენი შვილების ცხოვრებას? ყურადღებით რომ დავაკვირდეთ, ჩვენ ყველანი, მთელი კაცობრიობა, არსით თავგამოდებული უღმერთოები ვართ, იმიტომ, რომ ჩვენ მივითვისებთ მათ, ვინც ღმერთმა შექმნა, გამოკვება და გამოზარდა. ღვთის შვილებს - საკუთარ შვილებს

ვუწოდებთ. ღმერთი გვაძლევს შვილებს, რათა მათ გვიშუამდგომლონ მის წინაშე ზეცაში, ხოლო ჩვენ ვზრდით მათ, როგორც ცოცხალ სათამაშოებს, ჩვენი გართობისათვის მიწაზე, იმიტომ, რომ სრულიად დაკარგულია დედამიწაზე ადამიანის ცხოვრების ჭკემატი აზრი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ დაკარგულია აღზრდის აზრიცა და მისი მიზანიც. ადრე აღზრდა და ცხოვრების მიზანი აგებულ იყო ქრისტეს მიბაძვაზე, თავის გაწირვისათვის მზადყოფნაზე, ამიტომაც ადამიანები ადამიანებს ჰგავდნენ, ადგილი ჰქონდა გამირობასაც და ღვაწლსაც. ახლა კი ცხოვრება და აღზრდა აგებულია საკუთარი ვნებებისა და სურვილების ასრულებაზე, ამიტომაც ირგვლივ ზეიმობს ეგოიზმი, თვალთმაქცობა, პროსტიტუცია, ნარკომანია, დამნაშავეობა და ა.შ. ადამიანებმა დაკარგეს და აღარც ეძებენ ღვთის მსგავსებას, ამიტომაც დაემსგავსნენ პირუტყვებს და გახდნენ მათზე უფრო უარესნი. ყოველივე ცუდი მოდის უღმერთობიდან და ურწმუნოებიდან. გამოსწორება ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ ყველაზე უმჯობესია ეს მოხდეს ბავშვობიდანვე, რომ ბავშვობიდანვე დავიწყოთ ბავშვების აღზრდა ბიბლიის მიხედვით. მასში გადმოცემულია ყველა ძირითადი მოთხოვნა, რომელთაგან პირველია: “პატივი ეცი მამას შენსას და დედასა შენსას, თუ გინდა, რომ კეთილი გეყოს შენ და ღვებრძელი იყო ქვეყანაზე.” (გამოსვ.20, 12). იმისათვის, რომ იყოს პატივისცემა, აუცილებელია მომთხოვნელობა ბავშვის ცხოვრებისათვის მომზადების დროს, რომ მან არ გაიმეოროს ის შეცდომები, რომლებიც მისმა მშობლებმა დაუშვეს. ამისათვის ბავშვის ნება დამორჩილებული უნდა იყოს მშობლების ნებას. სინამდვილეში კი რა ხდება დღეს? ბავშვის აღზრდის საკითხი უკუღმაა დაყენებული. მშობლები ეკითხებიან შვილებს, რა უნდათ მათ, ანუ ბავშვები აღზრდიან თავიანთ მშობლებს. მაგრამ რამდენადაც მათ არა აქვთ ჩამოყალიბებული ცნობიერება და გონიერება, ისინი იმართებიან სხეულის ბუნებრივი, ქვეცნობიერი, ცხოველური ინსტინქტებით. მაგრამ ადამიანი ხომ იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ მას აქვს ცნობიერება, ცოცხალი და უკვდავი სული, რომელიც ყოველთვის მიისწრაფის ზეცისაკენ, იმიტომ, რომ მოცემული გვაქვს ღვთის მიერ ზეციდან, ხოლო სხეული მიისწრაფის მიწისაკენ, იმიტომ, რომ იგი მიწისაგანაა შედგენილი. სხეული საზრდოობს კვების პროდუქტებით: პურით, ხორციით, რძის ნაწარმით, ხილით, ბოსტნეულით, რომლებიც თავისი არსით მიწაა. სწორედ ამას ამტკიცებს ბიბლია: “პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი.” (დაბ.3, 19). “მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო, და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა.” (ეკლ.12, 7; ფს.145, 4). აი ადამიანის ძირითადი შემაღვენელი ნაწილები: სული და სხეული, რომელნიც ერთმანეთთან მუდმივ ბრძოლაში იმყოფებიან: “ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო, რაკი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ.” (გალ.5, 17). “ამრიგად, ვპოულობ ამ რჯულს: კეთილის გაკეთება მსურს

და ბოროტი გვერდით მიწევს. ვინაიდან შინაგანი ადამიანის მიხედვით მეამება ღვთის რჯული. მაგრამ ჩემს ასოებში მე ვხედავ სხვა რჯულს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების რჯულს და მხდის ჩემს ასოებში მყოფი ცოდვის რჯულის ტყვედ. უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან? ვმადლობ ღმერთს ჩვენი უფლის ქრისტე იესოს მიერ. აჰა, მე თავად ჩემი გონებით ღვთის რჯულს ვემონები, ხოლო სხეულით – ცოდვის რჯულს.” (რომ.7, 21-25). სწორედ სულსა და ხორცს შორის ამ ბრძოლას ეძღვნება ადამიანის მთელი ცხოვრება. თავად ცხოვრებისა და მისი აზრის გაგება ბრძოლაშია. ამ ბრძოლისათვის ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა მომზადდეს, რათა ხორცის ცხოველურმა მოთხოვნებებმა მასში არ დათრგუნოს სულის ღვთაებრივი მოთხოვნები. ადამიანის ორივე შემადგენელი ნაწილი საჭიროებს მუდმივ საზრდოს. სხეული – მიწიერ პროდუქტებს, ხოლო სული – ლოცვით ურთიერთობას ღმერთთან: “ხოლო მან (იესომ) მიუგო პასუხად: “დაწერილია, რომ არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით.”” (მთ.4, 4). ახალშობილ ადამიანს, დედის მუცლიდან მიწაზე ახლადმოვლენილ ჩვილს, არა აქვს ცნობიერება, გამოცდილება და რაიმე უნარი. ეს გამოცდილება აქვთ მშობლებს, ყოველ შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ და უნდა გადასცენ იგი თავიანთ ბავშვებს. მომავალ ადამიანს უნდა ასწავლონ ადამიანური ურთიერთობები თავის მსგავსებთან. და იმის ნაცვლად რომ ასწავლონ ბავშვს, ისინი ეკითხებიან მას: “შენ რა გინდა?” ხოლო მას უნდა ყველაფერი მიწიერი, ხორციელი, ინსტიქტურად ცხოველური. და აი, მშობლები ზრდიან პირუტყვს და თავადაც ასეთები ხდებიან, იმიტომ რომ პირუტყვს ემსახურებიან. მაგრამ სულიერი პოზიციიდან საქმე გაცილებით უარესადაა, თუ გავიხსენებთ იმას, რომ ყველაფერი სხეულებრივი, ხორციელი და მიწიერი ეშმაკის მიერ იმართება და მას ემსახურება. ამიტომაც, ეკითხებიან რა ბავშვს: “რა გინდა?” მშობლები ეკითხებიან სატანას: “როგორ გნებაგს, წაიყვან ჩვენი შვილის სულს და ჩვენს სულსაც? რა გინდა შენ, სატანა?” და კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ ემორჩილებიან მას. მაშინ, როცა ბიბლია გვაფრთხილებს: “განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა, ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა უნდა, იგი ღვთის მტერი ხდება.” (იაკ. 4, 4). “ნუ შეიყვარებთ წუთისოფელს, ნურც იმას, რაც წუთისოფელშია. ვისაც წუთისოფელი უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული.” (1იოან.2, 15). “ამ წუთისოფლისა”, ნიშნავს “ეშმაკისას”, რომელსაც თავად მშობლები უნდა გაურბოდნენ და არიდებდნენ შვილებსაც, თუკი ისინი მართლა უყვართ. ამისათვის უნდა ასწავლონ თავიანთ შვილებს ხორცის, – სხეულის მოთხოვნათა მსახურებისაგან თავის შეკავება. მაგრამ რადგანაც ბავშვებს ჯერ არა აქვთ ცნობიერება, ცხოვრების გამოცდილება, როგორღა ასწავლი მათ იმის გარჩევას თუ რა შეიძლება და რა არა? აქ უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც მათ აქვთ, ანუ სხეულის შეგრძნებები: სასიამოვნოა? კარგია? ე.ი. შეიძლება; მტკივნეულია? – ე.ი. არ შეიძლება.

და აი, ასე ყალიბდება ცნობიერება, სწორედ ასე შეიძინა იგი მიწის პირველმა ადამიანმა – ადამმა. ასეთივე მტკივნეული შეგრძნებებით უნდა ვასწავლოთ საკუთარ შვილებსაც: “ვინც შვილისათვის წკეპლას არ იმეტებს, მისი მტერია; ხოლო მოყვარული ჭკუას ასწავლის.” (იგავ.13, 24). დასჯა და ცემა აბსოლუტურად განსხვავებული მოქმედებებია, თუმცა წარმოებს ერთი და იმავე საგნით, რომლითაც ტკივილს ვაყენებთ. დასჯის უკან დგას სიყვარული, სურვილი, რომ მცირე ტკივილით ბავშვს შევძინოთ გამოცდილება, რომ: “ამის გაკეთება არ შეიძლება, თორემ გეტკინება, ახლავე იცოდე ეს,” რათა შემდგომ ცხოვრებაში ბავშვი უფრო სასტიკად არ გაილახოს. ხოლო ბავშვის ცემის უკან დგას ბოროტება. “ყმაწვილის დასჯა ნუ დაგენანება: ჯოხითაც რომ სცემო, არ მოკვდება. ჯოხით სცემე და მის სულს შავეთისაგან იხსნი.” (იგავ.23, 13-14). აი ჯოხით დასჯის მიზანი: – ბავშვის სულის ხსნა ჯოჯოხეთისაგან. აი, ასეთი სიყვარული უნდა ამოძრავებდეთ მშობლებს. მაგრამ ამისათვის თვით მშობლები უნდა მიისწრაფოდნენ იმავე მიზნისაკენ, მარადიული ცხოვრებისაკენ და არა ამსოფლიურისაკენ. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში ბავშვის ჯოხით დასჯა სიკეთეა, ხოლო თუ ეს სწრაფვა არ არის, მაშინ ეს დასჯა ბოროტებაა და არა სიყვარული. სამწუხაროდ, სწორედ ასე უყურებს ყველა მშობელი შვილების აღზრდის საკითხს. ბავშვები სწადიან უგუნურებას, იმიტომ, რომ მათ არა აქვთ განვითარებული დამამუხრუჭებელი ცენტრები. ისინი მიჩვეულნი არიან იმის კეთებას რაც სურთ. ბიბლია კი საწინააღმდეგოს გვასწავლის: “ვისაც თავისი შვილი უყვარს, გაწკეპლას მოუხშირებს. შვილის გამანებივრებელი ჭრილობებს შეუხვევს შვილს და მის ყოველ წამოყვირებაზე შეუქანდება გული. გაუხედნავი ცხენი ჯიუტად იქცევა, თავის ნებაზე მიშვებული შვილი კი თავხედურად იქცევა. გაანებივრე შვილი და შეგაშინებს, ეთამაშე და დაგამწუხრებს. ნუ გაიცინებ მასთან, ვაითუ მასთან ერთად იდარდო და ბოლოს კბილები აღრჭიალო. ნებაზე ნუ მიუშვებ სიჭაბუკეში და გვერდები დაუქექე, ვიდრე ნორჩია, რომ არასოდეს გაჯიუტდეს და შენს მორჩილებაზე ხელი არ აიღოს. გაწვრთენი შვილი და იშრომე მასზე, რომ მისი უხამსი საქციელი თავშისაცემი არ გაგიხდეს.” (ზირ.30, 1-13). ამრიგად, ბიბლია მუდმივად გვასწავლის, რომ ბავშვები ქელს უნდა იხრიდნენ მშობლების წინაშე და მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ მათ ნება-სურვილს. ასე უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში საქმე პირიქითაა: მშობლები მოკრძალებული პატივისცემით ეპყრობიან ბავშვის ვნებებს, მაგრამ არა თავად ბავშვს, როგორც მათ გონიათ. ისინი მუდმივად ემსახურებიან მის ვნებებსა და კაპრიზებს და ეკითხებიან: “რა გინდა?” მაშინ, როცა განუხრელად უნდა ატარებდნენ შვილებზე თავიანთ ნებას, რათა დაიცვან ისინი ღვთის წყევლისაგან. იმიტომ, რომ მან გვამცნო: “პატივი ეც მამას და დედას, და მამის ან დედის აუგის მთქმელი სიკვდილით მოკვდეს.” (მთ.15, 4). ბავშვების აღზრდა “მე მინდა”, “მე მინდა”, “მე მინდას” და ა.შ. მუდმივი შესრულების მეთოდით, ზრდის მხოლოდ თავაშვებულ მხეცებს, რომლებიც ანადგურებენ მიწას, ერთმანეთს, საკუთარ მშობლებს, სართოდ

ყველაფერს მათ გარშემო და საბოლოო ჯამში, საკუთარ თავსაც. ამისი დადასტურებაა მასიური თვითმკვლელობები ახალგაზრდებს შორის მთელს მსოფლიოში. “მა ძმას გადასცემს სასიკვდილოდ და მამა – შვილს; აღდგებიან შვილები მშობლების წინააღმდეგ და დახოცავენ მათ.” (მთ.10, 21). მკვლელობათა და თვითმკვლელობათა მიზეზები გამომდინარეობენ ცხოვრების აზრის უცოდინარობიდან. ბავშვები გრძნობენ, რომ რაღაცა უნდათ, იტანჯებიან ძიებაში და ვერ პოულობენ რა გამოსავალს, ეძალებიან ნარკოტიკებს, დამნაშავეობას, გაუკუღმართებებს, მკვლელობებს. ეს ყველაფერი ბუნებრივი ნაყოფია მათი საკუთარ ნება-სურვილზე აღზრდისა: “რა გინდა შვილო?” პასუხი ამისა არის ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი – თვითმკვლელობა. აი რას ასწავლიან მშობლები დღეს. ქრისტემ, როდესაც მოვიდა ამსოფლად, უთხრა თავის მოწაფეებს და ხალხს: “ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი.” (მთ.16,24). “უარყავ თავი” – ნიშნავს საკუთარი “მე მინდას” უარყოფას; ამიტომაც ქრისტეს სიტყვებიდან საპირისპირო დასკვნა გამომდინარეობს: ვინც არ უარყოფს საკუთარ თავს, მას არ უნდა რომ გაჰყვეს ქრისტეს, ხოლო ვისაც არ უნდა გაჰყვეს ქრისტეს, ის არის ანტიქრისტე, იმიტომ რომ “ანტი” ნიშნავს ქრისტეს წინააღმდეგ. ზემოთქმულიდან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა: ყველა ის ადამიანი, რომელიც ახორციელებს ცხოვრებაში თავის სურვილებს – “მე მინდას,” თავისი არსით არის ანტიქრისტე, რადგან მათ არც კი იციან, თუ რას მოითხოვს ქრისტე. ასეთნი თავიანთ თავს ქრისტიანებს უწოდებენ და მზად არიან მოკლან სხვა, ვისაც ეჭვი შეეპარება მათ ქრისტიანობაში. მაგრამ ის, რომ თავად ქრისტემ უთხრა ყველას, და მათ შორის მათაც: “უარყავ თავი შენი,” ანუ უარყავი შენი “მე მინდა,” უარი თქვი მასზე, მათ აზრადაც კი არ მოსდით. ხოლო დღეს, მთელ მსოფლიოში, სწორედ ასეთი ქრისტიანებია, რომელთა შესახებაც წმიდა მღვდელთმთავარი ეგნატე ბრიანჩანინოვი, თავის ბროშურაში “მართლმადიდებლობის შესახებ,” სატიტულო ფურცელზე წერს: “ვაი ქრისტიანებს, რომელთაც არ იციან, რაში მდგომარეობს ქრისტიანობა და ეს სანახაობა წარმოუდგება დღეს მზერას ყველგან.” ეს მან თქვა 150 წლის წინათ. რაღა შეიძლება ითქვას ქრისტიანობაზე დღეს? თუ გადავხედავთ ბავშვების აღზრდას ქართულ ოჯახებში, დავინახავთ, რომ ყველგან, გამონაკლისის გარეშე, აღზრდა მიმდინარეობს მხოლოდ ერთადერთი სულით: “მე მინდა,” ანუ მიდის ანტიქრისტეების შეგნებული აღზრდა. აღზრდისას ყველგან ინერგება თვითდამკვიდრება და არა ქრისტესმიერი თავის უარყოფა, ინერგება პირველობის, აღმატებულობის კულტი. ყოველი ქართველის ბავშვი უკვე დაბადებიდან მეფეა, (სამეფო ტახტი კი ერთია), ასე რომ ერთმანეთის მკვლელობა გარდაუვალია. ყოველი ქართველი იბადება დირექტორად, პროფესორად, ხელმძღვანელად და ა.შ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მუშად, თუმცა სწორედ მუშებად არიან დაბადებულნი, რადგან ღმერთი გვიბრძანებს ბიბლიაში: “ჩვენ კი გამცნებთ, ძმებო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ ჩამოშორდეთ ყოველ

ძმას, რომელიც უწესოდ იქცევა და არა იმ გადმოცემისამებრ, ჩვენგან რომ მიიღეთ. რადგან თქვენ თვითონ იცით... მუქთათ (ჩვენ) არავისი პური არ გვიჭამია, არამედ დღედაღამ შრომა-გარჯაში ვიყავით... ვინაიდან.. “ვისაც შრომა არ სურს, ის ნუღარც ჭამს.” (2თეს.3, 6-12). რადგანაც შრომა – ეს არის აუცილებელი ვალდებულება. ღმერთმა ამცნო როგორც ადამს, (დაბ. 3, 19), ასევე ყოველ ჩვენგანს: “ექვს დღეს იმუშავე, და აკეთე შენი საქმეები; მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია.” (გამოსვ. 20, 9-10). ამიტომ, გვეშინოდეს უქმად, უსაქმურად ყოფნისა. ღვთის ყველა ამ კანონის დარღვევა არის მიზეზი როგორც თითოეული ადამიანის, ასევე მთელი კაცობრიობის უბედურებისა.

ქრისტეს სსოვნა

ბიბლია იგივეა, რაც იყო და სხვაგვარად აღთქმად, ანუ ანდერძად, იწოდება: “ადამიანის მიერ დამტკიცებულ ანდერძსაც კი ვერავინ უკუაგდებს.” (გალ.3, 15; ებრ.9, 15-20). მთელი სახარება, ანუ ახალი აღთქმა, არის იესო ქრისტეს ანდერძი ხალხის მიმართ: “თუ ვინმე მოისმენს ჩემს სიტყვებს და არ დაიცავს, მე არ განვსჯი მას, რადგან წუთისოფლის განსასჯელად კი არ მოვედი, არამედ წუთისოფლის სახსნელად. მას, ვინც მე უარმყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს მსაჯული. სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განსჯის მას უკანასკნელ დღეს.” (იოან. 12, 45-50). ქრისტეს ყოველი სიტყვა, საერთოდ მთელი სახარება დაიყვანება ერთ ანდერძამდე: “ამას გიღებთ მცნებად, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი.” (იოან.15, 17). მაგრამ უპირველესად, პირველი მცნების თანახმად, თავად ღმერთი უნდა შევიყვაროთ: “ხოლო მან (იესომ) უთხრა მას: “შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.” ეს არის პირველი და დიდი მცნება.” (მთ.22, 37-39). აი, კიდევ რა გვიანდერძა ქრისტემ: “აიღო პური, მადლი შესწირა, დატეხა, მისცა მათ და უთხრა: “ეს ჩემი სხეულია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად.” (ლუკ. 22, 19-20). განა ეს თავად ღვთის სიტყვები არ არის? განა შეიძლება ამას არ დავემორჩილოთ? განა შეიძლება არ შევასრულოთ ის, რასაც გვთხოვს ღმერთკაცი, რომელმაც თავისი სიცოცხლე ჩვენთვის გაწირა? და აი, მის ამ სურვილს, ანდერძს, თხოვნას, ჩვენ და ყველა ადამიანი არ ვასრულებთ ახლა. დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობამ არ იცის და არც ფიქრობს ქრისტეს ამ თხოვნის შესახებ. სახლებში ყველას უკიდია

გარდაცვლილი ახლო ნათესავების სურათები და სუფრებზე სვამენ მათ შესანდობარს, იხსენებენ მათ, ქრისტეს კი, რომელიც ასევე ადამიანი იყო, არაფერს იხსენებს. ის მოკვდა, მაგრამ ვისთვის? და რისთვის? ჩვენთვის, რათა ჩვენ მარადიულად ვიცხოვროთ; ოღონდ ეს იმ პირობით, თუკი წავალთ მასთან ერთად სიკვდილზე. ჩვენ არც კი გვახსოვს ის, თუ რა დაგვიბარა მან თავის ანდერძში: “ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად.” როდის? პასუხი ერთია – ყოველთვის: “ყოველთვის როცა ამ პურს ჭამთ და ამ სასმისს სვამთ.” (1კორ.11, 26). მაგრამ უმჯობესია მაშინ, როგორც ეს ხდებოდა სინამდვილეში, საღამოს, სერობის დროს, იმ სიყვარულის სერობის დროს, რომლის შესახებაც მოგვითხრობენ მოციქულები და მოციქული პავლეც: “ვინაიდან მე მივიღე უფლისაგან, რაც თქვენც გადმოგეცით, – პავლემ კი გადმოგვცა ქრისტეს ანდერძი:)... აიღო პური, მადლი შესწირა, გატეხა და თქვა: “მიიღეთ, ჭამეთ, ეს არის ჩემი სხეული, თქვენთვის განტეხილი. ამას აკეთებდეთ ჩემს მოსაგონებლად.”” (1კორ. 11, 23-24). აქ ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ლუკა მახარებელთან ამის შესახებ ლაპარაკობს თვითონ ქრისტე, ხოლო მოციქული პავლე იმავეს შეგვახსენებს მრავალი წლის შემდეგ, რადგან იგი ბევრად უფრო გვიან იქნა მოწოდებული, ლუკა მახარებელთან შედარებით და საიდუმლო სერობის შემდეგ. მაგრამ უფალი იესო ქრისტე სწორედ ამის შესახებ შეგვახსენებს ჩვენ მოციქული პავლეს საშუალებით, იმიტომ რომ, თუ ჩვენ ეს არ გვემახსოვრება, ამით ჩვენ არ შევასრულებთ პირველ – უმაღლეს და უდიდეს მცნებას. (მთ.22, 37-39). თუ ღვთის ხსოვნა პირველი უმაღლესი და უდიდესი მცნებაა, მაშინ მისი დარღვევა არის უმაღლესი და უდიდესი ცოდვა. და აი, ამ ცოდვას სჩადის მთელი კაცობრიობა ისე, რომ ვერც კი ხვდება ამას, სახარება კი ამბობს: “ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება.” (მთ.5, 18); “ცა და დედამიწა გადავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გადავლენ.” (მთ.24, 35). მათ, ვისაც სწამთ ეს ყველაფერი, ისღა დარჩენიათ, რომ შეასრულონ ის, რაც უფალმა გვიანდერძა. თუ არადა აღსრულდება ქრისტეს მიერ განსაზღვრული: “სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განსჯის მას უკანასკნელ დღეს.” (იოან. 12, 48). ამიტომაც, რომ არ ვიყოთ განსჯილნი პირველი მცნებისა და სიყვარულის სერობის შესახებ ანდერძის შეუსრულებლობისათვის, ვაღდებულნი ვართ შევიკრიბოთ მასზე, როგორც ამის შესახებ უფლისაგან გადმოგვცემს მოციქული პავლე: “ამიტომ, ჩემო ძმანო, როცა ერთად შეიკრიბებით საჭმელად, ერთიმეორეს დაელოდეთ. და თუ ვინმეს შიოდეს, თავის სახლში ჭამოს, რათა მსჯავრდასადებად არ შეიკრიბოთ.” (1კორ.11, 33-34). ასე, რომ ვაღდებულნი ვართ შევიკრიბოთ და თანაც ნაჭამნი, რათა მოშიებულეებმა პურზე და ღვინოზე კი არ ვიფიქროთ, არამედ უფალზე, მის ხორცსა და სისხლზე, პურისა და ღვინოს სახით მოცემულზე. სწორედ ასე იქცეოდნენ პირველი ქრისტიანები, როგორც ვკითხულობთ კიდევ ამის შესახებ მოციქულთა საქმეში: “დღენიდაც ერთსულოვნად ტაძარში იყვნენ, სახლებში ტეხდნენ

პურს, იღებდნენ საკეებს მხიარულებით და გულუბრალოებით.” (საქმ.2, 46). ზუსტად ასე უნდა ვბაძავდეთ პირველ ქრისტიანებს იმიტომ, რომ სწორედ ისინი იმყოფებოდნენ ყველაზე ახლო ჭეშმარიტად მართალ რწმენასთან. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად ცოტაა სიყვარულის სერობაზე მხოლოდ შეკრება და უფლის მოსახსენებლად პურისა და ღვინის მიღება, თუმცა სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია და გადამწყვეტიც კი ქრისტეს გახსენებისას ჩვენი შინაგანი მდგომარეობა: “რადგან ყოველთვის, როცა ამ პურს ჭამთ, და ამ სასმისს სვამთ, აუწყებთ უფლის სიკვდილს, ვიდრე მოვიდოდეს. ამიტომ, ვინც შეჭამს ამ პურს, ან შესვამს უფლის სასმისს უღირსად, დამნაშავე იქნება უფლის სხეულისა და სისხლის წინაშე. ადამიანმა ჯერ თავი გამოსცადოს და ასე ჭამოს ამ პურიდან და დალიოს ამ სასმისიდან. ვინაიდან, ვინც უღირსად ჭამს და სვამს, თავის თავის დაგმობას ჭამს და სვამს, ვერ არჩევს რა უფლის სხეულს. ამის გამო თქვენს შორის ბევრია უძღური და ავადმყოფი, და ბევრიც მოკვდა. ხოლო ჩვენ, თვითონვე რომ განგვეკითხა ჩვენი თავი, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი, ხოლო მსჯავრდადებულნი ვიწვრთნებით უფლის მიერ, რათა წუთისოფელთან ერთად არ ვიყოთ მსჯავრდადებულნი.” (1კორ.11, 26-32). ამას უნდა ვაკეთებდეთ დღეში ერთხელ მაინც, ყოველ საღამოს, მაგრამ რამდენადაც არ ვაკეთებთ, განვისჯებით სოფელთან ერთად, რასაც თვალნათლივ ვხედავთ კიდევ ადამიანთა ცხოვრების მუდმივ გაუარესებაში. ეს ხდება იმიტომ, რომ არ ვიწმინდებით ცოდვებისაგან აღსარებითა და სინანულით, რის გამოც ისინი გროვდება. ამასთან, დედამიწის მოსახლეობის რიცხვი სწრაფი ტემპით იზრდება, რის გამოც მიწაზე მრავლდება ცოდვა და ბოროტება. ეს არის მიზეზი ადამიანთა ცხოვრების გაუარესებისა. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია: გადავირჩინოთ საკუთარი სული ღვთის ნებაზე მინდობით, რისთვისაც აუცილებელია გვახსოვდეს ყოველი ჩვენგანის მოსალოდნელი სიკვდილი. მაგრამ არ არის ჩვენში ეს შიში, იმის მიუხედავად, რომ ახლა სიკვდილი დათარეშობს დედამიწაზე და შეიძლება გვეწვიოს ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერი საბაბით. ადამიანები იმდენად მიეჩვივნენ ამას, რომ არავენ არ ფიქრობს იმაზე, რომ სიკვდილით ცხოვრება არ მთავრდება, არამედ მხოლოდ იწყება. იწყება მარადისობა, რომელიც გაგრძელდება სასუფეველში ან ჯოჯოხეთში. მაგრამ ამ ორს შორის არჩევანს ყოველი ადამიანი თვითონ აკეთებს და თანაც აქ, ამ სოფელში, იმით, რომ პირველ რიგში უნდა შეიყვაროს თავისი შემოქმედი და მაცხოვარი უფალი ღმერთი. (მთ.22, 37-39); ანუ ყოველ წუთს და წამს იცხოვრო ღმერთით, გინდოდეს უკვდავება, გახსოვდეს, თუ როგორ იტანჯა შენთვის ქრისტე. თუნდაც დღეში ერთხელ, საღამოს, მისი სიყვარულით გაიხსენე, რომ ის, უდანაშაულო, შენი გულისთვის ჩამოვიდა ზეციდან, შეიმოსა, ადამიანო, შენი დანაშაულებრივი არსებობის ფორმა, და დაიკავა ტანჯვის ადგილი, რათა შენ არ გეტანჯა მარადიულად: “ეს ჰყავით ჩემს მოსახსენებლად.” (ლუკ.22, 19-20). ადასრულეთ, ადამიანებო, ეს

მოსახსენებელი, თუ არადა სამუდამოდ მოუწევს თითოეულ ჩვენგანს ტანჯვა საკუთარი ცოდვებისათვის. და ჯერ კიდევ, სანამ ცოცხლები ვართ, ქრისტე გველოდება და სისხლს ღვრის თითოეულისათვის.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქრისტეს მოსახსენებლად პურის განტეხის აქ აღწერილი უბრალო სახე, სულაც არ არის უარყოფა, ან შეცვლა იმ წმ. ზიარებისა, რომელიც ლიტურგიაზე აღესრულება ტაძარში. ეს არის მხოლოდ უფლის მოხსენება, მისი დანაბარების შესასრულებლად და არა წმ. საიდუმლოს შეცვლა, როგორც შეიძლება ვინმემ იფიქროს.

ეკლესიის ერთიანობა

ამჟამად, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ყველა ქრისტიანული საზოგადოების წარმომადგენლები: მართმადიდებლობის, კათოლიციზმის, პროტესტანტების, გრიგორიანელებისა და ა.შ. უკვე დიდი ხანია გაერთიანებულნი არიან ე.წ. “ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში,” რომელსაც თავისი თავის წინაშე დასახული აქვს ისეთი “კეთილშობილური” მიზანი, როგორცაა მსოფლიოს ყველა ქრისტიანის გაერთიანება ისეთივე ერთიან ეკლესიაში, როგორც იყო იგი მოციქულების დროს. ყველა ქრისტიანული საზოგადოების წარმომადგენლები წელიწადში არაერთხელ, და უკვე რამოდენიმე ათეული წელია, იკრიბებიან ამ პრობლემის გადასაჭრელად. თითოეული მხარე აყენებს თავის წინადადებებს, ყველა ღონეს ხმარობს, შესაძლებელს და შეუძლებელს, ამ “კეთილშობილური” ამოცანის გადასაწყვეტად. თუ ამას შევხედავთ მსოფლიო საზოგადოებათა მოწყობის ზოგადსაკაცობრიო პოზიციიდან, მაშინ ყველაფერი მართლაც შესანიშნავი და კეთილშობილურია და მხოლოდ ტაშის დაკვრავს რჩება, რაც საკუთრივ ხდება კიდევაც მთელს მსოფლიოში. ქრისტეს ეკლესიის განხილვის ამგვარი პოზიციიდან, იგი (ეკლესია) დაყოფილია ურიცხვი რაოდენობის ადგილობრივი ეკლესიების თემებად, - მაგრამ ეს არის ადამიანური პოზიცია. მაგრამ თუ ამ ე.წ. “გაყოფის” პრობლემას შევხედავთ ბიბლიის თვალთ, მაშინ ამ ქრისტიანულ სამყაროში არ ყოფილა არც ერთი ქრისტიანი, რადგან თუ ეს ქრისტეს ეკლესიაა, მაშინ ქრისტე უძღური ყოფილა, რომ ეკლესია დაეცვა, და აი ესლა ადამიანები, მათი საკუთარი ძალისხმევით, ესმარებიან ღმერთს იმის გაკეთებაში, რისი გაკეთებაც მან ვერ შეძლო. წარმოიშვება საინტერესო შეკითხვა: “ვინ ვის მხსნელად გვევლინება: ღმერთი – კაცობრიობის, თუ კაცობრიობა – ღმერთის?” ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა საზრიან პირველკლასელსაც კი შეუძლია: რომ მსოფლიოს მხსნელი ღმერთია, ხოლო ღმერთი - არის პიროვნება აბსოლუტური, ყოველისშემძლე და თვითკმარი, რომელსაც არავისი დახმარება არ სჭირდება. ღმერთის შესახებ ასეთი ცნებები მოცემულია თვით საბჭოთა ათეისტურ ენციკლოპედიაშიც კი. ამ თვალსაზრისით ეკუმენიზმის იდეა თავიდან ბოლომდე ყალბია.

განვიხილოთ იგი ბიბლიის პოზიციიდან: აი ღმერთის რამოდენიმე შეხედულება ზოგადად ადამიანური პოზიციის შესახებ: “ეს ხალხი ახლოა ჩემთან პირით და ბაგეებით პატივს მცემს მე, ხოლო მათი გული შორსაა ჩემგან. ამოდ მემსახურებიან მე, რამეთუ ასწავლიან ადამიანურ მოძღვრებებსა და მცნებებს.” (მთ.15, 8-9). (*შესწორებულია ძველი ქართული სახარების მიხედვით*). ადამიანური პოზიციის მიმართ ქრისტეს ასეთი დამოკიდებულება იმითაა გამოწვეული, რომ ადამიანები, თავიანთ შეხედულებებში, ღმერთზე მაღლა აყენებენ თავს და ღმერთის გარეშე მსჯელობენ ყველაფერზე. სწორედ ამგვარადაა საქმე ეკუმენიზმის საფუძველშიც. აი, ქრისტეს კიდევ ერთი გამონათქვამი, მის მოციქულებს შორის ყველაზე ერთგული – პეტრეს ადამიანური სიყვარულის საპასუხოდ: “მომცილდი, სატანავ! ჩემი საცდური ხარ, ვინაიდან ფიქრობ არა იმაზე, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია.” (მთ.16, 23). თუკი ქრისტემ ასე უპასუხა ცოცხალ პეტრეს იმ მომენტში, როდესაც თვითონ მართლა მიდიოდა სიკვდილზე იერუსალიმში, (მთ.16, 21). მაშ რაღას ეტყოდა იგი თანამედროვე ეკუმენისტებს, რომლებიც მის დახმარებას ცდილობენ ეშმაკზე მისი გამარჯვების შემდეგ? როცა ქრისტე უკვე პეტრეს წინაშე მდგომი ადამიანი კი არა, არამედ ზეცაში ამაღლებული ღმერთია. უფალმა აქვე, პეტრესთან ამ საუბრის დროს, მოგვცა თავისი ეკლესიის საკუთარი, ღვთაებრივი განსაზღვრება: “მეც გეუბნები შენ: შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზედ ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი.” (მთ.16,18). თუ ასეთია ღვთის განსაზღვრება თავის ეკლესიაზე, მაშინ ამ 2000 წლის მანძილზე რომელ თითქოს მომხდარ გაყოფაზე შეიძლება იყოს საუბარი, რომ ეხლა რაიმეს შეერთება გახდა საჭირო? “ვინაიდან არავის არ ძალუძს დაუდოს სხვა საძირკველი, გარდა იმისა, რაც დადებულია, რომელიც არის იესო ქრისტე.” (1კორ.3,11). ასე განსაზღვრა ღმერთმა, მაგრამ ეკუმენისტები მას არ უწევენ ანგარიშს და უნდათ რომელიღაც სხვა, საკუთარი საძირკვლის დადება. ბიბლიაში ასეთი მომენტი გათვალისწინებულია და სწორედ ამ ეკუმენიზმშია იგი გამოხატული: “მე მოვედი მამაჩემის სახელით და არ მღებულობთ. თუ სხვა ვინმე მოვა თავისი სახელით, მას მიიღებთ.” (იოან.5, 43). ეს არის ნათქვამი ცრუმესიის, ადამიანი ანტიქრისტეს შესახებ, და ეკუმენისტები უმზადებენ მას თავის საძირკველს. მის შესახებ ბიბლია ლაპარაკობს სხვა ადგილასაც: “გამოჩნდება ურჯულოების კაცი, ძე დაღუპვისა, წინააღმდეგომი და აღზევებული ყველაფერზე მაღლა, რაც კი რამ სახელდება ღმერთად და სამსახურებლად. ისე რომ, ღვთის ტაძარშიც კი დაჯდება იგი, როგორც ღმერთი და თავს ღმერთად გამოაცხადებს.” (2თეს.2, 3-4; დან.11, 36-37). ამ სიტყვებში მკაფიოაა განსაზღვრული, რომ ანტიქრისტე ტაძარში დაჯდება, ხოლო ქრისტე, პეტრეს მიმართ თავის სიტყვებში, ლაპარაკობს ეკლესიაზე: “მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი.” (მთ.16,18). ასე რომ: ეკლესია და ტაძარი სრულიად განსხვავებული ცნებებია, როგორც ადამიანის სული და სხეული. “ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული

ცოცხლობს თქვენში?” (1კორ.3, 16). ამრიგად, ეკლესია ეს არის ადამიანთა კრებული, რომელშიც თითოეული პირადად ემორჩილება ღმერთს, ხოლო ტაძარი - ეს არის ადგილი, სადაც ეკლესია შეიძლება შეიკრიბოს, ეკლესია კი შეიძლება იკრიბებოდეს ტაძრის გარეთაც, ნებისმიერ ადგილას, როგორც ეს იყო ქრისტიანობის დასაწყისში, პირველი 300 წლის განმავლობაში. ქრისტე კი დადგენილია ეკლესიაში “ყველა მთავრობაზე, ხელმწიფებაზე, ძალზე, უფლებაზე და ყოველივე სახელზე მაღლა, რაც კი იწოდება არა მარტო ამ წუთისოფელში, არამედ მომავალშიც. და ყოველივე დაუმორჩილა მის ფერხთა ქვეშ და დააყენა იგი ყველაზე მაღლა, თავად ეკლესიისა, რომელიც მისი სხეულია, სისავსე აღმავსებლისა ყოველივესი ყოველივეში.” (ეფეს.1, 21-23). თუკი აღმდგარი ქრისტე, სიკვდილით თავად სიკვდილისა და ეშმაკის დამორგუნველი, თავისი თავით ადავსებს თავის ეკლესიას, ე.ი. პირადად მასზე დამორჩილებულ ადამიანებს, მაშინ როგორ შეეძლო ასეთ ეკლესიას რომ გაყოფილიყო, როცა დამარცხებულია სატანა ყველაზე მთავარი გამყოფი? ქრისტეს ეკლესიის ცნების ამგვარად განხილვისას, იგი არასოდეს არ გაყოფილა, და არ შეუძლია რომ გაიყოს, იმიტომ რომ ასეა განსაზღვრული თავად ღმერთის მიერ, ხოლო “იესო ქრისტე გუშინ და დღეს – იგივეა უკუნისამდე.” (ებრ.13, 8). “ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის.” (მთ.18,20). თუ ქრისტე თავისი ეკლესიის შორისაა და ეშმაკი დამარცხებულია მის მიერ, მაშინ ქრისტეს ეკლესიის რომელ გაყოფაზე და რომელ შეერთებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? მხოლოდ იმ ეკლესიაზე, რომელიც არ ეკუთვნის ქრისტეს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არა ეკლესიაზე, არამედ ადამიანურ რელიგიურ ორგანიზაციებზე, რომლებიც გაყოფილნი არიან ერთმანეთს შორის თავიანთი ადამიანური შეხედულებებით. სწორედ ასეთი ორგანიზაციების გაერთიანებაზეა საუბარი ეკუმენისტურ მოძრაობაში, იმიტომ რომ ქრისტეს ეკლესია ყოველთვის იყო ჭირთაგან მხსნელი. როგორ შეიძლება მხსნელს თვითონ სჭირდებოდეს ხსნა? მხოლოდ მაშინ, როცა იგი (ორგანიზაცია) არ არის მხსნელი. მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა, პროტესტანტთა და ა.შ. თანამედროვე ორგანიზაციები, რომლებიც თავის თავს ეკლესიებს უწოდებენ, სინამდვილეში ადამიანურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ და იმართებიან არა ღმერთის, არამედ ადამიანების ნებით. რადგან თუკი ვაღიარებთ, რომ რომელიმე მათგანი იმართება ღმერთის მიერ, მაშინ ასეთ ორგანიზაციას უკვე აღარ უნდა სჭირდებოდეს არანაირი დახმარება და გაერთიანება, მაგრამ რადგან მათ ეს მაინც სჭირდებათ, ამით ისინი ხაზს უსვამენ, რომ მათში არ არის ღმერთი. მაგრამ ღმერთი ხომ მთელს დედამიწას ადავსებს, ხოლო ამ ორგანიზაციებში მყოფი ადამიანები არ იცნობენ არც მას, არც მის ყოვლისშემძლეობას, არა სწამთ მისი, და ეძებენ ხსნასა და გაერთიანებას თვითონ, საკუთარი ადამიანური ძალებით. დავითი (წინასწარმეტყველი) ამის შესახებ ამბობს: “რატომ ბოხოქრობენ ხალხები, და ერები ესწრაფიან ამაოებას?... ზეცაში დამკვიდრებული გაიცინებს მათზე, უფალი აბუჩად აიგდებს მათ...” (ფსალმ.2, 1-12). ის, რაც

ეხლა ხდება - ადამიანების გაერთიანება, უკვე იყო კაცობრიობის ისტორიაში, როცა ადამიანებმა თქვეს: “ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივაწვდინოთ მისი თხემი.” (დაბ.11, 4). მაშინ უფალმა დასაჯა ადამიანები ენების შერევით, ახლა კი: “ახლანდელი ცა და მიწა... გამზადებულია საცეცხლოდ... მიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, გადაიბუგება.” (2პეტრ.3, 7-12). აი ფასი და ფინალი, რაც მოელის ეკუმენისტურ მოძრაობას. თუმცა ყველაფერი ისე მიდის როგორც ეს ღმერთმა განსაზღვრა: “გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა, რათა ეჩვენებინა თავისი მონებისათვის, რაც უნდა მოხდეს მალე.” (გამოცხ.1, 1). ამრიგად, ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული. თავის ერთგულებზე კი უფალმა თქვა: “ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ. მე ვიცნობ მათ და ისინი მე მომყვებიან. მე მათ საუკუნო სიცოცხლეს ვაძლევ და არ დაიღუპებიან საუკუნოდ და ხელიდან ვერავინ გამოშტაცებს.” (იოან.10, 27-29). ეკუმენისტებს კი ქრისტეს სხვა სიტყვები მიესადაგება: “ჩემი ცხვრისაგანნი არა ხართ”, იმიტომ რომ საკუთარ, ადამიანურ ხმას უსმენთ და უჯერებთ. (იოან.10, 25-26). თავის ცხვრებს კი: “ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველივე ეწვეა სასიკეთოთ.” (რომ.8, 28). “და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მყოფადი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში.” (რომ.8, 38-39). თუ ქრისტეს დროიდან მოყოლებული ქრისტიანების ხელში ასეთი ძალაა, მაშინ ვის შეეძლო მათი გაყოფა, ეხლა რომ შეერთებაა საჭირო? ასეთი რამ არასოდეს არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს. მოცემულ შემთხვევაში, ეკუმენისტური მოძრაობის საქმიანობაში, საუბარია არა ქრისტიანებზე, რომლებიც ქრისტეს ემორჩილებიან, არამედ ადამიანებზე, რომლებიც მხოლოდ უწოდებენ თავიანთ თავს ქრისტიანებს, მაგრამ ემორჩილებიან თავიანთ საკუთარ ადამიანურ ნებას და გაერთიანებულნი არიან მრავალრიცხოვან ორგანიზაციებში. ისინი თავსაც იმით იმართლებენ, რომ ბევრნი არიან. მათზე ქრისტემ თქვა: “ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისთვის დასამოწმებლად. აი, მაშინ დადგება აღსასრული.” (მთ.24, 14). ის ფაქტი, თუ როგორ ინტენსიურად, უფასოდ ვრცელდება მთელს მსოფლიოში სახარების გამოცემები, მოწმობს ქრისტეს ამ სიტყვების სიახლოვეზე. და აი, სახარების ამ საყოველთაო გავრცელების მიუხედავად, ყველა ადამიანი ეძებს მიწიერ სასუფეველს და არა ზეციურს, ხოლო ქრისტემ ასეთებზე თქვა: “მაგრამ, როდესაც კაცის ძე მოვა, ჰპოვებს ნეტა დედამიწაზე რწმენას?” (ლუკ.18, 8). იმიტომ რომ ეს ადამიანები, რომლებიც სახარებას კითხულობენ, ქრისტეს რწმენა რომ ჰქონდეთ, მაშინ გაჰყვებოდნენ ქრისტეს. (იოან.12, 26). გაჰყვებოდნენ მას ჯვარზე, მარადიული ცხოვრების გულისთვის, მაგრამ ისინი მისდევენ მიწიერ ცხოვრებას, ე.ი. არ მიჰყვებიან ქრისტეს, ამიტომაც ისინი არ არიან ქრისტესნი, თუმცა

თავიანთ თავებს ქრისტიანებს უწოდებენ. ქრისტიანები ისინი არიან, რომლებიც ერთნი არიან ღმერთთან სიკვდილამდე, როგორც ერთია თავად ღმერთი: მამა, ძე და სულიწმიდა. (იოან.17, 21-26). ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ქრისტეს ეკლესიის შეერთებაზე საუბარი არასოდეს არ ყოფილა, რადგან არასოდეს არ მომხდარა მისი გაყოფა. გაყოფისა და შეერთების ყველა ეს პრობლემა აღელვებდა და აღელვებს წუთისოფლის ცხოვრებისეულ ზღვას, რომელშიც ქრისტეს ეკლესია, რომელიც თავად ქრისტეს მიერ იმართება, წარმოადგენს ნოეს კიდობანს, რომელსაც ყველა როდი პოულობდა ადრე და ვერც ეხლა პოულობს, რადგან ეძებენ თვითონ, ღმერთის გარეშე: “ვინაიდან ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ გულმოდგინება (მოშურნეობა შური საღმრთოი - ძე. ქართული სახარების ტექსტი) ღვთისადმი, ოღონდ არა შეგნებულად. რადგან ღვთის სიმართლე ვერ შეიცნეს და ცდილობდნენ საკუთარი სიმართლის დადგენას და ღვთის სიმართლეს არ დაემორჩილნენ.” (რომ.10, 2-3). სწორედ ეს (შეუგნებელი) მოშურნეობა ამოძრავებს თანამედროვე ადამიანთა გონებას, რომლებიც ეძებენ ქრისტიანობის გაერთიანებას მთელს მსოფლიოში, ქრისტეს გარეშე. “ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი...” (გალ.5, 24). “თუ ქრისტესთან მოკვდით წუთისოფლის ნივთათვის...” (კოლ.2, 20). “...ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ. ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით...” (რომ.6, 3-8). ამრიგად, ქრისტიანები ისინი არიან, ვინც ქრისტესთან ერთად მკვდარია წუთისოფლისათვის, ხოლო მკვდრები რისთვისდა უნდა გაერთიანდნენ? ერთიანდებიან ცოცხლები, მაგრამ მაშინ ისინი ქრისტესნი არ არიან, რადგან არ კვდებიან მასთან ერთად, ე.ი. ისინი არ არიან ქრისტიანები: რამეთუ “ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.” (რომ.8, 9).

ქრისტეს ეკლესიის საკითხი არასოდეს არ ყოფილა დამოკიდებული არც ორგანიზაციაზე, არც მის ადგილმდებარეობაზე და არც მის სახელწოდებაზე, არამედ მხოლოდ მორწმუნე ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე, როგორც ქრისტემ თქვა ამის შესახებ: “აჰა, თვითონ თქვენშია სასუფეველი.” (ლუკ.17, 21). და აი, თუ ადამს აღარ გააჩნდა ეს სასუფეველი თავის თავში, რაკი მოუსმინა ეშმაკს, მას უკვე ვეღარ უშველა ვერც ცათა სასუფეველმა და ვერც ღმერთმა, რადგან ადამმა საკუთარი თავისუფლებით უარი თქვა მათზე. ხოლო ლოტს კი, რომელიც ცხოვრობდა სოდომისა და გომორის გარყვნილ ქალაქებს შორის, მათმა გარყვნილებამ ვერ შეუშალა მას ხელი, რომ თავის თავში ღვთის სასუფეველი შეენარჩუნებინა. (2პეტრ.2, 4-7). ასე რომ, ქრისტეს ეკლესიის საკითხი და ადამიანის სულის ხსნა წყდება არა გარეგნულ რელიგიურ ორგანიზაციებში, არამედ თითოეული ადამიანის შიგნით, თავად მის მიერ – იმით თუ ვის ეკუთვნის იგი: - ღმერთს თუ საკუთარ თავს. (მთ.16, 24-26). ხატუნად რომ ვთქვათ: ქრისტეს ეკლესია ეს არის მკვდართა კრებული, რომლებსაც არაფერი აქვთ არც გასაყოფი და არც შესაკრები. ისინი კი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, არ არიან ქრისტიანები,

არ არიან კათაკმეველნიც კი, იმიტომ რომ კათაკმეველი უკვე მზად უნდა იყოს სიკვდილისათვის. ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც თანაუგრძნობენ ქრისტიანობას, არ ესმით ქრისტიანობის საიდუმლო: “ქრისტიანულად ცხოვრება არ შეიძლება; ქრისტიანულად შეიძლება მხოლოდ მოკვდე.” (ღირსი მამა სილუანე ათონელი). სწორედ ეს მაგალითი გვიჩვენა თავად ქრისტემ და მისი მიმდევრებიც მას მიჰყვებიან: “ვინც არ აიღებს თავის ჯვარს (სიკვდილისას) და არ გამომწყვება, არ არის ჩემი ღირსი.” (მთ.10, 38). თანამედროვე რელიგიური ორგანიზაციები წყვეტენ სიცოცხლისა და არსებობის საკითხებს, ე.ი. არ მიჰყვებიან ქრისტეს სიკვდილზე, ეს კი ნიშნავს, რომ ისინი არ არიან ქრისტეს ღირსნი. ისინი არ არიან ქრისტიანები, არ არიან ქრისტესნი და მხოლოდ თვითონ უწოდებენ ასე თავიანთ თავებს, მაგრამ არ უწოდებს მათ ასე ღმერთი. აი რას წერს ბიბლია ნამდვილი ქრისტიანობის შესახებ: “...და აღმოვჩნდე მასში არა ჩემი სიმართლით, რომელიც რწმუნებდა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმუნის მიერ ღვთისმიერი სიმართლე, რწმუნის მიხედვით...” (ფილიპ.3, 7-11). ამრიგად, ქრისტიანობის გამართლება უნდა მოხდეს არა თავისი თავით, არამედ ღვთისაგან, მაგრამ შეიგრძნობა ეს შინაგანად: “...სული ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი.” (იოან.3, 7-8). “ახლა კი, როცა ღმერთი იცანით, უფრო მეტიც, როცა ღმერთმა გიცნოთ.” (გალ.4, 9). აი როგორი გაერთიანების ძიებაა აუცილებელი: ღმერთში, საკუთარი თავისა და ცოდნის უარყოფით. (მთ.16, 24). “ვინც ფიქრობს, რომ რაიმე იცის, მან ჯერაც არაფერი იცის ისე, როგორც უნდა იცოდეს. მაგრამ ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან.” (1კორ.8, 2-3). ამრიგად, ყველა ნამდვილი ქრისტიანი ეძებს ღმერთს თითოეული თავის თავში ღვთისაგან, რათა შეუერთდენ ქრისტეს ზეცაში, ხოლო მოჩვენებითი ქრისტიანები ეძებენ ღმერთს თავის გარეთ, რათა შეუერთდენ ერთმანეთს მის გარეშე დედამიწაზე, და ასეთები ძალიან ბევრი არიან ეხლა, მაგრამ ასეც უნდა იყოს. (მთ.24, 3-14). სულის ხსნის მეძიებელთათვის აუცილებელია, რომ ღმერთს წარუდგინონ თავიანთი თავები და იგი თავად იპოვის მათ, იმიტომ რომ ღმერთი “ასეთ თავყვანისმცემლებს ეძებს თავისთვის.” (იოან.4, 21-24). საჭიროა საკუთარ თავში ღმერთის პოვნა დედამიწის ნებისმიერ ადგილას: “რადგან უფლისაა დედამიწა და მისი სისავსე.” (1კორ.10, 26; ფს.23, 1). ეკუმენისტები რომ იცნობდნენ ქრისტე ღმერთს, მათ ეცოდინებოდათ, რომ მან დაამარცხა ჯოჯოხეთი და ეშმაკი, რომ ის არის ღმერთი ყოვლისშემძლე, მაგრამ ეს მათ არ იციან და არც უნდათ რომ იცოდნენ, მაგრამ არ უნდათ რომ იცოდნენ შეგნებულად და ჩვენც გაფრთხილებულნი ვართ ამის შესახებ თავად ქრისტეს მიერ: “...ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით...” (მთ.24, 3-14). ქრისტეს ეკლესია არასოდეს არ გაყოფილა, იყოფიან მხოლოდ ადამიანური ორგანიზაციები.

სარჩევი

ავტორისაგან.....	3
წინასიტყვაობა.....	5
რა არის ადამიანის ცხოვრება.....	7
გადაწყვეტილების მიღება გზის დასაწყისია.....	16
საუბარი რწმენაში დამწყებთათვის.....	26
განკითხვანი (ბედნი) ღვთისანი.....	30
სიცოცხლის ორი პრინციპი.....	34
ხსნის ძირითადი ეტაპები – გეგმა.....	42
ძველი და ახალი დრო იგივეა, სარწმუნოება კი – სხვადასხვა.....	44
ხსნის გასაღები.....	46
პრაქტიკული ხსნის გზა.....	47
მორწმუნის ორი მდგომარეობა – მშვინვიერი და სულიერი.....	49
ორი მოქმედი ძალა: ღმერთი და ეშმაკი.....	57
მგრძობიარობა და რაციონალურობა – ორი უკიდურესი საშიშროება რწმენისათვის.....	61
სიტყვა “მამის” არსი.....	62
ლექციის “სიტყვა “მამის” არსის” დამატება.....	65
სულიწმიდით შობის შესახებ.....	68
ხსნის გზა.....	77
ქრისტიანი ვარ თუ არა მე და როგორ გავხდე იგი?.....	91
რა არის მართლმადიდებლობა.....	103
ოჯახური ბედნიერება და ქალის როლი მასში.....	117
ბავშვები და მათი ხსნა.....	130
ქრისტეს ხსოვნა.....	140
ეკლესიის ერთიანობა.....	143
სარჩევი.....	149